



კ



უ

ს (მ) ა
ს (მ) ა

ს (მ) ა
ს (მ) ა

ს (მ) ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

III **ეზრა** IV **მთავარი**

ს. (ე) შ. ა.
ს. (ე) შ. ა.
ს. (ე) შ. ა.




კ. ბ. გ. ე. შ. ა.
ქ

IV



შეშლენელი

**პროფ. მიხეილ ჩიქოვანი და მარლამ მატაგერიძე
წინასიტყვაობა, შენიშვნები და რეაქცია მიხეილ ჩიქოვანისა**



1. უსუზი, ბადრი და ამირანი

იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმაკაცი; უფროსს ერქვა უსუფი, მეორეს ბადრი და მესამეს ცუდ-კალმახა. ეს ცუდ-კალმახა ისეთი მძლავრი იყო, რომ თავზედ ლახტს გაიკეთებდა, ალვის ხეს ფეხს მიაჭერდა და იმისთანას დაიჭექებდა, რომ საცა ქვეყანაზედ დევებე იყვნენ, ყველას ღალა მიჰქონდა. ერთ დღეს ამ ცუდ-კალმახამ მშვილდ-ისარი გაისროლა და ცხრა მთას იქით გადისროლა. ისარი ერთი მზეთუნახავის კარებზე დაეცა. გამოვიდა მზეთუნახავი, — ძალიან ღონიერი იყო, — ამოსწია ეს ისარი, მაგრამ მიწიდან ვერ ამოიღო და სთქვა: ამ ისრის გამომსროლელი ძალიან ღონიერი ჭაბუკი ყოფილაო და თუ ეს არ შევირთე, არ იქნებაო.

წამოვიდა ცუდ-კალმახა გასროლილი ისრის საძებნელად, მივიდა მზეთუნახავის კარებზედ, ამოსწია თავისი ისარი და ერთი კალოს ოდენზედ სულ მიწა მოანგრია. გამოიხედა მზეთუნახავმა და უთხრა: შენი წასვლა არ იქნება, შენ ქმარი უნდა იყვე და მე ცოლიო. შენ რომ ცოლად შეგირთოვო, უთხრა ცუდ-კალმახამ, სამს დღეს იქით მოვკვდებიო. მზეთუნახავმა არ დაუჯერა და შეირთო ცუდ-კალმახამ. მართლა, სამ დღეს უკან მოკვდა. დარჩა მზეთუნახავი მძიმეთ. მოვიდა დრო, დაწვა და მიეცა ვაჟი. მონათლეს და დაარქვეს ამირანი.

ისე იზრდებოდა, რომ ერთის კვირისა წლისას ჰგამს, ისეთი საშინელი ღონიერი ყმაწვილი იზრდება. შესრულდა სამის წლისა და ნადრობა დაიწყო.

წავიდა ერთ დღეს სანადროთ. ნახა ერთი შველი, გამოუდგა. იბტელი ატარა შველმა, რომ მისი მამის კარებზედ მიიყვანა. გამოიხედეს ბიძებმა და სთქვეს: — დახედე, ეს ყმაწვილი ჩვენს ძმას, ცუდ-კალმახას ჰგამსო! — ამირანმა გაიგონა ნათქვამი და შინ რომ მივიდა, დედას უთხრა: ორმა კაცმა დამინახეს და სთქვეს: ჩვენს ძმას, ცუდ-კალმახას, არა ჰგამსო?! მე მამა მყამდა თუ არა მყამდა, უნდა შითხრაო. გყამდა, შვილო, მაგრამ მოგიკვდაო, დედას უთხრა. რა ერქვა ნამაჩნისო? რა ერქვა და ცუდ-კალმახაო. თავის სიცოცხლეში არ უთქვამს მამაჩემს, ძმები ჰყამდა თუ არაო? როგორ არა, შვილო, ორი ძმა ჰყამდა, ერთს უსუფი ერქვა, ერთს ბადრიო. დედაჩემო, მე და შენ ორივენი უნდა წავიდეთ და მივიდეთ ჩემს ბიძებთანო, — უთხრა ამირანმა. წავიდეთ, შვილოვო.

წავიდნენ და მივიდნენ ბიძების კარზე. გამოვიდნენ ბიძები, დანახეს, ეგონათ ძმა მოგვივიდაო, ისე ჰგამდა ამირანი თავის ძმას. ბიძებმა შექნეს ლაპარაკი: — მართალია, ცუდ-კალმახას ჰგამს, მაგრამ ეს უფრო მოსულიაო. — უთხრეს ბიძებმა: — სიტყვა აუგი არ არის, ნუ გეწყინება და — ვინ ბძანდებო? ამირანმა უთხრა: — თქვენ თუ მოგვხსენებთ ცუდ-კალმახა, მე იმის შველი ვარო. ბიძებს გაეხარდათ და ჰკითხეს, შენი სახელი რა არისო? — ამირანო. ამირანო, გენაცვალე, უთხრეს ბიძებმა, პატარა ხანს ოთახში თავი მოარიდე, დევები მოვლენ ღალის წასაღებათო. — ამირანმა იკითხა: — დევებს რათ მიჰქვ ღალაო? — ბიძებმა უთხრეს: — აქამდინაც მიჰქონდათო. სანამ მამაშენი იყო დევებისგან ჩვენ მოგვექონდა ღალა, რაც მამაშენი აღარ არის, ესლა ეგენი გვართმევენო. მამაშენი ისეთი მძლავრი იყო, რომ ერთი ღალტი ჰქონდა, იმას თავზე გაიკეთებდა, აღვის ხეს ფხეს მიჰქერდა და ისეთს დაიჭექებდა, რომ ყველა დევებს ჩვენთან მოჰქონდათ ღალაო. იმის სიკვდილის შენდევ ასე დაგვჩაგრესო.

ამირანმა ბიძების ხატრი მოიღო და ცალკე ოთახში თავი მოარიდა. მოვიდნენ დევები და ღალას რწყვენ. როდესაც არწყეს, აღარ მოუთმინა გულმა ამირანს, გავიდა და ბიძებს უთხრა: — იქით მამეცალეთო. — მოჰკიდა ერთი ხელი ერთ დევს და მეორე მეორეს, ფრთმანეთს შემოჰკრა და შეანარცხა, სუყველა დევები დახოცა.

ჰკითხა ბიძებს: სად არის მამაჩემის ლახტიო? მოუტანეს. ჩამოიცვა ლახტი თავზედ და ნახევარს თავზედ არ ჩამოუვიდა; აიღო და გადააგდო. გამოვიდა, ალვის ხეს შემოჰკრა ფეხი და წააქცია, ისეთი დაიქვექა, რომ დევებმა აქეთ მოუტანეს ღალა, — იფიქრეს. ისევ ცუდ-კალმახა გაცოცხლებულაო. რამდენიც დევი მოვიდა, აღარც ერთი გაუშვა ცოცხალი. კიდევ უყურებდა, იქნებ კიდევ იყოს სადმე დევიო, მარამ ისე ამოწყვიტა, რომ აღარსად იყო.

უთხრა ამირანმა თავის ბიძებს: აბა, ბიძებო, შევეცმაზოთ ჩვენი იარაღით და სანადიროთ წავიდეთო.

სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ბიძა მისი, ათი მთა გადმოიარეს, მეთერთმეტე ალგეთისი, იქა ერთი კოშკი ნახეს, ნაშენ იყო ზურაბისი, ცხრა დღე და ღამე უარეს, ვერ იპოვეს კარი მისი. ამირანმა წიხლი დაჰკრა, აქ გაიღო კარი მისი, კარებს უკან მკვდარი იყო საწყალი და საბრალისი, თითებ შუა წიგნი ედო, ნაწერ იყო ზურაბისი, მანამ ვეყავ, მტერი ვნუსრე, არ შევსკამე ჯავრი მისი, ერთი ლაყაფ-დევი დამრჩა, ჯავრი ჩამყვა მე იმისი, ვინც რომ იმასა მომიკლამს, ჩემი ხმალი ალალ მისი, და ვინცა რომ მეც მომივლას, ჩემი ლახტი ალალ მისი!

ამ მკვდარს მოუარეს; დამარხეს და იმისი ლახტი და ხმალი წამოიღეს და წამოვიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შეხვდნენ იმ დევს:

ამირან, დევი შეიბნენ, მთავა გაჰქონდა გრიალი!
ამირანი მოერიდა დევს:

ღასცა და ბეჭი მოსტეხა, ადგილი დახვდა ქვიანი. დევი შეეხვეწა ამირანს: შენის ღვთის გულისათვის ნუ მომკლამო. არ მოგკლამო, ამირანმა უთხრა, მარამ შენ რომ პირცეცხლიანი დედა გყავს. ნუ ეტყვი თუ ჩემგანა ხარ დაბეგვილიო. მისცა დევმა ღვთის ფიცე, რომ დედაჩემს არ ვეტყვიო.

წავიდა დევი, მივიდა შინ და დააგებინა ლოგინი. რათა ხარ, შვილო, უქეიფოთო? ჰკითხა დედამ. შვილმა უთხრა: გეშმა მომიარაო და ერთს ადგილას კლდე ვანგრეთო, იმისავან ვარო. არა, უნდა მითხრო, — არ მოეშვა დედა, — ცუდ-კალმახას ნარგამი შეგხვდებოდა

და იმისაგან იქნებო. რადგანაც აღარ მეეშვა, უთხრა დევმა: დედავ-
იმისაგან ვარ დაბეგვილი, ცუდ-კალმანას შვილი შემხვდაო. მამ
კარგი, შვილო, — დედამ უთხრა, — რადგანაც იმისაგან ხარ, მე ის
ცოცხალი ვერ წამივიაო.

ადგა ეს ბებერი და გამოუდგა ამირანს. მანამდისინ ეს ბებერი
იმასთან მივიდა, ბიძებმა უთხრეს ამირანს: ერთი რუმბი თაფლი და
ერთი რუმბი ნაცარი უნდა იშოვნოო. დაფაცურდა ამირანი და იშო-
ვა. დაინახეს, ეს ბებერი რომ მოდის, პირიდან სულ ცეცხლს ჰყრის
სიბრაზით. ბიძები გაიქცენ და დარჩა მარტო ამირანი. როგორც
მოვიდა ბებერი, თაფლის რუმბი ესროლა. ბებერმა გადაყლაპა და
დაუძახა ამირანს: ამირანო, ერთი კიდე მესროლე მაგისთანა ტკბი-
ლი და სამის დღის სიცოცხლეს მოგცემო. ესროლა ამირანმა ნაც-
რიანი რუმბი. რომ მოუქირა კბილი ბებერმა, გასკდა რუმბი და
ნაცარი სულ თვალეში ჩაეყარა, — ველარა დაინახა რა. ამირანმა
ამოიღო ხმალი და სულ ლუკმა-ლუკმა აქცია ბებერი. გაიხედა ამი-
რანმა და ბიძები ველარ დაინახა, ნახა, რომ შორს მთით მიდიან და
გასძახა:

რომელი მიხვალთ მთასაო, მაგ შაროვანის გზასაო,

მე მოვკალ პირცეცხლიანი, ნულარ გადვილით მთასაო.

მაშინ იმედი მიეცათ ბიძებს და მოუცადეს. მივიდა ბიძებთან
ამირანი და წავიდნენ ერთათ.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ერთ სახელმწიფოში გადვიდენ.
მივიდენ ერთს დედაბერთან და უთხრეს: დედა ძალიან გვშიან და
პური უნდა გვაჭამოვო: დაიცადეთ, შვილო, — უთხრა დედაბერ-
მა, — გამომცხვარი არა მაქვს, პური უნდა გამოვაცხოვო. მოიტანა
ფქვილი, გასცრა და თავის შარდით ზელამდა. ჰკითხა ამირანმა:
დედა, მაგას რას შვრებო? რა ვქნა, შვილო, — დედაბერმა უთხ-
რა, — ჩვენ წყალი არა გვაქვს, გველეშაპს უჭირამს, ის არ გვანე-
ბებსო. დედა, დოქები მომეცი, წყალს მე მოვიტანო, — უთხრა ამი-
რანმა. შენ საიდან მოიტან, — უთხრა დედაბერმა, — ერთი კი არ არის
გველეშაპი, სამი არის: ერთი წითელი, ერთი თეთრი, ერთი შავი;
შავი ყველაზე მეტია, და ან ერთს ვერ გადურჩები, ან მეორეს
ან მესამესო. ამირანმა არ დაიჯერა, აქეთ-იქით ხელნი ქვევრები დაი-
ჭირა და წავიდა.

მივიდა იქ, საცა გველეშაპები ჩამოდიან. ხელმწიფემ თურმე,
რომ მოაქვს წყალი, თითო წყლის წალღაზე თითო მზეთუნახავი

უნდა მიუყვანოს. რასაც დროს ამირანი მივიდა, იმ დროს ხელმწიფეს გამოუგზავნია მზეთუნახავი გველეშაპისათვის. ამ მზეთუნახავმა უთხრა: რათ მოსულხართ მაგრე მშვენიერი ყმაწვილები, გველეშაპები ჩამოვლენ და შეგკამენო. ამირანმა უთხრა: პატარა ხანს ძირს დაბძანდი, ამდენი ხნის უძილო ვარ და შენს კალთაზე წამოვწვებიო. და უთხრა ბიძას: უსუფო, წითელი გველეშაპი წამოვა და ის შენ უნდა მოკლაო. მერე ბადრს მიუბრუნდა და უთხრა: თეთრი გველეშაპი შენ უნდა მოკლაო, შავი რომ წამოვა, ის მე უნდა მოვკლაო. წაიძინა ამირანმა.

წამოვიდა წითელი გველეშაპი, და დაიწყეს ტირილი ბიძებმაც და მზეთუნახავმაც. შეესმა ამირანს ტირილი ყურში და წამოვარდა. მოკლა გველეშაპი და ბიძებს უთხრა: თეთრი გველეშაპი მაინც უნდა მოკლათო.

წამოვიდა თეთრი გველეშაპი. კიდე დაიწყეს ტირილი, კიდე წამოდგა ამირანი და მოკლა თეთრი. უთხრა ამირანმა თავის ბიძებს: რადგანაც თქვენ ამათი დახოცვა ვერ შეიძელით, შავს სულ ვერ მოკლამთო. საშინლად დავიღალე, უნდა დავიძინო, და თქვენ იმდენი უნდა ეცადოთ, რომ მძინარეს არ მომასწროს და არ ჩამყლაპოსო. როგორც წამოვიდეს, გამაღვიძეთო.

წამოვიდა შავი გველეშაპი. ამირანმა იმტელათ მოასწრო, რომ ზეზე წამოდგა, ქვედა ლაყურში ფეხი დაადგა, ზედა ცხვირში ხელი მოჰკიდა, უნდა ხელდახელ გაეხლიჩა, ყბას რომ ასწია, ამირანზე მეტი მოვიდა და ამირანი თავის იარაღით გადაყლაპა.

წავიდა გველეშაპი, უნდა კლდეში შევიდეს, და მაშინ მასწრო ბიძამ და ერთი ადლი ბოლო მოსკრა. შევიდა გველეშაპი კლდეში და დედას უთხრა: მუცელზე მგვრემსო. მიდი, ა იმ რკინის ბოძს შემეერტყი და ზედ შემოსრისეო, — უთხრა დედამ. მივიდა და შემოერტყა ბოძს გველეშაპი, მაგრამ ბოლო პირში უნდა ჩაედო, და მოკრილი რომ ჰქონდა, ვეღარ მოსწვდა, მერე გველეშაპმა დაუძახა ამირანს: — პირიღამ ამოგიშვებ და თავი დამანებეო. ნეტავი დედიჩემის ღმერთსაო, — ამირანმა უპასუხა, — რომ პირიღამ ამოვიდე და ჩემმა ამხანაგებმა ნარწყევალა დამიძახონო! მაშ ბოლოღამ გაგიშვებო. ნეტავი დედიჩემის ღმერთსაო, რომ ჩემმა ტოლებმა ნაბოლარა დამიძახონო! მაშ, ამირან, გვერდს გამოვიჭრი და იქიდან გამოგიშვებო, — უთხრა გველეშაპმა. ნეტავი დედიჩემის ღმერთსაო,

თუ გვერდელა დამარქვესო, გამოსძახა ამირანმა. იმ კლდეს ზევიდამ
სარკმელი ჰქონდა და ჩაქცა უსუფმა ამირანს:

მოყვრისეული დანაო, ჯიბეში გიდევეს განაო,
ანოილე და გასქერი, გამოლი მადედანაო.

მაშინ მოიხვია ხელი ხმაღს ამირანმა, გასქრა მუცელი და გამო-
ვიდა. მარამ ამ გველუშაპის დედა ცალ-რქა ყოფილა, აქედამ ამოქ-
რამს ამირანს, — იქით კედელს მიახლის, იქიდან ამოქრამს, —
აქეთ კედელს მიახლის, და ბნელაში ვერ ხედავს ამირანი. ჩამოსძა-
ნის ბიძებმა, რა ქენიო, იქიდან კი მოვრჩიო, მარამ რაღაც არის
ცალ-რქა, აქედამ ამომქრამს — იქით მივახლის, იქიდან ამომქრამს —
აქეთ მომახლის და ძიელ უკანასკნელს დღეში ვარო. ნუ გეშინია-
ნო, — ჩასძახეს ბიძებმა, — მანდ რომ რკინის ბოძი ასვია, ის მოგლი-
ჯე, ესროლე კედელს, შუქი შევოვა და დაინახავ, რაღაც არის, მოქ-
კალი და გამოლიო. მოგლიჯა ამირანმა ბოძი და ესროლა კლდესა.
ზევიდა შუქი, წაავლო რქაში ხელი და მოქკლა გველუშაპის დედა.
გამოვიდა, მაგრამ აღარც წვერი აქვს და აღარც უღვაში. მაშინ
უსუფმა სთქვა ლექსი:

ამირანი დიბადა, თხასა ჰგავდა ხუმარასა,
წვერ-ულვაში გასცვივია, ჩასცვივია ტომარასა!

ამირანს ეს ლექსი საშინლათ ეწყინა. ახლა მეორე ბიძამ, ბადრ-
მა, უთხრა:

მინდორში მომიკრეფია ველის ყვავილი სოსანი,
ამირანო, რას გეწყინა, სხვაც ბევრი არის ქოსანი!

მასუკან უთხრეს ამირანს: იმისთანა წყალი ვიცით, რომ წვე-
რიც მოგევა და უღვაშიცო. წაიყვანეს იმ წყალზე და წვერიც მოუ-
ვიდა და უღვაშიც.

წამოვიდენ იმ წყლიდამ და ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი
შეაგულეს, მივიდენ და მოსტაცეს. ხელმწიფემ ძალიან ითაკილა,
როგორ მოსტაცეს მე იმით ქალიო. ადგა და თავის ჯარით გამოუდგა,
უნდა მოეკლა ამირანი. მაშინ უთხრა მზეთუნახავმა ამირანს:

ამირან, ღონე-ღონეო, მუხლათ გაქებენ ხოლმეო,
გასწიე, — მოგეწევიან, ომიც იციან ცხარეო.

ამირანმა უპასუხა:

არცა ვარ ტყისა ფურცელი, რომ გამიფრინონ ქართია,

არცა ვარ გოხის კურდღელი, რომ გამიფრინონ მწვერთია,

მოვლიან და აქ დავხვდები ამ ჩემი კუდა ხმალით!

ამირანმა თავის მზეთუნახავით და ბიძებით რამოდენიმე გზა გაიარა და ერთს ადგალს დაბინავდა. ხელმწიფეც მოვიდა თავის ჯარით და მეორე გვერდზე ამირანის ახლო დაბინავდა.

გათენდა დილა. ამირანმა უთხრა თავის უფროს ბიძას — გადი და ცხენით შემოუარე ხელმწიფის ჯარს და შეიტყე, რამოდენი ხანი გაგვიძლებს, რომ ვეომოთო. შეჯდა უსუფი ცხენზე და ნახევარსაც ვერ შეპოუარა, იმოღენა ჯარი იყო. მობრუნდა და უთხრა: ამირანო, ჩვენ მაგ ხელმწიფის ომი არ შეგვიძლია, იმოღენა ჯარი ჰყანს, ნახევარს კერ შემოვუარეო. ამირანმა ეხლა მეორე ბიძას, ბადრს, უთხრა: ადექი და შენ შემოუარე, შენ იქნება გაეგოო. დაბრუნდა და იმანაც ისე უთხრა, როგორც უფროსმა ბიძამ.

ადგა ამირანი, შეჯდა ცხენზე და შემოუარა ჯარს. დაბრუნდა, მივიდა ბიძებთან: ნუ გეშინიანთ, ჩვენ ისინი ვერ გვაჯობებენო. უთხრა თავის უფროს ბიძას: — ჯერ შენ უნდა იომოვო. ბიძამ უარი ველარ უთხრა, გავიდა და იონა. დახოცა რამოდენიმე ჯარი, მარამ თითონაც მოჰკლეს. ეხლა უმცროსი ბიძა გაგზავნა, იმანაც რომა, ბევრი დახოცა, მარამ ისიც მოჰკლეს.

რაც უსუფმა და ბადრმა ჯარი დახოცა, ორი იმოღენა ჯარი კიდევ დარჩა. ადგა ამირანი, შეიკაზმა და გავიდა საომრად, იმოღენა ჯარი სულ ერთიანად დახოცა, მხოლოდ ხელმწიფე დარჩა. ხელმწიფეს ჩაჩქანი აცვია და რანდენიც სცემა ამირანმა, ვერ შეატანა ჩაჩქანში და ვერ მოჰკლა. მაშინ მზეთუნახავმა უთხრა ლექსათ:

მალლა ნუ სცენ სპილოსაო, ძირს შემოჰკარ რბილოსაო,
შემოჰკარ და წაიქცევა, როგორც სხვასა სძინამსაო.

მაშინ მაშამ დაუძახა:

დახედეთ კანბა ქალასა, კურო არჩია მანასა,
რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა!

ქალმა უპასუხა:

არცა გამზარდა დედამა, არცა მეტყოდა ნანასა,
ბნელაშია მინაგდებდა, ლალა მეტყოდა ნანასა.

მზეთუნახავმა რომ ასწავლა ამირანს, ამირანმა შემოჰკრა ფეხებში ხელმწიფეს და ორივე ფეხი მოსწყვიტა. მოკვდა ხელმწიფე, მარამ ამირანიც მოკვდა. დარჩა მარტო მზეთუნახავი და დაიწყო ტირილი. დაინახა ამ საშინელს ტირილში ქალმა, რომ ერთი თავის ბახალა გამოვიდა და ამირანის სისხლს დაუწყო სმა. მზეთუნახავმა

უთხრა თავის ბახალას: შენ რა ღირსი ხარ, რომ ამირანის სისხლს სვამო? დაჰკრა წეპლა და მოჰკლა. პატარა ხანს უკან ამ ბახალის დედა გამოვიდა და უთხრა მზეთუნახავს: ამტელი კაცის ცოდვა არ გეყოფოდა, რომ ჩემი ბახალაც არ მოგეკლაო?

წავიდა ეს თავი, ერთი ბალახი მოგლიჯა, მოუსვა თავის ბახალას და გააცოცხლა. დაინახა ეს მზეთუნახავმა. იმანაც ის ბალახი მოწყვიტა, მოუსვა ამირანს და გააცოცხლა. მერმე ყველა ხალხი დააცოცხლა ამ ბალახით. ხელმწიფემ ამირანი დალოცა თავის მზეთუნახავით და თითონ თავის სახლში წავიდა. ამირანიც თავის გზაზედ წამოვიდა ცოლითა და ბიძებით.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთი კლდის ძირში და დადგა დაღამდა, დაეძინათ. თურმე იმ მთაში დევებს ბინა ჰქონდათ. ჩაუშვეს დევებმა ჩანგლები და ამირანს ბიძები მოჰპარეს, — აიყვანეს უსუფი და ბადრი და ერთს ოთახში დაამწყვდიეს. ამირანმა გამოიღვიძა. მიიხედ-მოიხედა, — ბიძები აღარსად არის. დაეძინა ისევ და ნახა სიზმარი: მაგ მთაში დევები არიან და შენი ბიძები იქ აიყვანეს და ჩაამწყვდიესო.

გათენდა დილა. ამ მთას უარა ამირანმა, მაგრამ გზა ვერსად უნახა. იფიქრა ამირანმა და მოიყვანა კამბეჩი, დაჰკლა, შიგნეულო გამოაცალა და თითონ შიგ შევიდა. გადმოიხედეს დევებმა და სთქვყს: რამოდენა კამბეჩი მომკვდარაო, ჩამოუშვეს ჩანგლები და აიტანეს, კარზედ დადეს. რა იციან, თუ ამირანი შიგ არის! გამოვიდა ტყავიდან ამირანი და მიდი-მოდის დევების კარზე. დაუძახა დევებს: — მსპინძელო, გარეთ გამოიხედო. დევებს პატარძალი ჰყამდათ და უთხრეს: შენ გადი, პატარა ხანს გაუცინ-გამოუცინე, ჩვენ დადლილები ვართ, და მერე ჩვენ გავსცემთ პააუხსო. გავიდა პატარძალი და დაუწყო ამირანს ბესაიფი და სიცილი. ამირანმა უთხრა:

დღვის რძალო, რას მიცინი, რას მიჩვენებ ბროლის კბილსა?

სომეხი ვარ, ტანტრე მქვია, დავკარგე და ვეძებ გმირსა,

ვეძებ და ვერ მიპოვნია — ალალ ჩემისთანა გმირსა*.

შედი, ცეცხლი გამამიტა, დავანთო და დავჯდე ძირსა.

შევიდა ქალი და მაზლებს უთხრა: — ის ვილაც სტუმარი მოსულა, ამნაირი ლექსი მითხრაო, და ის სტუმარი ჩვენს თავს საფარსა-

* დედანშია: „ალალ ჩემსა დანაგმირსა“. რედ.

კო არ არისო. მანამ ამ სიტყვას გაათავებდენ, ამირანი თავდათავ სახლში შევიდა. დევებმა ერთმანეთს უთხრეს: ვაი დედინჯენის ღმერთსა, ეს ამირანი არისო. ამირანმა უთხრა დევებს: ჩემი ბიძები რომ წამოიყვანეთ, სადა გყამთო? ოთახში გყამსო, უპასუხეს დევებმა. ამირანმა უთხრა: წადით და აქ გამოიყვანეთო. გამოიყვანეს. როგორც ამოგვიყვანეთ, ისევე ჩაგვიყვანეთ, თორემ სუყველას ერთმანერთზე შეგასრესამთო. ამირანმა ერთი ბიძა ერთ კალთაში გამოიხვია და მეორე მეორე კალთაში, დევებმა ბაწრებით ჩამოიყვანეს. ამირანი მიუბრუნდა დევებს და დახოცა. მივიდა მზეთუნახავთან და კალთიდან დაპყარა ბიძები და ასე თქვა ლექსი:

ეს უსუფი და ბადრიო, ამათ ამოუყარდა მადლიო.

მე ესენი გაჭირვებაში არაფერში არ გამომადგენო. წავიდნენ და თავის ბინაზედ მოვიდნენ.

ქირი იქა, ლხინი აქა.

2. ე თ ე რ ი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ცოლ-ქმარი, ჰყამდათ ერთი ქალი, სახელათ ეთერი ერქვა. მოუყვდა ეთერს დედა, მამამ მეორე ცოლი შეირთო. ამ ცოლის ხელშიაც მიეცა კაცს ერთი ქალი კიდევ. ორივე შვილი ერთად გაზარდა. როცა მოიზარდნენ, საქონელს მიუყენა. ერთ ღღეს დედინაცვალი თავის გერს მიუყენებდა საქონელს, მეორე ღღეს თავის შვილსა. გამოაცხობდა ერთ ცეცხლაკვერას. და ერთ ჩარეკ მატყლს და ერთ ფინას გაატანდა ეთერს. ამ საქონელსაც მოუღდექო, ეს ერთი ჩარეკი მატყლიც დაართეო, ეს ცეცხლაკვერა შენც სჭამე, ფინასაც აჭამე, აწვლელსაც აჭამე, ჩამომვლელსაც აჭამე და სახლშიაც ბევრი მოიტანეო.

ეთერი წავიდოდა, წაიყვანდა საქონელს, ერთი თავისი ძროხაც ჰყამდა, რომელიც დედამ დაუტოვა. ძალიან ჯავრობდა ეთერი: რა ვქნაო, — ფიქრობდა, ან ეს მატყლი როგორ დავართა, ან საქონელს როგორ მოვეუდგე, ან ეს ცეცხლაკვერა როგორ ვიყოფინოო. ეთერას ძროხა გულთმისანი იყო და ძალიან იმედს აძლევდა. უთხრა ძროხამ: ეგ მატყლი მარცხენა ყურში ჩამიდე და მარჯვენიდან ამოახვიე, შენ

მე ნამწოვე ძუძუ და ეგ ცეცხლაკვერა ფინასაც აჭამე და გამვლულსაც და გამონვლულსაც და შინაც ბევრი მოიტანეო. საღამოზედ რომ მივა ეთერი, როგორც დედინაცვალი აბარებს, ისე მიუტანს ცეცხლაკვერასაც და მატყლსაც.

მეორე დღეს დიდ ცეცხლაკვერას გამოუტობს დედაკაცი თავის ქალს, ცოტა მატყლსაც გაატანს და ეტყვის: აბა შეილო, ეთერი ამისთანა საქმეს წერება და წენც ისე უნდა მოიქცე, ეს მატყლიც უნდა დაართა, ეს ცეცხლაკვერა შენც უნდა სჭამო, გაპვლელსაც, გამოპვლელსაც აჭამო და შინაც ბევრი უნდა მოიტანო. წაიყვანს ქალი საქონელს, მაგრამ ეთერის ძროხა ისე გააწვალებს, რომ საღამომდინ ერთ ფთილო მატყლს არ დაართვევინებს. ეს ცეცხლაკვერაც თითონაც არ ჰყოფნის და სხვას ვის აჭმევს, ფინაც მშოიერი მოჰყავს. დაიჭერს დედა საღამოზე და ცემით მოჰკლამს: ეთერი ეგრე მარჯვე არისო და შენ რათა ხარ გლახაო.

ერთ დღესაც მიჰყავს ეთერს საქონელი და ხელში თითისტარი უჭირანს. ერთს დედაბრის ბანზედ გაიარა და თითისტარ-კვირისტავი ბანში ჩაუვარდა. ჩასძახა: დედაო, საქონელი მეფანტებაო და ეგ თითისტარ-კვირისტავი ნომაწოდეო. შევილოვო, — ამოსძახა იქიდან, — შემოდეო, უსინათლო ბებერი ვარო, პურს ვზელამ, პურსაც დამიხედე და თითისტარ-კვირისტავიც ნახე და წაილეო. შევიდა ეთერი, დახედა ცომს, — ეს ბებერი ვერ ხედას და ეს ცომი ჩეჩქოთ საძსეა. როგორს ნამზადს ვაკეთებო? — ჰკითხა ბებერმა ეთერს. ძიელ კარგ ნამზადს აკეთებო, ჯერ ღნერთმა გაცოცხლოსო და მერე გაცხონოსო. ბებერმა უთხრა ეთერს: წადი, ვირის ფერმა წყალმა რომ ჩამოიაროს, თავი არ შეუშვირო, ოქროს ფერმა წყალმა რომ ჩამოიაროს, თავი კარგათ შეუშვირე და დაიბანეო. წავიდა და ოქროს ფერმა რომ ჩამოიარა — ეთერმა შეუშვირა და დაიბანა თავი. მშვენიერი ოქროს თმა გამოესბა. ეთერმა ძალიან შეჩხვია თმა, არ უნდოდა, რომ დედინაცვალს ენახა. მივიდა საღამოზე სახლში.

მეორე დღეს დედაკაცმა თავის ქალს გაატანა კიდე საქონელი. ანაც იმ ბებრის ბანზედ გაიარა და ჩაუვარდა თითისტარ-კვირისტავი. ჩასძახა: ბებია, შე სულძაღლო, საქონელი დამეფანტება და ეგ თითისტარ-კვირისტავი მომაწოდეო. ბებერმა უთხრა: ჩამოდი, პურს ვზელამ, უსინათლო ვარო, პურსაც დამიხედე და შენი თითისტარ-კვირისტავიც წაილეო. შევიდა ეს ქალი, დახედა ცომს და ბებერს

უთხრა: რას ვარგა შენი ცომი, საძაგელიაო. წადი, შეილო, — უთხრა ბებერმა, — ოქროს ფერმა წყალმა რომ ჩამოიაროს, თავი არ შეუშვირო, ვირის ფერმა წყალმა რომ ჩამოიაროს, შეუშვირე თავი და კარგათ დაიბანეო. წავიდა ეს ქალი, შეუშვირა თავი ვირის ფერ წყალს, დაიბანა და — შეუბლზე რქა გამოება. მივიდა საღამოზე სახლში. ნახა დედამ, რომ მის შვილს რქა გამობშია, და დიდათ შესწუხდა. რანდენსაც სჭირს დედა ამ რქას, იმდენი ისევე ეხდება. ძალიან გული მოუვიდა დედას, იფიქრა: უთუოთ ეთერი თავის ძროხით არის მარჯვეო, მოიხვანტყოფა თავი და უთხრა ქმარს: მე არ მოვრჩები, თუ ეთერის ძროხას არ დამიკლამო. ქმარმა უთხრა: თუკი მორჩები, დაგიკლამო.

ეთერმა გაიგო, რომ მისი ძროხა უნდა დაკლან. წაიყვანა საქონელი და სტირის. უთხრა თავის ძროხას: დღემდინ კი მშველოდი, მარამ ამას იქით რაღა მეშველებათ. დაკვლას გიპირობს მამაჩემიო. ძროხამ უთხრა: ნუ გეშინიან, ეთერო, როცა დამკლან, ჩემსას ნურც ხორცს სჭამ, ნურც წვეს, არაფერი არ სჭამო, რაც გერგოს ჩემი ან ძვალი ან ხორცი ან ტყავი, ერთ ალაგას ერთი ხარო ამოთხარე და შიგ ჩაყარე და თავი დახურეო.

დაკვლეს ეს ძროხა, და დედინაცვალი მამ-ნეე მორჩა. ეთერმა რაც იმოვნა თავის ძროხისა, ამოთხარა ერთი ხარო და შეინახა.

აღდგომა გათენდა და ცოლ-ქმარი წირვაზე წასვლას ეპირებთან. დაუბარა ეთერს დედინაცვალმა: ეს ერთი ვარცლი პურია სულ ცრემლით უნდა მოზილოო. ერთი კოდი ფეტვი დააბნია: ეს უნდა აკრიფო და ისე უნდა დამახვედროო. დაჯდა ეთერი და სტირის, როგორ უნდა მოვზილო ანდენი ფქვილი ცრემლით, ან ეს ფეტვი როგორ მოვკრიფოვო. იფიქრა: მე რომ ბებერმა დამარცხა, კიდე ინასთან წავალო. წავიდა, მივიდა ბებერთან და შესჩივლა თავისი გაჭირვება. ბებერმა უთხრა: მე კი ბრმა არა ვარ, მარამ შენ გამოსაცდელათ ვითხარო. წამიყვანე შენს სახლშიო. წაიყვანა. ბებერმა უთხრა: შენ რომ ხარო გაქვს გათხრილი, მოხადე ინას თავი და შენ წირვაზე წადი, მარამ იმათ მოასწარიო; ამ პურსაც მე გამოგიცხობ და ამ ფეტვსაც მე აგიკრეფამო. წავიდა ეთერი, მოხადა ხარო, ჩახედა: იმისთანა მშვენიერია რაში აბია, იმისთანა ტანისანოსი აწყვია, რომ თვალი უკეთეს რაღას ნახანს. ამოიღო ტანისამოსი, ჩაიცვა, ოქროს თმა დაიბარცხნა, რაზე შეჯდა და წავიდა წირვაზე. მოისპინა წირვა. ოქროს თმზე სულ ოქროს ბურთები ასხია. მოიწყვიტა ოქროს

ბურთები. ერთი თავის მამას მიულოცა, ერთი დედინაცვალს და ერთი თავის დას. შემოჰკრა რაშს ქუსლი და წინდაწინ წამოვიდა. გზაზე ერთი წყალი იყო და იმ წყალში ქოში ჩაუყარდა სიჩქარით. ქოშს ყური აღარ უგდო, სიჩქარით მოვიდა ხაროსთან, რაში დააბინავა, თმაც ისევ შეიხვია და დახვდა დედინაცვალს ისე. დედინაცვალმა ორიოდ წაპკრა თავში ეთერს, შენ არ იყავიო, რომ ოქროს ბურთები მოგვლოცო. რა ვქნაო, — ეთერმა უთხრა, — ქვეყანაზე გლახა არ გამოიღევაო.

საცა ეთერს ქოში ჩაუყარდა, ხელმწიფის მეჯინებებმა ცხენები მიიყვანეს წყალზე. ცხენები დაფრთხენ, წყალი არ დალიეს. ჩახედეს მეჯინებებმა და ვერ იცნეს. წამოვიდენ და ხელმწიფეს მოახსენეს: დიდებულო ხელმწიფეო, ცხენები წავიყვანეთ წყალზე და არ მიეკარენ, წყალში ერთი რალაც არის მშვენიერი, ბრჭყვინამსო. ხელმწიფემ უბძანა: წადით, ამოიღეთ და მომიტანეთო. ამოიღეს და მიართვეს. ნახა ხელმწიფემ, მშვენიერი ქალის ქოშია. ეს ქოში სამ კაცს გაატანა და უბძანა: წაიღეთ და ან მის ცალი ვისაც ჰქონდეს და ან ვისაც არგოს, ის ქალი მომიყვანეთ, ცოლათ უნდა შევიერთოვო.

წავიდენ ეს კაცები და მთელი ქვეყანა მოიარეს და ვერ იპოვეს. მოვიდენ ეხლა, საცა ეთერი არის. დედინაცვალმა ეთერი გოდორს ქვეშ დააწყვდია და თავის ქალი უჩვენა. ქოში გამოართვა და ეუბნება ამ კაცებს: აი არგოვო, თუ არგოვო, იმ კაცებმა უთხრეს, ამის ცალი მოგვტანეთო. — არა მაქვსო და რა მოგიტანოვო. მაშ მაგისი არ ყოფილაო, უთხრეს იმ კაცებმა.

ეს კაცები მდიან, მარამ ეთერის ფინამ არ გაუშვა: მოირბენს ამ კაცებთან ყეფით და მივა, საცა ეთერია დანწყვედელი გოდორს ქვეშ. კაცებმა იფიქრეს, ალბათ რამეაო, ახადეს გოდორი. ჰკითხეს ქალს: ამ გოდორს ქვეშ რა გინდაო? და ქალმა უთხრა: დედინაცვალმა დამანწყვდიაო. აბა ეს ქოში ნახეთ, გარგებს თუ არაო. ჩაიცვა ეს ქოში, კარგათ მოუვიდა. კაცებმა ჰკითხეს: მეორეც გაქვსო? მაქვსო. მერე უთხრეს ეთერს, შენ ხელმწიფე გიბარემსო, და დედინაცვალს უთხრეს, ძალიან კარგად შეინახეთო. კიდე უთხრეს ეთერს: რა პირობას გვაძლევო? ეთერმა ასე უთხრა:

მე გლეხი ვარ, გლეხის შვილი, სიობლით თავდადებული,
შენ შენი ჰქნა და წახვიდე, დამტოვო წყალწაღებული.

წავიდენ და მოახსენეს ხელმწიფეს. ხელმწიფემ ღვთის ფიცი

მისცა ეთერს, და მოუყვანეს. დიდხანს კარგად იცხოვრეს: და მერე ეთერს მრავალი კბენარი დაეხვა. დღეში სამჯერ უცვლიან, მარამ ვეღარ გაასუფთავეს. ამ ხელმწიფეს აბესალომი ერქვა.

მოვიდა მურმანი ეშმაკი და აბესალომს უთხრა: ეთერს ხელალებით არ მისცემ, რომ მაგ გაქირებებიდან გაანთავისუფლონო? ოღონდ მაგისაგან ეშველოსო და მივსცემ ხელალებითო, და მისცა მურმანს: ეთერი. და მან უშველა, — იმისაგან იყო ნაღალატევი და ისევ იმან მაარჩინა.

აბესალომი ეთერის დარდით დაბრმავდა. მოვიდა მურმანი ხელმწიფესთან. აბესალომმა ჰკითხა:

მურმან, მურმან, შენსა მზესა, შენი ცოლი რა რიგია?

მურმანმა უთხრა:

რას კითხულობ პირთა მზესა, ცოლის ქება აუგია.

თუ გინახანს ბროლის ციხე, ცამდინ ისე მაღალია.

შიგა ზის ქალი ეთერი, ყელი მოუღერებია,

ცხრა მახლი და მახლის წული იმის პირის ფარეშია.

გვერდით უზის მამამთილი, ალესილი აღმასია,

თავით უზის დედამთილი, გველეშაპის მყლაპავია.

ხელმწიფემ სთქვა, რადგანაც ამისთანა დიდებაში ჰყოლიათ ეთერი, ვითომც მე მყოლიაო.

წავიდა მურმანი თავის სახლში. აბესალომმა თავის დას უთხრა, უნდა წახვიდე და ნახო ჩემი ეთერი, მართლა იმისთანა დიდებაში ჰყამთ თუ არაო.

წავიდა ეს და და მივიდა ეთერთან. მურმანი სახლში არ დახვდა და ეთერს ასე უთხრა:

სულ ფეხშიშველი მივლია მარტი, აპრილი, მაისი,

ეთერო, შენის ნახვითა თუ გამიცოცხდა ძმა ისი.

ეთერმა უთხრა მურმანი მოვა და ცოცხალს არ გავცემებსო. უნდა დაგმალავო. იმ ღამეს დამალა. მოვიდა მურმანი იმ ღამეს და ვერა გაიგო რა, მეორე დღით ისევ სანადიროთ წავიდა მურმანი. ეთერი წამოყვა აბესალომის დას, წამოვიდენ. მოვიდა მახარობელი აბესალომთან, ეთერი მოდისო. არ დაიჯერა აბესალომმა, ვინდა მოესწრება ეთერის ნახვასო. თუ მართლა ეთერი არისო (ბანზე) ყავარი დადეთო, ზედ თავის ქოშებით გაიარ-გამოიაროს, და თუ ეთერი იქნება, ვიცნობო. მოვიდა ეთერი და გაიარ-გამოიარა. მაშინვე სთქვა აბესალომმა ეთერი არისო. გადაეხვივნენ ერთმანეთს

და ორივენი დაიხოცენ. დაასაფლავეს. საფლავზე თავით ვარდი ამოვიდა და ფეხით წყარო. იმ წყაროში ვერცხლის თასი იყო. ვინც გაივლიდნენ, დალევდნენ და შენდობას შეუთვლიდნენ.

გაუგია მურმანს და წამოვიდა, მოვიდა აბესალომის და ეთერის საფლავზე, გათხარა შუაში და ცოცხალი დაიმარხა. მურმანის საფლავზე თავითაც კუპრი ამოვიდა და ფეხითაც.

კირი იქა, ლხინი აქა.

2. აბესალომ და ეთერი

იყო და არა იყო რა, ხვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი მზითუნახავი ქალი, ამ ქალს ჰყავდა ფინთი დედინაცვალი. ერთს დღეს გაატანა საძოვნელათ ფური. წავიდა და ხის ქვეშ დეეძინა. ამ დროს გაიარა აბესალომმა და დაინახა, რომ დაკონკილი ტანისამოსი ჰქონდა ამ ქალს და დაუძახა:

მე ბანიბან დაგეძებდი,
შენ ბაღჩი ბოლოს გეძინა,
გაგეხსნა ოქროს საკინძი,
ბროლისა ყელი გეჩინა.

ეთერმა უთხრა:

შენ დიდი ხარ, დიდებული,
დედმამითა ხარ ქებული,
მე ობოლი, ობლის შვილი,
ობლობით ვარ დაჩაგრული.
შენ შენი ჰქნა და წახვიდე
გამიშვა წყალწალღებული

წავიდა შინ და უთხრა პატრონს, რომ დღეს ფურსაო და გაატანეთ სხეასაო. თითონ წამოწვა კიდევ მოვიდა აბესალომი. აბესალომმა შეჰფიცა:

მე ვერ წავიყვან
დერეფანში და

ომში ხმალ ამოღებულსა
ვადაზე დამიბრუნდესა,
ომში ცხენ გაქენებულსა
აბუანტა ჩამომაწყდესა.

ზევიდგან ღმერთი ცეცხლს ყრიდეს,
აბესა ქვეშა უდგესა.

მისცა ეს ფიცი ამ ქალს. გახდნენ მკვიდრნი ცოლ-ქმარი. რადგანაც ქალი ღარბი იყო, აბესალომმა გამოუგზავნა სადედოფლო ღირსეული ტანისამოსი. დაიწერეს ჭვარი და წაიყვანა თავის სასახლეში.

აბესალომს ერთი ბიჭი ჰყავდა, სახელად მურმანი, ძალიან ცდარობდა, ეშოვნა თავისი ქალბატონი. გაგვიებული დადიოდა და ვერა მოეგონებინა რა, რა ექნა თავის თავისთვის. წავიდა დედასთან და უთხრა: თუ ჩემი ქალბატონი არ ვიშოვეო, თავს მოვიკლავო. დედამ უპასუხა: შენ წამალი იშოვნე და მე ჩემს თავს ზედ დავადეფო. გადიწერა პირჭვარი, ახსენა ღმერთი და წავიდა ერთ ქვეყანას. გზაზე შეხვდა ერთი ეშმაკი. კაცათ გამოეცხადა, უთხრა მურმანს: რას დასდიხარო? მურმანმა უამბო თავისი ამბავი დაწვრილებით. შორს მისდიხარო. მე ვიცი მაგისი წამალიო. წამალს მოგცემო, თუ დედაშენი სულს მომცემსო.

წამოვიდა დაღონებული, უთხრა დედას: წამალი ვიშოვნეო, მაგრამ შენ ვერ ამისრულეფო. შვილო, როგორ ვერ აგისრულეფო. სულსაც არ დავზოგამო შენთვისო. მაშ თუ არ დაზოგამო სულსაც, კაცმა მთხოვაო და უნდა მისცეო. დედამ აღუთქვა. წავიდა მურმან, უთხრა ამ კაცს, მასწავლე წამალიო და დედა სულს მოგცემსო. ამ კაცმა მისცა ერთი ჭამი ფეტვის მაგვარი რაღაცა და უთხრა ეს შეაყარე ეთერსაო.

წამოვიდა სიხარულით. აღასრულა ნათქვამი. ეთერის შეეხვია კბენარი ისე, რომ ველარ გააყრევინეს. დღეში ხუთჯერ უცვლიდნენ, მაგრამ ვერაფერი უშველეს. გამოიყვანა ქალი აბესალომმა და დაიძახა:

ორშაბათს შეყრილ მიჯნურნო,
სამშაბათს გავიყარენით,
ვისაც რომ შეყრა გეწყინათ —
გავყრილვართ, გაიხარენით!
ვის გინდათ ქალი ეთერი,
ოქროს გვირგვინოსანი.

აქ აღმოჩნდა მურმანი: მე მიბოძე, მე ვარ თქვენი მკვიდრი ყმაო. აიღო და მისცა. როგორც მოსჭიდა ხელი, მაშინვე გასცილდა კბენა-

რი და ჰყვანდა ცოლათ კარგა ხანსა. ერთ დროში ჰკითხა აბესალომმა მურმანსა:

მურმან, მურმან, შენსა მზესა,
შენი ცოლი რა რიგია?
რას კითხულობ პირთა მზესა,
ცოლის ქება აუგია.
შენც გინახავს ბროლის ციხე
როგორ ცანდე მაღალია,
შიგა ზის ქალი ეთერი
ყელი მოუღერებია.
წარბი წვრილი, შუბლი ბრტყელი,
საფეთქელი წყაზარია.
შვიდი მაზლი თავს ადგანან,
გალესილი აღმასია.
მამამთილი ბანზე უზის
გველეშაპის მყლაპავია,
დედამთილი თავსა უწნამს.
მული პირის ფარეშია.

გაიგონა მურმანისაგან აბესალომმა ესენი, ჩაუვარდა სიყვარულ-
ში. ცუდად გახდა. უბრძანა მურმანს: უნდა წახვიდე და მომიტანო
უკვდავების წყალიო.

უთხრა თავის მარხ მარსკვლავს:

აღექ მარხო მასკვლავო,
ეთერსა კარი უარე,
თუ გკითხოს ჩემი ამბავი,
დაჯექ და წვრილად უამბე.

წავიდა მარხ მასკვლავი, ნახა ეთერი და უთხრა:

აგერ მოვიდა ზაფხული
და მშვენიერო მანისი,
ეთერო, შენი ნახვითა
შენ მომიჩინე ძმა ისი.

თუ უნდოდით, აკი იქა ჰყვანდით.

ქალმა რომ ბანზე ფეხი შედგა, ძირს აბესალომმა ფეხის ხმა იც-
ნო და დიძახა:

წამწამსა და წამწამს შუა
ბალი გაგიშენებია,
ეთერის მობრძანებისთვის
მადლი მომიხსენებია.
ეთერსა ცხენი მიაართვი,
კოკმაღალი ოქროიანი.

ქალმა დაუძახა:

ეთერსა ცხენი არ უნდა,
არსად არის წასასვლელი.
აბესალომის დანაო
ჯიბეს მიძევხარ განაო,
ამოვიღებ და დავიცემ —
მარჯვენა ძუძუსთანაო.
წვერი ჩენსკენ, ტარი შენსკენ.
ზედ გადავკვდები განაო.

ამ სიტყვით დაიცა დანა, მოიკლა თავი.

აბესალომი და ეთერი ერთად საფლავდებიან. ერთად უთბრიან სამარეს. თავით ვარდი ამოუვიდათ და ფეხთით წყარო გამოუვიდათ. და გამვლელ-გამომლელი სონდნენ და ცხონებას უთვლიდნენ.

მოვიდა მურმანი და ნახა, რომ ერთად დასაფლავებულან. გათხარა სასაფლავო და ცოცხალი დაიპარა, თავით ეკალი ამოუვიდა და ფეხთით ლეკვები.

28. ზღაპარი ეთერისა

ცხოვრობდნენ ერთი ცოლ-ქმარი და იმით ჰყავდათ ერთი შვილი, სახელათ ეთერი. როდესაც ცოლი მოუკვდა, იმან დაუტოვა ეთერს ერთი ძროხა და ერთი მამალი. ეთერს მამამ ითხოვა ცოლი, მოჰყვა ერთი ქალი. დედინაცვალმა ეთერი ძალიან შეიძულა. ერთხელ დედინაცვალმა გაატანა ეთერს სამწყემსურში მატყლი შესართავად და ერთი კვერი საჭმელათ, უთხრა: ეს მატყლი დაართი და კვერი შეჭამე, სხვასაც ბევრი აჭამე და სახლშიაც ბევრი მოიტანეო. ეთერი წავიდა სამწყემსავში, დაჭდა და სტირის. ამ დროს მოვიდა ძროხა და ჰკითხა: რა გატირებსო? მიუგო: რაეა რა მატირებს, დედინაცვალმა მატყლი გამომატანა შესართავად და ერთი კვერი საჭმელათ, თან მითხრა: ეს კვერი შენც ბევრი სჭამე და სხვასაც ბევრი აჭამე და სახლშიდაც

მთელი მოიტანეო. ძროხამ უთხრა: ნუ სტირი, მაგ კვერს ნუ სჭამ, მატყლი ყურებში ჩამიტენე და დართულს გამოეყრიო. მართლაც, ეთერმა საჭმელი არ ჭამა; როგორც უთხრა ძროხამ, მატყლი ყურებში ჩაუტენა და დართული გამოუყარა. როდესაც დაღამდა ძროხამ უთხრა: მე დევის დედის კარზედ ჩავალ და შენ დაიძახე, დევის დედა, ძროხა გამომიდენე-თქვა. ის დაგიძახებს, აქ მოდიო. შენც მიდი. ის გეტყვის: სახლი მომითოხნეო და შენ დაუგავე. ძროხას ძუძუები დამიჭერიო და შენ მოუწველე; როგორც უთხრა ძროხამ, ისე ჰქნა.

მივიდა დევის დედასთან თუ არა, დაუძახა აქ მოდიო. მივიდა და დევის დედამ უთხრა: სახლი მომითოხნე, და მან დაუგავა. ძროხას ძუძუები მომიჭერიო, და მან მოუწველა, მერმეთ დევის დედამ უთხრა: წადი და თეთრ ზღვაში ხელ-პირი დაიბანე და შავ ზღვაში თმა გადაყარეო.

წავიდა ეთერი და თეთრ ზღვაში ხელ-პირი დაიბანა, შავ ზღვაში თმა გადაყარა და ნამეტანი მშვენიერი შეიქმნა, ისე, რომ მზესავით ანათებდა.

დედინაცვალმა კიდევ ძალიან შეიძულა, ავთმყოფობა მოიგონა და ქმარს ეუბნება: ეთერის ძროხა დამიკალი, თორემ ვკვდებო. როცა ძროხას კლავდნენ, ეთერს უთხრა ძროხამ: შენ ჩემს ხორცს ნუ სჭამ, ჩემი ძვლები მიწაში შეინახე, სწორზედ დახედეო. ძროხა დაკლეს. მართლაც, ეთერიმ ხორცი არ სჭამა და ძვლები მიწაში შეინახა..

ერთხელ დედინაცვალი საყდარზე წავიდა და ეთერს დაუბარა: იმდენი იტირეო, რომ ცრემლით საწნახელი გაამსეო. ეთერი დაჯდა და სტირის. შემოვიდა მამალი და ჰკითხა: რა გატირებსო? მიუგო: რაჲა რა მატირებს, დედინაცვალმა დამიბარა იმდენი იტირეო, რომ ეს საწნახელი ცრემლით გაანსეო.

მამალმა უთხრა: წყალი გაათბე და შიგ მარლი ჩაყარე და ცრემლს ემგვანებაო. ეთერმა წყალი გაათბო და შიგ მარლი ჩაყარა, ცრემლს დაემგვანა, გაათავა ეს ეთერმა, დახედა ძროხის ძვლებს და დახვდა სხვადასხვა ძვირფასები. ჩაიცვა და ისიც წავიდა საყდარზე. როცა წირვა გამოვიდა, წამოვიდა სახლში და ცალი ქოში ტბაში ჩაუვარდა. ეს ქოში ნახა ხელმწიფემ და თქვა: ვისაც ეს ქოში მოერგება, ის უნდა შევიროთო ცოლათო. მიყვა ცხენების კვალს და მივიდა ეთერისას. დედინაცვალმა გახადა ეთერს ტანისამოხი, ჩააცვა თავის ქალს და მოუყვანა ხელმწიფეს. მაგრამ მას ქოში არ მოერ-

გო. ამ დროს შეჯდა მამალი ხეზედ და დაიძახა: ეთერ ბუჯერშიო. ხელმწიფემ ჩააცვა ქოში და მოერგო. ხელმწიფემ შეირთო ცოლათ ეთერი და ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

ამათ ყავდათ ერთი მოსამსახურე, სახელად აშალვარა. ის ცდილობდა, რამენაირათ ცოლ-ქმარს ერთმანეთი შესძულებოდათ. ბოლოს მართლაც შეაძულა ისინი ერთმანეთს. ხელმწიფემ დაიძახა: ეის გინდა ქალი ეთერი, ქალათ აპარტავანი! აშალვარამ დაიძახა: მე მინდავო.

წაიყვანა ეთერი და დიდ ციხეში შეიყვანა. რამდენიმე ხნის შემდეგ ხელმწიფემ ჰკითხა: აშალვარა, შენი ქალი როგორია? მან უთხრა:

ციხე-კოშკი შენც გინახავს,
ციხე-კოშკი მაღალა,
შიგა მყავს ქალი ეთერი
ქალათ აპარტავანია.

მერმეთ ხელმწიფე გახდა ავათ და მისმა დებმა მისწერეს ეთერს წიგნი, რომ მოსულიყო. მოვიდა ეთერი და უთხრა:

ჰა აბესარ, ბესიო,
პირი გვერდზედ გიქნიავო,
გადმობრუნდი, შამომხედე
თუ ურიგოდ მიქნიავო.

როგორც უთხრა ეს ეთერმა, ორივე მოკვდნენ.

8. ბეჰანი

იყო და ორა იყო რა, იყო ერთი სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს შემოეჩვია ერთი ტახი და ისრე ამოაგლო ეს სახელმწიფო, რომ აღარა გაუშვა რა მთაში. რასაც ხეს შემოჰკრა ეშვი, წააქცია, ამოაგლო მთა. შეიყარნენ სოვდაგრები და წამოვიდნენ ქაიხოსრო ხელმწიფესთან საჩივლელათ, მიუგზავნეს კარის კაცი.

ქაიხოსრომ სმა გაუშვა, საჩივარსა უგლო ყური,
ხმაალებით დაიძახა: „ვინ ხარ კაცი მოწიფული,
ჩემი შვილი ცოლათ მოგცე, ჩემი ცხენი სახედრათა!“

შეუყარა სახელმწიფოს თავი:

ტუსი, გივი და გოდერძი ერანელთ თავადებია, —
წადით, როსტომს დამიძახეთ, ვაშკაცათ ნავარგებია.

წამოვიდნენ. გივის ერთი შვილის მეტი არა ჰყავდა, რომელსაც ერქვა ბეჯანი, შვიდის წლისა იყო, და ის თან წამოჰყვა მამას. დასხა ხელმწიფემ მოპატიებულნი პურის საჭმელათ:

ადის და დადის თასები, ერევენელთ გაჰკრეს ჩქმანია.
ამ დროს:

ადგა ბეჯან, დაილოცა, ეტლიანი და ღვთიანი:
„შეგიძლიან სამსახური. დიდებული ხელმწიფისა!“

მაშინ მივიდა გივი, შემოეხვია ხელმწიფეს და შეევედრა: მაგ ერთი შვილის მეტი არა მყავს და ნუ გამიგზავნიო. მაგრამ ბეჯანმა უთხრა მამას:

შენი ჩაჩქანი ჩამაცვი, შენი რახტი შემომარტყი,
თუ იმ ტახსა გამოვექცე, ურევნებში შევრცხვები.

ბეჯანმა თავის მამის ჩაჩქანი და რახტი ჩაიცვა. მაშინ გივმა უთხრა თავის ძმას გურგენს: — შენ გაჰყევ, შენ გზა იცი შაგნებულთ.

წაჰყვა გურგენი, მარამ გზიდან დაბრუნდა, — ბეჯანს უთხრა, მოგეწევიო, მოვიდა გურგენი სახლში, ერთი ჩარქვა ბანგი, ერთი ჩარქვა ღვინო, სამი პური და ერთი დედალი წაიღო, წავიდა და დაეწია ბეჯანს. წავიდნენ და მიატანეს იმ ადგილს, საცა ის ღორი იყო. როდესაც ხნა გაიგონეს, ღორი ტყეში მოდიოდა და რაც ხე შეხვდებოდა, რაც უნდა მძლავრი ხე ყოფილიყო, ეშვით სჭრიდა, ბეჯანი ამის ხმაზედ მიდიოდა. გურგენი გაჩერდა და უთხრა ბეჯანს: ეგ ტახი, ერთი ტბა არის მანდა, იქ ჩამოვაო. ჩამოვიდა ღორი იმ ტბაზე და ბეჯანიც აქედან მივიდა:

რომ გადახედა ბეჯანმა, — ვაი რა დიდი ჩნდებაო!

შენს მეომარსა ბეჯანსა რა ავი ფერი ხდებაო!

ტახმა დაუძახა ბეჯანს:

ბეჯან, ბეჯან, შე რეგვენო, რა სირეგვენე მოგრევი, თორმეტი შენი გვარისა მიწას მტვრათ გამირევი, ცამეტი შენისთანაის ჯერაც აქ მიძევს თავია.

ღორმა უთხრა ბეჯანს: წადი და ასე უთხარი შენებს, ღორი თერგში შემვივარდა, ვესროლე ისარი და ვერ გამოვიყვანეო და ვაჟაკობა შენ დაგრჩებო. მაგრამ ბეჯანმა უთხრა ლექსი:

აღმოვთქვი ერევანშია, უკუთქმა აღარ იქნება,
უკუთქვა, უკუდავებრუნდე, დამსვამენ გოგოებშია!

მაშინ ტახმა დაუძახა: მაშ შენი იარაღი გალესელი გექნება და
მეც ეშვებს გავილესამო.

ტახი ილესამს კბილებსა, რა ჭაფი-ქუფი დგებოთ,
შენს მეომარსა ბეჟანსა რა ავი ფერი ხდებოთ!

მერე ბეჟანს უთხრა ტახმა: ღვითთ ვიომოთ თუ უღვთოთაო?
ბეჟანმა: მე რა გამოცდილება მაქვს, როგორც გინდა, ისე ვიომოთო.
ლორმა უთხრა: ღვითთ ვიომოთ და მიჯნა დავდოთ, — მოგეწიო მიჯ-
ნამდინ, მოგკლამ, ხელი არ შემომიბრუნო, და შენ მომეწიო მიჯნამ-
დინ — მომკალი, ხელს არ შემოგიბრუნებო. ეხლა უთხრა ტახს
ბეჟანმა: გამექეციო. ტახმა უთხრა: მტრისთვის თავის დღეში არც
შემიქცევია ზურგი და არც შევაქცევო. აი შე გლახავო, — უთხრა
ბეჟანმა. — მტერს ზურგიც უნდა შეაქციო და პირიცაო. — და გექ-
ცა. გამოუდგა ლორი, მიეწია მიჯნაზე, ჭაჭვის კალთა ნოუხია, რკი-
ნის საძუე მოუგლიჯა. მაშინ დაუძახა ბეჟანმა: ლორო, მიჯნაო!

წინ ლორი, უკან ბეჟანი მასკვლავებს გათხოვდებოთ,
გოზა დგა, გოზა ტოჭინობს. გოზა გოზაზე დგებოთ,
ბეჟანის ცხენი: ფეშანგი კოჭებზედ დაბრუნდებოთ.
სჩივის და სტირის ბეჟანი, რა ვქნა, რა მეშველებოთ,
ერთსა ვსცემ სუკის ადგილსა, ნაცადი მეკარგებოთ,
მეორეს დავკრამ ღვთის ძალზე — აუგათ დამეღებოთ.

მაშინ უთხრა ლორმა: დამაცადე, რომ სული ამომივიდეს, და
მაშინ მამკერი თავიო. ბეჟანი რაშიდამ გადმოხტა და რაში გაატარ-
გამოატარა. მერე ლორს თავი მოსჭრა და შემოიღო რაშის უკან. სა-
ცა მოვდება ეშვი ხეს, ისე სჭრის, როგორც ცელი თივას.

წამოვიდა ბეჟანი და იმ ადგილას მოვიდა, საცა ბიძა გურგენი
გაუშვა, ყვირის და უძახის. ბიძა გურგენი ხეზე ასულეყო და თავის
სარტყლით თავი მიეკრა. გაიგონა გურგენმა ბეჟანის ხმა და დაუძა-
ხა: შენ გენაცვალე, ჩვენო გვარის განნათლელოვო. მივიდა ბეჟანი
და ხელამს, რომ გურგენს ხე ჩამოუსვრია. ბეჟანმა ძირიდან დაუძახა:

ფთხილი მელი ხარ, გურგენო, თხელი ტყიდან გამოსული.
ე ხე რო ჩამოგისვრია, სიდანა ხარ ჩამომსვლელი?

გურგენმა უთხრა: რა ვქნა, შვილო, შენ და ტახი რომ წაიჩხუბეთ, ეს მთა იმ მთას ეცა, რო სარტყლით ხეზე თავი არ მიმეკრა, თქვენი ქარი გადამაგდებდა სადმეო. მერე დაუძახა ბეჟანმა: ქული დაიდე ლაჯებზედ და ისე ჩამოცურდიო. ჩამოვიდა გურგენი და თავის ძმისწული გადაჰკოცნა, მიულოცა: ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს, შვილოვო.

წამოვიდნენ სახლისკენ და ერთს მშვენიერს შინდორზედ მოვიდნენ. აქ გურგენმა უთხრა ბეჟანს: კარგი არ არის ერთი ჩარეჟა ღვინო და პურები და კარგი ქათამიო? კარგია, ბიძაჩემო, მარამ სად არისო? მე მაქვსო, — უთხრა გურგენმა, — და მოიტანა, ცხენები საძოვრათ გაუშვეს და თითონ შეექცევიან. შეაპარა გურგენმა ბანგი ბეჟანს.

შეჯდნენ ცხენებზე. ბეჟანს ღორის თავი წინ უძევს და მოდიან, მოერიხა ბეჟანს ბანგი და ბიძას უთხრა: პატარა ხანს ეს ღორის თავი ატარეო. შემოიღო ეს ღორის თავი გურგენმა და ვერ დაიმაგრა, გადმოუვარდა, მერე ისევ ბეჟანმა შემოიღო და ცხენის ტახტაზე მაგრათ დაიკრა. მაშინ გურგენმა უთხრა ბეჟანს: სიმღერა თქვი, გულს გადააყოლებ და ძილი აღარ მოგივაო. ბეჟანმა უთხრა: მე სიმღერისა რა ვიციო? მამ მე ვიტყვიო, უთხრა გურგენმა და იმღერა:

აფრასიონთა მანჩუა მზე არი ამომავალი,
რაც კაცი იმას არ ნახამს, იმის სიცოცხლე რა არის?
პატარა ჭალა დაუცემს სადილობამდის სავალი, —
ვაჟი კაცისთვის რა არის?

ბეჟანმა უთხრა გურგენს: ძლივს ტახს გადავურჩი და ეხლა კიდევ ჩემი მესისხლეების ხელში მაგდებო, იმათ მე ვეღარ გადავურჩებიო. გურგენი ეუბნება: მე ხომ იბიტომ არ მითქვამს, რომ იქ წახვიდეო. მე ისე სიმღერაში გითხარი ლექსათო. ატარა გურგენმა ბანგით მთვრალი ბეჟანი და მანიჟანის კოშკის ძირში გადმოახტუნა. ბეჟანს იქ დაეძინა.

წამოიყვანა გურგენმა ბეჟანის რაში ღორის თავით, მოვიდა შინ და მიართვა ქაიხოსრო ხელმწიფეს, მოახსენა: ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოსო. დახვდა გივი და ჰკითხა: ჩემი უსუსური ბეჟანი რა უყავიო? გურგენმა უთხრა: მე და ტახი რომ წავიჩხუბენით, ჩვენმა ქარმა სად გადააგდო, მეც ვერ გავიგეო. მაშინ გივმა და მისმა ცოლის ძმამ როსტომმა თავის სასახლეებს შავი გადააყრეს.

გამოიღვიძა ბეჟანმა და სთქვა ლექსი:

დაჯდა ბეჟან, ხუროთ იქცა, კურდღელი ქნა სამ მუხისა,
მას მწევარი გაუკეთა მეტრისმეტი თვალმაქცისა.

გაუშვებს ამ ოქროს კურდღელს და გამოუყენებს ოქროს მწევარს. მწევარი დაიჭერს და გადმოუგდებს ბეჟანს კალთაში, და იმაზედ იყოლიებს თავს.

გათენდა დილა. ჩამოვიდა მანიყანის მოახლე წყლისთვის; არა ამ ყმაწვილის სიმშვენიერეს მისჩერებია, არა ოქროს მწევარს და კურდღელს. ამ გოგოს რომ დააგვიანდება, მანიყანი კიდევ მეორე გოგოს გამოგზავნის. ის გოგოც იმას დაუწყებს ყურებას, არა ვაჟს და არა კურდღელს. ახლა თავის გამდელს გამოგზავნის: რა იქნენ, ჩქარა ამოვიდნენო. იმასაც იმის ყურებაში დააგვიანდა. ბოლოს ავიდენ და აუტანეს წყალი. მანიყანი გაუჯავრდა: რა ნახეთ, მიტხარით, რათ დაიგვიანეთო. ვადიამ გაუქარწყლა, — არაფერი გვინახამსო. — თუ არაფერი გინახამთ, რატომ სხუმის არ დაგიგვიანებიათო? უთხრა ვადიას მანიყამა. ამდენი ხნის მზეთუნახავი ვარ, ცის ფერი არ დამინახამს და ეხლა კი უნდა ვადვიხედოვო. გაალო ფანჯარა და გაიხედა: აქეთ ბეჟანს შემოეყარა გულს და იქით მზეთუნახავს. როდესაც მობრუნდნენ, ბეჟანმა უთხრა ლექსი:

ქალ, ციხეს გადმომდგარი ხარ, ვადაგიგდია კისერი,
ყელ-ყური ბროლით სავსე გაქ, შიგ გირეგია გიშერი.

მანიყანმა გადმოსძახა ლექსით:

ქვევიდამ შემამლულუნებ, მტრედი ხარ, ვანა ქედანი,
ამოდი ყელზედ მოგახვევ,

ბეჟანმა ოქროს კურდღელი და მწევარი გამოიკრა კალთაში და ავიდა მანიყანთან კოშკში. იყვნენ ერთად ოთხ დღეს. მერე გაჩნდა იქ ერთი ქოსა კაცი და უთხრა ბეჟანს: დიდებულმა ხელმწიფემ შენმა სიმამრმა შემოგითვალა, ნუ შეგვარცხვენო და ჭვარი დაიწერეო. დასხდნენ პურის საკმელათ. ქოსამ ბანგი შეატყუა ბეჟანს. მერე გამოვიდა და ხელმწიფეს შეატყობინა: ჩვენი მოსისხლის შვილი თქვენს ქალთან იყო, ასე შეგვარცხინა, მე ბანგი დავალევინე, ჩამოიყვანე და დავახრჩოთო. ხელმწიფე ძალიან გაწყრა, გაგზავნა კაცები და მძინარე ბეჟანი ჩამოიყვანეს. მაშინ დედის ნათესავი — ფირანი გაუჩნდა ბეჟანს დამხმარედ. ფირანმა ურჩია იმ კაცებს: მაგას ნუ მოჰკლამთო, თუ გამოიღვიძა, ყველას დაგვწყვეტამსო. ცხრა დაყე-

ტილ დარბაზში დაანწყვიდით და თავის დღით მოკვდეს შიმშილი-
თო. მიიყვანეს ბეჟან და დაანწყვიდიეს ცხრა დაკეტილ დარბაზში.
მზეთუნახავმა რომ ვერაფერი იარალი ვერ გამოიტანა, მისი აღმასის
ხანჯალი ბეჟანს ზურგში ჩაუდო ჩუმათ.

დაიბარა მამამ მანიქანი. რათ შემარცხვინეო, — უთხრა შვილს,
შვილმა უპასუხა: მისი თავის დაწებება არ შემძლიანო. მამამ
უთხრა: გაიხდი სახელმწიფო ტანისამოსსო? და გავიხდიო. ჩაიცვამ
საჯაბ ტანისამოსსო? ჩავიცვამო. მამამ უთხრა: დღეს მიპატივებია,
ეს ხომ შიმშილით მოკვდება და სხვაზედ აღარ შესცდეს, თორემ სა-
ჯახ ტანისამოსს ჩაგაცმევო.

მანიქანი წამოვიდა მამისგან და თავის სადგომში მიდის. დაინახა
ბეჟანმა და უთხრა ლექსი:

მანიქან, აღრე ადგები, გაივლი მილეთიანათ,

ვაი თუ მარტო დამაგდო, გამიშვა ოხერ-ტილათ!

მანიქანმა უპასუხა ლექსით:

ნუ გეშინის, ჩემო ლომო, ნუ ჩაიღებ ცუდსა გულსა,

მიიჩეჩე, მოიჩეჩე, საომარი მანდა გაქვსა,

ჩასჩეხე ცხრავე დარბაზი, რკინის კარ გამოიარე,

ვინც შენთანა მოსულიყვეს, სიცოცხლით გამძღარიყვეს.

მაშინ ნახა ბეჟანმა, რომ თავისი აღმასის ხანჯალი ბეჭებში ჰქონ-
და. ამოიღო ხანჯალი, ეს ცხრა დარბაზი და რკინის კარი ჩაჩეხა და
გამოვიდა, დაავლო მანიქას ხელი და აიყვანა მის კოშკში.

მივიდა კიდე მეორეთ ეს ქოსა კაცი და მიიყვანა ღვდელი, დია-
კონი და მთავარი: გამოცდა გვიხდოდა შენო, გაქებდენ და ყოფილ-
ხარო. ესლა ნულარ შეგვარცხვენ, ნიშანი აკურთხებინე, წამობძანდი
და ჯვარი დაიწერეო. მაშინ დასხდენ ყველანი და საუბრე სკამეს.
კიდე ბანგი შეაპარა ქოსა კაცმა და დაეძინა ბეჟანს. წამოვიდა ქოსა
ხემწიფესთან და უთხრა: კიდე ბანგი დავალევინე და დავაძინეო,
ჩამოიყვანეთ და დაახჩეთო. ბძანა ხემწიფემ: დაახჩეთო. ცხრა კამე-
ჩის ტყავი შეეკერეს, ჩადეს ბეჟანი და ამოკერეს. გარეთ ძელი აქვთ
აძართული. ჩამოიტანეს ბეჟან და მიიტანეს დასახჩობათ.

ფირან კვიცი გააქენა, კვიცი ახალგახედნილი,

ხმაღებით დაიძახა: ვინ ხარ კაცი დაკარგული?

ბეჟანმა დაუძახა:

მე ვარ კაცი დაკარგული, საყვარელი გივის შვილი.

ფირანმა შეუტია ხალხს, ვინც ახჩობდენ: თავი თუ გამოუჩი-

ნეთ, ვაი თქვენი ბრალი, ყველას დაგზოცამთო; თუ არაო და ეგრე ტყავით როგორ გინდათ, რომ დაახჩოთო. დადექით და ორასმა კაცმა ორმო მოთხარეთ, ჩადეთ შიგ და აღფან დევის მოტანილი ქვა დაადეთო. მაშინ მოუბეს ასი უღელი კამბეჩი იმ ქვას და მოიტანეს. ორმო გათხარეს და ტყავით ჩადეს ბეჟანი. ის ქვა დაადეს და პატარა სასინათლო დაუტოვეს. ეხლა ფირანმა უთხრა ხალხს:

ღმერთმა ნუ ქნას აქ გადმოსვლა იმ ზეუღელი კაცისა, გორას მოჰგლეჯს, გორასა ჰკრამს, პირი მიუგამს ხაროსა, ასსა ლიტრასა რკინასა კბილსა მოუჭერს, კნატს უზამს, ცაში ასულსა ციხესა წიხლსა ჰკრამს, წვერსა ძირს უზამს.

ბეჟანის მამას ერთი საწუთრო თასი ჰქონდა, რაც რომ შეემთხვევოდა, გაიგებდა ყველაფერს. მოაგონდა გივის თავისი თასი ამ ჯაგრიანს გულზე და სთქვა, ჩემს თასში ჩავხედამო. მოიტანა და ჩახედა, დაინახა თავისი შვილი თავის ნესისხლს ხელშია და ხაროში გდაა. გაიცინა გივმა: — მაღლობა ღმერთსო! მეორე ოთახიდან ცოლმა დაუძახა: შენმა სიცოცხლემ, გაიცინეო, შენი ბეჟანი გაგცოცხლებიაო. გივმა დაუძახა ცოლს: ჩვენი შვილი ცოცხალი კი არის, მაგრამ ჩვენი მოსისხლეების ხელშიაო. ცოლმა გაძახა: ნეტავი ცოცხალი იყვეს, თორემ ჩემს ძმას როსტომს იმისი მოყვანა არ გაუქირდებო. მაშინ გივმა თავის სასახლეს შევები დაადრო და მისწერა როსტომს წიგნი, ჩემი შვილი ცოცხალი არისო. როსტომმა არც დაიჯერა და არც წიგნი მიიღო. მაშინ გივი შეჯდა ცხენზე, წაიღო თავისი თასი და წავიდა თავის ცოლის ძმა როსტომთან. მიუტანა. ორივემ ჩაიხედეს თასში და დაიჯერა როსტომმა, ბეჟანი ცოცხალი ყოფილაო, და იმანაც გადაადრო სასახლეს შევები. მაშინ მოილაპარაკეს როსტომმა და გივმა, როგორ შევეპაროთ იმ ქალაქშიო. როსტომმა თქვა, ვაჰრულად შევიდეთო.

აჰკიდეს ორმოც აქლემს ლომები ტომრებში ჩასხმული, ცოცხლები. როცა მიატანეს, შევიდენ და დადგენ იმ ქალაქში, ჩამოიარა მანიყანმა, მოწყალეობა ითხოვა. როსტომ უთხრა, მერე მოდი და მოგცემო. მივიდა მერე მანიყანი და მისცა როსტომმა ერთი ქათამი თავის პურიით და ერთი ჩარეკი ღვინით და თავის აღმასის ბეჭედი ქათმის შუა ძვალში გააკეთა. აგრე გამოკრული ჩაუგდე შენს ტყვესო, — მანიყანს უთხრეს, — შენ არ გახსნაო. წაუღო და ჩაუგდო. ბეჟანმა გახსნა და ჰამა დაუწყო. ამ დროს ნახა ქათამში თავის

ბიძის ბეჭედი და ერთი ისეთი გაიცინა, რომ ალფან დევის მოტანილი ქვა სამჯერ სამ ადლზე შეხტა და ისევ დაეცა. მანიყანმა წუხილი და ტირილი დაიწყო და ჩასძახა ბეყანს: ვაიმე თუ ჩემზე იფიქრე რამეო, აქამდინ ცოტა მომქონდა და ესლა ბევრი მოგიტანეო. ბეყანი ეფიცება, შენზე არა მიფიქრია რაო. მაშ მითხარო, — რათ გაგეცინაო. ბეყანმა უთხრა: ქალის თმა გრძელიაო და ჰქვა მოკლეო, ვერ გეტყვიო. მანიყანმა ღვთის ფიცი მისცა, არსად არ ვიტყვიო. და უთხრა ბეყანმა: ჩვენი მშველელები მოსულანო.

გვისა და როსტომს ჩამოხდილი აქვთ საქონელი და გზებს ათვალიერებენ. მივიდნენ და ამ ტომრებზე ურიები ჩამოსხდნენ, მახათები დააჭირეს და ლომები შეიშმუშნენ. მაშინ ურიებმა თქვეს: თუ ამ ვაჭრებმა რა ქნან, ქვეყანამ სცნასო. გაიგონა ეს როსტომმა, ამოიღო. აქეთ-იქით ჯიბებშიდგან ყვითელი ოქრო და ორის ხელით გაუშვირა და უთხრა ურიებს, რამდენსაც ენით აიღებთ, ეს ოქრო იმტელი თქვენი იყოსო. დაეყუდნენ ურიები, გამოყვეს ენა და უნდა ოქრო აეღოთ, — როსტომმა ორივეს ენები მოაგლიჯა. წავიდნენ ურიები და ხელმწიფესთან იჩივლეს. ხელმწიფემ რომ ვერაფერი გაიგო ურიებისაგან, ორივეს თავები დააყრევინა.

ჩამოიარა კედევ დილით მანიყანმა მოწყალების სათხოვნელათ. მაშინ როსტომმა უთხრა: ერთხელ უნდა და ორჯერ, ყოველთვის ხად უნდა მოგეთო. მანიყანმა უთხრა: თურმე ერევნელთ წესია, არ გაიკითხვენ გლახაკსაო. როსტომმა შეუტია: აი შე კახპა დიაცო, აქ ერევნელი ვინ არის, რას შეუშლიხარ ჰკუდიამაო. მერე შეიხმო და უთხრა მანიყანს: ასე უთხარი ხალხსა, ტყვე შემეშალა ჰკუისაგანა და დამე ცეცხლი უნდა დაეუნთგოვო. როსტომმა ფული მისცა და უთხრა: შეშა მოანგროვებინე და ცეცხლი დაანთე, რომ ამაღამ ცეცხლის შუქზედ მოგაგნოთო. წავიდა მანიყანი, რამოდენიმე ხორა შეშა დაადგმევინა და დაანთო ცეცხლი.

აუშვეს ლომები და წამოიყვანეს, წამოვიდნენ ცეცხლის შუქზე როსტომი და გივი. მაშინ დაუძახა როსტომმა მანიყანს.

მიდექ-მოდექი მანიყან, პატარა შეშა ნახეო,

ცეცხლი დაანთე ძლიერი, შორიღამ დამენახეო.

მივიდნენ, დაახვიეს ლომები ალფან დევის მოტანილ ქვას, მარამ ცალი გვერდი ვერ აუღეს. მაშინ მოუვიდა როსტომს გული: მომეცალეთ აქეთყენაო. სულ ყველას შეუტია. ცალი მკლავი გაუგდო ქვას, გაისროლა და ნახევარი სახელმწიფო დაატანინა. უთხრა ბე-

ეანს ამოდით, ბეჟანმა ამოსძახა: თუ ბიძაჩემი გურგენისათვის ერთხ სილას შემომაკვრევივინებთ ამოვალ, თუ არა — აქედან ღმერთმა ცოცხალი ნუ ამომიყვანოსო. მაშინ როსტომმა ბეჟანს შეუტია: შე ბრიყვო, შენი სილა მე რას მიზამს და გურგენს ხომ სულ მოჰკლამსო. მაშაო, — ბეჟანმა უთხრა, — ერთ ვაშლს ავისვრი და მე და იმას შუა რომელიც სტყუოდეს, იმან გააჩიოსო. მისცა ნება როსტომმა და ამოვიდა ბეჟანი ხაროდან. აკოცეს მამამ და ბიძამ. წამოვიდენ სახლი, მანიჟანიც წამოიყვანეს.

გამოუდგათ ჯარი საომრად, დაეწიენ გზაში. მაშინ როსტომმა ჰკრა კლდეს წიხლი, შეანგრია კლდე, შეიყვანა გივი, ბეჟანი და მანჯანი და უთხრა, თქვენ აქ დარჩებით, კარში არ გამოხვიდეთო. ქოსა კაციც იმ ჯარშია და ბეჟანი იწევს, — ამ ქოსა კაცმა მამკლაო. როსტომმა უთხრა: შენ მანდ გაჩერდი, მე ვიცი და ამანაო. როსტომმა იმათ ჯარს ბაირახი წაართვა, ეს ქოსა კაცი ბაირახის წვერზე ჩამოაცვა და ბაირახი კლდეზე დაასო. ჯარიც ისე გაწყვიტა, რომ ორი აღარ გაუშვა მთხრობელი ხელმწიფესთან.

წამოვიდენ და გამოვიდენ ქაიხოსრო ხელმწიფესთან. უთხრა ბეჟანმა ქაიხოსრო ხელმწიფეს: დიდებულო ხელმწიფეო, ეხლა ხომ ცარიელი ძვლებია ეგ ტახტის თავი და ხორცი აღარ აკრამსო და თუ გურგენი ადლებს ხელში, სწორედ მაგის მოკლული იქნებაო. მივიდა გურგენი, უნდა აედო, მაგრამ ვერც კი შეანძრია. მაშინ იქ რომ ხალხი იყო, იმ ხალხში თქვა ბეჟანმა: ღმერთო და ჩემო გამჩენო, რომელიც მე და გურგენს შუა ტყუოდეს, ამ ვაშლს ავისვრი და ამ ვაშლმა გააჩიოსო. აისროლა ბეჟანმა ვაშლი. გურგენი ხალხში გაიქცევა და გამოიქცევა, არ დამეცესო. ჩამოვარდა ვაშლი, დაეცა გურგენს თავში და გურგენი შუაზე გააპო, ნახევარი იქით გადავარდა, ნახევარი — აქეთ. ქაიხოსრომ ბეჟანს ნახევარი სახელმწიფო დაულოცა და ნახევარი თავისი ტახტი.

ჰირი იქა, ლხინი აქა.

4. ლეგა და კოპალე .

ამ ოცდაათის წლის წინათ ყოფილა სოფელ თიანეთში ერთი მთხუცებული კაცი, ლეგა თეგერაშვილი. იმას დაუჟარგავს კვიცა-

ანი ცხენი, რომელიც საღამოს ნახირს მორეკის დროსა მოუკითხნია. მენახირეებს უაწავლებიათ, ამა და ამ ალაგას ჭალაში ვნახეთო, ორნივე რუვის პირზედა სძოვდნენო. ის ჭალა ძალიან ახლო ყოფილა სოფელზედა.

მაშინათვე თურნე წავიდა ლეგა მოსარეკათა, რომა მგელმა არა აწყინოს რაო. როდესაც მიხლოვდა იმ ალაგსა, რომელიც მენახირეებმა დაუხახელეს, იმ დროს კარგა შაბინდდა. გაიხედა თურმე და დაინახა. რომა ზედ რუვის პირზედ ერთი თავისი სახლისკაცის ცოლი არის. დაუძახა ქალმა: ბატონო, რას ეძებ აქაო? ბერიკაცმა უპასუხა: ცხენ-კვიცი მამსწავლეს და იმთ ვეძებო. აგერ, ბატონო, შენ ცხენ-კვიცი ქვემოთა სძოვენ, წამო მიგეყვანო, — უთხრა ქალმა.

გაჰყვა ეს ბერიკაცი. რამდენსაც ჰკითხავს, სად არისო, იმდენი ეტყვის ქალი: აი მიველითო. ატარა, ატარა, ერთს სახლში შეიყვანა და მოკეტა კარები. შაბხედა ბერიკაცმა და ზედავს ის თავისი მეზობლის ცოლი კი არ არის, არამედ სხვა არის უცნობი სახისა. მაშინ იგრძნო რომა მოტყუებულნი ვარო, შიშისაგან ქუდი მალა წაუვიდა და სცდილობდა, რომ გასულიყო, მაგრამ კარებს ვეღარა პოულობდა. როდესაც ბევრის ცდის შემდეგ ვეღარა გააწყო რა, უთხრა ქალსა: თუ ღმერთი გწამს, კარები მაწავლე და აქედან გამოიყვანეო. ქალმა უპასუხა: თუ ამდამ ჩემთან დღსწევები, კარებსაც გაგიღებ და კიდევ მშვიდობით გაგისტუმრებო, თუ არა და — შენ აქედან ცოცხალი ვეღარ გახვალო. ბერიკაცმა უპასუხა: რას მიჰქარავ, ჯერ მაგისთანა ცუდ საქმეს სულაც მორიდებული ვარ, და თუნდა ისიც არ იყოს, რაღა დროს ჩემი ეგ არის, შენთან შემეფერებიო. მაშინ წამოდგა ქალი, გაუღო კარები, დაანახვა ერთი სწორეთქასული შარავნა და უთხრა: აგერ ა იმ დიდ გზას დაადექ და წადიო.

წავიდა ეს კაცი, დაადგა გზასა, და ვერ გაიგო, დღე არის თუ ღამე: მზე კი არ არის, მაგრამა დღესავით ნათელია. როდესაც მიდის, ხედავს, რომა ზოგან გუთანნი უბიათ, ზოგან ყანასა მკიან, ზოგან მბარავეები არიან, მაგრამა ისე მუშაობენ, რომა ხმას არავენ არ იღებს, ვისაც გამარჯვებას ეტყვის, მადლობასაც არ უხდიან. ამ ხალხში ბევრი იცნო თავისი მეზობლები და აგრეთვე პირუტყვები. ის კაცები იცნო, რომლებიც იმის დროს წყალში დაიხრჩვენ, პირუტყვებიც ისენი ნახა და იცნო, რომლებიც უსულოდ იყვნენ დახოცილები. ასე რომა, ერთი კოჭლი თხა ერთს იმის მეზობელს,

წყალში დამხრჩვალს, დაუკლეს, ის და წყალში დამხრჩვალ კაცოც
ორნიც იქა ნახა ერთათა.

გაიარა რამდენიმე მანძილი და მიაღვა ერთს ჭვარედინ გზასა, —
ზედ იმ გზაზედ იყო გადატარებული ერთი იმოდენა გზა, რომელზე-
დაც დააყენა ბერიკაცი ქალმა. დაღვა იმ ჭვარედინ გზაზედა და
ფიქრობს, არ ვიცი რომელ გზაზედ წავიდეო. სხვა ველარაფერი
მნახერხა, უნდა უკანვე გაბრუნებულიყო და იმ ქალისათვის ეკითხნა,
რომელ გზაზედ წავიდეო.

ის ბერიკაცი ბურნუთს ეწეოდა, ამიღო საბურნუთე. დაჯდა და
დაუწყო წევა. გაიხედა და დაინახა, რომა ერთი მშვენიერი ყმაწვი-
ლი ცხენზე ზის და მააქროლებს, როგორც ჰაერში მფრინველი.
მოვარდა საჩქაროზე და დაადგა იმ ბერიკაცს თავზე, ჰკითხა ყმაწ-
ვილმა: სად მიხვალო ან საიდან მოხვალო? ბერიკაცმა უამბო ყვე-
ლაფერი, როგორც თავის მეზობლის ცოლათ მოეჩვენა ქალი, რო-
გორც სახლში შაიტყუა, კარები დაუკეტა, მერმე გამაიყვანა და იმ
გზაზედ დააყენა. ისიცა, რომა, როცა ჭვარედინ გზას მიაღვა და არ
ეცოდა, რომელ გზაზედ წასულიყო, უკანვე გაბრუნებას აპირებდა
ქალთანა და კითხვასა, რომელ გზაზედ წავიდეო. მაშინ უთხრა
ყმაწვილმა: მე ვარ შენი სალოცავი გმირი კოპალე, შენა ხარ ჩემი
ერთგული ყმა, ვის მისდევდი იმ წყეულსა, რომელმაც ქანდრიის
შარაზედ შაგაყენა და თავის მამის სახლში გაგზავნა, — იქ უნდა
დაეხრჩეთ და შეეკამეთო. აღექ ჩქარა, შამამიჯექ ცხენზე და წავი-
დეთო.

ადგა ბერიკაცი და შამოუჯდა. წაიყვანა კოპალემ, მიაღვა ზედ
შუაზე ბაზალეთის ტბასა, ზედ გადაატარა ცხენი, დუშეთის ხევამ-
დენ მიიყვანა. გამააცილა ხევსა და კიდევ გათენდა. უთხრა: ეხლა
კი ნულარ გეშინიან, წადი და ხუმრობა არ არის, არსად არ დაიძინო,
იარე და შინ მიდიო.

იმაზედ გახდა ბერიკაცი მაშინვე ავათა, აავლო ქადაგათა და შემ-
დეგ კოპალემ დეკანოზათ დაიჭირა, ვიდრე აღესრულებოდა.

5. თუშის თავგადასავალი

იყო ერთი მოხუცებული თუში. მიუვიდა სტუმარი, ერთი ბიჭი,
უთხრა ბიჭმა: გეცოდინება რამეო, ან ზღაპრები, ან ანდაზები, მია-

ბე, დიდი ღამე არის, მოგვეწყინება ჩუმათ ყოფნაო. თუშმა დანიყო მოთხრობა თავისი თავგადასავლისა.

ჩემ ყმაწვილობაში დაგვეცნენ ლეკები, წაგვიყვანეს სამი კაცი, თათქმის შვიდი კვარა ვიარეთ, ძლივს მივედით იმათ ქვეყანაში. მე ისე თავგამომეტებული ვიყავი, რომა ჩემ სიცოცხლეს ფასს აღარ ვდებდი იმათ ხელში. ჩემ ამხანაგებს ვუთხარი წავიდეთ როდისმე ღამე, გავიპარნეთ-მეთქი, მაგრამ იმათ გამოპარვა ვერ გაბედეს, — ვაი თუ გამოგვიდგნენ და დაგვხოცონო.

ერთ ღამეს დამრჩა დრო. ავდექი, ვახსენე ღმერთი და წამოველ. მაგრამა ჩენდა საუბედუროდ, გზა არ ვიცოდი, საით უნდა წავსულიყავი. თუნდა გზაც მცოდნიყო, დღე ხომ ვერ ვივლიდი და ღამე მაინც კიდევ ამერეოდა. ვიარე რამოდენიმე ხანი მშვიტად, პურა არა მქონდა და ვერც არავის ვეჩვენებოდი შიშითა, დაჭერისა მემზონოდა, აბა ვის დავენდობოდი და ან ვინ დამინდობდა.

როდესაც შიმშილმა ძალა დამატანა და აღარა მქონდა სიარულის თავი, დავჯექი მინდორზე და მოვიცადე გათენებამდე. რა გათენდა, გავიხედე და რამდენიმე მშვენნიერი შენობა დავინახე. ვიფიქრე: იქნება იქ მაღლიანი ვ-ნმე იყოს ან პურა მაკამოს და ან გზა მასწავლოს-მეთქი. ავდექი, მოვიკრიფე ღონე და მივატანე იქ ერთ შენობას. მიველი იმ სახლის კარებზე, შესვლას ვერა ვბედავ, ვაშაბო: გამოვა ვინმე გარეთა და პურსა ვთხოვ-მეთქი.

ვიჯექი რამოდენიმე ხანი, მაგრამა, როგორც შეუღამისას ხშირ ძილში შესულებინა, ისე არვისი ხმა არ ისმის. ავდექი მუხლმოღებულა, შაველ სახლში, მივიარ-მოვიარე; — არავინ იბადება. ახლა მეორე სახლში შაველ, — არც არავინ იქ არის. სახლები ისეთია, რომა სავსე არის ყველაფრით, რა უნდა სულსა და გულსა, რომ იქ არ არის! სახმელი და საკმელი, თუ ნორთულობა კაცს თვალს წაართმევს. რაღას ვიქმოდი, რადგანაც ვერავინა ვნახე სახლის მეპატრონე, დავჯექი, სუფრა გაშლილი იყო და როგორც მინდოდა, ისე ვკვამე ძლომამდინა. როდესაც მოვსულიერდი შიმშილისაგან, მუხლმოკრილი და დაღალული, ავდექი და წავედი იმ შენობების სახანავათ. დავიარე იმდენი ქალაქისოდენა შენობები, მაგრამა ერთი სულიერი აღამიანის შვილი ვერა ვნახე.

ვიყავ რამოდენიმე ხანი და შამაწუხა მარტობამა. გავიხედე სახლისაგან და ზღვა დავინახე, რომელიც იმ შენობების ახლო იყო. დავუწყე ცქერა და დავინახე, გამოვიდა ზღვიდან ერთი დედაკაცი.

ვთქვი რომა, ეხლა კი ღმერთმა მანხედა-მეთქი. წაველი იმ დედაკაცსაჲსა, მინდოდა წამამეყვანა, მაგრამ დამინახა თუ არა, მაშინვე ეცა ზღვისა და დაიძალა. ყოველ დღეს გამოდის ზღვის ნაპირასა და მეც აღარ ვეშვები: დამინახავს და შევარდება ზღვაში. იმ ზღვის ნაპირას ერთი კლდე იყო, მიველი და იმ კლდეს ამოვეფარე. გამოვიდა თუ არა დედაკაცი, ვეცი მაშინათვე, დავიჭირე და წამოვიყვანე. მყვანდა რამოდენიმე ხანი. დაორსულდა და გაუჩნდა ვაჟი. რა შასრულდა ვაჟი სამი დღისა, ფეხზედ გაიარა, გაიქცნენ ზღვისკენა ორნივე დედა-შვილი და დამაგდეს ისევ მარტო.

შავწუხიდი მარტოობისგანა, მაგრამა მეტი რა გზა მქონდა რომა არ მამეთმინა, არ ვიცოდი გზა, საით უნდა წავსულიყავი. ერთხელ გამოველ და ვიყურები ჩქითკენ, რომელი გზიდანაც მოველი, და გამოჩნდა ერთი კაცი ჩემკენ მომავალი; თვალი ვედარ მოვანორე. მანამ ჩემთან არ მოვიდა. გამარჯვება მითხრა, მეც მადლობა გადავუხადე. მითხრა: თუ ღმერთი გწამსო, მშვიერი ვარ და პური მაქვსი. წავეყვანე მაშინვე. პური ვაჭამე. რაღას დავაგვიანებდი, — ვკითხვ ვინაობა, იმან ნიამა თავისი საცოდაობა. — რაც დღე მე მდგება ის დღე იმას სდგომიყო, ისიც ტყვე ყოფილიყო გამოპარული. ვკითხე: გზა არ იცი, მეც ტყვე ვარ გამოპარული, წავიდეთ-მეთქი. იმან მითხრა: არ ვიცი საიდაგან მოველ და საით მივდივარო.

მეორე დღეს გავიხედეთ იმ გზისაკენა და მოჩანდა კიდევ ერთკაცი. მოვიდა. გამარჯვება გვითხრა თუ არა, იმანაც მაშინვე პური ითხოვა. ვაჭამეთ პური. ახლა იმასა ვკითხეთ. ისიც ტყვე ყოფილიყო ჩვენსავით გამოპარული. ვკითხეთ გზის ამბავი, გვინდოდა წავსულიყავით, მაგრამა ის კიდევ ჩვენზე მომეტებული გზა და კვალდაკარგული ყოფილიყო. გავფიცენით სამნივე ძმათა და შევეკარით პირობა, რომა თუ გზისა რამე გავიგეთ, უნდა წავსულიყავით.

დაღამდა; დავწექით სამნივე ერთათა და დავიძინეთ. მეორე დღისზედ რომ ავდექით, წინაწინ რომ კაცი მოვიდა — ის კაცი ჩვენთან აღარ იყო, მარტო ორნიღა ავდექით. ბევრი ვიბოროტეთ, იმას გზა სცოდნია და იმიტომ გაპარულაო.

დაღამდა ის დღეცა, დავწექით ორნი და დავიძინეთ. გამემღვიძა და გათენებულიყო კიდეცა. მივიხედ-მოვიხედე, — აღარც ის კაცი არის ჩემთანა. ვთქვი, რომა სწორეთ იმათ გზა სცოდნიათ და იმისათვის წავიდნენ, მე კი მამირიღეს-მეთქი.

გავიხედე გარეთა, მინდოდა დამეთვალეირებინა, — ჩქნება იქა-

ვე სადმე არიან-მეთქი. შავხედე და ვხედავ, ერთ დიდ სასახლეზედ გადაწოლილა ერთი უშველებელი გველეშაპი. შამოვბრუნდი შინა გულჯახეთქილი, ამან ჩემი ყველაფერი ტანჯვა დამავიწყა. ვიფიქრე ჩემ გულში: თუ გავექცე, სად წაუვალ, თუ აქ დავრჩი მაინც შამჭამს-მეთქი და მაინცა. რადამაც ჩემმა იღბალმა მამაგონა, რომა თოფის წამალი ვნახე სახლში ძალიან ბევრი. წაველი, ვახსენე ღმერთი და დავუწყე ზედვა წამალსა იმ სასახლეში, რომელზედაც ის გველეშაპი იყო გადაწოლილი. შავზიდე ძალიან ბლომათა, გაუწყეთე ფილთა, მივუკიდე ცეცხლი და გამოვიქეცი. ერთი საშინლათ დავრიალა, რომა მე ვთქვი, სწორეთ ცა ჩამოიქცა-მეთქი. გამოვევარდი გარეთა და როგორც წვიმა, ისრე ჩამოდიოდა იმ სასახლის ნანგრევები და გველაშაპის ნაგლეჯები. როდესაც დავრწმუნდი, რომა მოკვდა-მეთქი, გაველი იმის ნაგლეჯების გესაშინჯავათა და ის კაცები ორნივე იქ ვიცანი, რომლებსაც გაპარვასა ვწამებდით: თურმე იმ გველეშაპმა დამპარა მძინარეები და დაყლაპა.

დავრჩი ისევ მარტო რამოდენიმე ხანი. გავიხედე ჩემ გზისაკენა, რომლიდანაც მე მოველი, დავინახე ერთი ცხენიანი კაცი ჩემკენ მომავალი. როდესაც მიახლოვდა იმ შენობებსა, შევატყე, რომა გზა დააგდო და მაერიდა. მაშინ გამოვუდექ და დავუწყე ძახილი. მიაბრუნა ცხენი, რომ დამინახა, და დამიწყო ლაპარაკი. ვკითხე: საით შიხვალ ან სადაური ხარ მეთქი? იმან მიპასუხა: ჩვენ ვიდექით ამ ჰახლებში, და თუ ჩვენს ცხოვრებას სხვა არ დაპნატროდა, ჩვენ კი ზრავის დავნატროდითო. ერთი დაწყველილი გველეშაპი შამოგვეჩვია და სულ გაგვანადგურაო. რომ ვეღარ გავუძლეთ, ავდექით და სხვაგან გადავსახლდითო, მაგრამა ისრე ცარივლები გადაგვასახლაო, რომა ერთი ნემსის დანაფასები და ერთი ღამის ვახშამიც არ გაგვატანაო. ეხლა მე ამაზედ გამოვლას ვერა ვბედავდიო, გზა იმისათვის დავაგდეო, მაგრამა რაკი შენ დავინახე, იმისათვის მოვბრუნდიო.

მე საჩქაროზედ წავიყვანე, ის მოკლული გველეშაპიც ვაჩვენე, დანგრეული სასახლეცა და ისიც ვუამბე, როგორც მოვკალი ან ის ტყვეები როგორც მამპარა და დაყლაპა, ისენიც ვაჩვენე. მითხრა: მე წავალ, აქაურებს შავატყობინებ, ყველანი მოვლენ თავ-თავის სახლებში, შენც ჩვენთან იყავ, რომელიც ქალი მოგეწონოს, იმას ვითხოვთ ცოლათა, ისრე შავინახამთ, როგორც ბატონიო.

წავიდა ის კაცი, შავატყობია გაქცეულბს. მოვიდნენ თავიანთ სახლებში და დასახლდნენ. მე მითხრეს: აბა შენ რომელიც ქალი

გინდა, გვითხარი და უნდა დაგაქორწილოთო. მე ვუთხარი: თქვენნი არათფერი არა მინდა რა-მეთქი, თუ ჩემი გზა ვინმემ იცით, მასწავლეთ, უნდა შინ წავიდე-მეთქი. იმათ სულ გადაწყვეტილი მითხრეს. ჩვენ არავინ არ ვიცით შენი ქვეყნის გზაო.

რალას ვიქმოდი, დავუწყე ჩემ საცოლეს ძებნა, როგორც პირობა მამცეს, ვინც მოგეწონოს, იმას მოგცემთო. ავარჩივე, ერთი ქალი მამეწონა. დამაქორწინეს და მამცეს ჩემთვის ყველაფერი ულუფა, რომელიც მოჰქონდათ დაუყონებლად მზათა.

უყურე ჩემს უბედურსა, — მამიკვდა ცოლი, წავიშინე თავში და ვიტირე, ჩემი ცოდვით სულ იწვებოდნენ. როდესაც მიცვალებული წაიღეს დასასაფლავებლათ, მეც თან გამაყოლეს. მიიტანეს მიცვალებული სამარის კარსა, ჩაასვენეს და მითხრეს: აბა შენ რალასა ჰგვიანობო? რა ვქნა, ეს ტირილი და თავში ცემა, სხვა რა ვუყო, თავს ხომ არ მოვიკლავ-მეთქი? იმათ მითხრეს: ჩვენა ჩვენს ჩვეულობას ვერ დავთმობთო, შენც თან უნდა ჩავაყოლოთ შენს ცოლსაო. ჩვენში ეგ ჩვეულება არისო, ცოლი მოკვდება, ქმარი ცოცხალი თან უნდა ჩავაყოლოთო, ქმარი მოკვდება და — ცოლი უნდა ჩავაყოლოთ ცოცხალიო. ბარემ ბევრნაირათ შეაბრალებ თავი და მოვაგონე ჩემგან ნაქმნარი სიკეთე, მაგრამა, მე იმ სიკეთემ ველარ დამიხსნა. ამწივეს და მეც შიგ საფლავში ჩამაწვინეს და მამაყარეს მიწა. მანამდენ სულით აივსებოდა იქაურობა, მანამ კარგათ ვიყავი. როცა სულით აივსო და დავიწყე ღონება, ასე რომა სული კბილით და მეჭირა და სული მხდებოდა.

იმოდენა გონება კიდევა მქონდა რომა დაეუგდე ყური, ბარის ხმა მამესმა. ბევრი ხანი აღარ გავიდა, მალე ჩამოვიდა ეს ხმა ჩემთანა, — ვილაცამ სულ ერთიანათ გადაყარა მიწა და მითხრა, აღექიო. წამოვიწივე შაწუხებულმა ძლივს და წამოვდექი. მამავლო ხელი და ამამიტაცა მალლა. როდესაც გონზედ მოვედი, ვუთხარი: თუ ეს მართალი ღმერთი გწამს, რა სიკეთე მოგაგონდება ჩემგანა, რომა ჩემი სიცოცხლე შენ დაიხსენ-მეთქი სიკვდილისაგანა? იმან მიპასუხა: იქნება შენ დაგავიწყდა, — შენ რომ დედაჩემი ზღვიდგან გამაიყვანე, იმას რომ ვაჟი გაუჩნდა და სამ დღეს უკან ფეხი აიდგა და მეძრე ორივე გაგექცნენ, მე ისა ვარ, შენი შვილიო. მაშინ ვუთხარი იმასა: რადგანაც ეს ჩემი სატანჯველი გაიგე და დამიხსენ ამ აუცილებელი სიკვდილისაგან, ისიც გეცოდინება, ჩემი გზა საით არის, მასწავლო და მამაშორო ამ ურჯულო ქვეყანასა-მეთქი. მაშინ

იმან ამადლო ერთი კელაპტარი, ერთი თხორი და ერთი ხელის ოდენა ნატეხი თეთრი ზური და მითხრა: შენ წადი, ეს თხორი გაგიძღვება წინა, კელაპტარი დაიჭირე ხელში, მიჰყე ამასა და შენს სახლში მიგიყვანსო. რა დაასრულა ეს დარიგება, გამამესალმა, გზა დამილოცა და წავიდა.

ვიფიქრე ჩემს გულში: მართალია, იქნება ამ თხორმა შინ მიმიყვანოს, მაგრამა ჯერ ეხლა შაწუხებული ვარ შიმშილისაგან და მანამ შინ მივალ რა უნდა ვკამო-მეთქი. ავიღე ის პურის ნატეხი და თქვა: ნეტავი ეხლა მაინც მეყოფოდეს, გავმძღარიყავ, და მეძრე კიდევ არას ვინაღვლი, იქნება ისეთი ღვთიანი ვინმე შამხვდეს, რა-მა მაჭანოს-მეთქი თავისი სულს გულისათვისა. ამ ფიქრებში ავიღე ის პური, დავუწყე ჭამა. რამდენსაც ლუკმას მოვაკლებ, იმოდენი ფატება, ასე რომა კარგა რჯულზე გავძეხი, მაგრამ ისევ ის ნატეხია.

აფდექი, რომ გამოვემზადე წასასვლელათა, გაგორდა თხორი და დაგდევენე კიდეცა. გავიარე კარგა გზა, მამშივდა პური. დავჯექი, დავუწყე პურს ჭამა და დადგა თხორი. ვკამე პური, გამოვემზადე და გაგორდა თხორი. მატარა სულ იმ ყოფითა, მამიყვანა შინა და ის პურის ნატეხი ისევ შინ მამყვა.

აი, შეილო, მე ამისი მნახველი ვარ და ეს ტანჯვა გადამზედიო თავსა.

6. კოპალეს ნიში

ერთი თიანელი კაცი, გვარათ ფაბური, მიდენილა თიანეთისაკენა, რომელსაც მიჰქონებია ერთი ცხავი. რა მიჰარჯებია თიანეთსა, დასცხომია და დაუსვენია ტყეში ერთ გრილოს ქვეშა. არ გამოსულა ღრიდი ხანი, გამოუვლია ერთ დევსა. ამ დევს თურმე ჯაჭვით ზურგზე ერთი ღრიდი ქვა ჰკიდია და ხელში ერთი ვერცხლის თასი უჭირავს. ფაბურმა უთხრა: რა მოგაქვს ეგა, დაჯექ, დაიხვენეო.

დაჯდა დევი, მიიხსნა, ქვაც დადო, თასიცა და დაიწყეს ლაპარაკი. გაიარა კარგახანმა, ფაბურმა პური ამოიღო, მიიწვია დევიცა და დაუწყეს პურს ჭამა. მაგრამა ფაბურს თვალები თასისაკენ ცქერით აწყდება. ფაბურმა რადგანაც გააგრძელა ლაპარაკი, ამასობაში პურის ჭამაც გააგრძელეს და წყალიც მოსწყურდათ. ფაბურმა

უთხრა დევს: გაიქეცი, შენ უფრო მალე მოხვალ, წყალი მაიტანე და დავლოთო, უფრო გულნებიერათა ვკამთ და კიდევ დავიღვენებთო. დევმა უთხრა: აბა რითი მოვიტანო, თორემ ა კი არ ნეზარებაო. ფაბურმა უთხრა: ცხვეით მაიტანეო.

წავიდა დევი და გადეთარა, რომელიც მოშორებით იყო მდინარე. ფაბურმა დაავლო ხელი თასსა და გააქანა თავის სალოცავ ხმალსაკენა, რომელიც გაღმა პირდაპირ იყო მთაზე. ფაბური მირბის და გასძახა თავის ხმალსა: მიშველე, ხმალავ, და ეს თასი შენთვის შემამიწირავსო!

დევი მდინარეში ჩაჰყოფს ცხვესა და გაედრება. მაშინ გაიგო. უთუოთ ამ კაცმა მამატყუა და ის თასი მამტაცაო. წაიღო ცარიელა ცხვეი, მივიდა სადაც ისდენენ. ნახა რომა, აღარც კაცი არის იქა და არც თასი დევმა მიაციდა ჭაჭვი და გამოუდგა ფაბურსა. მალე დაეწვია. რომ დაინახა, დევი შამეწივიაო, ფაბურმა შაჰყვირა: მიშველე, ხმალავ, თორემა შამეწანსო! ხმალავ მალე მიეწველა. მაგრამ ველარა უშველა რა. დევმა მიღეწ-მოღეწა ფაბური, თასიც წაართვა და ისიც ჩაყლაპა.

ხმალა ძალიან დაღონდა, რადგანაც დევმა ნკლავში გადახარა, მაგრამ მინც არ დაანება თავი და გაჰყვა უკან მხარდამხარ. ხმალს ზოგჯერ ჭავრი მოუვა, დაეღირება, უნდა დაჰკრას, მაგრამ ველარ გაჰბედღეს დაკვრასა და აღარც ეშვება.

ხმალს ბედზედ ჩამაიარა კოპალემა. იცნო ხმალა და უთხრა: ხმალავ. რას ნოსდევ ამ უსურმაგსაო? ხმალამ შესჩივლა: მე ერთი კარგი ყმა მყენდა. იმას წაერთმია ამისათვის ა ის თასი; ხელში რომ უჭირავს, გამეექცივა ჩემთანა, იმედი ჰქონდა — მიშველის, არ შემამეშვესო, მაგრამ იმას მე ველარა ვუშველე რა და შამეწამა პაციოსანი ყმაო. ახლა მე იმას გეხვეწები, კოპალეე. რომ ოღონდა ეგ მოკალი, მაგის ჭავრს ნუ შამეშვევ და ეგ თასიც შენი იყვეს. აღარ შემოგიხარბდებიო.

ხმალამ დაასრულა ეს სიტყვები და ეცა კიდევ კოპალე დევსა, ერთი დაჰკრა და მისინვე გაანადგურა. თასი კოპალემ წამოიღო, ხმალა ცარიელი წავიდა. ქვა და ჭაჭვი იქ დარჩა, დღესაც სალოცავათ აქეთ ხალხსა ის ქვა და ჭაჭვი, — კოპალეს ნიშს თურმე ეძახიან.

7. კოპალე და ღვევი

ყოფილა მკედელი პირქუში და ჰქონია სამკედლო და სახლი მთაზედ, ხოლო მეორე მთაზედ იმის პირდაპირ კოპალეს სახლი ყოფილა. კოპალე ძალიან შურობდა ღვევებსა. დადიოდა და სადაც ღვევებს მასწრობდა, იმათ სინსილას სწყევტამდა.

ერთს საღამოს მოვიდა შინა და დედას უთხრა: ჩემო დედავ, ეს სამი დღე არის, რაც ამ პირქუშის სამკედლოდან ერთი საშინელი რახარუხი და გრიალი გამოდის, — რას აკეთებსო? დედამ უპასუხა: არა ვიცი რა, რას აკეთებსო.

გათენდა დილა. ადგა კოპალე და წავიდა იმ ამბის გასაგებად. როდესაც გავიდა, ნახა, რომა ღვევები არიან: ზოგნი უბერავენ, ზოგნი კვერს უცემენ და პირქუში კი ასწავლეს: აი აქ დაჰკარითო. და რკინა ხელში უჭირავს. ისეთი არის პირქუში რომა, როგორც წყალა დაასხას, ოფლი ისე გაზდის. პატარა ხანი უყურა კოპალემა და უთხრა: რა არის, ღვევებო, რას აკეთებთ, ეს დღე არის მაგას ჩასცქერით და არახუნებთო? ღვევებმა უპასუხეს: იმას ჩავცქერით ამოდენა ხანი, რომა კარგი მაგარი ლახტი უნდა გავაკეთებინოთ და კოპალე მოვკლათო. კოპალემ სიტყვა კი დაასრულებინა და დაუქროლა ღვევებსა: შიგ სამკედლოში დახოცა. ერთი გაექცა, გამოუდგა, თავფარავნის ტბაზე დაეწივა და ისიც იქ მოკლა.

8. ოლოლის ბაჩენა

ერთ დაძმას დედინაცვალი ჰყავდათ, ავით ეპყრობოდა. გაადებდა მინდორში, საქონელს გაატანდა და აძოვებინებდა. ერთხელ საქონელი დაეკარგათ და დედინაცვალმა გაყარა ორივე: წადით, სანამ არ იპოვოთ, არ დაბრუნდეთო. დადიოდნენ დაძმა, ეძებდნენ და ვერ ეპოვნათ. ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ვერ იპოვნეო? და ეუბნებოდნენ: ვერ ვიპოვნეო — ო ჰო... ჰო... ჰო!.. რა ცეცხლიაო! ძალიან რომ შეწუხდნენ, ინატრეს, — ამ ყოფას, ნეტა ფრინვლად გვაქციაო. და ოლოლებათ იქცნენ. მას შემდეგ ოლოლი რო დასძახებს, ამას იძახის: ვერ იპოვნე?.. ვერ იპოვნე! — ოჰო... ჰო... ჰო! რა ცეცხლიაო!

იყო ერთი და-ძმა. ჰყავდათ ბოროტი დედინაცვალი. ბიჰმა ერთ-ხელ ძროხა წაიყვანა საძოვრად და დაეკარგა. დედინაცვალმა რომ გაიგო ეს, უთხრა, წადი, მოძებნეო და მანამ არ იპოვო, შინ აღარ დაბრუნდეთ. წავიდა ბიჰი საძებნელად და დაც თან გაჰყვა. იარეს. ბევრი იარეს, ბევრი ეძებეს, მაგრამ ძროხა ვერ ნახეს. მაშინ და-ძმამ ინატრეს: ნეტა ჩიტებად გვაქციაო, რომ ყველგან მოვიაროთ და ვიპოვოთო. აუსრულდათ ნატვრა, იქცნენ ჩიტებად. და აი მას აქეთ დაფრინავენ და როცა ერთმანეთს შეხვდებიან, და გასძახებს ხოლმე ძმას:

- ბიჰო, ბიჰო, იპოვე?
- ვერა, ვერა! — უპასუხებს ძმა და სწყევლის დედინაცვალს.
- ვაი ჩვენს დედინაცვალს, თვალში ნაცარი, გულში ლახვარი!

10. მამაო ჩვენო

ერთ კაცს ნათლია უნდოდა შვილისათვის და თქვა, სწორე, მარ-თალი კაცი უნდა ნათლიათაო. შემოხვდა ერთი კაცი და უთხრა; ნათლიათ დაგიდგებიო. შვილის პატრონმა უთხრა, მითხარი, რა კაცი ხარო. იმან უთხრა, წმინდა გიორგი ვარო. შვილის პატრონმა უარი უთხრა, მე სწორე კაცი მინდოდაო, ეს წმინდა გიორგი ზოგს ცხვარ-სა სთხოვს სამღვთოთაო, ზოგს ძროხასაო, ზოგს რას და ზოგს რა-საო. ეს ჩემი საქმე არ არისო. წავიდა. შემოხვდა სხვა. მე მიქელ მთა-ვარანგელოზი ვარო. კაცს მოეწონა, — სწორე კაცი ეს არისო; დიდი და პატარა არ გააჩნია, ხელმწიფესა და გლეხს სულს ერთნაირათ ართმევსო. დაიყვანა ნათლიათ. მიქელ მთავარანგელოზმა თავის ნათლულს უთხრა: ამ საქმეს გეტყვიო, როცა თავით გიჯდე, იცოდე სიკვდილი მოსულაო, თუ ფეხით გიჯდე ნუ გეშინიან, მორჩებიო.

ერთხელ ნათლული ავად გახდა და ნახა, მიქელ მთავარანგელო-ზი თავით უზნის, მაშინათვე მობრუნდა ისე, რომ მიქელ მთავარანგე-ლოზი ფეხით მოექცია. მორჩა კაცი. რამდენიც მერე ავად გახდე-ბოდა, სულ ასე იქცეოდა. ბევრჯელ მოტყუვდა მიქელ მთავარანგე-ლოზი. ბოლოს, როგორც იყო, ერთხელ მოასწრო და ის იყო სული

უნდა ამოერთო: ნათლული შეეხვეწა, — ამდენი დამაცალე, ერაი „მამაო ჩვენო“ ვთქვაო. კარგიო, უთხრა მიქელ მთავარანგელოზმა; დაპირდა: სანამ „მამაო ჩვენოს“ არ იტყვი, პირობას გაძლევი, სული არ ამოგართვიაო. დაიწყო ნათლულმა „მამაო ჩვენო“ და ნახევარი აღარა თქვა. გადარჩა სიკვდილს. ორმოცი წელიწადი ანუ აწვალა ნათლულმა, არც ერთხელ არ დაასრულა „მამაო ჩვენო“. გაუქირდა მიქელ მთავარანგელოზს და ბოლოს ეს ხერხი მოიგონა: ამოათხრე-ვინა საფლავი, ანგელოზი გამოსქიმა მკვდარივით და ნათლულს უთხრა, — ეს მკვდარი უნდა დაემარხოთ და ერთი „მამაო ჩვენო“ თქვიო. შეცდა ნათლული, თქვა და სულაც დაღაა. წაჟოაყენა მიქელ მთავარანგელოზმა ანგელოზი და ნათლული დამარხეს.

11. რატომ არა აქვს ღურბალს ბარბაძე

ღურგალი მიდიოდა მხარზე ხურჯინგადაგდებულს, ოქროთი სავსე. გზაზედ ქრისტე დახვდა. ღურგალმა წყალობა სთხოვა. ქრისტემ ჰკითხა: ხურჯინი სავსე გაქვს, რაღა წყალობა გინდაო? ღურგალმა უთხრა: რა მაქვს, ბურბულაჭი მიმაქვსო. გახსენი, მოგცეო, — უთხრა ქრისტემ. ღურგალმა გახსნა და ქრისტემ წყალობა ჩაუდვა, ხურჯინში მართლა სულ ბურბულაჭი გამოჩნდა, ოქროც ბურბულაჭად იქცა. მას აქეთ ღურგალს, რაც უნდა სიმდიდრე შეემატას, სულ ფუქია, ბარაქა არა აქვს.

12. ყვავის საყდარი

სოფელ წილკანსა და ახალუბანს შუა არის ერთი ძველი წანგრევი საყდარი, რომელსაც სახელად „ყვავის საყდარს“ ეძახიან. სოფელ ნატახტარის ბოლოზე, ქალასა და სახელმწიფო გზის შუა, ერთი ძალიან მდიდარი კაცი ყოფილა, გვართ ტონუაშვილი, — იმისი ნაახლარები, ქვიტკირები დღესაც ეტყობა, ივანე მუხრან-ბატონის ზვარში არის მოყოლებული. იმ ტონუაშვილსა ძალიან დიდი ყანები ჰქონია იმ ალაგასა, სადაც ეხლა „ყვავის საყდარს“ ეძახიან. ყოველ

წელიწადს სამკალათ მაშითადს დაუძახებდა რამოდენიმე სოფელსა, გაუკეთებდა კარგ სადილს, სამხარს, ვახშამსა და ისე ამკევირებდა.

ერთ დროს მუშები ჰყვანდა სამკალათ. ჩვეულებრივ დახოცა ძროხა, ცხვარი, ღორი, მოაწადა სამხრათა. როდესაც წაანელეს საქმელები, იმ დროს საითმე მოვიდა ერთი გველი და შიგ ქვაბში ჩავარდა. მუშებს საქმიდგან ხელი ააღებინეს, პურის საქმელათ მოდიან. წამოვიდა ჩხავილით ერთი ყვავი, მივიდა იმ ქვაბზე, რომელშიაც გველი არის ჩავარდნილი, დასჩხავის ქვაბსა და ფრტილებს. მუშებმა გაიკვირვეს, გაცოფებულნი კი არა იყოს რაო, გავადლოთ, შიგ არ ჩავარდესო და საქმელი გადასაღვრელი გაგვიბდესო. აიღეს ჯოხი და გააღდეს. რო ვერაფერი ვერა გააგონა რა, ჯანებს აწაღებდნენ დასასხმელათა, იმ დროს გამოფრინდა უეცრათა, ჩავარდა ქვაბში და თავი დაიხრჩო.

მამინ იფიქრეს, უთუოდ აქ ერთი მწეზი რამ არასო. აბა ეს ქვაბი გავმწაჯოთო, შიგ ხომ არა ჩაიხრჩობოდა რაო. ამოურიეს ქვაბსა: ჯერ ყვავი ამოიღეს დამხრჩველი, მემრე ნახეს, რომა შ-გ გველიც იყო ქვაბში ჩახარშული. მამინ ააღეს ის ქვაბი, სულ გადაღვარეს და სხვა საქმელი ქანეს. ეს ყვავი რომ არ ჩავარდნილიყო, სულ მოვიწამლებოდითო ეს ამოდენა მუშებიო. რადჯანაც ამისთანა საქმე გვიყო და თავი ჩვენ გვანაცვალაო, ჩვენცა გვმართებსო. ეს ამ აღაგას დავმარხოთო, ზედ საყდარი ავაშენოთო. რომა ამისი წაენება საუკუნოთ იყოსო. ის ყვავი იქ დამარხეს, ზედ საყდარი ააშენეს და „ყვავის საყდარი“ დაუძახეს. დღესაც ყვავის საყდარს ეძახიან.

13. სვანი ლა ტჷის კასი

სამი სვანი წავიდნენ სანადიროდ. მთაში სანახირო ალაგას რომ მივიდნენ, გაცალკევდნენ, ერთი ცალკენ წავიდა და მეორე ცალკენ. ის ერთი სვანი წავიდა მარტოკა მთაში. იარა, იარა და მივიდა ქრახ ტბის პირზედ, სადაც ბევრი შველი და არჩვი იცოდა. დახოცა შველი და არჩვი, მოიტანა ერთი ხის ქვეშ, დაანთო ცეცხლი, ააგო მწვადები და შამოუფიცხა გარშემო. როცა სვანი მწვადებსა სწვამდა, სალამო უამი იყო. ამ დროს ტყიდგან გამოვიდა ტყის კაცი, რომელსაც თავიდან ფეხებამდის თითო არშინი თმა ესხა, მოვიდა და მი-

უჭდა. სვანს სრულებით არ შეშინებია, უშიშრად შესცქეროდა ტყის
კაცს. ტყის კაცმა უთხრა:

— მწვადი მანითაღე ერთიო!

— გწყალობდეს ღმერთიო, — უთხრა სვანმა.

— მამითაღე ვორიო!

— მინემ მყავდა ღორიო, არც მაკლდა ღორიო, არცა მისი
ქონიო.

— მამითაღე სამიო!

— სამი ისარი ავაგდე, დევის ყურები ავაგეო.

— მამითაღე ვოთხიო!

— ვოთხი ფარა ცხვარი მყავდა, არც მაკლდა ნაპარსი, არცა მისი
ყველიო.

— მამითაღე ხუთიო!

— ხუთი ძმაკაცი რომ სახლში იქნება, იმათ რა გაუქირდებაო.

— მამითაღე ექვსიო!

— ექვსი უღელი ხარი მყავდა, ვხნამღი, ვფარცხავღი, ცოლს.
შვილს კარგათ ვინახამღიო.

— მამითაღე შვიდიო!

— მოვმართე მშვილდიო.

— მამითაღე რვაო!

— ტყეში მტრედი მოვკალი, მოვიტანე და დავიწყე ბღღვნაო.

— მამითაღე ცხრაო!

— აქედანა გამეცალე, თორემ გაგიწყრება ანგელოზიმცაო.

ეს რომ უთხრა სვანმა, ტყის კაცი ადგა და მოშორდა, გაიარა
პატარაზე და დაიკვილა გახარებულმა. მისი სიხარული ეს იყო, რომ
შუალამისის მოვიდოდა და მძინარე სვანი უნდა შეეჭამა. მაგრამ
სვანმაც ხერხი იხმარა, დაანთო დიდი ცეცხლი, შამოიხსნა ხანჯალი,
დაარქო ცეცხლიპირას მიწაში და გადაათარა ნაბადი. თითონ გატენა
ვორი ტყვიით თოფი და ავიდა ხეზედ. შუალამის დროს მოვიდა
ტყისკაცი. გაშალა ხელები და დაეცა გულით ხანჯალზედ, — მძინარე
კაცი ეგონა. ხანჯალი გულში შეერქო. ტყის კაცმა დაიყვირა,
გამწარებულმა გამოაძრო გულიდან ხანჯალი და გადააგდო. ამ დროს
სვანმა ზევიდან ვორტყვიანი თოფი შიგ ბეჭებში დაარტყა. ტყის
კაცმა დაუძახა: ერთი კიდევ მესროლეო. სვანმა უთხრა: ჩემგან ეგ
გეყოფა და ერთსაც წმინდა გიორგი გეხვრისო. წავიდა ტყის კაცი,
ჩაუარდა იქვე ტბაში და მოკვდა. მოვიდნენ ტყის კაცები და დაიწყეს

ტირილი, — ჩვენი იბრუხი მოკლესო. გათენდა დილა, ჩამოვიდა სვანი ხიდან, აიკიდა ნანადირევი ზურგზედ და მოვიდა შინ მშვიდობით.

14. ეშმაკი და ანგელოზი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბერიკაცი. ღარიბი იყო, არაფერი ჰქონდა, ჰყავდა ბებერი ცოლი. ერთხელ მივიდა მასთან ეშმაკი, მისცა ერთი ძროხა და უთხრა: ეს ძროხა წელიწადში ორ მოზვევრს მოგცემს, შვიდ წელიწადში შენ გეყოლება შვიდი უღელი ხარი. მაშინ მე მოვალ შენთან, ერთ გამოცანას გეტყვი: თუ ამიხსნი, — იმ ხარები შენი იყოს, თუ ვერ ამიხსნი, — ჩემი იყოსო, და წავიდა.

შვიდი წელიწადი რომ შესრულდა და ეშმაკის მოსვლის დრო მოახლოვდა, იმ ბერიკატთან ანგელოზი მივიდა და სახლში ღამის გათევიანება სთხოვა. ბერიკაცი მოელოდა ძროხის მიმყვანი ეშმაკს მისვლას სტუმრად და ანგელოზს უარი უთხრა. მაგრამ ანგელოზი მაინც არ მოშორდა და სახლში შეჰყვა. ამ დროს მოვიდა ეშმაკი და რამდენიმეჯერ დაიძახა:

— ერთი და ერთიო!

პირველად და მეორედ ანგელოზმა ხმა არ გასცა. მესამედ რაიმე დაიძახა ეშმაკმა, ანგელოზმა მიუგო:

— ნწყალობდეს ღმერთიო!

მაშინ მათ შორის ასეთი ლაპარაკი გაიმართა: ეშმაკმა უთხრა:

— ორი და ორიო!

და ანგელოზმა:

— ლორი ბევრი მქონდა, შაშხი და ნედლიო.

— სამი და სამიო!

— სამი ისარი შევაგდე, სამი დევის ყური ავაგეო.

— ოთხი და ოთხიო!

— ოთხი ფარა ცხვარი მყვანდა, ბამბა ბევრი მქონდა და მატყლიო.

— ხუთი და ხუთიო!

— ხუთი ძმა რომ სახლში ვიყოთ, რათ უნდა გვაკლდეს ჭადიო.

— ექვსი და ექვსიო!

— ექვსი უღელი ხარი რომ მყვანდეს, კარშიდაც კარგი ვიქნები და სახლშიდაცო.

- შეიდი და შეიდიო!
- შეიდი ნაქმარები ქალი ღმერთმა მტერს მისცეს, და მოყვარეს აშოროსო.
- წყალში რით გამოდიო?
- სამფეხი ბუნჭვლითაო.
- გუბე ყოფილაო!
- გუბე როგორ ყოფილა, — ყორანს რომ სამი ლუკმა ხორცი მოჰქონდა, შიშით პირიდან გაუვარდაო.
- ბახალა ყოფილაო!
- ბახალა როგორ ყოფილა, — სამი ფრთა გაშალა და სამი სოფელი დაფარაო.
- სამი მოსახლე კაცი ყოფილაო!
- სამი მოსახლე კაცი როგორ ყოფილა, — თავს ბუკი დამეკრა, ბოლოში კაცი ვერ გაიგონებდაო.
- ყრუ ყოფილაო!
- ყრუ როგორ ყოფილა, — იალბუზის მთაზედ რომ ბუზები წაიციდებოდნენ, აქედგან სამართალს უჩენდაო.
- ღერბინდი ჰქონიაო!
- ღერბინდი როგორ ჰქონიაო, — თავის ღღუში სარკეში არ ჩაუხედავსო!
- ზარმაცი ყოფილაო!
- ზარმაცი როგორ ყოფილაო, — მარნის კვირისტავს ფეხზე წამოიცვამდა და კურღლელს ისე იჭერდაო.
- ბოცორი ყოფილაო!
- ბოცორი როგორ ყოფილაო, — ბატონს მისი ტყავით ქურქს უჭერავდა და რაც გადარჩებოდა, ოხრად დარჩებოდაო.
- ოხრაზინა ხარ შენაო?
- აბა ბერი მამაშენიო?
- ცოლი ორსული დატოვეო?
- [აბა შეილი არ უნდაო?]
- ორი ბოვში ყოლიაო.
- ერთს ორი არ სჯობიაო?
- ერთი ქე მომკვდარაო.
- ორივე რომ დარჩენილიყო, გაზრდა არ უნდოდაო?
- მეორეც ქე მომკვდარაო.
- განა ტოლს ტოლი არ უნდოდაო?

- ცოლიც ქე მომკვდარაო.
- ბოვშებს გამზდელი არ უნდოდაო?
- წითელი ხარი დაუკლავთო.
- საინს სულს ჭამა არ უნდოდაო?
- შენთვის ბეჭი შეუნახამთო.
- და მე ჭამა არ მინდოდაო?
- ის ბეჭი ძაღლს შეუტყამიაო.
- მას ჭამა არ უნდოდაო?
- ოხრახინა სცდესო!
- ეშმაკი სკდესო!

მართლა გადაირუნდა ამ დროს ეშმაკი და მოკვდა.

15. ნაგვნიჲი ზემთხვევა დიკლოზი

კავკასიის მთის სხვა და სხვას სოფლებში, სადაც მსცხოვრობენ ლეკნი, დიდონი, ქისტნი, ხევსურნი და თუნნი, მანამდის შეაქნებოდენ ერთი სანჯღოდ, ძველას ძველად ჩვეულებად დაედოთ, რომ, როდესაც მოინდომებდნენ, ერთი თენი მეორე თემს მოციქულებს მიუგზავნდა — ჩვენში მეგობრობა დავსდოთო და რამდენის წლით ორივეს მხარესა მსურდათ, დაჰსდებდნენ მეგობრობასა და ნამუს-პატიოსნებასა. ეს იყო იმათი შერიგება. ისინი შეკრულნი იყვნენ მტკიცე პირობით; არც ერთს მხარეს არ შეეძლო დანიშნულს ვაღამდის მიხდომა, ტყვეების მოტაცება და სისხლის ღვრა; ისინი მშვიდობიანათ დადიოდნენ ერთმანეთში. აგრეთვე დიდობის ჩვეულებათ იყო მიღებული მეგობრობა; რაკი დიდო ერთხელ თავის თავს ვისიმე ამხანაგს დაუძახებდა, თუნდა პირობა კიდევ შესრულებულიყო ამხანაგობაზე, თავსა მსდებდნენ. დაიწყებდა სიარულს, დიდოდამ გამოიპარებოდა და მიეღოდა თავის ამხანაგთან. ტყუილსა თუ მართალსა თავიანთ ქვეყნის ამბავს მოჰყრებდა და ჩამოუტანდა, რადგან ამას შიმშილი აწუხებდა. როდესაც გაზაფხულდებოდა, ის ამხანაგი ბევრჯელ ჯარს თითონვე ბელადათ მოუძღვებოდა ამხანაგისვე სახლის ასაკლებად. ამ ზენოთქმულის ჩვეულების დაგვარად, მოხდა შერიგება ათას რვაას ოცდათორმეტში.

ათას რვაას ოცდათორმეტში მოინდომეს დიდოს სოფლებმა, და

ამათმა ნაიბმა აღდამის შვილმა ამირხანმა, პირიქით თუშეთის სოფლებთან პირობის დადგენა. ეს ამირხანი ღიღობი-ტუტით მივიდა დიკლოსა და შანაქოში და გამოაცხადა, რომ შერიგება სურს. თუშებმაც ეს სიამოვნებით მიიღეს. ორთავე მხარის თანხმობით ოთხის წლით დასდევს პირობა; ერთმანეთს შეუცვალეს ნამუსი და ვაჟკაცობა. ხელშეკრულებით აღარ შეეძლოთ ერთმანეთის მტრობა. თუშნი უშიშრად დარჩებოდნენ ხოლმე დიკლოში და შანაქოში, ზამთრობით აღარ ჩამოდიოდნენ კახეთის სოფელ ალვანში. ათას რვაას ოცდათექვსმეტში თებერვლის თორმეტს დიკლოში მცხოვრებ ღვთისია გოჩოშვილს შუალამის დროს ვიღაცამ კარზე დაურაკუნა და დაუძახა: „ღვთისიავ, ღვთისიავ, გამიღე კარი“, მაგრამ ღვთისიას და მის სახლობას ეძინათ. კიდევ მეორედ ღონიერათ დაუწყო კარებს რახარუხი და უძახოდა: რა არის მაგისთანა ძილი, რა დაგმართნიო. ჩქარა გამიღეთ კარი, არ გესმით?

ღვთისიას გამოეღვიძა. ყური მიუგდო, ხმა იცნო თავისი მეგობრისა. წამოდგა და გაუღო კარი. იცნო და შესძახა: აა, შენა ხარ ბოლქვი! ამ დროს სიარული ამგვარ სიცივეში ვის გაუგონია, რათ დაგიგვიანებია, შინ შემოდი. შევიდა ერთი თავიდან ბოლოჯდის გაწუწული მალაღის ტანის ჭრელთვალა დიდო, რომელმაც ღვთისია საჩქაროთ გადაკოცნა. ღვთისიამ კარი ისევ მიკეტა და ბოლქვი შუცეცხლისაკენ მიიპატიჟა, თითონ შეშა მიუმარჯვა, ბოლქვმა ნაბადი მოიხსნა, ცეცხლის პირას დაჯდა. თბებოდა და თან ლაპარაკობდა: საშინელი თოვლის ზვავებიაო. — დღეს საიდან მოხვალ, ძალიან დაგიგვიანებია. — მამლის ყიულს უკანვე უნდა დაებრუნდე. — ამ დროს მოსვლა და მერე ისევ დაბრუნება რა ამბავია? — გეტყვი, მაგრამ ჭერ დაიფიცე, რომ არ გამცემ. — რაღა ფიცი გეჭირება, განა ისე ვერ მიცნობ? — არ გამცე, თორემ ამხანაგებმა თუ გაპავეს, მე ჩემის ცოლშვილით ამომწყვეტენ.

ღვთისია გოცებული დარჩა. — რათა? ჩქარა მითხარ, ნუ შემაშინე! — აი ამხანაგო, რა ამბავია, გითხრა. აღდამის შვილს ამირხანს ამ გაზაფხულზე თქვენი ღალატი სურს. ჩუმათ მეჩეთში შეეყარა ახახოსა და ხუბერის ხალხი, ახლო-მახლო სოფლები, რჩევა გაეკეთებინა. ასე რომ, როდესაც თოვლი მოვიდეს და აქედან კახეთში გადასასვლელი გზები შეიკრას, შეიყარნენ ჭარათ და თქვენი სოფლები წაახდინონ. მანამ აქეთ არ გამოემგზავრნენ მე ეს ამბავი არ გამიგია, ეხლა კი მითომ საომრად გამოჰყე და გზიდან ჩუმათ გამო-

ვეპარე. რომ არ შემეტყობინებია მეშინოდა, შენმა პურ-მარილმა არ მომკითხოს! ღვთისიას მწუხარებით თავბრუ დაესხა და უპასუხა: თუ ჩვენი დახსნა გინდოდა, ერთი დღის წინ მაინც გამაგებინებდი. ეხლა რაღას მიშველის, თუნდა მცოდნია, თუნდა არა! — გათენებამდი ჯარი ვერ მოაღწევს, მანამდე უშველე შენს ცოლ-შვილს!

ღვთისიამ ხმა აღარ გასცა და თავის სახლობას დაუძახა: ადექით, არ გესმით რა უბედურ დღეში ჩავცვივდით! ღვთისიას სახლობას ეს ანბავი ყველა წვრილათ ესმოდა, მაგრამ შიშისაგან სდუმდნენ. დედა ღვთისიას წუწუნით ეხვეოდა: შვილო, რა უნდა ვქნათ, სად მიგვაფარებ ამ ცივს მთებში, გზები ხომ შეკრულია შენი კენესამე! — კოშკში, დედაე, გზა სადღა არის. ბარგი იქ ზევით აზიდეთ. ახლა დას დაუძახა: ქანდა, რამე ყველი და ხმიალი მოუტა ამხანაგსა. ამხანაგს ტაბაკი დაუდგა და კოშკში ბარგს დაუწყო ზიდვა. ღვთისიას ცოლმა შვილი გააღვიძა და გულში ჩაიკრა. ღვთისია თან თოფსა სწმენდდა და თან ცოლს ელაპარაკებოდა.

— ბეჩამ მარიამა, შენი სიყვარულით გამაძლარიყავ მარცა. ჯარიანობასა და ცხვარში სიარულით დავალამე ჩემი წუთისოფელი.

მარიამმა ამ სიტყვებზედ ცრემლები გადმოჰყარა და უპასუხა: — ნეტავ აქამდის გავწყალებულიყავ! ნუ გეშინიან შე უბედურო, მაინც მე იმათ ხელში არ ჩაუგდებ ჩემს თავსა. ნუ გეშინიან ბეჩაო, მანამ ცოცხალი ვარ ეგ არ იქნება. მარიამ თავ-პირში იცენდა და თან ეხვეწებოდა: თუ დავიხოცენით ერთად დავიხოცოთ, თუ ვიცოცხლოთ — ერთათ ვიცოცხლოთ!

ამათ ლაპარაკში ამხანავი გამოძდა და გაემგზავრა. ღვთისიამ გარეთ გამოაჯილა. ნახა რომ მტრედის ფერად იყო ჯარი. მაშინვე ცოლს მიაძახა: დრო აღარ არის მანდ ყოფნისა, ჩქარა კოშკში ადით. თითონ აქეთ-იქით მეზობლებს გადასძახა: დიდობებმა გვიღალატეს, თქვენ თავს უშველეთ ძმებო! ამათზე ახლო იდგა გოგონაურის ცოლი მათა, გამოიქცა იგი და ამათს კოშკში ავიდა, ჩამოკეტა კარები. ღვთისია იმედს იძლეოდა: მანამ ტყვია და წამალი მაქვს, რაც უნდა დიდი ჯარი შემომეხვიოს, არ წავაყვანიებ თქვენს თავსაო.

ყველანი ტირილით ღმერთს ეხვეწებოდნენ. ამ დროს სოფლის ბოლოდამ მოისმა დაფა-ზურნისა და ჯარის ხმიალობა. მთელი დიკლოსა და შანაქოს ხალხი აიშალა. შეიქნა წივილი, კივილი, თოფის სროლა და უშველებელი ვაების ხმა. ლეკები შემოესივნენ გულდამშვიდებულ თუშებს და დაიწყო სისხლის ღვრა. ყოველ მხარეს ტი-

რილის ხმა გაისმა. თუშები თავიანთ გმირობას არ იშლიდნენ, მაგრამ გაქცევის გზა კი არსაიდა ჰქონდათ. ვინც კოშკებში შეასწრო — გამაგრდნენ, ვინც არა და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ომობდნენ. სამი ათასი თოფ-იარაღიანი ლეკის ჯარის უეცრად ნამძინარებზე თავდასხმა ძნელი იყო. დაერივნენ და ჰხოცდნენ, ბარგსა და საცხოვრებელს იკლებდნენ. იყო ერთი საშინელი ანბავი. მესამე დღეს ლეკებმა სამასი სული ტყვე გაისტუმრეს დიდოეთში. რომელი თუშებიც კოშკში იყვნენ შეხიზნულნი, ახლა იმათ დაუწყეს ბრძოლა. კოშკებშიაც ორი დღის განმავლობაში დაატყვეს, რომ ტყვია-წამალი მალე დაეღვეათ. ერთი კოშკიდან სამი ბიჭი გააპარეს და შეთეს ტყვია-წამალი სთხოვეს. შეთე იმეხმად თავის სახლში თუშეთისავე სოფელს ქუმელაურთქარს იყო და დაფიქრებული გაჰყურებდა კავკასიონის თოვლიან მთებს. ვინ იცის რომელი გამარჯვება ან გრძნობის შემარყვეელი შემთხვევა აგონდებოდა დაღესტანში და საქართველოში. ბევრნი იცნობდნენ შეთეს და იმის ვაჟეაცობას. შეთე-თუში ხიფათიან ცხოვრებას სიყრმიდანვე დაჩვეული იყო. უყვარდა სადავლაოთ მთებში სიარული. თვეში ერთხელ და ორჯელ რომ არ შეხვედროდა ლეკებს და არ გაემარჯვა, არ იქნებოდა. როცა სადავლაოთ წავიდოდა, ორი ან სამი თუში უნდა წაეყვანა. მეტს არ გაიყოლებდა. მაგრამ, რაც უნდა დიდ ლეკის ჯარს შეხვედროდა, მაინც მშვიდობით გამოვიდოდა ხოლმე. მრავალგან კი იყო დაქრილი. მტრის კონტახისცემით ლოყაზედ მუშტის ტოლი კოჟოყი ჰქონდა. სხვადასხვა ლაშქრობაში მონაწილეობის გამო ბევრჯელ იყო მთავარმართველებისაგან დაჯილდოვებული. დაღესტანში იმისი სახელის გაგონებაზე წრწოდნენ ლეკის დედაკაცები. შვილს დაემუქრებოდნენ: ნუ სტირი, თორემ შეთეს მიგცემო! — ერთხელ თურმე კიდევ ახდა ეს დამუქრება. დიდოში ერთმა ლეკის დედაკაცმა შვილს ტირილი დაუშალა, მაგრამ ყმაწვილი არ გაჩუმდა. გაჭავრებული დედა წამოდგა, ბავშვი აიყვანა და უთხრა: რადგან არ გაჩუმდი, აი ახლა შეთეს მიგცემ თავი გამოგქრასო. ამ დროს სადავლაოთ წასული შეთე იქ იდგა და ყურს უგდებდა. დედაკაცმა ყმაწვილს ფანჯარაში თავი რომ გააყოფინა, შეთემ დაჰკრა ხანჯალი და მარტო ტანიდა შერჩა დედას ხელში. ქალმა რომ შეჰკივლა, კაცები გარეთ გამოცვივდნენ. შეთე და იმის ამხანაგები ახლა იმათ მიუბრუნდნენ. ორნივე დახოცეს და მარჯვენა ხელები დაჰკრეს. მანამ სოფელში კიჟინა შეიქნებოდა და მღვეარი გამოუღდებოდათ, ესენი მთას შე-

ფეარნენ. მრავალი ამგვარი შემთხვევა გადახდომოდა თავს შეთეს ჩუმად და ცხადად.

შეთემ შორიდანვე დაინახა ბილიკზედ ჩამომავალი სამი თუში-ადგა და შეთეც გარეთ გამოვიდა. მგზავრებმა მალე მიატანეს შეთეს სახლს. მოვიდნენ და სალამი მისცეს, საჩქაროთ შეატყობინეს დიკლოსა და შანაქოს აკლების ანბავი. შეთემ ოთხი ბიჭი გამოარჩიო: კახო გიგაურის შვილი, გიო, ბერა და ფანდურა. უთხრათ: ბიჭებო, ჩვენი გაჭირვებინს დღე ეს არის. ერთ დღეს დაბადებული ხართ და ერთ დღეს თუნდა დაიხოცენით. ეს ანბავი კახეთში უნდა შეატყობინოთ ჩვენ მოურავს. ხომ იცით, ის ჯარს შეჭყრის და მოვეშველეთ. გაისტუმრა ეს თუშები და თითონ კიდევ გამოარჩია შვილი ბიჭი, აჰკიდა თითო გუდა წამალი და წავიდა დიკლოსაკენ.

კახეთისაკენ მიმავალი თუშები შეუდგნენ უშველებელს კავკასიონის მთას, მიდიოდნენ უგზო-უყვლოდ, საშინელს თოვლსა და ყინულზედ, ხან სად დაეცემოდნენ და ხან სადა ცურავდნენ. ღამე მიატანეს ხეობასა და ტყიანს ადგილს, დასჭრეს თხილის ტოტები, გაიკეთეს თხილამურები და ისე იარეს ზევევებზე. საშინელი კლდიანი ადგილები შეხვდათ. ერთ მთის წვერზე გიო გადაუვარდათ, იგი თვალის დახამხამების ხანში დაეკარგათ. შეწუხებულნი და ფეხებდამზრალნი ჩამოვიდნენ მეოთხე დღეს ალვანში და ყოველივე აცნობეს თავიანთ უფროსს მიხეილ ჩოლოყაშვილს. იმანაც საჩქაროდ აცნობა მთავრობას და მოახდინეს განკარგულება, შეჰყარეს ჯარი და გასწიეს თუშეთს მისაშველებლათა.

წინდაწინ რომ შეთე წავიდა, შუალამეს მიატანა იმ კოშკებს, საიდანაც ტყვია-წამალი სთხოვეს. თუშები შეწყვედულები იყვნენ. ლეკებს გარს სანგლები გაეკეთებიათ. შეთე ჯერ ჩუმად მიეპარა და მოუკლა რამდენიმე ყარაული, შემდგომ შეუტია ხმამალა: აი, თქვენ წუნკლებო, შეთეს მეძახიან, შეთე მოვედი და გიჩვენებთ სეირსა! დაუშინა თოფები. ამ ხმაზედ აიშალნენ ლეკები და შეიქნა აქეთიქით რყევა. ლეკებს ეგონათ დიდი ლაშქარი მოვიდაო. ღამის სიბნელისგან ვერ არჩევდნენ და ერთმანეთსავე ჰხოცავდნენ. შეწუხებულ თუშებსა და მათ ცოლშვილში შეიქმნა დიდი სიხარული. ამ დროს შეთესთვის მოუკლამთ ნაკუდა თავბერის შვილები.

ღვთისიას კოშკი განაპირებით იყო და ვერ შეუტანეს ტყვია და წამალი. ღვთისია ოჩიშვილი მარტოობისთვის არა სწუნდა, ცოლი უტენდა და ქმარი ისროდა, მაგრამ ტყვია-წამალი რომ შემოაკლდა,

ამ კოშკილამ თოფის ხმა კანტი-კუნტადლა გამოდიოდა. ეს ლეკებმა შენიშნეს, მოვიდნენ და შემოეხვივნენ. სცდილობდნენ ასვლასა. მეტი გამაგრების ღონე აღარ იყო. ღეთისიამ უთხრა თავის სახლობას: ჩემი განძრახვა ეს არის, მე გავალ და მანამ შემეძლება ვიომებ, ისინიც მომკლავენ.— თქვენ ტყვეთ წაგიყვანენ და ერთიც არის ჩვენიანი დაგისხნიან.

ეს უთხრა თუ არა, აილო ერთი მუქა მიწა, პირჯვარი დაიწერა და შექცა, ეს იყო ნიშანი ზიარებისა. ნიუბრუნდა, გადაეხვია ღედას, დაჰკოცნა ცოლსა, დასა და შეილსა. კარი რომ უნდა გაეღო, მისწვდა მარიამ და დაუქირა ხელი. — რას შერები ღეთისიავ. მანამ ცოცხალი ვარ, სად გაგიშვებ, ეგ რა პატროსნება იქნება, შენ გახვალ და მოგკლავენ, ნოხუცებულს ღედას გადაკაფენ; შენს ცოლს და დას გააუპატიურებენ. შენს შვილს ტყვეობასა და სატანჯველს გამოატარებენ! არ იცი, რომ ჩვენი უპატიურობა შენ მკვლარსაც მოგეკითხება და ამ უკანასკნელს ჟამში თანაც საწუხრად გაგყვება! ნამუსიანად ერთად დავიხოცნეთ! ღეთისიამ უპასუხა: მაშ, რა ვქნა? რა გიყოთ, ერთად გავიდეთ და რაც მოგვივა, მოგვივიდეს.

— არა, არა, აი რასა იქ, ღეთისიავ, — ეუბნებოდა მარიამ, — აიღე ხანჯალი, ჯერ მე მომკალ, რომ ჩემი ბასილასა და შენი სიკვდილი არა ვნახო; მერმე ეს მოხუცებული ღედაშენი, რომ ამანაც არ ნახოს შეიღებისა და შვილიშვილის სიკვდილი, მერმე შენი დაი და მერმე შენი შვილი, შემდეგ გადი და ისინი შენც მოგკლამენ. თუ ნამუსი გაქვს, ამ ჩემ თხოვნას აღასრულებ. მარიამ მიუბრუნდა ღეთისიას ღედას და დას: თანახმა ხართ თუ არა?

ღეთისიას ღედა კრინტწასული ძლივსდა ხრანტალებდა: მაგრე სჯობს, შვილო, მაგრე! — არ მოგეშვებით, — სთქვა ქანდარამ. სწორედ, მაგრე უნდა ჰქნა.

ღეთისიას აქეთ-იქიდან ტირილით ეხვეოდნენ და ესალმებოდნენ. ღეთისიამ დაიწერა პირჯვარი და ასე სთქვა:

— ღმერთო, შენა ხარ მალლიდან მაყურებელი, რა მდგომარეობაშიც მე ეხლა ვარ, და რა სატანჯველი სიციცხლითა ვნახე. ამათ მოვალეს მაინც ნუ გამხდი და ცოდოთ ნუ დამედება კისერზედაო. დაიწერა პირჯვარი და ამოილო ტირილით ხანჯალი, გადაეხვია ცოლსა და დაჰკოცნეს ერთმანეთი, მერმე გადაიწია მარიამმა ყელი და უთხრა: „ჰა, მომკალ, შენი ჭირიმე, რაღა ხელები გიკანკალებს! არ გესმის, კარებს ამტვრევენ?“ გამოუსვა ღეთისიამ ხანჯალი და თითო-

ნაც ხის ფურცელივით ათროლდა. მარიამ დაეცა მკედარი, ბასი-
ლამ შექნა ღრიალი. ახლა დედა მიწვედა ღვთისიას; ჯერ შეილო,
მე მომკალ, გენაცვალე! ღვთისიამ ძუძუები დაუკოცნა და ამასაც
გამოსკრა ყელი, მერე ქანდა გადაეხვია ამ სიტყვით: „ნულარ
აგვიანებ, შენი ჭირიშე, ძმაო!“ ღვთისიამ ახლა დას დაუწყყო გამო-
სალმება და გამოსკრა ყელი. ახლა ბასილა ჩაიკრა გულში და უგო-
ნოსავით დარტყიანდა. ლეკებმა დაუწყეს ზეეითა კარებს მტერვეა.

ღვთისიამ შერლსაც გააგდებინა თავი. აილო თოფი და გამოსვლა
დააპირა. ახლა მოსწვდა მათა გოგონაურისა: „შენი ქრისტეს სიყვა-
რულისათვის, მეც შენი ხელით გამომკერ ყელი, იმათ ხელში ნუ
ჩამაგდებ!“ ღვთისია შედგა და ასე უპასუხა: „არა დაო, მათავ, შენ
ღვთის გულისათვის უნდა მოითმინო, რომ შემდგომ ჩემი სიკვდი-
ლისა უანბო ყველას ჩვენი ამბავი და გამამართლო თემობაშია“.

ღვთისიამ საჩქაროდ გადატეხა თოფი, რათა მტერს არ დარჩენო-
და და ხმალამოწვდილი გადახტა. გაერია ლეკებში, მოკლა ერთი,
მეორე, მესამე და ლეკებმა დაუშინეს თოფები და საწყალი ღვთი-
სიაც შოკვლეს. შევიდნენ, რაც იქ ბარგი იყო, სულ აიკლეს, და
კოშკს ცეცხლი წაუქიდეს. მათა გოგონაურისა ტყვეთ გაისტუმრეს
და დარჩა ეს ამბავი თუშეთში სახსოვრათა.

შეთემა და კოშკში მყოფელებმა დაინახეს, რომ ღვთისიას
კოშკს ცეცხლი ეხვია. დიდ ნწუნარებს მიეცნენ. შეთემ მოინდომა
გამოსვლა და მიშველება, მაგრამ თუშებმა უთხრეს: ეხლა ტყუილი
გასვლა გვექნება, თუ ღვთისია, ან მისი სახლობანი ყოფილიყვნენ
და მივეშველებოდით, კარგი იქნებოდა, თუ არა და ეხლა, როცა ლე-
კები კოშკში ავიდნენ და ცეცხლი წაუქიდეს, ეტყობა, ისინი ან
დახოცეს ანდა ტყვეთ გაისტუმრეს. რილასათვის უნდა ჩავიდეთ!?
რაც შეგვეძლება აქედან ვიომოთ, რომ ჩვენც არ შემოგვივიდნენ.
ხომ ხედავთ რაერთი ლეკი გვახვევია გარშემო. ჩვენც როგორ უნდა
გაუმაგრდეთ! თუ კახეთიდან ჯარი არ მოგვეშველა, დღეს იქნება
თუ ხვალ, ამოგვხოცნო.

ამ სიტყვებით დაიწყეს ბრძოლა და კოშკების კვლავ გამაგრება
იმეჟავდ უფროსჰაც მოაღწია. ლეკებმა რა სცნეს უეცრათ ჯარის
გამოჩენა. შეექნათ არეულობა. აღარ იცოდნენ რა ექნათ, ბოლოს
გაიქცნენ და გამოუდგათ ქართველებისა და თუშების ჯარი; ზოგს
თოფით ჰხოცდნენ, ზოგიც კლდიდამა სცვიოდა. ხუთასი ლეკი დარ-
ჩათ მკედარი. ესრეთ გადაუხადეს თუშებმა მაგიერი, ვაჟკაცური

მხნეობა გამოიჩინეს, გაიმარჯვეს და დამარცხებული ლეკები გააქცის.

ასე თავდება თუშის ნაამბობი.


16. სილნალის ციხე

სილნალის ციხე შიგ ქალაქში იმყოფება. ციხის სიგრძე იქნება სამსი საყენი და სიგანეც ამდენივე. შიგ ციხეში მცხოვრებნი იქნებიან ასე ასორმოდდათი კომლი. ვენახი ამდენივე თუა, არა მომეტებული. ციხეში არის ორი საყდარი, ერთი ქართველისა და ერთი სომხისა. ციხის სიმაღლე იქნება სამი საყენი. ამ ციხეს აქვს ოთხი დიდი უზარმაზარი ალაყაფის კარი და ამასთანავე რანდენიმეც პატარაები. როგორც გამიგონია უხუცესი მამა-პაპებისაგან, ამ ციხეს ესეთი მნიშვნელობა ჰქონია, როგორიც რომის კრემლს შიშინობის დროს. ეს ციხე არის აშენებული მეფე ირაკლის დროს. ყოველ თვე გააწერდნენ ბეგარას თითო სოფელზედ — ისინიც მოვიდოდნენ თავიანთი ცოლშვილით და ხარკამეჩით. დაწყობილ საგარეჯოდამ ყოველივე თითო თითო სოფელი — ბეგარა. ესლაც გახლამთ ნიშნები თითო სოფლის ნამუშევრისა.

ციხეში არის ოცდაათ ბურჯამდინ და ათი ამდენი პატარები. დიდი ბურჯები ანუ კოშკები ზოგი სამი ეტაჟია და ზოგი ორი. ერთ დიდ კოშკიდან პატარა კოშკამდინ ერთი სოფლის ნამუშევარია. სილნალი. სწორე მოგახსენოთ, უწყლო ქვეყანა არის. რადგანაც მაშინ დაუსვენებლივ შენობების ბუშაობა იყო, აბა საიდან მოეტანათ წყალი! როგორც ზევით მოგახსენეთ, თითო ბეგარა მოდიოდა; თან მოელალებოდნენ თავიანთ ფურკამეჩებს. რძით ურევენენ ქვიშასა. ის ციხე ასეთი მაგარი გახლამთ, რომ ერთ კენჭს ვერ გამოიღებთ. ესლანდელი კალატოზები კვირობენ, უწინ უფრო კარგი შენობები ყოფილაო. ამ ციხის გარეთ კლდეობებზე თურმე ვერ აშენებდნენ. წავიდნენ მკითხავსა კითხეს: რა მიზეზიაო? მკითხავმა უთხრა: მანამ მავან და მავან დედისერთას არ ჩაატანთ, არ აშენდებაო. მართალი გახლამთ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მე თვითონ მინახავს იმ ალაგას ცოტათ წითლათ არის და ამის შუა როგორც თვალივით ირის. ამობენ: ყოველ წითელ პარასკევს სისხლი გამოდისო.

ქართველის საყდარი არის აშენებული შიგ ბურჯში. როცა პირველად რუსები შემოსულან სიღნაღში, ქართველებს არ მიუღიათ. რუსები ამ საყდარში შესულიყვნენ. ქართველები შემორტყმოდნენ ამ ციხეს და გარედან დეეკეტნათ და შიგნიდან რუსებს. იქიდგან რუსები პარკებით ფულს უყრიდნენ ოლონდაც ნუ დაგვხოცოთ, მაგრამ ქართველებს თავიანთი არ დაეშალათ და ეხოცათ. ამ დროს ყოფილიყო ნაცვალი ერთი სომეხი კარაპეტ სარქისოვი, რომელსაც ამ დროს კარგი ფული შეეკრიფნა. ის მოკვდა ძალიან ბებერი ჩემ დროს. როცა უნდა ჩაესვენებინათ საფლავში, საფლავი ორ არშინზე ჩაწვა (თითონ მე მნახველი ვარ). იმის შვილიშვილები ნახევარი მილიონის პატრონნი არიან, მაგრამ ერთმანეთზე ენატანიები. ნათქვამია: უოფლნაწურო ფულსაო ეშმაკები წაიღებენო.

იმ ბურჯის კარები ვერაინ ვერ გააღო. ბოდბიდამ ერთი ღვდელი, — ზოდიაშვილი, — მისულიყო შემოსილი და ეთქვა: გამიღეთ, მე ღვდელი ვარ, არაფერს არ გიზამ! დეეჭვრებინათ და გველოთ. ამ ღვდელს ანაფორის ქვეშ ამოღებული ხანჯალი სჭეროდა, როცა გველოთ: კარები, ღვდელს ხუთი კაცი მეეკლა, მერმე შესულიყვნენ ქართველები, რუსები სულ ამოეხოცათ. ეს ბურჯი სისხლით სამსე ყოფილიყო. ვერც იმ ღვდლის სახლობამ იკეთილა. იმის შვილმა გატეხა საყდარი და ციმბირს გაგზავნეს. ეს საყდარი მეორეთ აშენებულია პაპიჩემისაგან. საყდრის შესავალ კარებში არის დატანებული ქვა და ზედ სწერია: „აღშენებულია ეს საყდარი თემურაზ ნაცვალ ჩერქეზოვისა“, რომელიც იყო პაპაჩემი დედით.



1. ზარმაცი ქმარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მარტოხელა კაცი, ჰყამდა ცოლი. ეს კაცი ძალიან ზარმაცი იყო. ცოლი თხოულობდა და ქმარს ისე არჩენდა. მოითხოვა ცოლმა პური და ერთი დღის მიწაში დათესა. მოვიდა მომკის დრო. ეს ქალი დღეში ორჯერ ხელამს თავის ყანას, კაცი სრულებით არ უგდებს ყურს და არც უნახამს ყანა. აუტყდა ცოლი ქმარს: ადექი და წადი, ნახე ჩვენი ყანა, გაკეთდა, წახდა, როგორ არის, იმის მეტი არა გვაქს რაო.

წავიდა კაცი, ნახა ისეთი მშვენიერი გაკეთებულია ეს ყანა, რომ პური რო აღარ დატეულა, ნაპირზე გადასულა. დაჯდა კაცი და გულს შემოეყარა ჯავრით: ამას მოვლა მოუნდებაო.

მოვიდა სახლში. ცოლმა ჰკითხა: როგორი არის ჩვენი ყანაო. ქმარმა გალანძდა, რისთვის დათესეო. ცოლმა უთხრა: კაცო რა დაგე-მართა, შენ არ მოგავლევინებო.

როცა ყანის მკის დრო მოვიდა, შეუჩნდა ქმარს: წადი ერთი ხელეური დღეს მომკე, ერთი ხვალ და ძიელ კარგ ხარჯს მოგიტანო. როგორც იყო, გაგზავნა ქმარი.

ცოლმა იფიქრა: მართალია, ჩემი ქმარი წავიდა, მარამ არაფერს მომკისო. ამ ქალს ბატონი ჰყამდა ახლო და მისი ტანისამოსი ითხოვა, შეიკმაზა ბატონის ტანისამოსით და ბატონის ცხენზე შეჯდა. წავიდა ყანაში, მივიდა, ნახა ქმარი ჩრდილში დამჯდარა და ნამ-

გაღს ლესამს: გამარჯვებო, — უთხრა ცოლმა. ღმერთმა გადღე-
გრძელოსო. ჰკითხა: ეს ყანა პენიაო? — ამ კაცს თავისი ბატონი
ჰგონია. ჩემი გახლამსო. მერე მუშაობა ეგრე უნდაო? რა ვქნა, ბა-
ტონო, ძიელ ცხელა და რომ ვიმუშაო, მოვკვდებიო, — უთხრა კაცმა.
გადმოხტა ცხენიდან ეს ბატონი, მიარტყა და მოარტყა მათრახი და
დაუძახა: სად გარბიხარ, მობრუნდი და სანამ ჩამოვივლიდე, მანამ
ეს ყანა მომიკლი დამახვედრეო. ნობრუნდა კაცი, დაადგა ყანას და
დაიწყო მუშაობა.

ცოლი წამოვიდა, ბატონის ტანისამოსი გაიხადა, ცხენიც და ტა-
ნისამოსიც ბატონს დაუბრუნა. გააკეთა კაი სადილი და წაუღო
თავის ქმარს. უთხრა, — მოდი სადილი ჰამეო. — რაღა სადილისა
მცხელა, — უპასუხა კაცმა. — ჩვენმა ბატონმა ჩამოიარა და ნამათ-
რახალი ეხლაც ზურგზე მაჩნია, — მანამ ჩამოვივლიდე ეგ ყანა
გაათავეო, ასე დამიბარაო.

მამ ენგრე მშიერი უნდა იყევო? — ვერ დავისვენებო, — ქმარი
ეუბნება, მაყევი და პირში ლუკმა მაძლიეო. ცოლმა, როგორც
იყო, სადილი აჭამა.

მივიდა საღამოს კაცი შინ და თავი მოიმკვდარა, ვითომ მოკვდა.
ცოლმა სოფელი აწვია, სატირლათ მოემზადა, მარამ იცის, მკვდარი
არ არის. მოვიდა მღვდელი. სთხოვა ცოლმა, — ჩემი ქმრის ანდერძი
მაქვს, ორი ღამე ეკლესიაში უნდა დავასვენოვო. მღვდელმა ნება
მისცა. გაასვენეს ეკლესიაში.

მოვიდა საღამო, წამოვიდა ქალი და მივიდა იმ ეკლესიასთან.
სადაც ქმარი ჰყამს დასვენებული და დაიძახა: ძველო და ახლო
მკვდარებო, წამოდექითო, ზეცას ქვა და კირია საზიდო. გაიგონა
მისმა ქმარმა და იფიქრა: ისევ ქვეყნიერად მერჩია, როგორ უნდა
ვზიდო ზეცას ქვა და კირიო. ქალი სახლში წამოვიდა.

ქმარი წამოდგა, კუბო დაამტვრია და სახლში მოვიდა. დაუძახა
ცოლს: — კარები გამიღეო. — ვინა ხარ, — ცოლმა დაუძახა, — ჯერ
ქმარი არ დამიმარხანს და შენ კარები გაგიღოვო? — მე ვარ შენი
ქმარი, — დაუძახა კაცმა, — იწამე ღმერთი, კარები გამიღეო. გაუღო
კარები და შემოვიდა კაცი. ჰკითხა ცოლმა: რათ წამოხვედიო? კაცმა
უთხრა: ისევ აქ მირჩევნია მუშაობა, იქ ქვა და კირი ყოფილა საზი-
დო. მემრე ისეთი გამარჯვდა ეს ქმარი, რომ ერთმა კაცმაც ველარ
აჯობა.

ჰირი იქა, ლხინი აქა.

2. კუჭია

ერთმა ცოლ-ქმარმა სთქვეს: მოდი ერთი სტუმარი მოვიწვიოთ. დიდი ხანია არავინ დაგვიპატიუნიაო. დაპატიეეს. დედაკაცმა ქათამი დაკლა სადილისათვის, შეწვა და კიღობანში ჩადო. სადილად რო უნდა დამსხდარიყვენენ, დედაკაცი წავიდა ქათმის მოსატანად. რაწამს კიღობანს ახადა, კუჭმა ჩაყლაპა დედაკაცი. მერე ქმარი წავიდა, ახადა და ეს კაციც ჩაყლაპა. მართო ერთი სტუმარი დარჩა. ამ სტუმარმა იფიქრა, რატომ არ მოაქვთო, იქნებ რამე ვქამო და მერმე წავიდე შინაო: წავიდა, ახადა კიღობანს და ისიც ჩაყლაპა კუჭიან. მერმე ეს კუჭია კიღობანიდან გამოვიდა და ქუჩის კარებზედ დაჯდა. ყმაწვილებმა გაიარეს. კუჭიან დაუძახა: ყმაწვილებო, აქ მოდიო, რა გითხრათო. ყმაწვილები მივიდნენ. კუჭიან უთხრა: დედაბერი ყლაპო, მამაბერი ყლაპო, მასტუმარი ყლაპო, მოდი თქვენცა ყლაპო! და ყმაწვილებიც ჩაყლაპა. ამ დროს გაიარა ღორ-ხბომ. კუჭიან დაუძახა: აქ მოდიო, ღორ-ხბო, რა გითხრათო. ღორ-ხბო მივიდა. კუჭიან უთხრა: დედაბერი ყლაპო, მამაბერი ყლაპო, მასტუმარი ყლაპო, ყმაწვილები ყლაპო, მოდი თქვენცა ყლაპო!

დაალო პირი და ჩაყლაპა. მერმე გაიარა მენახირემ, კუჭიან დაუძახა: აქ მოდი, მენახირე, რა გითხრათო. მოვიდა მენახირე. კუჭიან უთხრა: დედაბერი ყლაპო, მამაბერი ყლაპო, მასტუმარი ყლაპო, ყმაწვილები ყლაპო, ღორ-ხბო ყლაპო, მოდი შენცა ყლაპო!. დაალო პირი და ჩაყლაპა. მერმე საყდრის წინ დაჯდა. ლოცვა გამოვიდა. კუჭია მღვდელს ეუბნება: დედაბერი ყლაპო, მამაბერი ყლაპო, მასტუმარი ყლაპო, ყმაწვილები ყლაპო, ღორ-ხბო ყლაპო, მენახირე ყლაპო, მოდი შენცა ყლაპო! როგორც პირი უნდა დაეღო, მღვდელმა კობალი დაარტყა და კუჭია გასკდა. სუყველანი თავიანთ ადგილას წავიდნენ.

3. გიჟი და დედაკაცი

იყო ერთი გიჟი დედაკაცი. წაიღო ბამბის ძაფის შულოები წუმპე წყლის პირს და დაუწყო ბაყაყებს ლაპარაკი: ძაფი მამიტანია, წინდები მომიქსოვეთო. ბაყაყებმა დაიწყეს ყიყინი. მომიქსოვთ თუ

არაო? — ხკითხავდა. ისინი კიდევ ყიყინებდნენ. მომიქსოვთ, მომიქსოვთ, — და ჩაუგდო შულები წყალში.

გავიდა რამდენიმე ხანი, დედაკაცი მივიდა იმ წყლის პირს და ჰკითხა ბაყაყებს: მომიქსოვეთ თუ არა წინდებიო? ყიყინის მეტი ვერა გაიგო რა. მაშ თუ ეგრეა ეხლავე მე თითონ მოვალ თქვენთან და წაგართმევთო. შესტოპა წყალში და წინდების მაგიერ ოქროს საშულავე იპოვა და გამოიტანა. წაიღო შინა და თაროზე შესდო.

იმ ღამეს ქმარი მოუვიდა. შეხედა თაროს და ხკითხა: ეგ რა არისო? ცოლმა უთხრა: ბაყაყებმა წინდები არ მომიქსოვეს და მეც ეს წავეართვიო. კარგი რამ არისო. კარგათ შეინახეო, უთხრა ქმარმა.

მეორე დღეს წაიღო დედაკაცმა ეს ოქროს საშულავე და გამოსცვალა რამდენიმე ტიკინაზე და ცალ ქოშზე. ორს აძლევდნენ, მაგრამ არ აიღო: არ მერგებო. მოიტანა შინ, ჩაანწკრივა ტიკინები, ჩაიკვა ცალი ქოში, აუარა და ჩაუარა, თან მღეროდა: ალალ დალალის, დალალო, ალალ დალალო. ამ დროს ქმარმა შემოუსწრო: ეგ რას ჩადიხარ, დედაკაციო? — ჩემი მოტანილი ოქროს საშულავე მივეცი და ისენი გამოვართვიო, — უთხრა ცოლმა. გაჭავრებული ქმარი მიადგა, კარგად სცემა და გააგდო.

წვიდა დედაკაცი და სანაგვეზე დაჯდა. გამოიარა ამ დროს ძალღმა. უი, ჩემს ქმარს მყუფარა გამოუგზავნიარო ჩემთან, მაგრამ არ წავალო. მერე გაიარა მამაღმა. ახლა მყივანა გამოუგზავნია, მაგრამ ნაინც არ წავალო. პატარა ხანს უჯან გამოიარა საპალნით აკიდებულმა აქლემმა. ხო, ეხლა კი წავალ, რადგან დონდომამა გამოუგზავნიარო. დანკირა აქლემი და შინ წაიყვანა. ქმარს უთხრა. მყუფარა გამოგზავნე, არ მოვედი, მყივანა გამოგზავნე არ მოვედი, დონდომამას კი გამოვეყვიო.

ნახა ქმარმა, რო ეს აქლემი სულ თვალ-მარგალიტებითაა დატვირთული. სეტყვა მოდისო, — უთხრა თავის ცოლს, წაიყვანა თონეში ჩასვა, ზემოდან ტყავი გადაათარა, დააყარა სიმინდი და ზედ ბატებზე მიაყენა, თვითონ კი თვალ-მარგალიტები მიმალა, აქლემი დაჩეხა და ორმოში ჩაყარა და მერე ისევ ამოუშვა თავისი ცოლი.

აქლემის პატრონი თურნე ყველგან ეძებს დაკარგულ აქლემს. მივიდა იქაც და კითხა დედაკაცს. დედავ აქლემი ხომ არ გინახავსო? არ ვიციო, — დედაკაცმა უთხრა, ერთი აქლემი კი მოგვევარე ჩემს ქმარსაო. მერე ქმარსა ჰკითხა: იმან უთხრა, არაფერი არ მინახავსო. მაშინ ის კაცი წავიდა და ხელმწიფესთან იჩივლა.

დაიბარეს გიჟი დედაკაცი. და იმისი ქმარი. ხელმწიფემ ჯერ გამოჰკითხა ქმარს. ის უარზე დადგა, მე არა მინახავს რაო. მერე ჰკითხეს ცოლს. იმან უთხრა, რომ მე ერთი აქლემი მოვიყვანეო.

— როდისაო?

— როცა სეტყვა მოდიოდაო?

— სეტყვა როდის მოდიოდაო?

— ბიამ რომ თვალში ჩაგასკინტლა, მაშინაო.

— გააგდეთ ეხლავ ეგ გიჟი დედაკაცი! — დაიყვირა გაჭავრებულიმა ხელმწიფემ, რომელიც თურმე ცალთვალა ყოფილიყო.

4. ორი მეცხვარი

იყო ორი მეცხვარე, ერთი გიორგი, მეორე გაბრიელი. გიორგიმ უთხრა გაბრიელს: წადი წყალზე და მე კი რძეს გავათბობო, მერმე რომ მოხვალ, რძე და პური ვჭამოთო.

წავიდა გაბრიელი კლდის ძირში წყაროს წყლის მოსატანათ. კლდემ დაუძახა: ვწვებიო. მაცა ნუ ჩამოწვებიო; კიდევ დაუძახა, — ვწვებიო. — მაცა, ნუ ჩამოწვებიო, — ეუბნებოდა გაბრიელი. კლდე ჩამოწვა და შიგ მოიტანა გაბრიელიცა.

ამ კლდეზე ამოვიდა ხე და იმ ხეზე შემომჭდარიყო ქორი. მივიდა გიორგი და უთხრა ქორს:

— ქორო, მოეშვი ხესა. ხე აუშვებს კლდესა, გამოვა გაბრიელა და ვჭამთ რძესა და პურსა.

ქორმა უთხრა: ჩემთვის რა წიწილა მოგიგდია, რომ აუშვაო. გიორგი წავიდა კრუხთან და უთხრა:

— კრუხო, მიეცი წიწილა ქორსა. ქორი მოეშვება ხესა, ხე აუშვებს კლდესა, გამოვა გაბრიელა და ვჭამთ რძესა და პურსა.

კრუხმა უთხრა: ჩემთვის რა ნაკმაზი მოგიციაო, რო შენ მოგცეო წიწილა.

მივიდა გიორგი ბელელთან და უთხრა:

— ბელელო, მომეცი ნაკმაზი, მიუყური კრუხსა, კრუხი მომცემს წიწილას, მიუვგდებ ქორსა, ქორი მოეშვება ხესა, ხე აუშვებს კლდესა, გამოვა გაბრიელა და ვჭამთ რძესა და პურსა.

ბელელმა უთხრა: ჩემთვის რა თავგი მოგიშორებიაო, რომ მე ნაკმაზი მოგცეო.

გიორგი წავიდა თავთან და უთხრა:

— თავო, მოეშვი ბელელსა. ბელელი მამცემს ნაკმაზსა, მივუყური კრუხსა, კრუხი მამცემს წიწილას, მივუგდებ ქორსა, ქორი მოეშვება ხესა, ხე კლდესა, გამოვა გაბრიელა და ვჰამთ რძესა და პურსა. თავგმა უთხრა: ჩემთვის რა კატა მოგიშორებიაო?

გიორგი წავიდა კატასთან და უთხრა:

— კატა, დაეხსენ თავგსა. თავგი დაეხსნება ბელელსა, ბელელი მამცემს ნაკმაზსა, მივუყური კრუხსა. კრუხი მამცემს წიწილას, მივუგდებ ქორსა, ქორი მოეშვება ხესა, ხე კლდესა, გამოვა გაბრიელა და ვჰამთ რძესა და პურსა.

კატამ უთხრა: ჩემთვის რა რძე მოგიტანიაო, რომ მოვეშვა თავგსაო.

გიორგი წავიდა ძროხასთან და უთხრა:

— ძროხავ, მამე რძე, მივუტან კატასა, კატა მოეშვება თავგსა, თავგი მოეშვება ბელელსა. ბელელი მამცემს ნაკმაზსა. მივუყური კრუხსა. კრუხი მამცემს წიწილას, მივუგდებ ქორსა, ქორი მოეშვება ხესა, ხე აუშვებს კლდესა, გამოვა გაბრიელა და ვჰამთ რძესა და პურსა.

ძროხამ უთხრა: ჩემთვის რა ბალახი გიჰმევიანო, რომ შენ რძე მოგცეო.

გიორგი წავიდა მინდორთან და უთხრა:

— მინდორო, მამე ბალახი, მივცემ ძროხასა, ძროხა მამცემს რძესა, რძეს მივუტან კატასა, კატა მოეშვება თავგსა, თავგი მოეშვება ბელელსა, ბელელი მამცემს ნაკმაზსა, მივუყური კრუხსა, კრუხი მამცემს წიწილას, მივუგდებ ქორსა, ქორი მოეშვება ხესა, ხე აუშვებს კლდესა, გამოვა გაბრიელა და ვჰამთ რძესა და პურსა.

მინდორმა უთხრა: ჩემთვის რა ნამი მოგცხამსო, რომ შენ ბალახი მოგცეო.

გიორგი წავიდა ღმერთთან და უთხრა:

— ღმერთო, მამე ნამი, მოვასხამ მინდორსა, მინდორი მამცემს ბალახსა, მივცემ ძროხასა, ძროხა მამცემს რძესა, რძეს მივუტან კატასა. კატა დაეხსნება თავგსა, თავგი დაეხსნება ბელელსა, ბელელი მამცემს ნაკმაზსა. ნაკმაზს მივუყური კრუხსა, კრუხი მამცემს წიწილასა, მივუგდებ ქორსა, ქორი მოეშვება ხესა, ხე აუშვებს კლდესა, გამოვა გაბრიელა და ვჰამთ რძესა და პურსა.

ღმერთმა უთხრა: შენ რა სანთელი აგინთიაო, რომ მე ნამი მოგცეო.

გიორგი წავიდა ფუტკართან და უთხრა:

— ფუტკარო, მამე სანთელი, ავუნთო ღმერთსა, ღმერთი მამცემს ნამსა, მოვასხამ მინდორსა, მინდორი მამცემს ბალახსა, ბალახს მივუტან ძროხასა, ძროხა მამცემს რძესა, რძეს მივუტან კატასა, კატა დაეხსნება თავესა, თავგი დეეხსნება ბელელსა, ბელელი მამცემს ნაკმახსა, მივუყრი კრუხსა, კრუხი მამცემს წიწილას, მივუგდებ ქორსა, ქორი მოეშვება ხესა, ხე კლდესა, გამოოვა გაბრიელა და ვკამთ რძესა და პურსა.

ფუტკარმა მისცა სანთელი, გიორგიმ აუნთო ღმერთსა, ღმერთმა მისცა ნამი, გიორგიმ ის მოასხა მინდორსა, მინდორმა მისცა ბალახი, ბალახი მოუტანა ძროხასა, ძროხამ მისცა რძე, რძე მიუხსა კატასა. კატა მოეშვა თავესა, თავგი მოეშვა ბელელსა. ბელელმა მისცა ნაკმახი, მიუყარა კრუხსა. კრუხმა მისცა წიწილა, მიუგდო ქორსა, ქორი მოეშვა ხესა, ხემ აუშვა კლდე, გამოვიდა გაბრიელა და სკამეს რძე და პური.

6. წიწილა

იყო ერთი წიწილა, ნაგავი გაქეკა და ერთი ეკალი შეერკო. წავიდა და ნახა, რომ ერთი დედაკაცი თონეს ახურებს; უთხრა დედაკაცსა: გამამიღე ეს ეკალი და ამით თონე გაახურეო. გამოულო დედაკაცმა ეკალი და თონეში შეუყეთა. რომ დაიწო, წიწილამ უთხრა: მამე ჩემი ეკალიო, თორემ პურს წაგართმევო. აილო და წაართო პური.

წავიდა და ნახა ერთი მეცხვარე. უთხრა: პური ჩემიო, რძე შენიო და ერთათა ვკამოთო. დასხდნენ და სკამეს. როცა გაათავეს, მეცხვარეს უთხრა: ჩემი პური მომეცი, თორემ ცხვარს წაგართმევო. მეცხვარემ უთხრა: აკი შენა თქვი, ერთათა ვკამოთო! რაკი არ მისცა მეცხვარემ მისი პური, წიწილამ აილო და ერთი ცხვარი წაართვა.

წავიდა და ნახა ერთ სახლში ქორწილი იყო, მივიდა და უთხრა: ეს ცხვარი დაკალითო, მე პატარძალთან დამსვითო და კარგად მაკამეთო. დასვეს პატარძალთან და აკამეს. ქორწილს როცა მორჩნენ, წიწილამ უთხრა: ჩემი ცხვარი მომეცით, თორემ პატარძალს წაგართმევთო, და რომ ვერ მისცეს, პატარძალი წაართო და წავიდა.

6. ჩიტი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი ჩიტი, ჩიტმა ნაგავში ბეჭდის თვალი იპოვნა. წავიდა, მეფის წინ დაჯდა და თქვა:

ერთი რამე მააქო, წიბ!
ბატონს არა აქო, წიბ!

წაართვით, წაართვითო! — უბრძანა მეფემ თავის ვეზირებს. მაშინ ჩიტმა თქვა:

შეშურდათ და წამართვესო, წიბ!
შეშურდათ და წამართვესო, წიბ!

მიუგდეთ, მიუგდეთო! — უბრძანა ვეზირებს გაჯავრებულმა მეფემ; მაშინ ჩიტმა თქვა:

შეეშინდათ და მომცესო, წიბ!
შეეშინდათ და მომცესო, წიბ!

დაიჭით, შეწვითო! — თქვა მეფემ. ვეზირებმა დაიჭირეს ჩიტი, შანფურზე ააგეს და ცეცხლზედ დაუწყეს წვა, ჩიტმა დაიძახა:

მციოდა და გავთბიო, წიბ!
მციოდა და გავთბიო, წიბ!

მეფემ შესჭამა ჩიტი. ჩიტმა მუცლიდან ამოიძახა:

ნათელ ვიყავ, ბნელას ჩაველ, წიბ!
ნათელ ვიყავ, ბნელას ჩაველ, წიბ!

გარეთ გასვლის დროს დააყენა მეფემ ვეზირები ხანჯლით, ჩიტი რომ გამოფრინდესო, დაკუწეთო. მაგრამ ჩიტი გაფრინდა და ვეზირებმა იმის მაგიერ საჯდომი ჩამოსჭრეს. ჩიტი შეჯდა ხეზე და იქილამ შემოსძახა მეფეს:

ეს რა უყვეს მეფესა, წიბ!
საჯდომი ჩამოაჭრესა, წიბ!.

7. ნახევარწიფილა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ნახევარწიფილა. დაიწყო ნაცრის ჭეჭვა: ჭეჭა, ჭეჭა ნაცარი, იპოვა ფეტვის მარცვალი. დათესა, მო-

ვიდა ძრიელ მრავალი. შამოვიდა ბატონის ჯოგი და მოსპო ნათესი.

ადგა ნახევარწიწილა და წავიდა ბატონთან საჩივლელად. გზაზე დახვდა ერთი მგელი. მგელმა უთხრა: სად მიდიხარო? რაღა სად მივდივარო. — უთხრა ნახევარწიწილამ — ვქექე, ვქექე ნაცარიო, ვიპოვე ფეტვის მარცვალიო. დავთესე, მოვიდა ფეტვი მრავალიო. შამოვიდა ბატონის ჯოგი და სულ მოსპოვო. საჩივლელათ მივდივარო.

მგელმა უთხრა: რა ბევრსა ლაპარაკობ, უნდა ჩაგყლაპოვო. მაგრამ ნახევარწიწილამ დაასწრო და ჩაყლაპა მგელი.

წავიდა. ცოტა რომ გაიარა, შეხვდა მელია. მელიამ ჰკითხა: სად მიდიხარო?

ნახევარწიწილამ უთხრა: რაღა სად მივდივარო. ვქექე, ვქექე ნაცარიო, ვიპოვე ფეტვის მარცვალიო, დავთესე, მოვიდა ფეტვი მრავალიო, შამოვიდა ბატონის ჯოგი და სულ მოძოვაო. საჩივლელათ მივდივარო. ახლა მელიამ დაუპირა ჩაყლაპვა, მაგრამ ნახევარწიწილამ დაასწრო და ჩაყლაპა მელია.

მერე შეხვდა დათვი. ჰკითხა, სად მიდიხარო? და ნახევარწიწილამ უთხრა: რაღა სად მივდივარო. ვქექე, ვქექე ნაცარიო, ვიპოვე ფეტვის მარცვალიო, დავთესე, მოვიდა ფეტვი მრავალიო, შამოვიდა ბატონის ჯოგი და სულ მოძოვაო, საჩივლელათ მივდივარო. დათვმა უთხრა: უნდა ჩაგყლაპოვო. ნახევარწიწილამ დაასწრო და ჩაყლაპა.

წავიდა, მიადგა ერთ ზღვას. უთხრა, გამიშვიო. ზღვამ უპასუხა: ახლა სწორედ შენი გულსათვის დავშრებო! ნახევარწიწილამ არც კი დააცადა სიტყვის დასრულება, დასწვდა და სულ დაღია ზღვა.

მივიდა საბატონოში და უთხრა ბიჭებს, რომ ბატონისათვის მოეხსენებიათ. ბატონმა უბრძანა: საქათმეში დაამწყვდიეთო. ბრძანება და დამწყვდევა იმისი ერთი იყო. მაგრამ ნახევარწიწილამ აქ ამოუშო მელია, მელიამ სულ შეჭამა ქათმები და გაიქცა.

ეს რომ ბატონს მოახსენეს, ბატონმა უბრძანა, საბატეში შეამწყვდიეთო. დაამწყვდიეს, მაგრამ აქ ნახევარწიწილამ დათვი ამოუშო და დათვმა სულ შეჭამა ბატები.

მოახსენეს ესეც ბატონს და ბატონმა უბრძანა, ნახირში შეამწყვდიეთო. შეაგდეს, მაგრამ აქ ნახევარწიწილამ მგელი ამოუშა და მგელმა სულ შეჭამა ნახირი.

რომ ველარაფერი მოახერხეს, ცეცხლში დაუპირეს ჩაგდება, მაგრამ რამწავ უნდა ჩაეგდოთ, ნახევარწიწილამ წამაანთქია ზღვა და მთელი საბატონო წაალეკიხა.

8. ვეზირის ქალი

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი ვეზირი, მდიდარი და ჭკვიანი. ჰყავდა ერთი ნასწავლი და მშვენიერი ქალი. როდესაც მოუვიდა გათხოვების დრო, რამდენიმე ვეზირი და დიდი კაცი თხოულობდა, მაგრამ არ ინება გათხოვება. მამა ძალიან სწუხდა, — უნდოდა თავის ქალის ბედნიერება ენახა, მაგრამ შვილის ხათრისთვის არაფერს მეტს სიტყვას არ ამბობდა. შვილმა ცალკე მოინდომა ცხოვრება თავის გამზდლითა და მოსამსახურეებით. მამამაც მისცა ერთი კარგი სასახლე. ყოველთვის მიდიოდა დილით მამა თავის ქალთან სამუსაიფოთ, ურჩევდა, ნება მიეცა გათხოვებისა, მაგრამ ქალი უარზედ იყო. ცხოვრობდა ძალიან ფარულათ და ნამუსიანათ.

ერთ დღეს ქალი იჯდა ფანჯრის წინ და აქეთ-იქით იცქირებოდა. ნახა, რომ ერთი უცხო ქვეყნის ჯეელი ვაჟი მოსულიყო, მწერლათ გამწესებული. გაუგზავნა ვაჟს მოსამსახურე და დაუძახა თავისთან. ვაჟი რომ მოვიდა, ქალმა გამოჰკითხა, — საიდან ხარ, ან რისთვის მოსულხარო. ვაჟმა უამბო, მე ვარ ნაკლები დედ-მამის შვილი, დედის ერთაო. მოვსულვარ აქ, რომ ჩემი ჯამაგირიდან შემწეობა მივცე დედ-მამასაო. ამ მასლაათში ქალს ძალიან მოეწონა ვაჟის პატიოსნება და უთხრა, ყოველ დილით მოსულიყო მასთან სამუსაიფოთ. და ფულიც მისცა დედ-მამისათვის გასაგზავნათ. ვაჟსაც ძალიან გეეხარდა და ყოველთვის დადიოდა სამუსაიფოთ.

ერთ დღეს, როცა ვაჟი მივიდა, იმ დროს მამაც მოვიდა შვილთან სამუსაიფოთ. ქალი ძალიან შეწუხდა, — მამა რას იფიქრებსო. წაიყვანა ვაჟი და ერთ ოთახში სკივრში ჩასვა, თავი რომ დაახურა, გვერდში ბაღდადის ხელსახოცი ჩაუდო, რომ არ დაიხრჩოსო. მამამ გამართა მუსაიფი ქალთან, მეტი ხანი დარჩა. შემდეგ როცა წასვლა მოინდომა, ჩამოუარა ყველა ოთახს. მივიდა იმ სკივრთანაც და ნახა, ბაღდადის ხელსახოცი იყო ჩაქედილი სკივრში. მაშინვე გამოაძრო და უთხრა ქალს. შვილო, ეს სკივრი ღია დაგრჩენიაო. დახურა სკივრი. მამა დაჯდა ზედ და დაიწყო ლაპარაკი. ქალს გული უწუხდებოდა, მაგრამ რას გააწყობს. ცდილობს, რომ მამა ჩქარა წავიდეს, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. რამწამს წავიდა მამა, ჯერეთ კარებში არ გასულიყო, რომ ქალი მივარდა სკივრსა, ახადა და ნახა, ყმაწვილი დამხეჩალიყო. ელდა ეცა, მაგრამ რას გააწყობდა. მეორე დღეს

მოსამსახურეს დაუძახა, უამბო თავისი თავგადასავალი და უთხრა: ოღონდაც ამ საქმეს დაფარულათ მამარჩინე და რასაც მეტყვი, ყოველიფერს შეგისრულებო. მოსამსახურემ ნაგვის ურემში ჩააგდო მკვდარი ვაჟი, გაატანა ქალაქსგარეთ და დასწვა.

ამის შემდეგ ეს მოსამსახურე შეეჩვია სასტუმროში თამაშობას და ლოთობას. ერთხელ ჰკითხეს მას: ვინ გაძლევს, მაგოტენა ფულს რომ ხარჯავო? მოსამსახურემ უთხრა: მე იმისთანა ქალბატონი მყავსო, რომ ვუთხრა, აქაც მოვიყვანო. და მართლა დაპირდა კიდევ ქალბატონის მიყვანას. მასთან მოქეიფებმაც გაიხარეს ძალიან, რადგან ქალს სიმშვენიერის სახელი ჰქონდა გათქმული. წავიდა მოსამსახურე და უთხრა თავის ქალბატონს, ასე დავპირდი თქვენს წყევანასაო და არ ვიცი, თუ როგორ გავიმართლო თავიო. ქალბატონს ეწყინა, მაგრამ სიხარულით უთხრა, მოვალ საათის თორმეტზედაო. მოსამსახურე წავიდა და უთხრა თავის ამხანაგებს — თორმეტ საათზე აქ იქნებაო. ძალიან გაიხარეს და კარგი ვახშამიც გაამზადეს საზანდრებითა, — არ იცოდნენ თუ როგორ უნდა დახდომოდნენ. როცა მოვიდა წასვლის დრო, ქალმა გააკეთა სამი ბოთლი ბანგი, წაიყვანა ორი მოახლე და წავიდა იმ სასტუმროში. როცა იქ შევიდა, დიდის სიხარულით მიეგებნენ მოქეიფენი, თითონაც მხიარულად შეხვდა. გამართეს ლხინი. ამ ქალმა ამოიღო თავისი მოტანილი ბანგი და უთხრათ, თითო ჰქეა ჩემს სადღეგრძელოთ მიირთვიეთო. სუყველამ დალიეს სიხარულითა, აგრეთვე მოსამსახურემ, მოახლეებმა, სასტუმროს პატრონმაც. ყველანი ისე დაწვნენ, როგორც მკვდრები. მაშინ ამ ქალმა თქვა, მაინც წავწყდიო, ადგა და აიღო თითო სანთელი, ოთხივ კუთხივ მისცა ამ სასტუმროს და თითონ წავიდა თავის სასახლეში.

მეორე დღეს გადმოიხედა და ხედამს, რომ სასტუმროს მოჰკიდებია ცეცხლი და გადამწვარა. დაჯდა და ეს ქალი ტირის, ვაებაშია, დარდობს, ცოდო ჩაიდინა. ერთ დღეს ფიქრად მოუვიდა, მღვდელს დავიბარებ და აღსარებას ვეტყვიო, იქნება კანონი დამადოსო და პატარა ჩემი გული კარგად გახდესო. დაიბარა მღვდელი და უთხრა თავისი თავგადასავალი. მღვდელმა კანონი დაუდო, ქალმა მრავალი მისცა, გული დაიარჩენა.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ერთხელ მღვდელს და მღვდლის ცოლს ჩხუბი მოუვიდათ. მღვდელმა წასძახა თავის ცოლს, — ჩვენი ვეზირის ქალი წმინდანი გვეგონაო, მაგრამ ის მწერალი იმას მოუყ-

ლამსო, ეს სასტუმროც იმას დაუწვამსო. ცოლმა აღარ დააცალა დასრულება, მაშინვე გამოვარდა, უამბო იმ ქალის თავგადასავალი ხამფერას, ხამფერამ კეკელას უთხრა, კეკელამ იხსემას, და შეიქნა ალიაქოთი ქალაქში. შეიტყო მამამ, შევიდა ქალთან, უთხრა თავისი დარდი. ქალმა იუარა, ხმამ მიახწია ხელმწიფესთან. ხელმწიფემ დაიბარა ქალი და უთხრა, შენზე რაღაც ქორი მესმისო. გაუტყდა ქალი, უამბო ყოველი თავისი თავგადასავალი. დაიჩვილა მღვდელზე: მღვდელი საგან განა აღსარება შეიძლება საქვეყნოთ ჩავარდესო? — მაშინვე დაიბარა ხელმწიფემ მღვდელი ცოლითა, მამა ცხენის ძუაზე და ისე დააქუწვინა. ბრძანება გასცა, რომ აღარ იყოს მაგაზე ლაპარაკიო.

ქირი იქა დარჩეს და ლხინი აქა.

9. ზარმაცს შიში მოუხდება

ცხოვრობდა სამი ძმაკაცი. ყოველ საქმეში ერთობა ჰქონდათ, მაგრამ უმცროსი ძმა მეტათ ზარმაცი იყო, უფროსები კი შრომის-მოყვარენი იყვნენ. თავის ზარმაც ძმას ხშირათ არიგებდნენ, გარჯილობას ურჩევდნენ, მაგრამ ის არავის სიტყვას არ იჯეროდა, დროს მუდამ სიზარმაცეში ატარებდა. როცა პურის მკამ მოაწია, უფროსი ძმები ერთგულათ შეუდგენ მკას, ერთი კვირის განმავლობაში მკეს საერთო პური, მაგრამ მერე შეხედეს, რომ უმცროსი ძმა უმეტეად ძილიზა და ჭამიზა ცდილობს და პურის მკისთვის სრულიად თავს არ იწყენს. ამისთვის ისინი უმცროს ძმას გაუწყურენ, საერთო სამკალი პური გაურიგეს, მესამედი ნაწილი გადუსაზღვრეს და უთხრეს: ეს შენი სამკალი პური გინდ მომკე და გინდა დასტოვეო. ზარმაცს ძლიერ ეწყინა სამკალი პურის გარიგება, მაგრამ რას იქდა, თავისი ცუდი ჩვეულება მაინც არ მოიშალა, წირვის დადგომის დროზე ადგებოდა ლოგინიდან და პირდაუბანელი ნელ-ნელა ყანისკენ გაყო-ბოდა. ცოლს დაუბარებდა — სადელი ადრე მომიტანეო, თვარა დავიღალე და მკას მოვცდებიო. ცოლი სადელს გაუმზადებდა და ყანაში წაიღებდა, მაგრამ როცა ყანაში მივიდოდა, ქმარი მძინარე დახვდებოდა. გამოაღვიძებდა, სადელს მიართმევდა და მოფერებით ეხვეწებოდა, მუშაობისათვის ემატებოა. მაგრამ ქმართან არაფერი

კეთილი სიტყვა არ გავიდა. ერთი კვირის განმავლობაში ერთი კი-
ლობის სიტყვით არ მოუძვია. ქალმა იფიქრა, — ამასთან მიფერე-
ბა არ გავიდაო, ერთ შიშს ვანახებ, ეგებ მაშინ მომკას პურიო.

ერთ დღეს ქალმა ქმარი ყანაში გაუშვა, თვითონ კარგი სადილი
ვაამზადა და ადრინათ წაუღო, გზაზე ქალს ცხენოსანი ბერი შე-
მოხვდა. ქალმა სადილი დადგა, დაუჩოქა და სთხოვა: შენი ტანისა-
მოსი და ცხენი მათხოვეო. ბერმა ათხოვა. ქალი გამოეწყო ბერის
ტანისამოსში, შეჭდა კარგ ცხენზე, მოკედილი ჯოხი და მათრახი
ხელში დაიჭირა და თავის ქმრისაკენ გასწია. მივიდა თუ არა ყანაში,
ქმარი გვერდზე წამოწოლილი დახვდა. მწოლარეს ცხენით ჩაუარა
და მათრახი გადაჰკრა. ყაზახი ძილიდგან ფიცხლავ წამოხტა და
ტირლით ცხენოსანს შეეხვეწა: ბატონო, ნუ მომკლავო. თვალდამ-
დგარმა ის ვერ იცნა, თუ მისი დამრტყმელი ცხენოსანი მისი ცოლი
იყო.

ცხენოსანმა გაბედულად დასძახა ყაზახს: მე ვარ მიქელ მთავარ-
ანგელოზი, კაცის სულის ამომხდელი და შენთან მოვედი სულის
ამოსახდელად, იმისთვის, რომ ზარმაცობ და პურს არ მკიო. მაგრამ
შენი სიცოცხესათვის სადამომდინ ვადა მომიცია, და თუ ამ დრომ-
დი არ გაათავე სამუშაო, სწორეთ სიკვდილს ვერ გადაჩეხბიო. ყაზა-
ხი მუხლმოდრეკით შეევედრა და სთხოვა: ბატონო მიქელ მთავარ-
ანგელოზო, თუ ეს მკა სადამომდინ არ გავათავო, მაშინვე მომკალიო,
ახლა კი ნუ მომკლავო. ცხენოსანი დაეთანხმა და წავიდა. მივიდა
ქალი ბერთან, ცხენი და ტანისამოსი მიაართვა, კარგი სადილი აჭამა
და მადლობით გაისტუმრა, თვითონ კი სადილის ნარჩენით ყანაში
წავიდა. ყანაში რომ ჩავიდა, ნახა მისი ზარმაცი ქმარი პურს ცეცხლი-
ვით მოსდებია და საშინლათ ატრიალებს ნამგალს. ცოლმა სადილზე
დაუძახა, მაგრამ უკანაც არ მოუხედა. მერე ქალმა ძალდატანებით
მოიყვანა და უთხრა: რა დაგემართა, აგრე რომ მოგიკლავს თავიო!
ქმარმა უთხრა: მე რომ საქმე დამემართა, იმისთანა არას კაცს არ
შემთხვევიაო, მიქელ მთავარანგელოზი გამომეცხადა ცხენითო და
ჩემი სიზარმაცის და პურის მოუძმელობის გულისთვის სასიკვდი-
ლოთ მომინდომაო, მაგრამ ტირილით შევეხვეწე და ვადა დამიდო
სადამომდელიო. თუ დანიშნულ ვადაზე ვერ გავათავე, სიკვდილით
დავისჯებიო. ამ დროს ცოლს ეცინებოდა თავის გულში და ბოლოს
უთხრა: აქამდინ გელაპარაკე, მაგრამ ყური არ გააბარტყუნეო.
ყაზახმა წაყლაპა სადილი და სწრაფად მკას შეუდგა და ისე იმეცა-

დინა, ერთ კვირაში საყოფი სამკალი, სამხრობამდინ მოშკაო. დალო-
ლობით კიდევაც მიდგა სულზე, მაგრამ გულდაშვიდებით დაისვენა
და სთქვა: მიქელ მთავარანგელოზი ახლა კი გადამარჩენს სიკვ-
დილსო.

10. მე განხლავარ სასია, მოშკალი ასია

ერთ სამეფოში იყო ერთი კაცი, ერქვა სასია. ძალიან ღარიბი
იყო, ტანზე მრავალი წყლული ჰქონდა, ბუზები ასხდებოდენ და
აწუხებდნენ. ერთ ზაფხულის დღეს ღუქნის წინ იჯდა. ბუზებმა
ძალიან შეაწუხეს. მოიქნია ხელი და მოკლა ასი ბუზი, დათვალა და
ნახა, რომ ასი იყო, და მიაწერა ღუქნის კარებზე: მე განხლავარ სასია,
ერთი ხელის გაქნევით მოვკალ ასია.

ეს ღუქანი წყლის პირს იდგა. წყალმა გაიტანა ღუქანი და წაი-
ლო მეორე სამეფოში. იქ მეფის კარისკაცებმა დაიჭირეს ღუქანი,
წაიკითხეს დაწერილი და შეატყობინეს ხელმწიფეს, ვილაც ასეთი
ღონიერი ყოფილაო. ამ დროს ამ ხელმწიფეს ჩხუბი უნდა დაეწყო
მეორე ხელმწიფესთან. ხელმწიფეებმა უთხრეს ერთმანეთს: რა
ქკუა იქნება, ჩხუბში იმდენი ხალხი დავხოცოთო, მარტო ორი კაცი
ვაჩხუბოთო, — და გადასწყვიტეს, რომელი ხელმწიფის კაციც გაი-
მარჯვებდა, ის ხელმწიფე ყოფილიყო გამარჯვებული. ამ ხელმწიფემ
მოაძებნინა სასია. მიუყვანეს, ხელმწიფემ ჰკითხა: შეგიძლია ჩხუ-
ბიო? — სასიამ უთხრა: მე სად შემიძლია ჩხუბი, ერთი საწყალი კა-
ცი ვარო. ხელმწიფემ არ დაუჯერა: მე ვიცი, რაც საწყალი ხარო.
დააიარადა და გაიყვანა საჩხუბრად. მეორე ხელმწიფემ გამოარჩია
ერთი მოსრულო ვაჟიკაცი და გამოუშვა. რა ექნა ახლაო, იფიქრა
სასიამ, ვიცი, რომ მომკლავს და ისევეთ დაჭუტა თვალები და მიდის
ნელ-ნელა. შეხედა მეორემ და იფიქრა, — რალაც ეშმაკობით მე-
პყრობაო და დახუჭა იმანაც თვალები. უცდის სასია, არავინ სცემს
ბმას. მერე გაიხედა და დაინახა, რომ იმ კაცსაც თვალები დაჭუტული
აქვს. მიეპარა ჩუმათ და მოსჭრა უცებ თავი. აილო ეს თავი და
მიართვა ხელმწიფეს. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა და მრავალი
საჩუქარი მისცა სასიას.

11. უზღველობით გატანჯული

ერთმა ხელმწიფის შვილმა ნახა ერთი ღარიბი კაცის მშვენიერი ქალი და ითხოვა. ერთხელ ხილი მოიტანეს. ქალს ბროწეულის მარცვალი გაუვარდა ხელიდან. დასწვდა, აიღო და პირში ჩაიღო. ხელმწიფის შვილმა რო ნახა ეს უზღველობა, ხელი აიღო ქალზე და ჯვარი არ დაიწერა.

ხანმა გაიარა. ხელმწიფის შვილი შეწუხდა — ქალი მოსწონდა და იმისი ნაღველი ვერ მოიშორა. შეინანა თავის დანებება და კიდევ უნდოდა შეერთო. ბევრი აძებნინა ნაზირ-ვეზირებს, მაგრამ ვერ იპოვნა. ბოლოს სინი მოატანინა, დააყრევინა ზედ ერთი მუჟა ქატო, ერთი მუჟა ნახშირი და ერთი მუჟა ბროწეული. უბრძანა ნაზირ-ვეზირებს წაიღეთ, ჩამოატარეთო. არა სახლი გაუშვათ მდიდრისა თუ ღარიბისა და ვინც გამოიცნობს, იმას ვითხოვო. წავიდნენ, ატარეს ბევრი და ვერსად ვერა გამოიცნეს რა. ბოლოს ერთი ღარიბი კაცის სახლში შევიდნენ. ხელმწიფის შვილის ნახული ქალი იქ იყო. იმას მიუტანეს სინი. ქალმა აიღო თითო-თითოდ ქატო, ნახშირი და ბროწეული და თქვა: ასე დავმსუბუქდი როგორც ეს ქატოვო, ასე გავშავდი როგორც ეს ნახშირიო ამ ერთი მარცვლის გულისთვისაო. მიუტანეს ამბავი ხელმწიფის შვილს. გაიხარა ხელმწიფის შვილმა ამ ქალის პოვნა და ჰქუაყუა. შეერთო და დიდის ამბით შვიდი დღე და შვიდი ღამე ქორწილი გადაიხადეს.

12. მოვალე და ფულის პატრონი

ერთ კაცს ფული ემართა. ეს მოვალე ისეთი კაცია თურმე, რომ ვალის მიცემა არ იცის. რასაც აიღებს, ყველაფერს იზამს და არ გადაიხდის, ეს ფულის მიმცემიც კიდევ იმისთანა კაცია, რომ ასს იმოდენას დახარჯამს, რაც გაუვალეგია და არ შეარჩენს. ფულის პატრონი მცვა მოვალესთან ფულს სთხოვს. მოვალე დასვამს, პურს აჭმევს, ლხინს აჩვენებს და ცარიელს გაისტუმრებს ხოლმე. ცოლმა უთხრა ქმარს: ეგ რა საქმეაო, მოგყავს, აჭმევ, ასმევ, — ვალი გადაიხადო, არ გირჩევნიაო? — კაცმა უთხრა, — შენ ნუ გეფიქრება, იმდენს მაინც არ შევაჭმევ, რაც გამომირთმევიაო.

ერთხელ, ფულის პატრონი რომ მოდიოდა, ცოლს უთხრა, — ზეწარი გადამაფარე და უთხარი, მომკვდარაო. დაწვა კაცი, ცოლმა ზეწარი გადააფარა, შემოვიდა მოვალე და იკითხა. ცოლმა შესტირა, — არ გებრალეები, ქმარი მომიკვდაო. მევალემ არ დაიჭერა და ცოლს უთხრა, სუდარას მე შევეუქერამო. აიღო ნემსი და ძაფი და სუდარად ზეწარის ზედ შეკერვა დაიწყო. კერვის დროს ნემსი ხან აქეთ ხორცს ამოსდო. ხან იქით, და სჩხვლიტა. მოვალე ხმას არ იღებდა, მაგრამ ნემსის ჩხვლეტაზე კი თრთოდა, შეათამაშებდა ტანს. ფულის პატრონმა თქვა: ამ მკვდარს მე წავიღებ დასამარხავადო. საღამოს წაიღო და საყდარში დააყუდა. თითონ მიიძალა, — ვნახოთ რას იზამსო. შუალამისას იმ საყდარში ქურდები შეიყარნენ, მოიტანეს ნაქურდალი და გაიყვეს.

დარჩა ერთი ხმალი და ამაზე ჩხუბი მოუვიდათ, — არა მე უნდა მერგოს, არა მეო. ბოლოს ერთმა თქვა, — ასე გავათაოთო: ეს ხმალი იმას ერგოს, ვინც ამ აყუდებულ მკვდარს ერთის შემოქნევით გადასწყვეტავსო. აყუდებულმა მკვდარმა დაიყვირა: ადექით, გამოდით მკვდრებო! ფულის პატრონი წამოდგა, — ვნახო რა ამბავიაო. ქურდები შეშინდნენ, მართლა მკვდრები დგებიანო, და გაიქცნენ. ნაქურდალიც ფულის პატრონმა და მოვალემ გაიყვეს. ფულის პატრონი მოვალეს არ მოეშვა. მოიტა ჩემი ვალიო. მოვალემ უთხრა: არ გეყო, რაც გაშოვინეო, კიდევ მედავებო? ფულის პატრონი მაინც აურზაურზე იდგა. ამ დროს ერთი ქურდი მოვიდა: ვნახო, ჩვენი ნაქურდალი რა ქნილაო. თავი რო შეჰყო საყდარში, მოვალემ ქუდი მოსტაცა და ვალის პატრონს ხელში ჩააჩეჩა, — აჰა ესეც შენს ვალშიო. ქურდი გულგახეთქილი გამოვარდა, ამხანაგებს უთხრა: იმდენი მკვდარი ავღვარა, რომ ვეღარა შეხვედრიათ რა, ცოცხლებს ქუდებს ხდიანო და წილის ვალს იმითი ხდილობენო.

13. დედაკაცი ეშმაკზე უარესია

ერთი ცოლ-ქმარნი იყვნენ, ძალიან ტკბილათ ცხოვრობდნენ, ისე ტკბილათ, რომ პირიდან ლუქმას იღებდნენ და ერთმანეთს თავაზობდნენ. შეშურდა ეშმაკს იმათი ტკბილი ცხოვრება და შეუჩნდა, რომ შფოთი ჩამოეგდო. ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფრით

ვერ აცდინა. თოთხმეტმა წელიწადმა გაიარა და ცოლ-ქმარი ისევ ტკბილათ იყვნენ. ეშმაკი მოშორდა და წავიდა ტყეში, ერთ ხის ძირას დაჯდა დაფიქრებულნი: რაღა ეშმაკი მჭვიანო, რომ ცოლ-ქმარი ვერ ვაცდინეო. გამოიარა ერთმა დედაბერმა. ეშმაკი დალონებულნი რო ნახა, დაუწყო ლაპარაკი: რათა ხარ დალონებულნიო. ეშმაკმა არ უთხრა. დედაკაცმა იმდენი ქნა, იმდენს ელაპარაკა, რომ აცდინა და ათქმევინა. მაშინ დედაბერმა უთხრა: რას მომცემ, რომ ის ცოლ-ქმარი ერთმანეთს წავჩხუბოო. ეშმაკმა უთხრა: ათას თემანს მოგცემო. მე რე საღ გნახვოვ, ჰკითხა დედაკაცმა და ეშმაკმაც უთხრა, — ამ ხის ძირასაო.

წავიდა დედაბერი ცოლთან და უთხრა გულისტკივილით: ვუი, შვილო, რანაირად მებრალედიო! ცოლმა უთხრა, — რა მაქვს შენაბრალედიო! — რაღა რაო, — დედაბერმა უთხრა, — შენი ქმარი ერთ დედაკაცს გადაჰკიდებიაო, და თუ ყური არ უგდე ქმარს, დაჰკარგავო. ქმარი რო მოგივიდეს, შუბლშეკრული დახვდი და მაშინვე მისვდებაო, რომ გაგივია იმისი ამბავიო. გამოვიდა ბებერი და უთვალთვალა ქმარს საღმე ნახოს. ნახა და უთხრა: ვუი შვილო, რა მებრალედიო, ცოლი გღალატობს, ვილაც მღვდელს გადაჰკიდებიაო. კაცმა უთხრა: რას ამბობ, დედაკაცო, ამდენი ხანია ერთგულათ გვიცხოვრია, ტკბილათო. დედაბერმა უთხრა: აბა, შენ დიდგულათ შედი შინა და ნახე თუ როგორ დაგიხვდეს და მაშინვე არ მიგიხვდეს, რომ იმისი ამბავი შეგიტყვიაო. ქმარი დიდგულად შევიდა შინა. ცოლი შუბლშეკრული დახვდა და გვერდელად დაუწყო ცქერა. რა დიდგულად მოდიხარო, შეგიტყვე რა კაცი ხარო, სხვა დედაკაცს რო ეწყობიო. კაცმა სიტყვა შეუბრუნა, — მე კი არა, შენა ხარ მაგისტანა დედაკაცი, რომ ქმარი გაგიშვია და მღვდელს შესჩვევიხარო. შეებნენ ერთმანეთს ლაპარაკში და შფოთი ჩამოუყარდათ.

ის ღამე ისე გაატარეს. მეორე დღეს კაცი თავის საქმეზე წავიდა. დედაბერი მივიდა ცოლთან. ცოლმა შესჩივლა თავნისი ამბავი. დედაბერმა უთხრა, — წამალი ვიცი, როგორ შეგაყვარო შენ ქმარსა, რომ აღრინდელსაგით უყვარდეო. ცოლი შეეხვეწა: აბა თუ იცი რამე, მასწავლეო. დედაბერმა უთხრა: უხმარებელ სამართებელს მოგცემ, ამაღამ შენმა ქმარმა რო დაიძინოს, პატარა წვერის თმა შეაჭერ და მამეცი, შევულოცავ და სხვა დედაკაცზე ხელს აიღებსო.

გამოართვა დედაკაცმა სამართებელი და მადლობა გადაუხადა: ახლა კაცთან მივიდა ის დედაბერი და უთხრა: ფრთხილად იყავი

ცოლი მოკვლას გიპირებსო. ნაღელიანი მოვიდა შინ კაცი, ფიქრობს, ეს რა ცეცხლში ჩავარდიო. შინ დედაკაცი იჯდა და ჯარაზე ართავდა. კაცი პატარა ხანს შემდეგ დაწვა, მაგრამ კი არა სძინავს. დედაკაცი სულ ჯარას უზის და მალვით უყურებს ქმარსა, — როდის იქნება დაიძინოსო. ბოლოს კაცმა იფიქრა, თავს მოვიმძინარებ, ვნახოთ, რას იზამსო, და ხვრინვა დაიწყო. დედაკაცმა აიღო სამართებელი და ქმრის წვერთან მიიტანა. კაცმა ხელი დაუქირა და დაიწყო ყვირილი, — მიშველეთ, ცოლი მკლავსო. მოცივდნენ მეზობლები. კაცმა თავისი თქვა, დედაკაცმა კიდევ ისა თქვა, რომ თმა უნდა მომეჭრაო. ვინ დაიჭერებდა სამართებელი ხელში ეჭირა. მოაშორეს ცოლი ქმარს.

წავიდა დედაბერი ტყეში. ეშმაკმა რო დაინახა, შეეშინდა არა დამიშავოს რაო, მე თოთხმეტი წელიწადი ვერ მოვაშორე და ამ დედაკაცმა ორ დღეში სულ ერთმანეთს მოაშორაო. და ხეზე ავიდა. დედაბერმა დაუძახა: სად იმალეები, დაპირებულს არ იძლევიო?

ეშმაკმა ფული ხელსახოცში გამოუქრა და ხილამ ჩამოუშვა.

14. მღვდელი და მოჯამაგირა

იყო და არა იყო რა, იყვნენ სამნი ძმანი. ამ ძმებს ქონდათ ერთი ოქროს ტაბაკი. ეს ძმები გაიყარნენ, ტაბაკი სამად გაჭრეს: ერთი ერთმა აიღო, მეორე მეორემ, მესამე მესამემა. უფროსი ძმა წავიდა მოჯამაგირედ დასაღვობად. მივიდა ერთს მღვდელთან და ჰკითხა: მოჯამაგირე არ გინდაო? მღვდელმა უთხრა, მინდაო და გარიგდენ, მოვიდა ვახშმობის დრო; ჰამეს, ამ მოჯამაგირეს დამწვარი ქერქები მიუტანეს, მოჯამაგირემ ვერ გასძლო, და მღვდელმა ერთი სახრე დაჰკრა, ერთი შოლტი ტყავი ააძრო, ერთი კოდი მარილი დააყარა და გამოავდო. წამოვიდა ეს უფროსი ძმა მოღუნკული. საშუალოს ცოლმა მოკიდა თოლი, მავიდა და ქმარს წააყვედრა. აგერ ჩემი უფროსი მაზლი მოღუნკული მოდისო; შენც წადი ან იშოვი რასა, ან იპოვი რასაო. წავიდა ეს საშუალოც, ისიც იმ ღვდელთან მივიდა, ამასაც ასე უყო, როგორც მის ძმასა. ახლა მესამე წავიდა, და იმ მღვდელთან მივიდა. შეიქნა ვახშმობა, ჰამეს ვახშამი, მოჯამაგირეს დამწვარი ქერქები მიუტანეს, ამან არ ჰამა. დაწვენ. მოჯამაგირემ

ანთო სანთელი, კაი ვახშამი ჭამა და დაწვა. მეორე დღე გათენდა და მღვდელმა იფიქრა, — ამ კაცს ჯორებს გავაყოლებ და აიმა კლდეში გავარეკინებ. ჯორები იქ დადგებიან, აღარ გამოვლენ, ეს მოჯამაგირე გასვლას მოინდომებს, გავა და გადავარდებო. გააყოლა ჯორებსა. გარეკა მოჯამაგირემ იმ კლდეში. დადგნენ ჯორები იქა, ერეკება, არ გამოდიან. ერთმა ტრედმა გადმოიარა. მოჯამაგირემ შესძახა: ტრედო, ტრედო, ჩემს ცოლს უთხარ, გაიჩინოს მოყორე, გააჩინოს ვაჟი. მისცეს მჭედელს შაგირდადა, ისწავლოს მჭედლობა, გააკეთოს ნალები, გამომიგზავნოს, დავაკრავ ჯორებსაო.

ჯორებმა შეიტყეს ესა და სიხარულით გამაცვიდნენ საჩქაროდა. გაიძლოლა წინა მოჯამაგირემა და მორეკა შინ დახოცილები. დაჯავრიანდა მღვდელი. მესამე დღე გათენდა. ახლა ხარის ჯოგში გაგზავნა, საგზლად ერთი ნაცრის პური ჩაუდო; მივეს ჭამე, მოვეს ჭამე, გამლელ-გამომვლელსაც ბევრი აჭამე, შინავ მთელი მოიტანეო. წაასხა მოჯამაგირემ ხარის ჯოგი. დაუძახა მეზობლებსა: წამიღეთ ქობები, წამოდით თქვენცაო. წაიღეს ქობები, წავიდნენ. მივიდნენ ერთს მინდორში. დახოცა მოჯამაგირემ რამდენიმე ხარი, მოხარშა, თითონაც ბევრი ჭამა, მეზობლებსაც ბევრი აჭამა, გამვლელ-გამომვლელსაც ბევრი აჭამა. ამ ჯოგისა რამდენიმელა მორეკა შინა. მღვდელმა ჰკითხა: ხარები რა უყავიო? მოჯამაგირემ უპასუხა: შენ არ მითხარ, რომ გამვლელ-გამომვლელს აჭამეო? მეც ვაჭამეო. ის ნაცრის პური მთელი მოიტანა. მღვდელმა მესამე დღეს ეს მოჯამაგირე ცხენებს გააყოლა. ისევ ის ნაცრის პური ჩაუდო, ისევ ისე უთხრა: მივეს ჭამე, მოვეს ჭამე, შინავ მთელი მოიტანეო.

წაასხა მოჯამაგირემ ცხენები. ქოვითი კაცი ნახის — ცხენზე შასვენდის, ცხენიანი კაცი ნახის — უკენ ცხენს გამოუბავდის. იმ დღეს რამდენმაც გაიარა ან გამოიარა, იმდენი ცხენი მისცა. დაღამდა, მორეკა, რალაც დარჩა. მღვდელმა ჰკითხა: ცხენები რა უყავო? და მოჯამაგირემ უთხრა: შენ არ მითხარი გამლელ-გამომვლელს ბევრი აჭამეო? მეც ისე ვქენ, გამვლელ-გამომვლელსაც ბევრი ვაჭამე, მეც ბევრი ვჭამეო. ამოიოხრა მღვდელმა, რალა მეშველებო. მაშინ იფიქრა და ცოლს უთხრა. მოდი დავალაგოთ ჩვენი ბარგი, ჩავაწყოთ სკივრში, ავიქციათ თავი და წავიდეთ საითყემეო, ცხო მეტი ღონე არ არისო. მაშინ ცოლმაც ისე უთხრა, — თუ ჩვენ ისე არ ვქენით, აქაობას სულ აიკლებსო და ცარიელები დავრჩებითო. აალაგეს იქიობა და ჩაალაგეს სკივრში. თუ რა იმისთანა გამოსადეგი იყო რამე. საგძ-

ლად ყველი და პური ჩადევს. უნდოდით მეორე დღეს წასულაცყენენ. ეს საქმე გაიგო მოჯამაგირემ, სკივრს სარქველი ახადა და თითონაც შიგ ჩაჭდა. გათენდა, წამოიკიდა ეს სკივრი მღვდელმა, სთქო რა მძიმე არისო. თქმა და წასვლა ერთი იყო. წავიდნენ. დიდი გზა იარეს თუ პატარა, ვნახოთ მოჯამაგირემ შიგ კისერში ჩაუსველა მღვდელს. ცოლს უთხრა კისერში წყალი ჩამივიდაო და ცოლმა უპასუხა ყველის მარილწყალი იქნებაო.

ბევრი იარეს, მივიდნენ ზღვის პირასა, და გახარებულნი ლაპარაკობდნენ: საიდმალე მოვრჩით იმ კაცსა, ეხლა მადლობა ღმერთსაო. მაგრამ საით მორჩნენ, რო ზურგიტ მოიყვანეს! დაიწყო მღვდელმა მისი ლანძღვა და გინება. ამასობაში მოჯამაგირემ აამტვრია სკივრის თავი და ამოვიდა. ახლა მღვდელი ისეთი გახდა, რო კაცი ველარ შეხედავდა. მოჯამაგირემ უთხრა: რათ მლანძღადიო? მღვდელი გაჩუმებული იყო, რა უნდა ეთქო! მოჯამაგირე უფრო უარესს იქმოდა. რო ველარაფერი მოიგონეს, სთქვეს ამ ცოლ-ქმართა: მოდი ამაღამ ამ ზღვის პირს დაეწვეთ, ეგეც ფეხთით დაეიწვინოთ, და როცა დაიძინებს, ვკრათ და გადავადოთ ზღვაშიო. მართლა, ისე ქნეს. იმ ღამეს იმ ალაგს დაწვნენ. ფეხთით მოჯამაგირე დაიწვინეს. ვნახოთ, ამ ცოლ-ქმარს დაეძინათ, მოჯამაგირეს კი ელვიძა. მოჯამაგირემ ნელ-ნელა ის ცოლი ფეხთით დააწვინა და თითონ მვლდლის გვერდით დაწვა. მღვდელს ნელ-ნელა ხელსა კრავს ხოლმე და ეუბნება: „ეეე, ეეე, დაეძინა, დაეძინაო“. გაშტერებულმა ღვდელმა და მოჯამაგირემ კრეს ფეხები საწყალს დედაკაცსა და ჩაადგეს ზღვაში. მღვდელმა დაიკრა ხელი: იიო ეხლაც არ მოვრჩიო? მაშინ წამოხტა საჩქაროდ მოჯამაგირე: ვის მორჩიო? მე აქა ვარო. მღვდელს შიშით გული გაუსკდა, — ჩემი ცოლი გადამიგდიაო. მოჯამაგირემ აიღო იფნის სახრე და ცემა დაუწყო, სამი სახრე დაარტყა და სამი კოდი მარილი დააყარა. გაუშო მოლუნკული მღვდელი. თუ რა სკივრში ქონდა, სულ იმან წაიღო,

და წავიდა გზასა. ვნახოთ ერთ კლდის ძირში ერთი კაცი გარეთ გასვლაზე იყო მიმდგარი, ხელში ცხენი ეჭირა. ამ მიმავალმა მოჯამაგირემ უეცრად დაუყვირა: კაცო, კაცო, ხედამ კლდე გადმოწოლილო, მიაწექ თორემ ძირს დაგიტანსო. მაშინ შაშინებულმა მართლა დაიჭერა და მიაწვა კლდეს ნიფხავ ჩახდილი და ბარკლებტიტველათ. მაშინ ამ მოჯამაგირემ უთხრა, ეგ ცხენი მე მავე, შაეკდები, წავალ და კაცებს მოვიყვანო. მისცა ცხენი. შაჭდა და წავიდა. ვნახოთ ერთ

ალაგას ცამეტი კაცი ერთს ხეს აპობენ. სოლები ჩაეყარათ და სცემ-
დნენ უროებს. იმ ცამეტს კაცს ცამეტი ცხენი იქვე ებათ. მივიდა
მოჯამაგირე და ჰკითხა, რას შერებითო. უთხრეს: ასე და ასეა, ჩვენ
ამდენნი ვართ, მაგრამ ეს შეშა ვერ გავხეთქეთო. მან უთხრა: აი
თქვენ უჰკუონო, განა ეგრე უნდა დაპობაო. ისინი შეეხვეწნენ არი-
ქა, გვიშველე რამეო. მოჯამაგირემ უთხრა: თქვენ ხელები ამ გაპო-
ბილში ჩაყავით, მე სოლს დავარტყამ და გაიპობაო. იმათაც ისე
ქნეს — ყველამ ჩაყვეს ხელები გაპობილში, ამან ერთბაშად ამოიღო
სოლი შეშიდან და ეს ცამეტი კაცი სულ დააბა. თითონ ისევე ცხენზე
შაჯდა, ცამეტი ცხენი წინ გაიყოლა და წაასხა. და ვნახოთ, გზაში
ეს მოჯამაგირე ერთს წყემსთან მივიდა. და ის რომ წყემსთან მივიდა,
მღვდელი იმ კლდეზე მიყუდებულთან მივიდა. ხკითხა: კაცო, რას
კლდეზე დახუდებულხარო? კლდეზე მიყუდებულმა უპასუხა: ასე
და ასეა ჩემი საქმე, — თუ ხელი მამიშორდება კლდესა, თავზე დამე-
ცემო. მღვდელმა უთხრა გამოდი მადედანაო. ის ეუბნება, კლდეს
რო მოვშორდე, ხომ ძირს დამიტანაო. ერთის სიტყვით ის კაცი
კლდეს არ შორდებოდა. მღვდელმა ხელი დასტაცა და გამოათრია.
როცა მოშორდა, მაშინ კი ინანა იმ კაცმა და მღვდელს მადლობა გა-
დაუხადა. ამოიწია ნიფხავი და წავიდნენ. მღვდელმა ჰკითხა, ეგ საქმე
როგორ მოგივიდაო. იმ კაცმა უთხრა თავისი ამბავი, დაწვრილებით
უამბო, ასე და ასე იყო ჩემი საქმეო. მაშინ მღვდელმა უთხრა: ეე,
შვილო, ვინც მე ისე მიყო, ის ყოფილაო, მაშინვე გაიგო და ერთად
წავიდნენ გზასა.

დიდი იარეს თუ პატარა, მივიდნენ ცამეტს ხელით დაბმულს
კაცთანა და ჰკითხეს: ეს რა მოგსვლიათო? იმათაც უამბეს თავისი
თავისგადსავალი. მღვდელმა თქვა: ჩვენ რომ საქმე გვიყო ის იქნე-
ბოდაო. დაარტყეს შეშას სოლი და ცამეტივე აუშვეს. შაიყარნენ
ანხანაგებად თხუთმეტნი და წავიდნენ. მღვდელმა, მოჯამაგირე რო
წყემსთან მივიდა, ხკითხა: შენ ქაჩალი ხარო? არაო, წყემსი არაზე
იდგა. მართლა, ქაჩალი ყოფილიყო ჩემის ცოდვით სავსე, და არა
ვარო, ეუბნებოდა. მოჯამაგირე კი ეუბნება: არა, ქაჩალი ხარო, რამ-
დენჯერკვე უთხრა ერთმანეთსა და ბოლოს წყემსმა უთხრა: ვარ და
იმითი რა იქნებო? მოჯამაგირემ უთხრა — ის იქნება, რომ მაგის
წამალი მე ვიციო. წყემსმა დაიჯერა და ჰკითხა, რა არის მაგის წამა-
ლიო. უპასუხა: შავი ცხორი ხომ გყავსო, მოიყვანეო. მოაყვანინა
და დაკლეს, ფაშები გამოაყრევინა და დაუბერტყელად თავზე ჩა-

მოაცო წყემს და ორმოში ჩააგდო თავზე ფაშჩამოცმული. სულ აუყროლდა თავი, მოჯამაგირემ უთხრა: მე წავალ, წამლებს მოვიტან და მადამ მე მოვალ, შენ ასე იძახე, „მოდი, მოდი, ჩქარა, ჩქარაო“, წყემსი ორმოში ჩაჯდა, თითონ ისევ ცხენზე შეჯდა, რამდენიმე ცხორი და ცამეტი ცხენი წაასხა და წავიდა თავის გზაზე. ერთი ვნახოთ, ის თხუთმეტი კაცი მოახლოვდა იმ ადგილსა. წყემსი ორმოდამ ყვირის: „მოდი, მოდი, ჩქარა, ჩქარაო!“ იმათ გაიგონეს, მივიდნენ იმ ადგილასა, ახადეს ორმოს; ნახეს კაცი, თავზე ფაშჩამოსული. ამოიყვანეს და ჰკითხეს: რა მოგვლიაო? იმანაც უამბა თავისი თავისგადასავალი. მაშინვე მიხვდნენ, ის იქნებოდაო, ადგნენ და წავიდნენ მოჯამაგირის საძებრად, თექვსმეტი კაცი, და იქნება ვინ იცის ეხლაც ექებენ.

ქირი იქა და ლხინი აქა.

15. შენი ბელი წინ დაბხმდებაო

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი, მეტისმეტი ღარიბი, რომელსაც სრულებით არაფერი გააჩნდა. ერთხელ თქვა: მოდი ღმერთთან წავალ და შემწეობას ვთხოვო. და კიდევაც წავიდა. გზაში შამოეყარა დათვი და უთხრა გლეხს: გამარჯობა შენი, კაცო, სად მიდიხარო? გლეხმა მიუგო, — ღმერთთან მივდივარ, მინდა რამე შემწეობა მომცეს, ღარიბი ვარო. დათვმა უთხრა: ეს კარგიაო და მაშინ ჩემიც მოახსენე, საჭმელი არაფერი მაქვსო. გლეხი შეჰპირდა, და გზას გაუდგა. რამოდენიმე გზა რომ გაიარა, ნახა ერთი ყანა, სადაც სამი ძმაკაცი მუშაობდა. გამარჯობა თქვენო, — უთხრა გლეხმა. იმათაც უთხრეს, გაგიმარჯოსო და ჰკითხეს სად მიდიხარო, გლეხმა უთხრა, რომ ღმერთთან მიდიოდა. მაშინ იმ ძმებმა უთხრეს: რახან ნახე, ჩვენიც უთხარი, სამ ძმაკაცს ერთი ქცევა მიწის მეტი არაფერი გაგვაჩნიაო. გლეხი შეჰპირდა და განშორდა. ამის შემდეგ მას შეხვდა ჯორზე მჯდომარე ანგელოზი. ამანაც ჰკითხა, სად მიდიხარო. გლეხმა უთხრა, ღმერთთან მივდივარო.

ანგელოზმა უთხრა ღმერთი მე ვარ, მითხარი რა გინდაო. გლეხმა უთხრა: მეტისმეტი ღარიბი ვარ და შემწეობას ვთხოვო. დათვმა კი-

დედ მოგახსენა, არაფერი მაქვს საქმელათაო. სამმა ძმაკაცმა მოგახსენა, ერთი ქცევა მიწის მეტი არაფერი გავვაჩნიაო. ანგელოზმა მისცა პასუხად: იმ სამ ძმას უთხარი — ყანაში ერთი დიდი ორმო ამოთხარონ და იმით დარჩებიანო. შენი ბედი შენ წინ დაგხვდებაო და იმ დათვეს უთხარი, ყველაფერი ჭამოს, რაც ნახოსო. წამოვიდა გლეხი. გზაში იმ სამ ძმას უთხრა ანგელოზის დანაბარები, დათვსაც უთხრა, ღმერთმა ასე შემოგითვალა: ყოველისფერი ჭამე, რაც ნახოო. მაშინ დათვმა დაუძახა გლეხს: აქ მოდი, აქ მე შენს მეტი ვერავინ ვნახეო, და შექამა. იმ კაცებმა რომ ორმო ამოთხარეს ყანაში შიგ ხაზინა ნახეს და გამდიდრდნენ.

16. ქოსა და ობოლი

იყო ერთი ქოსა. ერთ დღეს წაიღო ურმით წისქვილში ხორბალი დასაფქვევად. გზაში დაინახა ერთი ობოლი, — მას ზურგით წისქვილში საფქვევი მოჰქონდა და უთხრა ქოსამ: დაუდე ამ ურემზე, დაფქვათ და უკანვე წამოვიღოთო. კარგიო, უთხრა ობოლმა, დაუდეს და წაიღეს. დაფქვეს და ობოლმა კვერი ჩააგდო ცეცხლში გამოსაცხობად. ქოსამ უთხრა: მოდი ჩვენ ორში ვინც უფრო საკვირველი თქვა, იმისი იყოს ეგ კვერიო. კარგიო, უთხრა ობოლმა, აბა ჯერ შენ თქვიო და თქვა ქოსამ.

იყო ერთი საწყალი კაცი, სამი ვაჟი ჰყვანდა. ღარიბათა ცხოვრობდნენ. მამამ უთხრა: წადით სადმე, შეიღებო, ან იპოვით რასმე ან იშოვნითო. სამი თოფი ჰქონდათ, ერთიც გატეხილი იყო, მეორეც გატეხილი იყო, მესამეს კი კონდახი არა ჰქონდა. ის თოფები აიღეს და სანადიროდ წავიდნენ ეს სამი ძმანი. სამი კურდღელი ინადირეს, ერთიც კვდარი იყო, მეორეც კვდარი იყო, მესამეს სული არ ედგა. წამოიღეს ის კურდღლები. ერთ ალაგას მოვიდნენ, სამი სახლი იპოვეს — ერთიც დანგრეული იყო, მეორეც დანგრეული იყო, მესამეს ბანი არა ჰქონდა. შევიდნენ იმ სახლში, სამი ქოთანი იპოვნეს. ერთიც გატეხილი იყო, მეორეც გატეხილი იყო, მესამეს ძირი არ ჰქონდა. ის კურდღლები იმ ქოთნებში ჩაყარეს და მოხარშეს. ფოჩი გაედინა და წვენი შიგ დარჩა. ვინც ჩვენში უფრო საკვირველს

იტყვი, ამ წვესს ის დახვრება და კვერსაც ის შესქამს. აბა ეხლა შენ თქვიო და სთქვა ობოლმა.

ეგ არაფერი! მამაჩემს ორი თეთრი ბატი ჰყვანდა. იმ ბატებს შეაბამდა ურემში, დაუღებდა საფქვავს და წისქვილში წაიღებდა. ერთხელ წაიღო ურემი წისქვილში, ბატები გამოუშო. გამოვარდა ერთჯოგიდან მგელი და ბატს ცალი გვერდი მოაგლიჯა. მამაჩემმა აიღო ერთი წნელი, გაუწნა-გამოუწნა ბატს გვერდი; გაამთელა, შეაბა და ურემი შინ მოიტანა.

— ეგ რა არის! — უთხრა ქოსამ, — მამაჩემს ათასი სული ცხვარი ჰყვანდა, ერთ დიდ მთაზე ეყენა. მამაჩემი იქა სწველამდა. მიღები იყო გამართული და რძე შინ ჩამოდიოდა. დედაჩემი შინ აყველებდა. ერთხელ მიღში მგელი ჩავარდნილიყო და შინ ჩამოეტანა რძესა; დედაჩემს ყველში მოეწურა და ვერა გაეგო რა. ერთ დღეს მუშები გვყავს, ვათიბინებთ. სადილი წავუღე მუშებსა. თურმე ის ყველი მომცა დედამ. დავსხი მუშა. გავჭერი ყველი, გამოვარდა იქიდან მგელი. ვესროლე ცელი. მირბის მგელი, მისცელამს ცელით, ამასობაში ასი ძირი ბულულა დავდგი.

— ეგეც არაფერი! — უთხრა ობოლმა, — მამაჩემს ასი ძირი ფუტკარი ჰყვანდა. დილით გამოსთვლიდა და საღამოთი შესთვლიდა. ერთხელ ერთი ფუტკარი დააკლდა. წავიდა საძებნელად ცხრა მთას იქით იბოვა, — ერთ კაცს ის გუთანში შეება. უთხრა იმ კაცსა: რათ გიბია ჩემი ფუტკარი გუთანშიო? იმან უპასუხა: გიყი ხომ არა ხარო, — ამ ზამთარ გამოვკვებე და გუთანშიაც არ შევაბაო? გამოუშვა და მისცა მამაჩემს, წამოიყვანა მამაჩემმა და შინ რომ მოიყვანა, ცოლს დაუძახა: ორი კაკალი დაწვი და გამამიტანეო, ჩვენს ფუტკარს კისერი წახდენია და უნდა წაუღსვაო. წაუსვა და ფუტკარს კისერზე კაკლის ხე ამოუვიდა. მოდიოდნენ ყვავები და ზედ სხდებოდნენ. კაკალს აყრევენებდნენ. ერთ დღეს მამაჩემმა აიღო გორი და შესტყორცნა ყვავებს, — ისეთი სახნავ-სათესი ადგილი გაჩნდა ამ კაკლის ხეზე, რომ მეტი არ შეიძლება. ავიდა მამაჩემი ზედ და დათესა სიმინდი. იმ სიმინდში შემოეჩვია დათვი. უყარაულა მამაჩემმა და, — იმთენი სცემა, რომ სულ ბარათები აყრეინა.

თუ შენ არ სტყუი იმ ბარათებში რა ეწერაო? ჰკითხა ქოსამ. ობოლმა უთხრა: იმ ბარათებში ეწერა, რომ ობოლს კვერიო და ქოსას არაფერიო.

იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმაკაცი. აუტყდა უმცროსი უფროსს ძმებს, უნდა გაგეყართო. აღარ მოეშვა, — გაეყარა და ძალიან გაღარიბდა. ცოლმა უთხრა: ჩემს სამშობლოში წადი და რასმეს მოგცემენო. წავიდა ეს კაცი მოყვარეში და მისცეს სამი ოქრო და ერთი ვირი. მიიყვანა ვირი სახლში. ცოლმა უთხრა: უფროსი მე ვიქნებიო. წაიყვანე ეგ ვირი და ამა და ამ ქალაქში სამი სოვდაგარია, იმათ კარზე მიიყვანეო და გაატარეო, თითო სოვდაგრის კარზე თითო ოქრო გადაადგეო.

წაიყვანა კაცმა ვირი, მიადგა ერთი სოვდაგრის კარზე და ერთი ოქრო დაადგო. ასევე მეორის და მესამის კარზე. გამოუდგა პირველი სოვდაგარი: კაცო, კაცო ეს ოქრო დაგვარდა, რად მინდა შენი საცოდაობა, წაიღეო. კაცმა უთხრა — რათ მინდა ეგ ოქრო, ჩემი ვირი სულ ოქროებს მიყრისო. და წავიდა ეს ლარიზი კაცი. შეიყარნენ სამივე სოვდაგრები: კაცო ვიყიდოთ ეგ ვირი, ოქროთი გავვაშაგებო. გამოუდგნენ ამ კაცს: კაცო მობრუნდი, მობრუნდიო! ძლივს მოაბრუნეს: რა გინდაო, — ჰკითხა მან. უთხრეს: — მოგვყიდე ეგ ვირიო. ჰე, თქვენ სად შეგიძლიათ მაგის ფასიო, იმან უთხრა: კაცო გვითხარი ფასი, იქნება შევიძლოთო. მაშინ კაცმა უთხრა: თუ ამ ვირს ოქროში ჩაფლამთ, რომ ყურების მეტი აღარ გამოუჩნდება, იმდენ ოქროში მოგცემთო. კარგიო, უთხრეს სოვდაგრებმა, დააყენეს ვირი და შემოაყარეს ოქრო და კიდე დააკლდათ. ისესხეს და ასე მისცეს. ლარიზმა კაცმა უთხრა: ერთს დიდს სახლში შეიყვანეთ ეს ვირი, კლიტე დაკიდეთ და შვიდ დღეს უკან ნახეთო, მაგრამ კარებისაკენ დააბით, რომ ოქროთი რომ გაიმსოს, არ დაიხრჩოს, პატარა საკმელიც ჰქონდესო. დააბეს ვირი სოვდაგრებმა და მივიდნენ შვიდ დღის უკან, ვირი კი მოკვდა და კარებისკენ ფეხები უჭერია. მიაწვნენ სოვდაგრები კარებს, ვერ გააღეს. უთხრეს ერთმანეთს, — გამსილა ოქროთი და კარები აღარ იღებო. შეიჭვრიტეს — ვირის ნალი ბჭყვიალებდა. დიდი სიხარული შაუდგათ, — ეგონათ, ოქროთი და ვერცხლით იქნებოდა სახლი სამსე. მიაწვნენ კარებს. გააღეს. ნახეს: ვირი მკვდარი და სხვა არაფერი. წავიდნენ გაჯავრებული. ვისგანაც ვირი იყიდეს, უნდა მოჰქლან.

ვირის პატრონმა ცოლი დაარბია: მე აგერ ჩვენს მიწაში წავალ სათონელად და შენ კარგი სადილი გააკეთეო. ამ კაცს ორი კურდ-

ღელი ჰყავდა, და უთხრა ცოლს. ერთს მე წავიყვან, იქ დავაბამ და ერთი აქ ებას. სოვდაგრები რომ მოვიდნენ, ჩემთან გამოასწავლე და მე ვითომ იმ კურდღელს გამოგიგზავნი, სადილს დავაბარებ და იმათ დავპატიებო.

მოვიდნენ სოვდაგრები, ჰკითხეს ცოლს: შენი ქმარი სად არისო? ე მანდ თოხნისო, — მიასწავლა ცოლმა. მივიდენ სოვდაგრები იმ კაცთან: უნდა მოგკლათო, რათ დავგვლუპე, ვირი მოკვდაო. იმან უთხრა: დაიცათ, ჯერ სადილი ვჭამოთ და მერე ვილაპარაკოთო. აუშვა კაცმა დაბმული ჯურღღელი და უთხრა: წადი ჩემს ცოლს უთხარი, დღეს კაი სტუმრები მყავს და კაი სადილი გააკეთე-თქო. გაიქცა კურდღელი ტყეში, იმათ კი ეგონათ, მართლა სახლში წავიდა. წაიყვანა ამ კაცმა სახლში სოვდაგრები, კურდღელი იქ დახვდათ დაბმული. დასხდნენ სადილათ. უყვრით სოვდაგრებს რანაირი გაზრდილი კურდღელი ჰყოლიაო. მოგვყიდეო, უთხრეს მასპინძელს. ასი თუმანიც ამ კურდღელში მისცეს.

წამოვიდნენ სოვდაგრები და გზაში უთხრეს კურდღელს: წადი და ჩვენს ცოლებს უთხარი, კარგი სადილი მოგვიმზადონო. გაუშვეს, კურდღელი ტყეში გაიქცა. მოვიდენ სახლში ცოლებს უთხრეს:

ჩვენ რომ კურდღელი გამოგვგზავნეთ რატომ კაი სადილი არ გააკეთეთო? ცოლები ეუბნებიან: რას ამბობთ, ჩვენ კურდღელი არ გვინახამსო. სოვდაგრები ძალიან დაღონდნენ და გული მოუვიდათ, კიდევ მოგვატყუაო.

წავიდნენ კიდევ იმ კაცთან. ამ კაცმა იფიქრა: მე ის სოვდაგრები არ მომასვენებენო და უთხრა ცოლს: მე ვითომ მოვკვდები, კუბო გამიკეთე და ისე დამმარხე, რომ ძალიან მიწას ნუ დამაყრი და სასულე გამიკეთეო. დამარხა ეს კაცი ცოლმა. მივიდნენ სოვდაგრები, ჰკითხეს: სად არის შენი ქმარიო? ჩემი ქმარი მოკვდა და დავმარხეო. უთხრა ცოლმა. წავიდეთ საფლავიდან ამოვავდოთო და წყალში გადავავდოთო. სთქვეს სოვდაგრებმა. მივიდენ, დაუწყეს თხრა. ატაკა იმ კაცმა შამფური საფლავიდან და ერთს თვალი გამოთხარა. მაინც ამოთხარეს, შეკრეს მაგრათ, მოიკიდეს და მიაქვთ, წყალში უნდა გადააგდონ.

სოვდაგრები დაილაღნენ, ეს კაცი მზეში დააგდეს და თითონ ჩრდილში დაიძინეს. ამ შეკრულმა დაიწყო ყვირილი: გამიშვით, არ მინდა ხელმწიფობაო! ამ დროს შოდის ერთი მეცხვარე, ათასი ლული ცხვარი მოჰყავს. გაიგონა შეკრული კაცის ყვირილი, მივიდა

და უთხრა: კაცო თუ შენ არ გინდა ხელმწიფობა, მე ვიქნები ხელმწიფეო. აბა შემხსენიო, — უთხრა შეკრულმა, — შენ შეგკრამ და ხელმწიფობას მოგცემენო, მე არ მინდა ხელმწიფობა და არ მეშვებია. შეხსნა მეცხვარემ და ამ კაცმა შეკრა კარგა მაგრათ მეცხვარე და დაზღო. ის ათასი სული ცხვარი გამორეკა და წამოვიდა თავის სახლში.

გამოელვითათ სოვდაგრებს, ასწიეს შეკრული კაცი და გადააგდეს დიდს წყალში. წამოვიდნენ და გზაში ნახეს ის ვითომ დამხვრჩალი კაცი, ცხვარს უდგია. ჰკითხეს: ვინ მოგცა ეს ცხვარი, ჩვენ ხომ წყალში გადაგადდეთ? კაცმა უთხრა: თქვენ რომ წყალში გადაგადდეთ, მოვუსვი ხელი და წყლიდან ეს ფარა გამოვრეკეო. კიდევაც იქ ბევრი დამრჩაო. სოვდაგრები წავიდნენ და გადაცვიდნენ წყალში. უნდა ცხვარი გამოერეკათ და სამთავე დაიხრჩვენ.

ქირი აქ დაეაგდე — ლხინი აქ მოვიტანე.

17ა. ქოსატყუილა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქოსა კაცი და ყვანდა ერთი ცოლი და ერთი ხარი. ცოლს უთხრა: მოდი ამ ხარს წავიყვან და გავყიდო, ვიყიდი რასმეო. წავიყვანა ხარი, იარა და ერთ ქალაქში შევიდა. შემოეყარა წინ ერთი ყადი. — კაცო, გამარჯვება. — გავიმარჯოსო. — მაგ თხას როგორა ყიდიო? ქოსამ უთხრა: კაცო, რას ამბობ, ეს ხომ ხარია, თხას რათ ეძახიო. მოუვიდათ ჩხუბი. უთხრა: წამოდი, ჩვენს ყადთან ვიჩივლოთ, თუ ეგ თხა არ იყოსო. წავიდნენ, მივიდნენ. იჩიულა ქოსამა: შენი ჰირიმე, მთის ოდენა ხარია, თხის ფას მაძღვესო, სამართალი მამეციო. ყადების ხემწიფემ უთხრა: შე ქოსატყუილავ, განა თითონ არ იცი, რომ თხა არისო? აბა რაღას ეტყვის ქოსა. მისცეს თხის ფასი და დაკლეს ხარი. მივიდა და უთხრა: ღმერთი არ არის თქვენში, თხის პატრონს აღარც თხის კუდიო? კუდი მაინც მამეციოთ. აღგნენ და გადაუგდეს ხარის კუდი. ადგა და ქოსამ გაირჰო ხარის კუდი და წავიდა შინა.

გავიდა რამდენიმე ხანი. ვნახოთ იმ ყადს აბანოში წასვლა მოუნდა. წავიდა ქოსატყუილა, დადის. შეაქლემებში შევიდა და უთხრა,

მოჯამაგირე ხომ არ გინდათო. უთხრეს, — მოდი, რა კარგი დრო გაქს. ჩვენი ყადი აბანოში მიდის და კარგს საჩუქარს მოგცემსო. ადგა და წავიდა. მიდიან. უბრძანა ყადმა მოსამსახურესა, თქვენ წინ წადით, შეაქლემე მახანავებს და წამოვალთო. შევიდნენ, იბანა ყადმა. ქოსამ ამოიღო ეს ხარის კული და უთხრა, ეს რის კულიაო? — ხარის კულიაო. უთხრა: თუ ხარის კულია, თხის ფასი რად მომეციო? — მოსდგა და ამდენი სცემა, სანამ მე და შენ მივეშველებოდით. დააგდო ყადი გულშემოყრილი და წავიდა ქოსა. მოვიდნენ მსახურები, ნახეს ავათ, მტერი გაგიხდა ავათ, გაბანებული ყადი ავათ დაუხვდათ, წაიყვანეს ტირილ-ყვირილითა. მერე მორჩა, კარგად რომ შეიქნა უბანა ერთი კიდევ. წამოყვანეთ აბანოში, ეგება ზეთი და მალამო წამისვანო. ადგა ქოსატყუილა, დედაკაცის ტანისამოსი ჩაიცვა და ჩადრი მოიხვია. დადის, მოჯამაგირე ხომ არ გინდათო. დადიან, ყადისათვის უნდათ მოჯამაგირე. შევიდნენ და უთხრეს: დედაკაცი მოჯამაგირე ხომ არ გინდათო. ყადმა უთხრა: დაიჭირეთ, დედაკაცი სჯობია, უფრო კარგათ მამივლისო, წავიდნენ. გზაზე უთხრა მსახურებსა: წადით, თქვენ ვანშამა დაამზადეთ, მერე ჩვენ მოვალთო და წავიდნენ.

შევიდა ყადი აბანოში. შეყვა ქოსა. რა იცის ყადმა, თუ ქოსაა! ვახანდა ტანთ ყადმა და უთხრა, ჯერ ზეთი და მალამო წამისვი, მერე ვახანეო. ამოიღო ხარის კული და უთხრა, ეს რის კულიაო? — ხარისაო. — თუ ხარის იყო, თხის ფასათ რათ იყიდეთ? — მოსდგა და ამდენი სცემა, რომ მიამკვდარა, მერე ადგა და წავიდა. შევიდნენ მსახურები. წამოიღეს მკედარ-ცოცხალი, მოვიდნენ შინა და ასე იყო. როცა მომჯობინდა, უთხრა, მე ამ ქვეყანაზე ვერ დავდგებიო. აიყარა, იბარგება. კიდევ შეიცვალა ქოსა სხვაფრივა და კიდევ დაუდგა მოჯამაგირეთ მებაქლემეებსა. რამდენიმე ათას აქლემს აჰქიდეს და წამოვიდნენ. გზაზე რომ ჩამოხდნენ მებაქლემე და ქოსა, ერთს სახლში არიან, ამოიღო ის ხარის კული და, — ეს რის კულიაო? — ხარისაო. — თუ ხარისა იყო, თხის ფასათ რათ გამამართვითო? — მოსდგა, ამდენი სცემა, სული ამოართვა და თითონ დარჩა იმდენი აკიდებული თვალ-მარგალიტი. აქლემები რამდენიმე ათასი მორეკა შინა და დაუძახა ცოლსა: აი ჩვენი ხარის ფასიო. აშენდა ქოსატყუილა.

ქირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, პური აქა.

ერთი ბერცკაცი იყო და ერთი შვილი ყამდა. საწყლები იყვნენ. ერთი ვირი და ერთი ხარი ყამდათ. მამამ უთხრა შვილს: — წადი, შვილო, ხარი წაიყვანე და გახყიდეო, ტანსაცმელი რამე ვიყიდო-თო. — წაიყვანა შვილმა ხარი. გზაზედ ვაჭარი სომეხი შემოეყარა, კითხა, — საითკენ გაგიწევნიაო? ხარის პატრონმა მიუგო: ხარი უნდა გავყიდოო. და ამან კითხა, შენ საითკენ გაგიწევნიაო? მე ხარი უნდა ვიყიდოო, ხარის პატრონმა უთხრა: მე მოგყიდო, მაგრამ ვაჭარმა მიუგო, — მე ცალრქა ხარი მყავსო და ამასთან არ შემიხ-დებაო. აილო ქვა ხარის პატრონმა, დაარტყა ხარს რქაზედ და მათგ-ლებინა. უთხრა ვაჭარს, — ახლა ცალრქა არისო და იყიდეო. ვაჭარ-მა მიუგო: უმშვენო იქმნაო. ბევრს ფულს აღარ მოგცემო. აილო ხუთი მანეთი და მისცა. ხარი შინ წაიყვანა.

წავიდა ხარის პატრონი შინ დაღონებული. მამამ ჰკითხა: შვილო, რა ქენიო? შვილმა უამბო დაწვრილებით, — ასე და ასე მომიხდა საქმეო და ხუთ მანეთად გავყიდეო. მამამ ჰკითხა: ვის მიხყიდეო, სახელი რა ერქო ანუ რა ერის კაცი იყო და ანუ რა ადგილზე ცხოვ-რობდაო.

შვილმა დაწვრილებით ასწავლა. შემდეგ მამამ უთხრა: შვილო, შენ მათარე ოჯახსაო, და მე ვირს წაიყვან და გავყიდო.

წაიყვანა ვირი, და რომელმაც ხარი იყიდა, იმის დუქნის კარზედ ჩამოხტა. ვირს კუდს ქვეშა ერთი აბაზი შეუდო, ვირი დუქნის კარ-ზე დააბა და თითონ დუქანში შევიდა. მედუქნემ უთხრა: ბებერო, რატომ არას მიერთმეო, ბებერმა მიუგო: ფული არა მაქვსო, ვიდრე ვირი არ მომცემსო. რას მიქარამო, მედუქნემ უთხრა, ვირი რა ფულს მოგცემსო? ვირის პატრონმა უპასუხა: ჩემი ვირი ფულს ჰყრისო. გამოვიდნენ კარზედ და ვირის პატრონმა უთხრა ვირს: აბა, ჩემო ვირო, სადილი მამეო. აუწია კუდი და აბაზი ჩაცვივდა. მედუქნემ დაინახა, რომ აბაზი დავარდა. შეევაჭრა, ეს ვირი მომყიდეო. ვირის პატრონმა უთხრა — შენა ამის ფასს ვერ მომცემო. რატომ არაო. იმან უთხრა, დაათასეო. მაშინ ვირის პატრონმა უთხრა: ამის ფასი არიო, არის ის, რომ ვირი უნდა აიწონოს და წონა ფულზედ გაიყი-დოსო. სულ ფულით სამსე არისო. აწონა ვირი ამ მედუქნემ და წონა ფული მისცა: რადგანაც ფულს ყრისო, არ ვიზარალებო. იფიქრა და კითხა ვირის პატრონს: საზრდოდ რა მიცეო, რით უფრო

ბევრ ფულებს დაყრისო? ვირის პატრონმა უთხრა: ბევრი მარილი აჭამეო და დილაზედ ცივი წყალი დააღვეინეო, მერე ბნელას გომში დააბითო, კარები დაუკეტეთ და ერთთ კვირას ნუ ნახავთო. ერთი კვირის უკან მოუარეთო და ის გომს სულ ამოამსებსო.

იმოკმედეს ესე და შეიყვანეს ის ვირი ბნელაში. ერთგან ჰკრიტი აქვს ბოსელს და ის მედუქნე იქიდან უტკერის. შეუჩერდა ვირს სისხლი, მოკვდა, ფეხები გაჭიმა და ნალები გაუბღღვინდა. ნახა ნალები ბნელაში მედუქნემ, ფული ეგონა და გახარებული ვაქრებს ელაპარაკება: ჩემმა ვირმა გომი ფულით ამივსოვო. ერთი კვირის უკან გააღო გომის კარი და ღვინიანის კოლოტივით გაბერილი ვირი დაინახა. ესე მოუვიდა ვაჭარს.

18ა. ლარიზი და მისი ცოლი

იყო ერთი ლარიზი კაცი, ყამდა ერთი ცოლი. უშვილონი იყვნენ. იმათი ცხოვრება ერთი ვირი იყო. პირზედ თოფრას დაჰკიდამდნენ, დააფრუტუნებდა და თოფრა თვალ-მარგალიტით გაიმსებოდა. ცოლი ახირდა, აბანოში უნდა წავიდეო. კაცი უარზე იყო, დამანებე თავიო, არ გვინდაო. ერთხელ ქმარი სადღაც წავიდა. ცოლმა ეს ვირი წაიყვანა და აბანოს კარებზე დააბა, თითონ შიგ შევიდა. სხვებიც იყვნენ საბანაოთ ვირებით. ამ ვირმა გაამსო თოფრა თვალ-მარგალიტით. ეს ერთმა კაცმა დაინახა და გამოცვალა თავის ვირში. ამ დროს ქალმაც გაათავა დაბანვა და გამოვიდა. დაინახა ვირი და იფიქრა გულში: ჩვენი ვირი გალურჯებულია; წაიყვანა საჩქაროთ, რომ ქმარს დაასწროს შინ მისვლა. მიიყვანა და დააბა თავის ადგილას. მეორე დღეს უთხრა ქმარს. სიზმარში ვნახე, ჩვენი ვირი გალურჯებულიყო. შემოიკრა თავზე ხელი ქმარმა: შევიდა და ნახა — ვირს აღარ სცვივა თვალ-მარგალიტი. დარჩნენ ისრე. ძალიან გაღარიბდნენ. იტყვის ეს კაცი: რა ვჭამოთ, რით ვირჩინოთ თავიო. წავიდა მწყემსებთან მინდორში პურის სათხოვნელათ.

მწყემსებს გველის წიწილი ჩაუგდიათ შუაში და გარს თივა შემოუყრიათ, უნდათ დასწვან. მივა იმ დროს ჩვენი გაღარიბებული კაცი, გაუჩავრდა ბიჭებს და გადარეკა აქეთ-იქით. მაშინ გველის წიწილამ უთხრა: შენ ჩემს დედ-მამასთან უნდა მიგიყვანოვო. ვინ

იცის რას არ გაჩუქებენო. აიყვანა კაცმაც და ჩაისვა კალთაში. გასწია. მიწის უგზო-უკვლოთ. შეხვდა ერთი მეცხვარე. უამბო მას თავისი ამბავი. ეს მემცხვარე ასწავლის გზას, თანაც კითხამს: რა უნდა სთხოვო.

მეცხვარე ყოფილა გულთმისანი. შენ რომ მიხვალო, ძალიან შემოგებხევიანო და მოგიალერსებენო, ბოლოს გეტყვიან რასა გეთხოვ, რომ შეილი მოგგვარეო. მეცხვარე ურჩევს ძველ სუფრას, თუ მოგცემენ. დსჯერდი, სხვას ხელი არაფერს ახლოო. იმ ღამეს მივიდა იმ ადგილას, როგორც ასწავლა გულთმისანმა. დილა გათენდა თუ არა, იჩემებს შინ წასვლას ეს კაცი. გველებმა ჰკითხეს: რა გნებამს რომ მოგართვათო. ეს კაციც იტყვის: თუ ძველ სუფრას მაჩუქებთ, წავიღებ, თუ არა და არა მინდა რაო. ძალიან შეწუხდენ. მაგრამ ბოლოს მაინც მისცემენ იმ ძველ სუფრას. წამოვა ეს კაცი. გზაზე ხვდება ისევ მეცხვარე. კაცი ეტყვის: ამისთანა სუფრა სამი მაქვს შინაო და რათ მინდაო? შენ არ იცი, შვილო, რა თვისებისაა ესაო. გამოართმევს. დასხდებიან და გაიშლიან წინ. ხელებიც დაიბანეს, პირჯვარიც დაიწერეს. იტყვის მეცხვარე: სუფრა, სუფრა, შენსა მზესა, შენი გამამცემის მზესა, რაც ჩვენ გვეკადრებოდეს, გაგვიშაღე, სუფრა, შენცა. გაეშალათ სუყველაფერი, საქმელი-სასმელი. გაეხარდა ამ კაცსა და მადლობა გადაუხადა. წამოვიდა ეს კაცი, მოვიდა შინ. გაუშალა ცოლსა და სთქვა: „სუფრა, სუფრა, შენსა მზესაო“ და იმათაც გაეშალათ მშვენიერი სუფრა. ასე ისადილეს. ცოლს ძალიან გვეხარდა, კიდეც გამდიდრდნენ.

ეხლა კიდეც პუტყდა ცოლი. ხელმწიფე დავბატიყოთ, გვეწვიოს სადილზედაო. კაცმა უთხრა: ღმერთს მოუცია ლუკმა და დამაყენეო. მაინც არ დაიშლის დედაკაცი და დაპატიჟეს ხელმწიფე. ისიც მოვიდა თავისი ვეზირებითა და მსლებლებით. ამ გლეხკაცს აქვს ერთი ოთახი მოფენილი ხალიჩებით, ორბოული ქეჩებით, შეიწვევს სახლში და დაბძანდნენ. აქეთ-იქით იხედებიან, უკვირთ, რომ არა კეთდება რა. არც ცეცხლი, არც ზედადგარი. დგას ბუხართან, არც მზარეულა და რით გვიმასპინძლებენო. მოვიდა სადილის დრო. მოიტანა სუფრა გლეხმა. გაშალა და სთქვა: სუფრა, სუფრა, შენსა მზესა, შენი გამომცემლის მზესა, რაც ხელმწიფეს ეკადრება, ის გაგვიშაღე — თქვა და მართლა გაიშალა სუყველაფერი. დასხდნენ და შეექცნენ. ხელმწიფეს ძალიან გაუკვირდა და უბძანა: ეგ სუფრა მე უნდა მაჩუქოო. რაღას იზამდა გლეხკაცი, დაკეცა და მიართვა.

კიდევ გაღარბდა საწყალი კაცი, არ იცის რიღათი ირჩინოს თავი, იფიქრა, ისევ წავალ ჩემ გველებთან, იქნება რამე მიწყალობონო და წავიდა. შეხვდა კიდევ მეცხვარე, უამბო თავისი ამბავი: ისევ მივდივარ გველებთანაო და რას მირჩევო, რა ვთხოვო. — ერთი გოგრა აქეთო, იმის მეტს ნურას სთხოვო.

მივიდა. გველები კარგად დუხებდნენ და იმ ღამეს გაუმასპინძლდნენ. დილა რო გათენდა, ჰკითხეს: რასა გვთხოვ, რომ მოგცეთო. ამანაც უთხრა: ერთი კვახი რო გაქო, ის მომეცითო. ადგნენ და მისცეს. წამოვიდა ეს კაციც. მოვიდა მემცხვარესთან. კითხა: რათ მინდა ეს კვახიო. მეცხვარემ უთხრა: ხელმწიფე რო სადილზედ დაბძანდესო, თავს დაადექი და ასე უთხარი: ჩვენო ღიღებულო, ხელმწიფე: ჩვენი სუფრა გვიბოძეთ, თორე ამ გოგრას დავახეთქებ და გავტეხამ-თქო. კვახი ცეცხლათ იქცევა, ყველაფერს მოეკიდება და სულ დაიწვის. სუფრას ნაპერწკლებიც კი არ მიეკარება. მაშინ მიდი და წამოილე. სამჯერ ეგრე უთხარი, თუ ნებით არ მოგცეს, მერე დაახეთქე და გასტეხე. ცეცხლათ იქცევა და იმის ქონებას სულ დასწვამს. შენს სუფრას არ შეეკარება, აილე და წამოილეო. მივიდა ეს კაცი იმ დროს, როდესაც ხელმწიფე სადილს მიირთმევდა. სამჯერ სთხოვა, სუფრა დამიბრუნეო, თორემ გოგრას დავახეთქებ და გავტეხამო. ხელმწიფემ უბძანა: დაახეთქეო. დაახეთქა და გატეხა. მეედო ცეცხლი და გადიწვა მთელი სახლ-კარი ისე, რომ სუფრას ნაპერწკალიც არ მიეკარა. წამოიღო, მოიტანა შინ და ბევრი ლოცა მეცხვარე, იხეირე ცოლით და შვილითო. გამდიდრდა ეს კაცი და იცხოვრა ტკბილათ.

19. მოლა და ქალის ოინი

იყო ერთი სოფდაგარი. წავიდა სავაჭროთ ერთს ქვეყანაში, წაიღო მრავალი ფული. იმ ქვეყანაში წესი იყო, მოლასთვის უნდა მიეზარებინათ ფული საქონლის ყიდვამდინ. ამ კაცმაც მიაბარა და დაიწყო ამ ქვეყანაში სიარული და იმის ძებნა, რაც უფრო ხელს მისცემდა, ის ეყიდნა. ნახა, რაც უნდოდა საქონელი, და გაურიგდა. წავიდა ეხლა მოლასთან და უთხრა: ჩემი ფული მომეციო. მოლამ უარი უთხრა: რა მოგიბარებია, რა მოგცეო.

ეს კაცი ძიელ დაღონდა, წამოვიდა. ერთი მზეთუნახავის კარზე გამოიარა და დაჯდა მეტად დაღონებული. გადმოიხედა მზეთუნახავმა და ჰკითხა: კაცო, მაგრე რამ დაგაღონაო? — არაფერიო. — არ მოეშვა მზეთუნახავი. — უნდა მითხრაო. კაცმა შესჩივლა თავისი მწუხარება: მოლას ფული მივაბარე და აღარ მამცაო. მზეთუნახავმა უთხრა: ნუ გეშინიაო. მე წავალ მოლასთან და შენც მაშინ მოდიო. ქალმა თავისი ბიჭი დაარიგა: მე რომ მოლასთან მივიდე და ამ კაცს თავის ფული მისცეს, შენ შემოდი და მითხარი, ბატონი მოვიდა-თქო.

ამ ქალმა, რაც ძვირფასი ნივთები ჰქონდა, ჩააწყო ერთს სკივრში და წააღებინა, შევიდა მოლასთან და უთხრა: ნივთები მოვიტანე მოსაბარებლად, ჩემი ქმარი სხვაგან წავიდა, ძალიან დაიგვიანა და მეც უნდა წავიდეო. ამ დროს სოვდაგარი შემოვიდა და უთხრა: მოლა, მე რომ ფული მოგაბარე, მომეცო. ამოიღო მოლამ და მისცა, — იფიქრა ეხლა რომ ამას არ მივსცე, ეს ქალიც აღარ მამაბარებსო, და ეს ნივთები სჯობია ამ ფულსაო. ამ დროს ბიჭი შემოვიდა და ქალს უთხრა: ქალბატონო, ბატონი მოვიდაო. ქალმა ნივთები ისევ უკანვე წააღებინა და თამაშობა დაიწყო. სოვდაგარმაც, ბიჭმაც თამაშობა დაიწყეს. მოლაც ამათ აპყვა და თამაშობენ. ქალმა უთხრა მოლას: მე ის მათამაშებს, რომ ქმარი მამივიდაო; ამ კაცს ის, რომ თავის ფული ჩაბარაო; ჩემს ბიჭს ის, რომ საჩუქარს მივცემო და შენ რაღა გათამაშებსო? მოლამ უთხრა: მე ის მათამაშებს, რომ თქვენისთანა ოხრებმა მამატყუესო.

20. სამი ყრუ

ერთი ყრუ მეცხვარე იყო. ორი თხა დაეკარგა და წავიდა საძებნელად. დაინახა, რომ ერთი კაცი მიწას ხნამდა მივიდა და ჰკითხა: თხები დაეკარგე და ხომ არ გინახავსო? გუთნისდედამ უთხრა: — ყრუ ყოფილიყო, — ა იქამდის მოვხანიო, — და ხელი გაიშვირა, მეცხვარეს ეგონა, თუ „ა იქ არისო“. წავიდა იქითკენ და ნახა თხები. კიდაობდნენ და ერთს კიდაობაში რქა მოსტეხოდა.

მეცხვარემ თქვა: ამ რქამოტეხილს იმ კაცს მივცემო, რადგან მასწავლაო. წამოიყვანა თხა და აძღვეს იმ კაცს. გუთნისდედამ უთხ-

რა: რას ამბობო, მე არ მომიტეხია მაგისტვის რქაო? მეცხვარეს გონია, რქიანსა მთხოვსო და ეუბნება: რაში გინდა, შენ რქიანი თხაო? რქამოტეხილი წაიყვანეო. ამ ლაპარაკში ჩხუბი მოუვიდათ. დაინახა, შორს ერთი ბებერი კაცი ზის, წავიდნენ მასთან და შესჩიველეს. მეცხვარემ უთხრა: თხები დაკვარგეო, ამან მასწავლა და სწავლებაში რქამოტეხილ თხას ვაძლევი, ის არ სჯერდება. რქამთელს მთხოვსო. გუთნისდემ უთხრა: მაბრალებს, თხისთვის რქა მოგიტეხიაო; ახლა ბებერმა კაცმა უთხრა, — ისიც ყრუ ყოფილიყო, — თუ გინდა პაპათქვენი აქ მოვიდეს, მე ჩემს რძალს არ შევეურიგდებო.

21. მოლა და სამი ვაჟი

იყო ერთი მოლა, ჰყავდა სამი ვაჟი. მოლამ აიღო თავისი დოვლათი და რაც ჰქონდა, შვილებს გაუყო. შვილებმა ქონების გაყოფის შემდეგ დაანებეს მამას თავი და თავიანთვის წავიდნენ. რაც ჰქონდა მოლას, სულ შექამა და სიბერეში ისე გასაწყლდა, რომ ერთა ლუქმა აღარა ჰქონდა, და შვილებიც ყურს აღარ უგდებდნენ. იფიქრა, იფიქრა მოლამ და ბოლოს ეს მოიფიქრა. დაუძახა უმფროს შვილს და უთხრა: შვილო, თქვენ გგონიათ, რომ მე მაგის მეტი ფულები აღარა მქონდა? მე ფულები კიდევა მაქვს ამა და ამ ადგილას დამარხული, მაგრამ არ მინდა ამოვიღო და, მანამ ცოცხალი ვარ, შენ ყური მიგდე, და როცა მოვკვდები, ის ფულები შენი იყოსო. მაგრამ შენ ძმებს არ უთხრა, თორემ დამემდურებიანო. დაუწყო ამ უფროსმა შვილმა მამას მოვლა. მოლამ დაუძახა საშუალო შვილს, მერე უმცროს შვილს და იმათაც ეგრე უთხრა, როგორც პირველს. ეს სამივე ძმები ერთმანეთის მალვით უვლიდნენ მოხუცებულ მამას. როდესაც მოკვდა მოლა, დამარხეს და მივიდნენ სამნივე იმ დანაშნულ ალაგას.

უმფროსმა უთხრა ძმებს: მამაჩემმა მე მიანდერძა ეს ფულებიო. ძმებმაც იგივე თქვეს და მოუვიდათ ჩხუბი: არა, მე მომცა და არა, მეო. მერე უმფროსმა ძმამ თქვა ჩხუბით ვერაფერს გავარჩევთო, ამოვიღოთ და ის ფულები სამივემ გავიყოთო. დაეთანხმნენ ძმები. ამოთხარეს და ამოიღეს ერთი რაღაც ორპირათ ტილოში და მერე ქილობში შეხვეული და ყოველ მხარეს დაბეჭდილი. გახსნეს და ნა-

ხეს შიგ ვირის კული და ერთი წიგნი, რომელშიაც ეწერა, ვინც ჩემ-
საებრ ეგრე წინათ გაუყოს მამამ თავის შვილებს ქონება, ჩემს უკან
ამისთანა გამოუვიდესო. წაიკითხეს შვილებმა ეს წიგნი, დააფურთ-
ხეს და წავიდნენ.

22. ფულის გაფრთხილება მომგზავა იცის

ერთი შეძლებული კაცი იყო და ერთი ვაჟი ჰყვანდა. ეს შვილი
გამოართმევდა მუდამდღე ფულს, წაიღებდა და გადაადგებდა.
მამამ ბევრი უთხრა, ბევრი უშალა, მაგრამ ვერ მოაშლევინა ეს
ჩვეულება. ფული რა დიდი საქმეა, რომ მაგაზე ლაპარაკობო, —
ეუბნებოდა შვილი. მამამ იფიქრა: ჩემი შვილი ჰკუთასა ჰკარგავსო,
უნდა მოვუხერხო რამეო. ერთხელ, შვილი რომ მოდიოდა ფულის
სათხოვნელად, მამამ უთხრა: რა კაცი ხარ, სულ მე ჩამციებიხარ და
მართმევ ფულსა, აბა თუ შეგიძლია, ერთი შენის ოფლით მონაგარი
ერთი მანეთი მაჩვენეო. რატომ არ შემიძლიაო, უთხრა შვილმა, —
წავალ, ვიძუშავებ და მოგიტანო. წავიდა, აქეთ ეცა, იქით ეცა,
გაუძნელდა საქმის შოვნა. მაინც არ უნდოდა შერცხვენილიყო და
დაიწყო მუშაობა სულ უბრალო საქმეზე. რამდენიმე დღე აქა-იქ
ბუშაობდა და ძლივსძლივობით შაური შაურს მიუმატა და მანეთი
გახადა. მოვიდა სიხარულით მასთან და მოუტანა მანეთი: აჰა, თუ
ვერ შევიძლებ შოვნასო. მამამ მოუწონა ახლა კი მჯერაო. მოიქნია
ხელი და ფული უნდა წყალში გადაეგდო. მივარდა შვილი და ხელი
დაუჭირა: რამდენი დღეა, რის წვალებით და ოფლით მიშოვნია ეგ
ფული და შენ წყალში აგდებო? მამამ უთხრა: ახლა შეიტყე ფულის
ყადრიო? იმ ჩემ მოცემულ ფულს რო ჰყრიდი, ისიც ვაებითა და
ოფლით ნაშოვარი იყოვო.

შვილმა ფლანგვაზე ხელი აიღო და ფულის ფასი შეიტყო.

23. რძალ-დედამთილი

ერთ დედაკაცს რძალი ჰყვანდა. რძალი მშვიდი ქალი იყო, მარა
დედაკაცი სულ ეჩხუბებოდა და ებუზღუნებოდა, ვერ მოეწყო,
შვილს ჩააცივდა, — თავი დაანებე, გაეყარეო. შვილმა უთხრა, რო-

გორ გავეყარო, ცოლიაო. დედამ უთხრა, სხვა შეირთეო. გამოვიდა
კაცი დაღონებული. შემოხვდა ერთი ქოსა და ჰკითხა, რამ დაგა-
ღონაო? კაცმა უთხრა, ასე და ასეა ჩემი საქმეო, დედაჩემი ვერ მო-
რიგებია ჩემ ცოლსაო. ქოსამ უთხრა მე გიშველიო, შენი ცოლი
სამშობლოში წაიყვანე პატარა ხანს სტუმრათაო, მე ქალის ტანისა-
მოსს ჩავიცვამ, ცოლი წაიყვანე და მერე მე ვიციო.

წავიდა ეს კაცი, წაიყვანა ცოლი მშობლებთან და დედაკაცათ
ჩაცმული ქოსა შინ მოიყვანა. დედას უთხრა — აი ჩემი ახალი ცო-
ლიო და ახლა ვნახოთ, როგორ მოეწყობიო. დედაკაცს გაეხარდა!
რაკი ის მოიშორე, ახლა რაღა მიჭირსო. უაღერსებს ახალ რძალს და
სიყვარულით ეკიდება, მუშაობს და უვლის სახლს. ახალი რძალი კი
შეტევით ელაპარაკება: ჰაი, შე ქოფაკო, აგრე კი არ უნდა, ასე
უნდა გააკეთოო. დედამთილი ყოველ შეტევაზე იკუნტება და
იკუნტება. მოიტანა ხახვი შექმანდისათვის და სჭრის. ახალმა რძალ-
მა ყურზე ხელი მოაელო: ჰაი, შე ქოფაკო, დაბერებულხარ და
საყურე არა გყრიაო. საყურე უნდა გაგიყაროო. ყური გახვრეტილი
არ ჰქონდა. დედაკაცი ეუბნება: რა დროს ჩემი საყურეაო? — არ
იქნებაო, — ის ეუბნება. ამოიძრო თავიდან ნემსი, ატაკა ბიბილოში
და გაუხვრიტა. ხახვის ნაჭერი აიღო და გაუყარა ყურში. — აჰა შენი
საყურეო. მოვიდა შვილი. დედამ შესჩივლა, — მე იმ რძალს ვჩიო-
დი და ის ღვთის წყალობა დედაკაცი იყოო. ეს აშარი საიდან გა-
დამკიდევო. ისევ ის მოიყვანეო, ოღონც ეს კი მომაშორეო. წავიდა
შვილი და ცოლი მოიყვანა სამშობლოდამ. დედამთილი დაუტკბა
რძალს და დაიწყო იმისი პატივი.

24. რძალი და მაზლი

ერთ დედაკაცს ქმარი მოუკვდა. ტირილით და ნაღვლით შინაუ-
რებს თავი მოაბეზრა. მაზლი ერთხელ გაუჯავრდა. რა დაგემართა,
დედაკაცო, მოიხვენე და მოგვასვენეო. ის კიდევ იძახდა, რა მიყავო,
კაცო, სად წახველ, სად დამეკარგეო. მაზლმა დაუყვირა: ჯანაბას
წავიდაო. დედაკაცმა დაიხსომა და უნდოდა შეეტყო, ჯანაბაში ქმა-
რი რას აკეთებდა. გამოვიდა და ნახა ერთი გლეხი კაცი, დაღალული
იჭდა და ისვენებდა. მივიდა და დაუწყო კითხვა, რას აკეთებ, რათ

მოხვედით. გააჩერა ლაპარაკით, ბოლოს ჰკითხა, საიდან მოდიხარო? გლებმა უპასუხა, ჯანაბიდანაო. დედაკაცს გაეხარდა, ქმრის ამბავს მეტყვისო: — ვუი, გენაცვალე, რაკი ჯანაბიდან მოდიხარ, ჩემი ქმრის ამბავი გეცოდინებაო. გლებმა შეატყო, რომ დედაკაცი სულელი იყო, და უთხრა, ვიციო. ძალიან შეწუხებულია, ნორსა და ხახვსა ყიდისო, მაგრამ იმოდენა რგება არა აქვს, რომ მუცელი გაიძლოსო, ლუკმა ენატრებაო. დედაკაცმა უთხრა, მაშ ერთი მალღო ქენი, ხუთას თუმანს მოგცემ, ჩენს ქმარს წაუღეო. გლებმა უთხრა ბატონი ბრძანდებით. გამოიტანა დედაკაცმა და მისცა. გლებმა გამოართვა და წავიდა, თან უკან იხედება, ხომ არვინ მომდევსო.

მოვიდა მაზლი. რძალმა ახარა, ჯანაბიდან მოსული კაცი ვნახე, შენი ძმის ამბავი მომიტანაო. დიდ გაჭირვებაშია თურმე, ჩვენ ღვთის წყალობა არ გვაკლია, ხუთასი თუმანი ავიღე და გაუგზავნეო. აი დაგექცეს ოჯახი. კაი საქმე გიქნიაო, — შეუეკურთხა მაზლმა. შეჯდა ცხენზე და გამოუდგა, აგებ ვიპოვნო ის გლებიო. გლებმა შორიდან დაინახა, რომ ცხენოსანი მოაქენებს, მიხვდა მე. მეძებსო. ახლოს წისქვილი იყო, შევიდა, ნახა ერთი თავმოტიტვლებული მეწისქვილე და უთხრა, ხელმწიფის ბრძანება გამოსულა, თავმოტვლებილი კაცო საცა ნახოთ ტყავი გადააძრეთ, დიპლიპიტოსათვის მინდაო. სამი კაცი ვნახე, თავზე ტყავი გადააძრესო. თავს უშველე მალეო. აჰა ეს ტანისამოსი შევცვალათ ერთმანეთშიო. მეწისქვილემ საჩქაროთ გაიხადა ტანთ, იმ გლების ტანისამოსი ჩაიცვა, გლებმა მეწისქვილის ტანისამოსი და ასწავლა, — წადი, მალლა ხეზე ადი, დაიმაღეო. თითონ ფქვილი შეიყარა.

მივიდა მაზლი და ჰკითხა გლებს: აქეთ ერთი გლები მოდიოდა, აქ შემოვიდაო? გლებმა ხმამაღლა უთხრა, აქ არავინ მოსულაო, და მალვით კი თითით აჩვენა, მალლა არისო. გამოვიდა კაცი, შეხედა ხეს და დაინახა გლების ტანისამოსჩაცმული მეწისქვილე. დაუწყო გინება, აქ ჩამოდი, შე მატყუარაო, ფული მოგიტაცნია და ახლა მანდ იმალებიო? მეწისქვილემ დაიწყო ხეზე თავის ხლა, ხან აქეთ ახლის და ხან იქით, — ნურც მე ცოცხალი და ნურც შენ ეს თავი მრთელიო. ამასობაში გლები კაცი შემოაჯდა მაზლის ცხენს და გაკურცხლა. მაზლმა ჩამოიყვანა ბოლოს ხიდან კაცი და მართალი ათქმევინა. მაზლი ცარიელი დარჩა ფულისაგანაც და ცხენისაგანაც. შინ დაბრუნდა. დედაკაცმა ჰკითხა, რა ჰქენიო? მაზლმა უთხრა, რაღა რა ვქენი, ისეთ გაჭირვებაშია თურმე, რომ ცხენიც თან გავატანეო.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი ცოლ-ქმარი. ძალიან ღარიბები იყვნენ. წავიდა კაცი და მოჯამაგირეთ დადგა, წელიწადში სამ თუნად. ოთხ წელიწადს იყო მოჯამაგირე. აიღო თორმეტი თუმანი და წამოვიდა შინ. ათი თუმანი ცოლს მისცა და ორი თუმანი სავაქროთ წაიღო.

ვნახოთ ერთ კაცს ერთა გატეხილი საღლობელი დააქვს და იძახის: ვის უნდა ძვირფასი, ვის უნდა ძვირფასიო. დაუძახა ამ დედაკაცმა და ჰკითხა, რას ჰყიდიო. იმან უპასუხა: ასეთ რამესა ვყიდიო, ერთი პირიდან რომ გაიხედო, მთელ ქვეყანას დაინახამო. მეორედანაც რომ გაიხედო, უფრო მეტს დაინახამო. რა ღირსო? — ჰკითხა დედაკაცმა. კაცმა უთხრა თორმეტი თუმანიო, მაგრამ ათ თუმანდაც მოგცემო. ათი თუმანის მეტიც არა მაქვსო, — უთხრა დედაკაცმა, — აიღო და მისცა.

მოვიდა ქმარი. ცოლმა უთხრა: იცი, კაცო, ისეთი რამ ვიყიდე, რომ აქედამ რომ გაიხედო, მთელ ქვეყანას დაინახამო, მეორე პირიდან — რომ გაიხედო, უფრო მეტს დაინახამო. დახედა ქმარმა, ნახა გატეხილი საღლობელი არის, თქვა: წავალ სხვა ქვეყანაში, თუ ამ ჩემი ცოლისთანა სულელი დედაკაცი ვნახე სხვა, ამას არ მოვკლამ, თუ ვერ ვნახე, მოვალ და მოვკლავო. წავიდა. ნახა ერთი დედაკაცი, იმას ჰყვანდა ერთი ქოსმენი. დადგა ეს კაცი და უყურებს ამ ქოსმენს. დედაკაცმა ჰკითხა, — რას უყურებო? კაცმა უთხრა; ამისმა ძმამ გამომაგზავნაო, ძალიან ავად არის და უნდა ამის ნახვაო. თუკი მაგრე ძალიან უნდა მაგის ნახვაო, წაიყვანეო, — უთხრა დედაკაცმა. გამოუყვანა ღორი და მისცა. წამოიყვანა კაცმა და წამოვიდა.

მოვიდა ამ დედაკაცის ქმარი და ცოლმა მაშინვე უთხრა, — იცი, ჩვენ ქოსმენს ძმა გახდომია ძალიან ავათ და იმისგან კაცი მოგვივიდა და წაიყვანაო, ნეტავი ცოცხალს მაინც მიუსწროსო. მაშინ ამ კაცმა თქვა; წავალ სხვა ქვეყანაში, თუ იქაც ვნახე ამისთანა სულელი დედაკაცი, არ მოვკლამ ამას, თუ ვერ ვნახე, მოვალ და მოვკლამო.

წავიდა. მივიდა ერთ სახელმწიფოში. ხელმწიფე მომკვდარიყო. გაიარა-გამოიარა ხელმწიფის სასახლეს წინ. დაინახა ხელმწიფის ცოლმა და ჰკითხა, საიდან მოდიხარო? კაცმა უპასუხა, — ჯანაბიდანაო. — მაშ ჩემი ქმრის ამბავი გეცოდინებაო, უთხრა ხელმწიფის ცოლმა, — რა იცი ჩემი ქმრისაო? კაცმა უთხრა, მშვიდობითააო.

დამაბარაო თავისი ლურჯა ცხენი, თავისი ტანისამოსი და ერთი სამასიოდე თუმანიო. გამაყვანიხა დედაკაცმა ლურჯა ცხენი და მისცა. გამატანიხა და მისცა ერთი ხელი კარგი ტანისამოსი და სამასი თუმანიც. მისი მაზლი მაშინ შინ არ იყო და რომ მოვიდა, უთხრა: იცი, შენ ძმას კაცი გამეგზავნა და დაებარებინა თავისი ლურჯა ცხენი, ერთი ხელი კარგი ტანისამოსი და სამასი თუმანი ფულიო და მე გავუგზავნეო. ადგა მაშინვე ეს ხელმწიფის ძმა თავის ნაზირ-ვეზირებით და გამოუდგა იმ კაცს.

კაცმა დაინახა ესენი, იფიქრა ჩემ საქმეზელათ მოდიანო და უნდა ვუშველო თავს რამეგო. იქ ახლო ჭალაში ერთი პატარა წისქვილი იყო. ცხენიდან ჩამოხტა, ჭალაში გაუშვა, თითონ წისქვილში შევიდა და მეწისქვილეს უთხრა: მოიჯარადრეები მოდიანო, ვისაც ბევრი მინდი აულიათო, იმათ თავებს ჭრიანო. მიშველე რამეგო, — უთხრა მეწისქვილემ, — სად დავიმალოვო? ემანდ ხაროში ჩაძვერიო, უთხრა კაცმა (თითონ ფქვილი დაიყარა ტანისამოსზე). ჩაძვრა და დაიმალა მეწისქვილე. მოვიდა ხელმწიფის ძმა თავის მხლებლებით და ჰკითხა: რა იქნა ის კაცი, ახლა რომ აქ შამოვიდაო? კაცმა თითით უჩვენა, — ემანდ ხაროში არისო. დაადგა ზემოდან მეწისქვილეს ხელმწიფის ძმა და ეუბნება: ამოდი მალლაო! მეწისქვილე იქიდან ეფიცება: ღმერთმანა, ბევრი მინდი არ ამილიაო. ამ დროს ის კაცი გაიპარა გარეთ, შეჯდა ხელმწიფის ლურჯაზე და ვაკჟურცხლა. ბოლოს ამოვიდა ზემოთ მეწისქვილე, ხელმწიფის ძმამ შეიტყო ყველაფერი, მაგრამ გვიანდა იყო.

26. ტაბილი ცოლ-ქმარი

ერთს სოფელში გლეხი ცოლ-ქმარნი იყვნენ. ფური დაუბერწდათ. ცოლმა უთხრა ქმარს — წაიყვანე ქალაქში, გაჰყიდე ან გამოცვალო. გლეხმა წაიყვანა. გზაზე ფური უკან, სოფლისაკენ იწევა და გამობრუნება უნდა, გლეხი წაყვანაზე მოიქანცა. სულ თავებდს იწყევლის და აგინებს ფურს, — მაცა. შენ ერთი გადაგყარგო და გამოგცვალოო. გზაზე მელორემ შეიტყო იმისი ლანძღვა-გინება. ჰკითხა — რა ამბავია, რას გაუჯავრებხარო? გლეხმა უთხრა, — ეს ძროხა გამიბერწდა, ქალაქს მიმყავს გამოსაცვლელათ და ასე

მაწვალებსო, სულ უკან ბრუნდებო. მეღორემ უთხრა: რახან გამოცვლას აპირებ, მოდი გოჭებთან ღორზე გამიცვალეო. გლებმა მოიფიქრა. ღორს ადვილად ვატარებო, გადაცვალა. გაიგდო ღორი გოჭებთანათ, მაგრამ აბა ღორებს მოსვენებით როგორ ატარებდა.

შეწუნდა გლები და დაიწყო კიდევ ლანძღვა-გინება. შემოწვდა მეცხვარე. ჰკითხა: რა გაჭავრებსო? თუ გინდა, მოდი ერთი ცაქნიან თხას მოგცემ, გამიცვალეო. გლებმა გამოართვა, იფიქრა, მოსვენებით ჩავიყვანო. თხამა და ციკანმა უარესი უყო. გლებმა თავბელი იწყევლა. შემოხვდა ერთი ცხენოსანი გლები, ქათამი მიჰყავს გასყიდათ. თხის პატრონს ჰკითხა, რა გაჭავრებსო. ამან უთხრა თავისი და ნახა ცხენოსანს ცხენზე ხურჯინი უკიდია და იქილამ მამალს თავი ამოუყვია, მოეწონა და უთხრა: მოიტა, ყივანაზე გამიცვალეო. ქათმის პატრონს, რასაკვირველია, ეამა და გამოუცვალა. გლებმა გამოართო, ილლიაში დაიჭირა და ალერსით უყვავებს ქათმსა, — როგორი ჰკვიანი ხარო. მივიდა ქალაქში და გაჰყიდა ორ აბაზად. გზაზე ჰონის დუქანში ჰქუდები ნახა და ერთი ჰქუდი მუტათ მოეწონა. შეევაჰრა, ჰონმა მანეთათ დაუფაჰა. გლები იმდენი ეჩიჩინა, ორ აბაზად გამოართვა და თავისი ძველი ჰქუდიც სართათ მისცა. გამოიყენებო. ადგა და წამოვიდა.

გზაში წყალი მოსწყურდა. წყალზე ჩავიდა და რო დაეწაფა. ჰქუდი ჩაუვარდა და წყალმა წაიღო. მივიდა ჰონთან და ძველი ჰქუდი სთხოვა. ჰონმა უთხრა: რა კაცი ყოფილხარ, ცოლს რაღა პირით დაენახვებო, ხომ შეგჰანსო!. გლებმა უთხრა, ბმასაც არ გამოცემსო ჩემი დედაკაციო. ჰონმა უთხრა: დავენაძლიოთო, თუ შენმა ცოლმა ჩხუბი არ დაგიწყო, თქვენი სოფლისაკენ ცხვარი მყავს, წამოვალ და სანაძლეოდ ფურის ფასი სამი თუმანი მოგცეო, თუ არა და სამი თვე მოჯამაგირეთ დამიდექო. კარგი, აგრე იყოსო, — უთხრა გლებმა. ადგა ჰონი და გაჰყვა გლებს.

სოფელში რო შევიდნენ, გლები შინ არ შევიდა, ბანიდან გადასძახა ცოლსა, დედაკაცმა შინ შეიპატიჟა, — გარედამ რას მელაპარაკები, რატო შინ არ შემოხვალო. გლებმა უთხრა, — რა შემოვიდე, ძროხა წავიყვანე, გავცვალეო. ეგ ხო ვიცი, მე არ გამოგყე სოფლის ბოლომდინაო? მერე რაში გასცვალეო? — ღორში თავის გოჭებთანო, — უთხრა ქმარმა. ეგ ძალიან კარგიო, გავამრავლებთ და გავკეთლებითო. მერე რა უყავი? — რაღა რა ვუყავი, გზაზე თავი მომაბეზრეს და ციკნებთან თხაში გავცვალეო. — იფ ეგ უკეთესიო,

მოწვევით და ყმაწვილებს დაეოკებთო. — მერე სად არისო? — რაღა სად არის ვერც ისინი ვატარე და ყვიანაზე გავცვალეო. — ეგეც კარგიაო. განთადისას იყივლებს და გამოგვადვიძებსო, მუშაობას აღარ მოვცდებითო. — მერე რა უყავიო? ქმარმა უთხრა, — გავყიდე და ქუდი ვიყიდეო. ცოლმა უთხრა, — კარგი გიქნია, მაშ ქალაქობა რაზე დაგეტყოსო? — რა უყავიო? — ქმარმა უპასუხა, — რაღა რა უყავი, წყალი მამწყურდა, ჩამივარდა, წყალმა მამტაცა, გავუდექი, კინალამ მეც წამილოვო. დედაკაცმა თავში წაიშინა, — ვუი. ნე თვალეზდამდგარსა, ჩემი ბრალიაო, რატო ლიტრა არ გაგატანეო! ჭონმა შეუკურთხა, — ჰა თქვენი ასე და ისეო, რა ხალხი ყოფილხართო! დაუთვალა გლებს სანაძლეო ფული და წამოვიდა.

27. ცოლის მორჯულება

ორნი მდუნე ძმანი იყვნენ, ერთმა ცოლი შეიერთო. პირველსავე ღამეს ცოლთან გაჯავრებული მივიდა, ყვირილითა და წყრომითა. კატას მოავლო ხელი, — სულ აქაურობას მტვერს ავადენო, მოიქნია და კედელს მიანარცხა. კატა მოკლა. ცოლი მოიკუნტა, იფიქრა, ეს რა ღვთის რისხვა კაცი ყოფილაო! უჯერებდა და მორჩილი იყო.

მეორე ძმას ნებიერი ცოლი შეხვდა. არას აკეთებდა, თავს მოავადმყოფებდა, საქმე არ შემძლიანო. ამ ცოლის ქმარმა ძმას შესჩივლა და ჰკითხა, შენი ცოლი როგორ დაიმორჩილეო? იმანაც ასწავლა. კაცმა მოუტანა ცოლს ხორცი. ეს მაინც მოხარშეო. ცოლი აღგილიდან არ დაიძრა. დედაკაცმა თქვა, ახლა რომ სადილი გავუკეთო, დაეჩვევა და აღარ მომასვენებსო. მოვიდა ძალლი და კატა, შეჰამეს ხორცი. დედაკაცი იწვა. მოვიდა საღამოს კაცი, აბა პური მაჰამეო. დედაკაცმა უთხრა, ძალღმა და კატამ შეჰამაო. კაცი გაჯავრდა, თუ არა ხარშამდი, შეინახამდი მაინცაო, — წაავლო კატას ხელი და შუაზე გაგლიჯა. დედაკაცი წამოვარდა და თავში ჩაჰკრა: ეგ აღრევე უნდა გექნაო, ესლა გვიანაო.

ერთი კაცი იყო, ცოლი უნდოდა; ასეთი ქალი უნდა შევირთო, კარგი მოსაქმე იყოსო. ერთი დარჩენილი გასათხოვარი ქალი იყო. უთხრეს: კოპში ფერადდაფასხმული ნემსები გაიკეთე და კარზე დადექ. ეგება თვალი მოგკრას და გითხოვოსო. ქალმა გაიკეთა კოპში ბლომათ ნემსები, სულ სხვადასხვა ფერის ძაფითა და კარზე იდგა. მოჰკრა თვალი იმ კაცმა და იკითხა, — რა არის, ამოდენა ფერადი ძაფი რომ ჰკიდია თავსაკრავზეო?

უთხრეს, ძალიან მოსაქმე არისო და ნემსები აგებულნი აქვსო. მოეწონა კაცსა, სწორეთ საჩემო ქალი ყოფილაო. შეირთო. იჭდა ქალი. ვნახოთ, მოვიდა ნამის ჭია. წამოდგა ქალი და ჭიას თავი დაუტკრა: მობძანდა მამიდაჩემიო. კაცმა ჰკითხა, რასა შერები, რა ამბავიაო? ქალმა უთხრა: მამიდაჩემიაო. გვართ მოგვდგამს საქმის სიყვარულიო. მეტის საქმით ასე დაილია და ჭიად იქცაო. კაცმა თავი მოიკლა, — ამას იჩით თუ შენ ხელში ნემსი მინახამს, თავი ცოცხალი აღარ მინდაო. სულ დაუშალა საქმე.

29. ვაჟის სწავლა

ერთ კაცს მსახური ჰყავდა. ექვსი თვე შეუსრულდა და უთხრა: აი, შეილო, ექვსი თვე შეგისრულდა. რა გინდა, ფული მოგცე თუ ჰკუა გასწავლოვო? მსახურმა იფიქრა, ფულს ჰკუა სჯობიაო და უთხრა: ჰკუა მასწავლეო. აღამ უთხრა: სტუმრათ ყოფნა რომ მოგიხდეს, რაც სუფრაზე მოგიტანონ, არ დაიწუნო რაო. გაიარა კიდევ ექვსმა თვემ, აღამ უთხრა: აბა რა გინდა, ფული მოგცე თუ ჰკუა გასწავლოვო? მსახურმა კიდევ ჰკუა ირჩია. აღამ უთხრა: მოჩხუბარი კაცები რო ნახო, იმათში ნუ გაერევიო. ერთის მხარე რომ დაიჭირო, შეეშველო და მეორე მხარეს არ გადურჩები, შემოაკვდებიო. მოეწონა მსახურს, სიცოცხლე სჯობს სიკვდილსაო. კიდევ დაუდგა მსახურათ. ექვსმა თვემ რომ გაიარა, აღამ ჰკითხა: ახლა რა გირჩევენია, ფული თუ ჰკუაო? მსახურმა კიდევ ჰკუა ირჩია. აღამ უთხრა: კაცი რომ მტრად გეჩვენოს და იარაღი ზედ გესწას,

სანამ იარაღი მოიხმარო, ჯერ დაფიქრდი და ნახე მართლა მტერია თუ არაო. მსახურმა მადლობა უთხრა და გამოემწეილობა. აღამ საგზალი გაატანა და ცოლისათვისაც გახვეული საჩუქარი მისცა, — ეს შენს ცოლს წაუღეო.

წავიდა მსახური თავის გზაზე. ერთ სოფელში დაუღამდა. აღის ერთი ძმა იქ იდგა. მივიდა იმესთან. იმან მიიღო და ვახშამი აჭამა. ერთი სხვა სტუმარიცა ჰყვანდა. მოუტანეს ღვინო. სმის ღროს აქ სტუმარმა სთქვა: ეს ღვინო კარგი ვერ არის, მეორე ღვინო სჯობიაო. მასპინძელმა უთხრა: არა უჭირს რაო, ასეც კარგიაო. შენ მე მასწავლიო?. მოუვიდათ ამაზე ლაპარაკი და შეუდგათ ერთმანეთის სიღების ღაწალუწი: ის მსახური არაში გაერია და გადარჩა მშვიდობით.

დილაზე გაუდგა გზას. ნახა, ერთ მინდორზე ორი მწყემსი ერთმანეთს ეჩხუბებოდა. ერთი მეორეს ეუბნება: ჩემ სამოვარზე რათ გადმოგირეკია ცხვარიო. მეორე კიდე — ეს ჩემიაო.

ამათ ყვირილზე და ჩხუბზე დასდო ამ კაცმა ხურჩინი და საშველად წავიდა, მაგრამ აღას სიტყვა მოაგონდა და შედგა. მივიდა ერთი გამშველებელი, გაშველებაში მოხვდა მას და მოკვდა.

მსახურათ ნამყოფმა ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ჰკუთის სწავლამ სიკვდილს გადამარჩინაო.

იარა, ბოლოს შინ მივიდა, სანამ კარს შეაღებდა, ბინიდან ცოლის ხმა მოესმა, ვიდაცას ეალერსებოდა და ელაპარაკებოდა. შეიხედა ჰუჭრუტანაში და მოზრდილი კაცი ეჩვენა ცოლის ახლო, ასე გონია — ეხვევოდესო. მოავლო თოფს ხელი და დაუმიზნა კაცსა. მოაგონდა აღას, სიტყვა, თოფი ჩამოიღო და სახლში შევიდა.

ნახა, რომ ის კაცი თურმე ცოლისძმაა და დას ეალერსება. გაიხარა კაცმა და ღმერთს მადლობა შესწირა. ცოლმა ჰკითხა: რა გახარებულსა გხედავო. რათა ხარ ეგრე გახარებულიო? ქმარმა უთხრა. — რაღა რათა ვარო, კინალამ ცოლისძმის მკვლელი გავხდიო, და ყველა უამბო, რაც იფიქრა და რასაც აპირობდა. ამოიღო ხურჩინიდან აღას გამოგზავნილი საჩუქარი და ცოლს მისცა.

ეს შენ გამოგიგზავნაო. გახსნა ცოლმა, ნახა, რომ შიგ წიგნია და ნამსახურის ფასი და სხვა საჩუქარიც. დალოცეს ცოლ-ქმარმა: ჰკუთაც უსწავლებია და ფულიც მოუტიაო.

ერთმა კაცმა მეორეს რაღაცა სიკეთე უყო. ამ კაცმა უთხრა, სხვაფრივ შენ სიკეთეს ვერ გადაგიხდით, ერთს სიტყვას გასწავლით და ბევრს სარგებლობას ნახამო. რაც უნდა სიხარული ნახო, ან რამე უბედურება შეგხვდეს, მაშინათვე გულით ნუ აენთები, ნურც სიხარულით აიტაცები, ნურც მწუხარებითა, გულდამშვიდებულად ახვდი კარგ ამბავსაც და ავსაცა, ჯერ დაფიქრდი, დაწყნარებით მოიფიქრე და შერე შეუდექ საქმესაო. კაცმა მადლობა უთხრა და გულში იფიქრა, — რა სიკეთე უნდა მიყოს ამ სიტყვამაო!

გავიდა ხანი. ერთ ღამეს გვიან დაბრუნდა შინ. ცოლი იწვა. ეძინა და ნახა, რომ გვერდით კაცი უწევს. გულს ცეცხლი მოეკიდა, ნახა, ჩემ ცოლს სხვაზე გაუცვლივარო, მივარდა ხმალს, კედლიდან ჩამოიღო, იშიშვლა და მოქნევას უპირებდა, რომ ცოლიც მოეკლა და ის კაციცა. მოაგონდა იმ კაცის სიტყვა და შედგა: არა, ჯერ სჯობია გამოვიკითხო და საქმე შევიტყუოვო. ცოლი გამოადვიდა და დაწყნარებით ჰკითხა, — ეს რა ამბავიაო, ვინ გიწევსო? ცოლმა უთხრა გაიხარე კაცო, ჩემი ძმა მოვიდაო სტუმრათაო, გვლოდეთ. დაიგვიანე, დალაღული იყო და დავაძინეო. კაცმა ღმერთს მადლობა შესწირა, რამ იმ კარგი დარიგების სიტყვით ორი სულის მოკვლას გადავრჩიო, რა მეშველებოდა, ის დარიგება რომ არ მოეცა იმ კაცსაო.

30. ჭალის ორი საუპარელი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი დედაკაცი. ყვარობდა იმ დედაკაცს ერთი ბიჭი და ერთი ყაზახი. ერთს დღეს დაიძახეს ჯარიანობა. ყაზახმა უთხრა დედაკაცს, — ჯარში უნდა წავიდეო და საგზალი გამამიციხვეო. იმ ბიჭმაც ესე უთხრა. არ იცის ბიჭმა, რომ დედაკაცს ის ყაზახი ყვარობს, არც ყაზახმა იცის, რომ ბიჭი ყვარობს. გამოაცხო დედაკაცმა ერთი დიდი ხმიადი, ერთი ქათამი მოუხარშა, ნახევარი ერთს გაატანა და ნახევარი მეორეს. ჯარმა გაუსწრო და დარჩნენ უკან ის ბიჭი და ის ყაზახი. უთხრეს ერთმანეთს, პური ეჭამოთო. დასხდნენ. ამოიღო იმ ყაზახმა ნახევარი ქათამი და პური. ამოიღო იმ ბიჭმაც ნახევარი ქათამი

მი და პური. მიადეს ერთმანეთს, პურიც და ქათამიც ერთი და იგივე იყო. უთხრეს ერთმანეთს, — ეს ქათამი და ეს პური ერთიანო. უთხრა ყაზახმა, — მე იმ დედაკაცს ვყვარობო და იმან მომცაო. მეც იმასა ვყვარობდი და იმან მომცაო, — სთქვა ბიჭმა.

უთხრეს ერთმანეთს: მოდი ჩვენში ვინც კარგი კაცობა გამოჩინოს, ის ქალი იმას დარჩესო. დადეს პირობა. წავიდნენ, მივიდნენ ჯარში. ომის დროს ყაზახი შეიჭრა თათრის ჯარში და ძალიან გაიმარჯვა. უთხრა იმ ბიჭმა, — შენ ზომ ეს კარგი გამოიჩინე, ახლა ჩემი ჯერიაო. წავიდნენ. მივიდნენ ერთი ხელმწიფის კარზე. უმთვარო ღამეა. ჩაიხედეს ბინიდან და ნახეს, რომ ხელმწიფე წევს და ერთი ვეზირი ზღაპარს ეუბნება, ერთი კაციც ბატსა სწვამს, ერთს ლაქიასაც სუფრა მოუშხადებია, — სუყველას ეძინება. ბიჭმა უთხრა იმ ყაზახს არსად წახვიდე, და ყური მიგდეო. ჩავიდა, ღაცა ხელმწიფეს ეძინა. მებატეს ჩუმიად ხელიდან შამფური გამააცალა, — და იმას იქვე მიეძინა, ლაქიასაც სუფრა გამოაცალა, — და იმას იქ მიეძინა. ვეზირი რომ შეჩერდა, ზღაპარი მან დაიწყო, — ვეზირს იქვე მიეძინა. ადგა, ხელმწიფე დააბა, ვეზირიც დააბა, ასევე მებატეც და ლაქიაცა. დაიღო წინ სუფრა და ბატი, სკამს და ხელმწიფეს ზღაპარს ეუბნება: იყო ერთი ბიჭიო, ჩავიდა ხელმწიფესთანაო, ხელმწიფეც დააბაო, მებატეცაო, ლაქიაცო, ბატსა ჭამსო და ხელმწიფეს ზღაპარს ეუბნებო. როცა შექამა ბატი, ადგა ბიჭი და მიიმალა. გაიღვიძა ხელმწიფემ და დაიძახა: ვახშამი მოიტანეთო. აიწია ვეზირმა, დაბმულია, მებატეცა, ლაქიაცა, ხელმწიფეცა. ხელმწიფემ თქვა: უთუოდ, ვინც ეს ოინი გვიყო, აქ იქნება დამალულიო. მონახეს და იპოვეს ბიჭი და ყაზახი. გამოჰკითხა ხელმწიფემ და ათქმევინა: ვინც ჩვენში უფრო გამარჯვებული იქნება, ის ქალი იმას უნდა დარჩესო. შენი იყოს ის ქალიო, უთხრა ყაზახს ხელმწიფემ, — და ის ბიჭი თავის სასახლეში დაიტოვა.

გაიგო ეს ამბავი მეორე ხელმწიფემ და მასხარათ აიგდო ხელმწიფე; — ერთმა ბიჭმა ეგეთი ოინი როგორ გიყოო. სწყინს ეს ხელმწიფეს, და უთხრა ბიჭს. ეს რა ოინი მცუავი, რომ სიარცხვილით ხმას ველარ ვიღებო. ბიჭმა მოახსენა: თქვენ ერთი ხირხა შემიკერეთ ისეთი, რომ ჩავიცვა, ჟღარუნნი გაჰქონდეს, თქვენ მეიდანზე გაბრძანდით, არავინ გაიცინოს კი, და მე ასეთი ოინი ვუყო იმ ხელმწიფეს, რომ რა გინდაო. მაშინვე შეაკერვინა ხელმწიფემ ბიჭისათვის ისეთი ხირხა, — რომ წამოისხამს და გაიძვრის, საშინელი ჟღარუნნი

გააქვს, ერთს ღამეს მივიდა ეს ბიჭი იმ ხელმწიფესთან ისეთ დროს, რომ ცოლ-ქმარი ლოცულობენ. რომ გაიყდრიალა რა ამბავიაო, შეშინდნენ ხელმწიფეცა და ცოლიცა. უთხრა ბიჭმა: მე ვარ, თქვენი სულთამხუთველიო. შეშინდნენ და სთხოვეს: დღეს დაგვაცალე რომ ყველას გამოვესალმოთო, კარგიო, უთხრა და წამოვიდა. მეორე დღეს დაღამდა, მივიდა და დააყდრიალა. გამოვიდნენ ხელმწიფე და ხელმწიფის ცოლი და უთხრეს: იყოს ნება შენოო. ერთი კარგი ყუთი მოიტანეთ, ჩაგხამთ შიგა, აგვიკიდებთ, მიგიტანთ და ქრისტე ღმერთთან დაგაგდებთ, ერთს წიხლს ამოგკრავთ და თქვენ ღორივით დაიტრუხუნეთ, მეორეს ამოგკრავთ და ძაღლივით დაიყუფეთ, ქრისტე ღმერთს ან ძაღლი ეგონებთ ან ღორი და ეგება ასე როგორმე დაგისხნათო. გაეხარდა ხელმწიფეს და ცოლსა: თუკი აგეთს სიკეთეს გვიხამ, მაგაზე მაღლი რაღა იქნებაო.

მოიტანა ხელმწიფემ ყუთი. ჩასხა ბიჭმა შიგ, წაიღო, მიიტანა თავისი ხელმწიფის საბრძანებელში, ის ხელმწიფე მეიდანზეა თავისი სახელმწიფოთი. ყადაღაა, რომ არავინ გაიცინოს, მიიტანა ყუთი ამ მეიდანზე. ამოჰკრა ყუთს ფეხი და შიგნით ხელმწიფემ ღორივით დაიტრუხუნა. კიდევ ამოჰკრა ფეხი და — ძაღლივით დაიყუფა. სთქვა ხელმწიფემ, ძაღლი და ღორი ყოფილაო, ამოუშვითო. ახადეს, ამოუშვეს ორივე, შენი მტერი, რომ ისინი შერცხვენ! უთხრა იმ ხელმწიფემ: აბა მე რომ დამკინოდო, — როგორიაო? ჩემი მტერი შერცხვა, რომ ის ხელმწიფე წავიდა შერცხვენილი! იმ ბიჭს კარგი ცოლი შერთეს და მოურავად დააყენეს.

ქირი იქა, ლხინი აქა.

31. შენს ნამუსზე იყოსო

ერთი კაცი ქუთაისიდან ახალციხეს მიდიოდა და ხორაგი ჰქონდა წასაღები. ამ დროს ერთი ჩალანდარი შემოეყარა. იმ კაცმა ჰკითხა: სად მიდინარო, და ჩალანდარმა უთხრა, — ახალციხესო. მაშინ იმ კაცმა უთხრა, ჩემი ეს ხორაგი წამიღეო. ჩალანდარი დაეთანხმა, მარა ქირად ხუთი მანეთი სთხოვა. იმან სამ მანეთ-ნახევარი აძლია, მერე — ოთხი, მერე — ოთხ-ნახევარი, მარა ჩალანდარმა არ ქნა, ხუთს სთხოვდა. მერე უთხრა ჩალანდარმა: „კარგია, შენს

ნამუსზე იყოლო“. წავიდნენ ორთავენი და როდესაც ახალციხეს მივიდნენ, იმ მგზავრმა ამოიღო და ორი აბაზი შეაძლია ჩალანდარს: აი შენი ქირაო. ჩალანდარი გაჯავრდა, — ოთხ-ნახევარს არ გჯერდებოდრი და შენ ორ აბაზს მაძლევო? მგზავრმა მეტი არ მისცა, ამან ორი აბაზი არ გამოართვა და პოლიციაში წავიდა საჩივლელად: დაიბარეს ის კაცი. ჰკითხეს: ქირა რისთვის არ მიგიციაო? ამ კაცმა უთხრა: ჩვენი გარიგებით ქირის მიცემა ჩემ ნამუსზე იყო, და ჩემ ნამუსს ეს ორი აბაზიც არ ეკადრებო, თვარა სხვა რა უნდა მიცეო. ის საწყალი ჩალანდარი ისევ იმ ორ აბაზს დააჯერეს.

82. ღორის ფენი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი კაცი და დედაკაცი. ჰყვანდათ ერთი ღორი, რომელსაც ბევრს აკმევდნენ, რომ გასუქებულყო. ერთხელ დედაკაცმა უთხრა ქმარს, ღორი დავეკლათო, მაგრამ ქმარი არ დაეთანხმა, — სანამ ტყავს ქონი გარეთ არ გამოუვა, არ დავკლავო. დედაკაცმა დიდხანს უცადა და ბევრსაც აკმევდა, მაგრამ ღორი მაინც ისე ვერ გასუქდა, რომ ტყავს ქონი გარეთ გამოსვლოდა. ადგა ერთ დღეს დედაკაცი, გამოჯავრებული, ღორი სულ ქონში მოსვარა და ქმარს უთხრა: ჩვენი ღორი ისე გასუქებულა, სუ ჰიპოპიით გამოსდის ქონიო და ახლა კი უნდა დავკლათო. ქმარმა დაუჯერა დედაკაცს სიტყვა და დაჰკლა ღორი. ვახშმად ფეხები მოხარშეს, სუფრა გაშალეს და როცა ღვინისთვის უნდა წასულიყო, დედაკაცი ბოძზე დააბა, რადგანაც ძალიან ქურდი იყო. მანამ კაცი ქვევრს მოხდინდა და ღვინოს მოიტანდა, დედაკაცმა ფეხით მოითრია ტაბაკი, რომელზედაც ფეხები ეწყო, აიღო ერთი ფეხი და შეჭამა.

მოვიდა კაცი, ნახა, რომ ერთი ფეხი აკლია, დედაკაცს ჰკითხა: ფეხი რა უყავიო? დედაკაცმა დაიფიცა, არა ვიციო, მე დაბმული ვიყავი და როგორ შემეძლო მემეპარაო. ქმარმა იწყინა, რომ ცოლმა იუარა, დაეცა მიწაზე და თავი მოიმკვდარუნა. დედაკაცმა უთხრა: ადექი, პური ვჭამოთო. კაცმა ჰკითხა: ფეხი იპოვნეო? ვერაო, მიუგო დედაკაცმა. მაშ მოკვდებიო, — უთხრა კაცმა. დედაკაცმა ჩასძახა ტირილით: ადექ, თორემ დაგმარხამენო. კაცმა კიდევ: ფეხი იპოვ-

ნეო? ვერაო, მიუგო დედაკაცმა. როცა კუბო მოჰქონდათ, დედა-
კაცმა უთხრა: კაცო, ადექი, თორემ კუბო მოაქვთ, შიგ უნდა
ჩაგასვენონო. კაცმა წაიჩურჩულა: ფეხი იპოვნეო? ვერაო, დედა-
კაცმა უთხრა. როცა კუბოში ჩაასვენეს, დედაკაცმა ჩასძახა, ადექი,
თორემ კუბოში ჩაგასვენესო. და კაცმა: ფეხი იპოვნეო? ვერაო.
როცა მიწას აყრიდნენ, დედაკაცმა უთხრა: ადექ, თორემ მიწას
გაყრიანო, და კაცმა ისევ ის უთხრა: ფეხი იპოვნეო? ვერაო. როცა
მიწა მიაყარეს, დედაკაცი ზედ შედგა, ფერხული დაუარა და დაჰმღე-
რა: ფეხით ფეხი მოვიპარე. ცოცხალი ქმარი დავმარხე, არხილა მეო!

მე-3. მოხერხებული პეტრა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე, ჰყვანდა სამი კარის-
კაცი. იმათგან ერთს პეტრე ჰქვიოდა. ეს ორი კარისკაცი ქურდო-
ბით იყვნენ გამდიდრებული. პეტრემ თქვა: ესენი ქურდობით
გამდიდრდნენ, მეც უნდა ვიქურდო და იმათსავით გავმდიდრდებო.
წავიდა მინდორში, დადებდა იქ თავის ქუდს, მერე მიეპარებოდა
და მოიპარავდა. ასე სწავლობდა ქურდობას. ამ დროს ხელმწიფემ
ღაინახა და დაუძახა: პეტრე, რასა შვრებიო? იმან უპასუხა: ჩემი
ამხანაგები ასე გამდიდრდნენ და მეც უნდა ვისწავლოო. მაშ ამაღამ
ჩემი ხარი მოიპარეო, — უთხრა ხელმწიფემ, — თუ ვერ მოიპარე,
ზვალე თავს მოგჭრიო. ბატონი ბრძანდებო, — უთხრა პეტრემ. მემ-
რე ხელმწიფემ უთხრა თავის ორ მოსამსახურეს: წადით და ამაღამ
ხარი ისეთ ტყეში წაიყვანეთ, ვერავინ ვერ იპოვოსო. კაცებმა
წაიყვანეს ხარი. ამ დროს პეტრემ იშოვნა ერთი წყვილი ფეხსაცმე-
ლი. ცალი ამოსვარა ლაფში და იმ გზაზე დაადლო, საცა ის ორი კაცი
გაივლიდა. მეორე ცალი წაიღო სუფთათ და რამდენიმე მოშორებით
დაადლო გზაზე. იმ კაცებმა ნახეს ლაფში მოსვრილი ერთი ცალი
ფეხსაცმელი, მაგრამ რახან მოსვრილი იყო, აღარ აიღეს. რომ გაი-
არეს კიდევ, ნახეს მეორე ცალი სუფთა. თქვეს — ეს ამისი ცალი
იყოო. ერთმანეთს ეუბნებიან. არა შენ წადი და მოიტანე და არა
შენაო. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, თქვეს: აქ ხომ პეტრე არ მოვაო,
და მოდი ორნივე წავიდეთ იმ ცალს მოსატანადაო. წავიდნენ.

ამ დროს გამოვიდა ტყიდან პეტრე და ხარი წაიყვანა, გაყიდა და

ფულა უბეში ჩაიწყო. რა მოვიდნენ ის კაცები და ნახეს, რომ ხარი აღარსად იყო, თქვეს: დავიღუპეთო. მოვიდნენ ხელმწიფესთან და უთხრეს: ესე იყო, ხარი დავკარგეთო. მეორე დღე რომ გათენდა, დაინახა ხელმწიფემ პეტრეს გადაუკრავს და ჰკითხა: ჩემი ხარი შენ მოიპარეო? დიახო, — უთხრა მან. რა უყავიო? გავყიდეო. ფული რა უყავიო? და უბეში მიდევსო. მაშინ ხელმწიფემ უთხრა: მაშ ამაღამ ჩემი ცხენი მოიპარეო და, თუ ვერ მოიპარე, ხვალე ჩამოგახრჩობო. ბატონი ბრძანდებო, — უთხრა პეტრემ. წავიდა პეტრე, ერთი პატარა კასრი სპირტი იყიდა და თავლაში დადგა. რა დაღამდა, ხელმწიფემ ერთი მოსამსახურე ცხენზე შესო, ერთს აღვირი დააჭერანა, ერთს ძუა მისცა ხელში, ერთი აქეთ და ერთი იქით კეტებით მიუყენა, ორიც კარებზედ დააყენა კეტებით. ღამით ამ ყარაულებს სპირტის სუნი მიუვიდათ და თქვეს: ნამდვილად პეტრეს შენახული არაყი იქნებაო, ვნახოთ და თითო დავლიოთო. ნახეს და თითო კი არა და ათ-ათიც მიაყოლეს. ისე დაითვრნენ, რომ ფეხზედ ველარა დგებოდნენ. ყველანი წაიქცნენ და დაეძინათ, ის ერთი ცხენზედაც კი შესვეს და იმასაც იქ დაეძინა.

მოვიდა პეტრე. ვინც ცხენზედ იჯდა, იმას უნაგირს ქვეშ ბოძებუ შეუდგა. დანარჩენს თივები დაუგრიხა და ხელში მისცა, ცხენი გამოიყვანა და წაიყვანა, გაყიდა და ფული უბეში ჩაიდო. გათენდა დილა. ხელმწიფე თავლაში შევიდა და ნახა, რომ მოსამსახურეებს სძინავთ. დაუყვირა. წამოხტდნენ ის კაცები, ეგონათ პეტრე მოსულაო, და წაუშინეს ხელმწიფეს. რომ იცნეს, ელდა ეცათ. ხელმწიფემ იკითხა: ცხენი რა უყავითო? რაღას ეტყოდნენ, დილით გამოიარა პეტრემ და ხელმწიფემ ჰკითხა: ჩემი ცხენი რა უყავიო? მან უპასუხა: გავყიდეო და ფული უბეში მაქვსო. მაშ ამაღამ ჩემი ცოლი მოიპარეო, თუ არ მოიპარავ ნამდვილად ხვალე თავს მოგკრიო. ბატონი ბრძანდებო, უთხრა პეტრემ.

პეტრეს იღბლად იმ დღეს ერთი ურია მოკვდა და ის ურია საცა დამარხეს, ის ალაგი დაიხრბომა პეტრემ. რა დაღამდა, წავიდა და ის ურია ამოიღო საფლავიდან, წამოიღო და ხელმწიფის სახლს ახლო მოიტანა. ხელმწიფემ ღამით ორი ქალი მოახლე ლოგინის თავით დაიწვინა, ორი ბებერი ბოლოში და თითონ ცოლთან დაწვა. ორი კარცკაცი შიგნით ედგა და ორი კაცი გარეთ. პეტრემ მიიტანა მკვდარი და მკველების ახლოს ააყუდა, თითონ შორიანლო დადგა. პატარა ხანი რომ გავიდა, ერთმა მკველმა დაინახა კედელზე აყუდე-

ბული კაცი. არიქა პეტრე მოსულაო, უთხრა მეორეს, მივიდნენ და წაუშინეს კეტები, მკვდარი გადააქციეს, შევიდნენ და ხელმწიფეს უთხრეს: პეტრე მოვკალითო და უნდა დავმარხოთო. ხელმწიფემ უთხრა: სუ ჩუმათ იყავით, არავინ გაიგოსო.

ადგა ხელმწიფე და გაჰყვა მკველს. აიღეს მკვდარი და დამარხეს. მანამ ისინი დამარხავენ და მოვლენ, პეტრემ ჩაიცვა წითელ-ყვითელი ტანისამოსი, დაიკიდა ჟღარუნები და შევიდა ხელმწიფის საწოლ ოთახში. მოახლეებს ერთი ძაღლის ლეკვი ჩაუგდო, ბებრები კიდე თმებით გადააბა ერთმანეთს, მივიდა და ხელმწიფის ცოლს თავზედ დაადგა, ჟღარუნები შეაქლარუნა და ეუბნება: აქ ამოვიღო შენი სული თუ ესე ხორციელათ წამოხვალო? ხელმწიფის ცოლმა უთხრა: იქაც ხომ ესეთი ნათელი არისო? იმანაც უთხრა: ჰო არისო, და: მაშ ესე წამიყვანეო. მოიკიდა პეტრემ ლოგინიანად და წამაიყვანა. მიიყვანა ერთ ციხეში და დაჰკეტა. ხელმწიფე რომ დაბრუნდა, შევიდა შინა, თავის საწოლ ოთახში, ეძებს ლოგინს და ლოგინი არსად არი. დაუძახა გოგოებს, ადექით, სანთელი აანთეთო. მოახლეებმა გაიღვიძეს, ნახეს, შუაში ძაღლის ლეკვი უწევთ, და წაიჩხუბნენ. არა, შენ გიშობნია და არა შენაო. ესენი რომ ამ ჩხუბში არიან, ბებრები თმებით ეწევიან ერთმანეთს. ერთი აიწევს, — დაეცემა; მეორე აიწევს, — დაეცემა. ხელმწიფე განრისხდა და თითონ აანთო სანთელი. ნახა, არც ლოგინი და არც მისი ცოლი აღარ არის. იფიქრა: ნამდვილად პეტრე წაიყვანდაო. დილა რომ გათენდა, პეტრემ ჩამოიხეირა, ხელმწიფემ ის ჩუმათ შინ შეიყვანა და უთხრა: ხარიც ალალი იყოსო და ცხენიცაო, მხოლოდ ჩემი ცოლი მომიყვანეო. ბატონი ბრძანდებო, — უთხრა პეტრემ და წავიდა.

გზაში ეშმაკი შეხვდა და დაენადლავა: თუ ჩემს ქუდს ფულათ ამივსებ, ჩემ ცოლს მოგცემო. გაუხვრიტა ქუდს ძირი და ერთი დიდი ქვევრის პირზედ დასდო. მააქ ეშმაკს ფული, აყრის, აყრის და ვერ აუშნია. ბოლოს, როგორც იყო, აამსო, მაგრამ მაშინ პეტრემ უთხრა: ყაბულს არა ვარო, მოდი ვიჩხუბოთო და თუ მაჯობებ, ცოლს მაშინ მოგცემო. გავიდნენ მინდორზე. პეტრემ გრძელი კეტი დაიჭირა, ეშმაკმა მოკლე კეტი. სულ თავპირი დაუჩეჩქვა ეშმაკს. მაშინ ეშმაკმა უთხრა: ყაბულს არა ვარო, გომურში ვიჩხუბოთო. შევიდნენ გომურში. პეტრემ მოკლე კეტი აიღო. ეშმაკმა გრძელი კეტი, გომურში ვერ მოიხმარა და პეტრემ სულ ცხვირპირი დაამტვრია. ეშმაკმა უთხრა: ყაბულს არა ვარო, გავიქცეთო, გასწრობა-

ზე იყოს. პეტრემ უთხრა: მე ერთი ბიძაშვილი მყავს და თუ იმას გაუსწრობ, მაშინ შეიძლება ჩემი ცოლი მოგცეო. წავიდნენ. პეტრეს ერთ ალაგას ერთი კურდღელი სცოდნიყო და იქ წაიყვანა ეშმაკი. კურდღელი წამოხტა და გაიქცა. ეშმაკი ვერ გამოუდგა, იმას როგორ დაეწევით და თქვა: ყაბულს არა ვარო, ხელდახელ ვიჩხუბოთო. პეტრემ უთხრა: ერთი ბიძა მყავსო, თუ იმას მოერევი, მაშინ შეგიძლია მეც მომერიოთ. წაიყვანა და ერთი დათვთან მოიყვანა. აქა წევს ბიძაჩემიო და ეჩხუბეო. შევიდა და დათვმა სულ მთლად დაბეგვა. წაავო ეშმაკმა სანაძლოო. წავიდა პეტრე და მიჰგვარა ხელმწიფეს მისი ცოლი. ხელმწიფემ ბევრი ფული მისცა და აზნაურობაც უბოძა.

ქირი იქა, ლხინი აქა.

34. ქურდი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი დედაკაცი და ჰყავდა ერთი შვილი, დიახ ქურდი და ავაზაკი. ასე რომ, იმ ქუჩაზე, ვისაც ქვრივ დედაკაცს ქათამი ჰყავდა, არ გაუშვა შოუპარავი. ერთი დიდი საცოდავი, ოხერტიალი ქვრივი იყო, იმას ჰყავდა რამდენიმე კარგი ქათამი. იმითი ცხოვრობდა. შეეჩვია ეს ბიჭი და ჰპარამდა ყოველდღე. გამოვა ეს დედაკაცი, ტირის ცხარე ცრემლებით და იწყევლება. „ვინც ჩემ ქათმებსა მპარამს, იმას გამოასხი ჩემი ქათმის ბუმბულიო“. ესმის ეს ბიჭის დედას და ეხვეწება ბიჭსა: შვილო, ძალიან იწყევლება, დაიშაღე, ნუღარ იპარანო; ასე ამბობს, თვალეში გამოესხას ჩემი ქათმის ბუმბულიო. აბა რაღა ვქნა, შვილო, იმის წყევლით რომ მართლა გამოგესხას ბუმბული, რაღა გაგაყრეინებსო. შვილმა უთხრა: დედავ, ღმერთს ეგ ხელობა მოუცია ჩემთვის. გათენდა, ნახა თავპირი სულ იმ ქვრივი დედაკაცის ქათმის ბუმბულით ამსია, ვეღარ გამოდის ბიჭი კარში. ჩაქრათამა ქათმის პატრონი მისმა დედამ. აბა რა შეგემატება ამითო, — უთხრა, — თუ ღმერთი გწამს, დალოცე ჩემი შვილი, რომ ის ბუმბული ისევ გასცვივდესო. დალოცა დედაკაცმა. ისმინა ღმერთმა და გაცვივდა ბუმბული იმ ბიჭს. კიდევ შეეხვეწა დედა: შვილო, ნუღარა იქ ქურდობასაო.

ერთ დღეს ეს ბიჭი ბანზე იწვა. ნახა — ერთი კაცი მოდის, დაეღაპარაკნენ ერთმანეთს. თურმე ის კაციც ქურდი ყოფილა. გაეჭიბრნენ, აბა რომელი უკეთესი ქურდი ვიქნებითო. ავიდა ახალ-მოსული ხეზე მტრედის ფრთის მოსაპარავად. ძირიდან ეს ბიჭი უღაპარაკება. იმან მტრედს კი მოჰპარა ფრთა, მაგრამ ეს ბიჭიც აიპარა და მას ნიფხავი ჩაჰხალდა ისე, რომ კაცმა ვერაფერი გაიგო რა. აჯობა ამ ბიჭმა. დამეგობრდნენ და წავიდნენ საქურდლად. მიატანეს ერთ ხელმწიფის ხაზინას. გატეხეს ხაზინა და ორნივე ეზოდებიან ყოველ ღამე. ერთ დღეს მცველებმა მოახსენეს ხელმწიფეს: ხელმწიფეო, რა ექნათ, ბევრნაირად ვეცადენით, მაგრამ ვერ შევიძლით ქურდების დაჭერა და ახლა აღარ ვიცით რა ექნათო.

ძალიან გაუწყრათ ხელმწიფე, რატომ არ შემატყობინეთო. ნახა საიდანაც გაუტეხიათ და უზიღიათ ხაზინა. უბრძანა: აბა თქვენ მანდ ერთი ალაგი მონახეთ, იქ დიდი ქვევრი ჩადგით, შიგ კუბრიელი ჩაასხით და დაანებეთ თავი. როცა დრო ექნებათ, მოვლენ ქურდები და შიგ ჩაცვივიან, ვეღარ ამოვლენ და ასე ვიპოვნით ქურდებსაო. მცველებმა მაშინვე მოთხარეს მიწა, ჩადგეს ქვევრი, ჩაასხეს კუბრიელი და დატოვეს. ერთ ღამეს მოვიდა ეს ბიჭი, მოიყვანა ამხანაგი და უთხრა: ახლა შენ ჩადიო. ამან რა იცოდა! იმ ბიჭმა იცოდა, — გულთმისანი იყო. მივიდა თუ არა მისი ამხანაგი, მაშინვე შიგ ჩავარდა, — რალა ამოიყვანს. ბიჭმა უთხრა: მე შენი ამოყვანა აღარ შემიძლიანო. კარგო ძმაო, — უთხრა ამხანაგმა, — თავი მაინც მამქერი და ჩემ ცოლს წაუღე, თორემ არ დაიჭერებსო. ბიჭმა უთხრა: შეც მაგასა ვფიქრობდიო. ადგა და მოსჭრა თავი და მიუტანა ცოლსა. ცოლმა დაიწყო ტირილი. ბიჭმა უთხრა: ტირილით შენ ქმარს ვეღარ გააცოცხლებო. ნუ გეშინიან, გაჩუმდი, მე იმის ტანსაც მალე მოგიტანო.

წავიდა და ნახა, რომ ამოჯლიათ ეს ცარიელი ტანი კუბრიელითა, დაუკიდიათ მეიდანზე, დაუყენებიათ მცველები და უთქვამთ: უყარაულეთ კარგად, ვინც აქ გამოიაროს და ტირილი დაიწყოს, იმისი იქნებაო. ეს რომ იმ ბიჭმა შეიტყო, უყიდა თავისი ამხანაგის ქვრივს ერთი კოკა, აუწესო წყლით და უთხრა: წადი ნახე შენი ქმარი იქა ჰკიდიაო, ახლო რომ მიხვიდე, ჩამოაგდე ეგ კოკა, გატყდება, დაჯექი ძტირე, მოიოსე გული. თუ დაგიჭირონ, უთხარი, — ერთი ქვრივ-ოხერი ვარ, ძლივ კოკა ვიშოვნე, წყალზე წამოვედი, ეშმაკათა კვდარს შევხედე, კოკა გამიტყდა და მე ჩემ კოკასა ვტირი-თქო.

დედაკაციც ასე მოიქცა. იტირა ქმარი. მცველებმა დაუძახეს: დედავ, როგორ იყიდე ეგ კოკაო? ათი შაური მივეციო, უთხრა დედაკაცმა. მისცეს ათი შაური: ნუ ტირი დედაო, ადგა დედაკაცი და მოვიდა შინა. იმ ბიჭმა უთხრა: დედავ ნუ დარდობ, იმ ტანსაც ამალამ მოგიტანო, ფხიზლად იყავი, ვირი რომ მოვიდეს, იმას ეკიდება, ჩუმად ჩამოხადე, მეც მოვალ და დავმარბოთ, მემრე შენ შენთვისა და მე ჩემთვისაო.

ადგა ბიჭი, აპკიდა ვირს ღვინო, არაყი და წავიდა, საცა კუპრი-ულში ამოსვრილი თავმოჭრილი მკვდარი ეკიდა. პკითხა მცველებს: არ შეიძლება ამალამ დამაყენოთო? ღვინო და არაყი მიმაქ გასაყი-დათ, აქ დამილამდა და მეშინიანო, თქვენც რა ერთიც გინდათ იმ-დენს დაგალევიებთო. გაუხარდათ და დააყენეს. როცა დალამდა, დასზდნენ და მრავალი დალიეს. ასე რომ, ძალიან დაითვრნენ. დაე-ყარნენ და დაეძინათ მაგრად. ადგა ბიჭი, ჩამოხსნა კვდარი, დააკრა ვირს, გადაჰკრა ჯოხი და გააგდო შინა, ღვინო და არაყი წყალში ჩაუშვა. დაწვა და დაიძინა. ეს ვირი მივიდა სახლში, დედაკაცმა გაულო კარები, მოხსნა მკვდარი, შეიტანა, დამალა, იტირა, იწუხა. ვირი ტყეში გააგდო. გაელვძიათ მცველებს და ნახეს, აღარც ვარი არის და აღარც კვდარი. გააღვიძეს ბიჭი, უთხრეს: კაცო, აღექი, რას უწევხარ, მკვდარი ვილაცას მოუპარამს, აღარც შენი ვირია, აღარც ღვინო და აღარც არაყიო. წამოხტა ის ბიჭი, დაიწყო ყვირილი და ტირილი: რალა ვქნა, რა მეშველებაო. წაიყვანეს მცველებმა ხელ-მწიფესთან და მოახსენეს: წუხელის ეგრე დავიღუპენით, კვდარც მოგვპარა ვილაცამ და ეს ბიჭიც ეგრე დაიღუპაო. დაუძახა ხელმწი-ფემ ბიჭსა და უბრძანა: რა ერთი ფულისა იყო შენი ვირი და შენი არაყიო. მოახსენა ბიჭმა: ამდენი ფულისა იყოო. უბოძა ხელმწიფე-მა. წამოვიდა ბიჭი, მოვიდა იმ დედაკაცთან და უთხრა: აბა დავმარ-ბოთ შენი მკვდარიო. დამარხეს და რაც ნაპარავი ჰქონდათ, ისიც გაიყვეს.

წამოიღო და მოუტანა დედას. შეეხვეწა დედა: შვილო, დაიშალე ქურდობა, გეყოფა, დედა შენი გენაცვალოსო. ბიჭმა უთხრა: დედავ, ღმერთს ეგ ხელობა მოუტია ჩემთვის სარჩოთაო. რახან აღარ იშლი, დედავ, ერთს რამეს გირჩევ, მოდი ერთი კარგი ინდაური შეწვი, ერთი კარგი დედალი ცივად მოხარშე კვერცხებით, კარგი ნახუქი გამოაცხვე, ერთი გოზაური ღვინოც მოამზადე, ესენი წაიღე კვირა-ძალს ღამესა და ღვთისმშობელს მიართვი, შესტირე და სთხოვე-

ჩემს შვილს ქურდობა დააშლევინეთქო. თუ ის შეგიბრალებს და დამაშლევინებს, თორემ მე ამ ხელობას ვერ დავიშლიო. მაშინვე ადგა დედა და რაც შვილმა უთხრა, ყველაფერი გააკეთა. დააწყო ხონჩაზე და წაიღო. შევიდა საყდარში, მიაართვა ღვთისმშობელს, დაუჩოქა და შესტირა, სთხოვს: ჩემს შვილს ქურდობა დააშლევინეო. რა იცის იმ საცოდავმა დედაკაცმა, თუ შიგნით საკურთხეველში იმისი შვილია. სანამ თურმე ეს დედაკაცი ხონჩას შეიტანს, მანამ ის ბიჭი შიგნით დამალულა. ევედრება დედაკაცი ღვთისმშობელს. საკურთხევილიდან ბიჭმა დაუძახა: დედაკაცო, წადი შენი შვილი მაგ ხელობას ვერ მოიშლისო. არა, შენი ჭირიმეო. — შეეხვეწა დედაკაცი, — მათაშლევინეო. იმან კიდევ დაუძახა: წადი, წადი, დედაკაცო, თორემ პანღურით გაგხეთქამო. ადგა დედაკაცი და გულგახეთქილი მოვიდა შინა.

გამოვიდა საკურთხევილიდან ბიჭი, წამოიღო ხონჩა თავის ამხანაგებთან, დასხდნენ და კარგად შეექნენ. ბიჭი რომ შინ დაბრუნდა, ნამტირალევი დედა დახვდა: დედავ, — უთხრა შვილმა: რა გიბრძანა ღვთისმშობელმამო? შვილო, რა მიბრძანა და ასე მიბრძანა, — წადიო, ის ქურდობას ვერ დაიშლისო. თუ არ წახვალო, დამემუქრა, პანღურით გაგხეთქამო. გამისქდა გული, ავდექი და წამოვედიო. შვილმა უთხრა: აკი გითხარიო. მაგრამ შენ არ დაიშალეო. დაანება თავი დედამ, — რაც გინდა, ჰქენიო.

გავიდა ბიჭი, ბანზე წამოწვა. ნახა, ერთი ცხენიანი კაცი ჩამოსტა მის ბანთან. გამარჯვება, გაგმარჯოს! ჰკითხა ბიჭმა: ვინა ხარ, სად მიხვალო? იმ კაცმა უთხრა: საცოლე დაენიშნე. იქ მივალ ჯვარის დასაწერად, მეჯვარე მინდაო! ბიჭმა უთხრა: თუ გინდა, მე წამოგყვებიო. კარგი იქნებაო. წავიდნენ. მივიდნენ, მოეგებნენ მოყვრანნი. შერიყანეს, — სიძე მოვიდაო. სიძემ უთხრა ჯვარი უნდა დავწეროო, ეს მეჯვარეც მამიყვანიაო. როგორც ამისი ნებაა, ისე უნდა მოხდესო. მაშინ ბიჭმა თქვა: მე ვარ მეჯვარე. აბა რაც მზითვები გაქვთ, ჩამაბარეთო. გამოატანინა მზითვები, შეკრა კარგად დერეფანში. ვახშამი რომ სჭამეს, სიძე და მეჯვარე დააწვინეს ბანზე. ღამე ბიჭი ათვალეერებს ბანიდან სახლს. ხელამს, რომ ბოძს უკან ერთი დიდი ქოთანი მაწონია. როცა ყველას დაეძინა, გააღვიძა ნეფე და უთხრა: აი ეგერ იქ ქოთანს ხომა ხელავ, კოვზიც ზედა ძევს, ერთი ჩადი და ის მაწვნიანი ქოთანი ამამიტანეო. ნეფემ უთხრა: რას ამბობ, თუ გინდოდა, რატომ დროზე არა სთქვი, დაგვხოცენო. შენ

ფიქრი ნუ გაქვსო, უთხრა ბიჭმა, მე სარტყელს მოგაბამ და ამო-
 გიყვანო. აცდინა ნეფე, მოაბა თოკი და ჩაუშვა. მიაწოდა ნეფემ
 მაწონი და უთხრა, ამიყვანეო. ბიჭმა უთხრა: დამაცა ქოთანი და-
 ცალოო. ასწია თოკს და წვერი, ბანზე უღელი ეგდო იმას მიაბა.
 მემრე აილო ქოთანი და მაწონი ნეფეს თავზე დაასხა. დაება თვალე-
 ბი ნეფეს, დარჩა დაკიდებული და ტრიალებს. ბიჭმა მზითვეი მაფ-
 რაშებით ცხენებს აპკიდა, გამოუძღვა და წამოვიდა. ტრიალებს ის
 ნეფე, ჩამოკიდებული, მთვარე რომ ჩაღვა, ბანში ამოიხედა სასრ-
 დედრომ და დაიყვირა: აღეკით, თქვენი ჭირიმეთ, მღვდელს დაუ-
 ძახეთ, ერთი რამ არის თქვენს თავსაო. დაუძახეს მღვდელს.
 მღვდელმა რომ ნახა ჩამოკიდებული კაცი, დაიძახა: ვაიმე, რას
 ამობთ, ეგ ხომ სულთამზუთავია, ცულები დაიქირეთო. ჩააყენეს
 ცულიანი კაცი კარებში. მღვდელს შეეშინდა და კარისკენ გაიქცა.
 ცულიანმა კაცმა ვერ გაიგო, შემოჰკრა და მღვდელს თავი გააგდე-
 ბინა. მემრე ნახეს რომ უღელზე ჩამოკიდებული თავიანთი სიძე.
 იყო. კაცო, ეს რა ამბავია, — უთხრეს სიძეს, — ვინ მოიყვანე, რომ
 შენც აგრე გიყოო, ჩვენც მღვდლის სისხლი დაგვადო, მზითვებიც
 წაიღოო; — ეს უთუოდ შენი საქმეაო. მისდგნენ, იმდენი სცემეს,
 რომ სიკვდილზე მიაყენეს. ბოლოს გააგდეს. ის ბიჭი კი წავიდა, წაი-
 ლო მზითვები, შეირთო ცოლი, მიიყვანა დედასთან და ცხოვრობენ
 ჩინებულად.

ქირი იქა, ლხინი აქა,
 ქათო იქა, ფქვილი აქა.

35. მღვდელი და მოჯანაბირე კოხალე

იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმაკაცი და ჰქონდათ თითო ხალა-
 მი ფული. წვეიდა უფროსი ძმა სასწავლებლად ერთ მღვდელთან
 და თავისი ფულები საგამდლოთ წაუღო. ხუცესმა ეს დიაკონი
 წაიყვანა და წყაროზე გააგზავნა ცხრილით, — ამით წყალი შეიტა-
 ნეო. დიაკონმა ცხრილში წყალი ვერ დაამაგრა, და მღვდელს უთხრა,
 არ დამაგრდაო. ხუცესმა, რადგან მიზეზი უშოვა, კრა პაღური და
 შინისკენ გამოუძახა. მერე წამოვიდა საშუალო ძმა თავის ფულებით
 იმ ხუცესთან სასწავლებლად, მარა იმასაც ისევე დაემართა. ბოლოს

უმცროსი ძმა წამოვიდა თავისი ფულებით. ამ უმცროს ძმას კოპალე ჰქვიოდა. ხუცესს ეგონა, კოპალესაც მისი ძმებისავე უზამდა, მარა როცა გაგზავნა ცხრილით წყალზე, კოპალემ დაგოზა წმინდა მიწით: ცხრილის თვლები, აავსო წყლით და მუუტანა. ხუცესს ძალიან ეწყინა კოპალეს ამგვარი ხერხიანობა, ცდილობდა მიზეზი ეშონა, რათა გეეგდო, მარამ კოპალემ შეეტყო, და პირობა დაადებია, ვისაც იმ ორში უწინ რამე ეწყინებოდა მეორისაგან, იმას ცალი ყური უნდა მოსჭროდა.

ერთხელ, როცა ხუცესმა წირვა გაათავა ზამთრის დღეში, კოპალე გაგზავნა სახტრიდან შინ და დაუბარა, იმისთანა ცეცხლი დაერთო, ეზოში შესვლამდის მოსტობოდა. კოპალემ წაუკიდა სახლს ცეცხლი, და მღვდელს შორიდან მოეთბო. ხუცესს ძალიან ეწყინა, მარა ვერ დააყვედრა კოპალეს, — ყურისა ეშინოდა. მეორეთ ხუცესმა კოპალეს საქონლის რწყულება დაავალა ისე, რომ ფეხები არ დეესოლებია საქონლისათვის მდინარე წყალზე. კოპალემ ყველას ფეხები დასჭრა, შეკრა, წეილო წყალზე და ისევე მოუტანა მშრალი ფეხები, ხუცესმა ჩუმათანა ქვეც ბევრი იტირა, მარა ვერაფერი გაამხილა. ხუცესი იმ ზომამდე მივიდა, რომ სიკვდილი მოუნდომა ღამე საწოლზე. მარა კოპალე გულთამხილავი იყო და იცოდა ხუცესს განზრახვა. ადგა და საწოლზე თავის მაგიერად მთხლით გაფსებული გუდა დადვა და ნაბადი გადააფარა, ეს ქვე მიიძალა კუთხეში.

მევიდა შვალამეზე ხუცესი, სთქელიშა გუდას ნაჯახი, კოპალე ეგონა. შემეესხა მთხლე ცხვირ-პირში, ეგონა — სისხლიაო, და მიაშურა ცოლისაკენ ყვირილით: ქალო, ქალო, გამბანე, კოპალე მოვკალიო. ამ დროს შემოვიდა ეშმაკი კოპალე და ჰკითხა: რა დაგემართათ, ბატონოო. იმგენმა სიარცხელით ვერაფერი უთხრეს. მერეთ ხუცესმა იფიქრა საცხა შორს გადასახლება ჩუმათანე, თვარა ისთე არ სცილდებოდა კოპალე. გამოაცხო ცოლმა საგზალი და გოდორში ჩააწყვეს. უნდოდათ-ყე შვალამეზე გაპარულიყვენ და კოპალე მიეტოვებიათ-ყე იქავე, მარა, რადგანაც კოპალე გულთახუნელი იყო, ესეც იცოდა. ადგა და გოდორში დაჯდა, მალლა პურები დეიყარა. ადგენ შვალამეზე მგზავრები და გასწიეს საცხა თავის საგზლით. მივიდნენ იმ ღამეს ერთ მალალ კლდიან ადგილზე. იმას ქვეშ მიდიოდა მდინარე და იქ დაებარგენ. დაამთეს ცეცხლი და სავანშმო საქმელი რომ ამეიღეს, ქვე არ ამოყო თავი კოპალემ!? შენს მტერს

მისთანა, იმგენს გულზე შემეყარა! კოპალე, ვითამ არაფერი, ამე-
ვიდა გოდრიდგან, დაჯდა ცეცხლის პირას და მუსაიფობა დაუწყო
იმგენს. მერეთ, როცა დაწვენ, კოპალე წყლისკენ დააწვინეს, ეგება
გადავაგდოთ წყალშიო. მარა დახე იმგენის უბედურებას! კოპალე
იმგენის ძილში, ჩაწვა მათ შვაში, თავისი ჩოხა ხუცის ცოლს გადაა-
ფარა და მისი კაბა თვითონ გადღეიფარა. როცა ხუცესმა გვიღვიძა,
უჯიკავა ჩოხაგადაფარებულს, — კოპალე ეგონა, და ხრიგინ-ხრიგინით
ჩააკოტრიალა წყალში. მერე გააღვიძა კაბადაფარებული, — ცოლი
ეგონა, და უთხრა: ქალო, ადექი, შინ წავიდეთ, მოვრჩი და მოვისვენე-
ნე ერთ ჭირსო. მარა როცა შეხედა კოპალეს, იტკიცა თავზე ხელი
და მის ცოლთან ჩახრიგინდა ისიც. ამნაირად ამოსთხარა კოპალემ
მისი და მისი ძმების ფულები, ადგა და ხუცის დანატოვარ ქონებას
ქინჩში დააჯდა.

30. ბიძა და ძმისწული

ცხოვრობდნენ ბიძა და ძმისწული. ძმისწული ბავშვი იყო და
არაფერი შეეძლო, ბიძა კი მამაცი იყო და ძალიან ქურდი, ნაქურდა-
ლით თავსაც და ძმისწულსაც არჩენდა. ერთხელ ბიძამ დააპირა
საქურდლათ წასვლა კეისართან. ძმისწული შეეხვეწა: ბიძია, მეც
წამიყვანეო. ბიძამ უარი უთხრა: შენ ჯერ პატარა ხარ, ქურდობის
არა იცი რაო, როცა გაიზრდები, მაშინ მე თვითონ წავიყვანო. მაჯ-
რამ ძმისწულმა მოსვენება არ მისცა და ბიძამაც წაიყვანა.

წავიდნენ. იარეს, იარეს, ბოლოს მივიდნენ ერთ მინდორში. იქ
აღვის ხე იდგა. ზედ ყორანი იჯდა. ბიძამ უთხრა ძმისწულს: თუ ამ
ყორანს ფრთას ისე მოვპარავთ, რომ ვერ გაიგებს, ყველგან გავი-
მარჯვებთ, თუ არადა — ვერ გავიმარჯვებთო. ადგა ბიძა და დაიწყო
ხეზე ასვლა. იარა, იარა, მიაწია ყორანთან, მოჰპარა ფრთა და ჩაიღ-
ვა უბეში. მაგრამ ბიძა რომ ფრთის მოსაპარავად აღიოდა, ქვევიდან
აჰყვა ძმისწული და ბიძას ნიფხავი მოჰპარა, ისე, რომ ბიძამ ვერა-
ფერი გაიგო. ძირს ჩამოვიდა, ძმისწულმა ჰკითხა: ბიძა, ნიფხავი რა
უყავიო? ბიძამ რომ ნახა, უნიფხვოდ იყო ძალიან ეწყინა და უთხრა
თავის ძმისწულს: ეს ცუდი ნიშანია, ამერიდან ვერ გავიმარჯვებთო.
მაშინ ძმისწულმა უთხრა: ნუ გამიწყრები, და ნიფხავი მე გაგხადეო.

ბიძას ძალიან გაუხარდა, — მადლობა ღმერთს, რომ შენც ასეთი ქურდი გამხდარხარო, — და წავიდნენ გახარებულები კეისრის ბელღის გასატეხად.

მივიდნენ იქ, გამოიტანეს კეისარის ბელღიდან პური და წააღეს. კეისარმა რომ თავისი ბელღის გატეხა შეიტყო, ძლიერ ეწყინა და მაშინათვე ყაღთან გაიქცა იმის შესატყობად, თუ ვინ გატეხა ბელღი. ყაღმა უთხრა: ერთი ხარის ტყავი გაშალე იქ, სადაც სამი გზა ერთად თავს იყრის, ტყავზე ვერცხლის ფული მოაბნე, მცველები დაუყენე, და ვინც ფულებს მოიპარავს, ბელღის გამტეხიც ის იქნებაო.

კეისარმა ყაღის ნათქვამი შეასრულა. შეიტყვეს ეს ამბავი ბიძამ და ძმისწულმა. აყიდეს დათვის ტყავი და შეიკერეს ქალაბნები. წავიდნენ ნაძვის ტყეში და დაიფისეს ქალაბნები. როცა მივიდნენ იქ, სადაც ხარის ტყავი იყო გაფენილი, გაიარეს და გამოიარეს ტყავზე: დაფისულ ქალაბნებს ფული მიეკრა. ისე ამოლიეს ტყავზე ფული, რომ თითქმის სამი აბაზიცი აღარ დარჩენილა.

შეიტყო კეისარმა, რომ ფულებიც ტყუილად დაეკარგა და ვერც ქურდი გაიგო. უფრო შეწუხდა და მივიდა ყაღთან. ყაღო ბელღიერო, მითხარი რაშე, თვარა ჩემს ყოფას სიკვდილი მირჩევნიაო. ყაღმა უთხრა: ცოდვა შენზე იყოს დათუ შაინც-შაინც გინდა შეიტყო, მოთხარე ბელღის წინ ორმო და ვინც ქურდი იქნება, რომ მოვა, შიგ ჩავარდებო. კეისარმა ორმო მოათხრევინა. მობრუნდნენ კადვე პურის მოსაპარავად ბიძა და ძმისწული. როცა მიუახლოვდნენ ბელღს, საიდანაც წინეთ პური წაიღეს, ბიძამ უთხრა ძმისწულს: წინ შენ გამიძეხიო. ძმისწულმა უთხრა: სანამ შეგიძლია, შენ გამიძეხი და როცა დაბერდები, მაშინ ჩემი რიგია და მე გაგაძღვებო. ბიძა დათანხმდა და გაუძღვა წინ. ორი-სამი ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული, რომ მისდა საუბედუროდ ჩავარდა ორმოში: „ვაი!“ — დაიყვირა და დაუძახა ძმისწულს: ხედავ რა უბედურება გვეწვია! ვა! ეს არის მე დავიკარქე, შენ შაინც არ წამოხვიდე წინო. ძმისწული ძლიერ შეწუხდა, მაგრამ რა უნდა ექნა. დაუძახა ბიძას: ბიძაჩემო, შენ ეს არის დაიღუპე, მაგრამ მეც ხომ დავიღუპები, ძნელი ისააო. ბიძამ უთხრა: შენ რა დავიღუპავსო? ძმისწულმა მიუგო: შენ გიცნობენ და მერმეთ მეც მომკლავენო. მაშ მე რომ გითხრა, ისე ქენიო, — უთხრა ბიძამ, — შენ ხომ აღმასის ჭაყვა გაქვს ჭიბეში, ამოიღე ჩაბი ბაწარი და მომეცი. მე თვითონ ვერ გავებდავ ყელის გამოჭრას, და

შენ ასწიე მალე ბაწარი და მომჭერი თავი. თუ იშოვნე ჩემს ძვლებს დასამარხავად, ხომ კარგი, თვარადა თავი მაინც წაიღე და დამარხეთ. ძმისწულმაც ძალაუნებურად აასრულა ბიძის ბრძანება, მოსჭრა თავი და შინ წაიღო.

მეორე დილას ნახა კეისარმა ორმოში უთავო კაცი. ამოიტანეს მკვდარი და მიუტანეს ყადს. ყადი გაკვირდა, ეს რა ამბავიაო. კეისარი კილევ შეეხვეწა ყადს, ბელლის გამტეხელი აღმომიჩინეთ. ყადმა უთხრა: სამი გზა რომ ერთად თავს იყრის, იქ ერთი ანძა დაასვი ჯაზედ ეს მკვდარი ჩამოჰკიდეთ, ვისაც იგი შეეცოდება, მკვდარი მისი იქნებაო, ამით შეიტყობო. კეისარმაც ისე ქნა, როგორც ყადმა უთხრა. არის სამი გზის თავში ანძაზე ეს კაცი ჩამოკიდებული. ვინც გაიარს, ყველა შესაწირავ ფულს უტოვებს. შეიტყო ძმისწულმა ეს ამბავი, შეკაზმა ვირი და წავიდა იქ, სადაც მისი ბიძა იყო ანძაზე ჩამოცმული. იქ რომ მივიდა, აიღო სამი შაური და გადაუგდო, თან ეს სიტყვები დააყოლა: საწყალი ამის პატრონი, რა საქმე დამართიაო! ანძასთან, რომელზედაც მისი ბიძა ეკიდა, ერთი ხორა შენაწირი ფული ეყარა. მკვდრის მცველები ყოველთვის ლხინში იყვნენ, იპიტომ რომ ერთგულად დარაჯობდნენ მკვდარს და კეისარი მადლიერი იყო. მცველებმა ძმისწულს უთხრეს, ღამე მათთან დამდგარიყო, მაგრამ მან უარი უთხრა: ერთი ვირი გამაჩნია მე უბედურს და ვინ იცის, ეგება ამაღამ ეს მკვდარი აღგეს და ვირი მოჰპაროს, მაშინ რას მიპირებთო? მცველებმა გაიცინეს, — რას ამბობს ეს კაცი, მკვდრის ქურდობა ვის გაუგონიაო. — მაშ კარქიო, — უთხრა ძმისწულმა. იმის პირობა მომეცით, რომ ვირს არაფერი დაემართოს და ამაღამ მუქთად საკმელს არ შეგიჭამთ, თქვენ მაგიორად ერთხანს კილევაც ვუდარაჯებ მკვდარსო. მცველებს უფრო გაუხარდათ. დაწოლის დროს ძმისწულმა თავისი ვირი ჩააბარა უფროს მცველს და შეჰდევ დაწვენენ ყველანი. როცა მცველებს დაეძინათ, ადგა ძმისწული, მოხსნა ანძიდან თავისი ბიძა, გასჭრა შუაზე, ნახევარი ხურჯინის ერთ თვალში ჩადვა, ნახევარი მეორე თვალში. რაც შენაწირი ფულები იყო, თავზე დააყარა, გადაჰკიდა ვირს და სახლისკენ გაუშვა. თვითონ ისევე დაწვა.

მცველები აღგენ დილას, შეხედეს, ვირი არსადაა, დაიწყეს ფუჩ-ფუჩი: ან ამ კაცს რა ვუყოთ, ან კეისარს რა ვუთხრათ, რომ მკვდარი არსადააო. ძმისწულმა ყველაფერი გაიგონა, წამოხტა დაიყვარა: ვაიმე, ვირი არ არის! ხომ ვამბობდი, რომ თქვენ დამლუპავთ!

ერთადერთი ვირი იყო ჩემი მრჩენელი და ის დამიკარქეთ! ახლავე მომიძებნეთ, თვარა კეისართან ვიჩივლებო. მცველებმა ფულით მოქრთამეს ძმისწული და ისე გაუშვეს თავისთვინ. დასაპალებული ვირი კარს მოადგა ბიძის ცოლს. ძმისწულს დაბარებული ჰქონდა ბიცოლასათვის, — როცა ვირი კარს მოგადგეს, მაშინათვე კარი გაუღე, სახლში მიიყვანე და ბარგი ჩამოხადეო. როგორც დაბარებული ჰქონდა, ბიცოლამაც მაშინვე შინ შეიყვანა ვირი და ბარგი ჩამოჭხადა. მოვიდა ძმისწული სახლში და ნახა ვირი ბარგიანად. ბიძა დამარხა ჩუმად. ახლა სულ გაკეთდა ძმისწულის საქმე. — ფული ბევრი აქვს და ცხოვრობს მდიდრულად.

კეისარმა შეიტყო, მკვდარი ვილაცამ მოიპარაო. მცველები სულ ამოხოცა და ისევე ყადთან წავიდა საკითხავად. ყადმა უთხრა, — ერთი უღელი კამბეჩები გაგზავნე, შენს სამეფოში ვის კარზედაც ისინი გაჩერდებიან, ის იქნება ამისი მქნელიო. კეისარმა შეასრულა ყადის ნათქვამი, გაგზავნა ერთი უღელი კამბეჩები. კამბეჩებმა დაიხრა მისი სამეფო, მაგრამ არავის კარზე არ გაჩერდნენ. ბოლოს მივიდნენ იმ კაცის კარზე, რომელმაც მკვდარი მოიპარა. ამ დროს ეს კაცი შეშაზე იყო წასული, და როცა შინ მოვიდა, ნახა თავის კარზე გაჩერებული კამბეჩები. შეიყვანა სახლში, დაკლა ორივე და მათი ხორცი დიდ ქურში შეინახა.

კეისარი შეწუხდა, კამეჩები რომ არ დაუბრუნდნენ, და ისევე ყადთან მივიდა. ყადმა უთხრა, — ორი ვეზირი გაგზავნე, შენს სამეფოში კამეჩების ხორცი მოიკითხონ, და ვისაც ის ექნება, ამის მქნელიც ის იქნებაო.

გაგზავნა კეისარმა ორი ვეზირი. ვეზირებმა იარეს, იარეს და ვერსად აღმოაჩინეს კამბეჩების ხორცი. ბოლოს მივიდნენ ძმისწულის კარზე. იგი სხვაგან იყო წასული. მისი ბიძის ცოლს უთხრეს ვეზირებმა: ეგება კამეჩის ხორცი გაქვს, კეისარმა გამოგვგზავნაო, პატარა მოგვყიდე და რამდენსაც გვთხოვთ ფულს, იმდენს მოგცემთო. ქალმა უთხრა, — შამობრძანდით, ორი ქური სავსეა კამეჩის ხორციით, რამდენიც გსურდეთ, იმდენი წაიღეთო. ვეზირებს ძლიერ გაუხარდათ. შევიდნენ სახლში, ამოიჩიეს ერთი ბეჭი და გამოვიდნენ კარში. კარზე მათ შეხვდათ ძმისწული და ჰკითხა: სად იყავით? რაეარი გლახა ხორცი ამოგირჩევიათ, ვინ მოგცათ ესო? ვეზირებმა უამბეს, რისთვისაც იყვნენ კეისარისაგან გამოგზავნილი. ძმისწულმა რომ ეს შეიტყო, უთხრა: თუ კეისარის გამოგზავნილი ხართ, ამის-

თანა გლახა ხორცს როგორ გაგატნევთ, შემობრძანდით, მე მოგართმევთ კაი ხორცსო. ვეზირები ნებას დაჰყვენენ და სახლში შევიდნენ, ამ კაცმა ჭურის თავზე დააყენა და უთხრა, — ამოირჩიეთ, რამდენიც გნებავდეთო. ვეზირებმა როგორც კი თავები დალუნეს, დაჰკრა ხმალი და ორივეს თავები გააგდებინა.

კეისარი ელის ამბავს. გავიდა ხანი, და არც ვეზირებია, არც ამბავი. გამოვიდა მოთმინებიდან კეისარი, მივიდა ყადთან და უთხრა: ყადო ბედნიერო, მითხარი რამე, თვარა შენ მოგკლავო. ყადმა უთხრა: სხვა არაფერი შემძლია და ამას კი გეტყვი: ვისაც ამდენი შეუძლია, იმას შენი სიძეობაც შეუძლია. გამოაცხადე ხვალ: კეისარი ქალიშვილს ათხოვებს და ყველა მოვიდესო. კეისარმაც გამოაცხადა. მეორე დღეს, ვისაც კი შეეძლო წასვლა, სულ წავიდა კეისარისას. წავიდა ძმისწულიც. როცა კეისარის საბძანებელმა მის კარზე თავი მოიყარა, მაშინ კეისარმა გამოაცხადა: ვინც მე ამოდენა ზარალი დამმართა და ამდენი შესძლებია, იმას ვგონებ ჩემი სიძეობაც შეეძლებათ. ამისათვის ისურს ჩემი ქალიშვილი მას მივცე ცოლად, და ვინც იყო, გამოტყდესო. გამოჰკითხეს ყველას, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა, ბოლოს ჰკითხეს იმ კაცს, რომელმაც კეისარს ბეღელი გაუტეხა. მან უთხრა კეისარს: თუ არ გამიწყრები, მთხრობელად დაგიდგებიო. — გაგიწყრები კი არა საჩუქრებსაც მოგცემო — უთხრა კეისარმა. ძმისწულმა უთხრა: ხელი მომეცი არ მოატყუო, ვისაც ქალიშვილი შეჰპირდე ცოლად და გეტყვიო. კეისარმა ხელი მისცა. მაშინ ძმისწულმა უთხრა: რაც შენ ზარალი დაგემართა, ყველას მქნელი მე ვიყავიო. კეისარმა რომ ეს გაიგონა, უნდოდა ემტყუნა ამ კაცისათვის, მაგრამ ხალხმა არ დაანება. კეისარმა დაინახა, რომ ლაპარაკი ფუჭად ჩაუვლიდა და თავისი ქალიშვილი მაინც უნდა მისცეს ამ კაცს. მოჰკიდა ხელი ძმისწულს და წაიყვანა თავის სასახლეში. ვეზირებს უბრძანა, მოეტანათ მისთვის სამეფო ტანისამოსი და ჩაეკმიათ ამ კაცისათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ კაცმა ჭვარი დაიწერა კეისარს ქალიშვილზე, და იყვნენ ნეტარებაში.

შეუტყვია ეს ამბავი აღმოსავლეთის. კეისარს და გამოუგზავნია ამ კეისარისათვის კაცი: ასეთი უღირსი სიძე რომ აგიყვანია, ან შენ უნდა დაეთხოვო კენსრობას, ანდა შენი სიძე უნდა მოჰკლაო. ეს რომ ამ კეისარმა შეიტყო, გაიხადა სამეფო ტანისამოსი, ჩაიცვა გლახას ტანისამოსი, გამოჩხრიკა ნაცარი და დაჭდა ზედ, ამ დროს მივიდა სიძე სიმაძრთან და, როცა შეხედა აგრე გლახა მდგომარე-

ბაში მყოფს, შეწუხდა და ჰკითხა: რა დაგეპართაო? კეისარი მოუყვა, აღმოსავლეთის კეისარს კაცი გამოუგზავნია ან შენ უნდა მოგკლა, ანდა კეისრობას უნდა დავეთხოვო. კარქიო, — უთხრა სიძემ, — თუ მოგიყვანო ის კეისარი აქანა და დავატოვებინო თავისი საშეფო, — მე ვყოფილვარ შენი სიძე, თვარა და ნებას გაძლევ მომკლათ. მეორე დღეს სიძემ დათვის ტყავი იშოვნა, გააჭედვინა თავის სიმაბრს ოქროს ეყვნებით, შეჯდა ცხენზე და წავიდა აღმოსავლეთის კეისართან. როცა იქ მივიდა, აღმოსავლეთის კეისარს ალაპი ჰქონდა და თავისი სამეფო სულ დაპატიებული ჰყავდა. მივიდა ეს კაცი მისი ვეზირების სახლში, ცხენი მათ მიაბარა სამი დღის ვაღით და ქირათ სამი აბაზი დაუტოვა. მერმეთ შევიდა იმ სახლში, სადაც ალაპი იყო, დაჯდა სხვა კაცებთან და დაიწყო სმა-ჭამა. საღამოს ყოველი კაცი მადლობას ეუბნება კეისარს და მიდის თავის სახლში. ეს კაცი კი ისევ ზის თავის ადგილზე, უნდა შეიტყოს, სად დაწვებიან კეისარი და მისი ცოლი. მოვიდა დაწოლის დრო. კეისარი და მისი ცოლი დაწვნენ. ეს კაციც ამას უცდიდა, როცა კეისარი და მისი ცოლი ღრმა ძილში შევიდნენ, ადგა ეს კაცი, აიღო დათვის ტყავი ოქროს ეყვნებით რომ იყო დაჭედილი, დადგა კეისარის ლოგინის თავთან და დაარაჩხუნა. კეისარს და მის ცოლს გამოეღვიძათ, წამოჯდნენ და დაიწყეს გაკვირვებით აქეთ-იქით ცქერა. მაგრამ რომ ვერაფერი დაინახეს, ისევ დაწვნენ. როცა დაეძინათ, ამ კაცმა ისევ დაარაჩხუნა ტყავი. კეისარმა რომ ეს მეორეხელ გაიგონა, გაკვირდა და დაიძახა: ვინცაღა ხარ, ღმერთი თუ კაცი, მითხარი, რა გსურს, მოგართმევო. კაცმა უთხრა: მე სული წმინდა ვარ, იესო ქრისტესგან გამოგზავნილი, და სული უნდა მომცეთო. კეისარმა ჰკითხა: რანაირად უნდა მოგცე სული? — კაცმა უთხრა, — უნდა ამოიძროთ და ისე მომცეთო. კეისარმა და მისმა ცოლმა დაიწყეს ხველება, მაგრამ ვერას გზით სული ვერ ამოიძვრეს, თუმცა ბევრი ეწვალენ. მაშინ ამ კაცმა უთხრა: რადგანაც ამდონს წვალობთ, გავბრუნდები ისევ ქრისტესთან, შევეხვეწებ, რომ ცოცხალი წაგიყვანოთ. ხვალ დილას როგორც კი გათენდება მაშინათვე ადექით, თქვენს მოსამსახურეებს ორი დიდი სკივრი გაათლევინეთ, თქვენი ქონება შიგ ჩაალაგეთ და თქვენც შიგ ჩაქექით. ხვალ ღამ ამ დროს მზად დამხედითო. შემდეგ ეს კაცი წავიდა საცლა და დაიძინა.

კეისარმა მეორე დღეს ყოველივე ნათქვამი შეასრულა. გაათლევინა ორი დიდი სკივრი, რომლებშიც კეისარს და მის ცოლს თავი-

სუფლად შეეძლოთ მოთავსება. მეორე დამეს, როგორც ნათქვამი იყო, მოიძარაგეს კარგად, რაც რამე კარგი ჰქონდათ, ყოვლისფერი ამ სკივრებში ჩააწყვეს და შემდეგ თვითონაც ჩასხდნენ შიგ, შუალა-მემ რომ მოაწია, მოვიდა ეს კაცი და გაარაჩხუნა ტყავი. კეისარმა უთხრა თავის ცოლს: აბა, მოვიდა იესო ქრისტეს გამოგზავნილი კაციო. დაუძახა ამ კაცს: აბა მობრძანდი, მზად ვართო. მოვიდა ეს კაცი, სკივრები მაგრამ შეჰკრა, ერთი იქით და მეორე აქეთ აჰკიდა. ცხენს და წაიყვანა თავის სიმაშრთან.

სიმაშრის სახლში რომ მივიდა, უთხრა სიმაშრს: ჰე, ჩემო სიმაშ-რო, მოგიყვანე თუ ვერა ის კეისარი, რომელიც შენ კეისრობიდან გაგდებდაო! აბა გაახსნევინე ვეზირებს ეს სკივრებიო. გახსნეს სკივ-რი და ნახეს აღმოსავლეთის კეისარი და მისი ცოლი. ამის შემდეგ ეს კაცი აღმოსავლეთის კეისარის სამეფოში წავიდა და იქ გამეფდა, თავის სიმაშრს კი მისი სამეფო დაუტოვა.

§7. ქაჩალა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდიდარი ხელმწიფე; სახელად ერქვა მისტრიზა. მის სახელმწიფოში ცხოვრობდა ერთი ქაჩალი ცოლ-ქმარი, ძლიერ ღარიბი. მისცა მათ ღმერთმა ერთი შვილი. ისიც ქაჩალი. ვაჟი რომ გაიზარდა, მამას ჰკითხა: მამავ, რატომ ხარ ასე ღარიბიო? მამამ უთხრა: შვილო, ასეთი წერა გექონია, მე ძმა მყავს ამა და ამ ქვეყანაში, ისიც ღარიბი და ქაჩალია და ცოლიც ქაჩალი ჰყავსო. შვილმა უთხრა: წავალ ბიძაჩემთან და ვნახავო. — წადიო, უთხრა მამამ.

ადგა ქაჩალა, წადიო ცოტა რამ საგზალი, ერთი კარდალი და წავიდა. კარგა ხანს იარა და წვიმა წამოეწია. რომ არ დასველებუ-ლიყო, გაიძრო ტანსაცმელი, დადო მიწაზე, დაახურა კარდალა და თვითონ ზედ დააჯდა. როცა წვიმამ გადაიღო, ადგა, ტანზე ჩაიცივა და წავიდა. წინ ეშმაკი შემოეყარა და ჰკითხა: რატერ მოახერხე, რომ არ გაწუნწულხარო? მე ეშმაკი ვარ, მარა ასე დავსოლდიო. ქა-ჩალამ უთხრა: მე წამალი ვიცი და იმიზე არ დავსოლდიო. ეშმაკს გაუკვირდა: მე რაღა ეშმაკი ვარ, რომ ეს წამალი არ ვიციო. მასწავ-ლეო, — სთხოვა ქაჩალას, — და მე ერთ ისეთ ქუდს მოგცემ, რომ,

როცა დაიხურავ, ვერავინ დაგინახავსო. ქაჩალამ უთხრა: არ მომატყუოვო. ეშმაკმა შეჰფიცა. მაშინ ქაჩალამ ასწავლა: ეს კარდალა წაიღე და სადაც წვიმა მოგეწიოს, ტანზე გაიძვრე, ტანსაცმელს დაახურე და ნაწვიმარს მერე ტანსაცმელი მშრალი დარჩებაო: ეშმაკს ქუდი გამოართვა და წავიდა. ეშმაკი გაჯავრდა: იმ კაცმა მომატყუაო, ეს კარდალა სად უნდა ვათრიოო, აიღო, დაარტყა ქვაზე კარდალა და დაანტვრია.

იარა ქაჩალამ და ბოლოს მივიდა იმ ქვეყანაში, სადაც მისი ბიძა ცხოვრობდა; იკითხა ბიძამისი და მიადგა. ნახა, მართლა ღარიბი იყო და ვორივე ცოლ-ქმარი — ქაჩალა. მე თქვენი ძმისწული ვარო, — უთხრა ბიძას და მიიღეს. ჰკითხა: ბიძაჩემო, ღარიბი რეიზა ხარო? რა ვქნაო, უთხრა ბიძამ, — ასეთი ღარიბი დავრჩიო. მაშინ უთხრა ბიძას: ხუთი ტუმარი მიყიდეო, ხვალ ხელმწიფეს ხაზინას გავტებ და სულ გამოვიტანო. უყიდა ბიძამ ტუმრები. მეორე დღეს წავიდა ქაჩალა, გააღო ხაზინა, თავზე ეშმაკის ქუდი დაიხურა და კაცმა ვერ დაინახა. ხუთი ტუმარი იმ ღამეს გამოიტანა და მიწაში დამარხა ეს ფულები. მეორე ღამეს კიღომ ისეთ ქნა.

მესამე ღამეს ქალმა უთხრა თავის ქმარს: შე უბედურო, ვინცხა მოსულა და კეთდებო და შენ ვერაფერს ვერ იშოვი მიზღდემჩიო, წადი ამელამ და შენც მეიტანე ფულები, თვარა სახლში არ შამოგიშობო. ადგა ბიძა, მივიდა ძმისწულთან და უთხრა: ბიძია, წამყევი ამალამ, ზეც მინდა ვიშოვო ფულებიო. ძმისწულმა უთხრა: მოიკადე და გეტყვიო. წავიდა და დაეკითხა თავის ქულს. ქულმა უთხრა: ნუ წახვალ, თვარა ცუდი საქმე აგიტყდებო. მობრუნდა და ბიძას უთხრა: წამოვალ, მარა შიგ ვერ შეგყობიო. წავიდნენ. ხელმწიფე თურმე დაოსტატდა, — ხაზინის შესავალთან ორმო მოათხრევეინა და შიო ფისი ჩაახხმევეინა. ქაჩალას ბიძა წინ მიდიოდა. როცა მივიდა, შით ჩაიჭრა და ჩაფისა. ძმისწულმა გარდამიდან დაინახა, აღარ გამოდის, იფიქრა, რაცხა დეემართაო. მივიდა ნელ-ნელ, ხელს აცოცებდა და ხელში ბიძის თავი მოხვდა. მოწინა და შიგ ჩაფისული იყო. მერმედ მოსჭრა თავი და წაიღო, ბიცილას მოუტანა და უთხრა: არ იტირო, შენი ქმრის თავი ეს არისო. თუ იტირე, ყველანი შეიტყობენ და შენც თავს მოგჭრიანო.

მეორე დღეს ნახეს თავმოჭრილი კვტარი კაცი ორმოში. ხელმწიფეს სამი ქალიშვილი ჰყავდა. უფროსმა უთხრა მამას: მომეცი ეს კვტარი კაცი და მე ვიშოვნი მის ქირისუფალსო. მისცა მამამ. წაი-

ყვანა ჯარი, წაიღო კვტარი. დადგნენ სოფლად, კვტარი ჩამოჰკიდეს, — ქალს ეგონა ვინც ატირდება, იმით გავიგებ ქირისუფალსო. კვტარი იმ ადგილას იყო ჩამოკიდებული, სადაც კვტრის ცოლი იდგა. დაიწახა ქაჩალამ და უთხრა ბიცოლას: წადი თუმნის ქიქა და საინი იყიდე, მეორე კედრით მოიარე და კვტართან რომ მოაწიო, დაიკარ ფეხი და დაეცი, დაამტვრიე ის ქიქა-საინები, დაიწყე ტირილი და ქმრის ტირილი იმაზე გადაატანეო. წავიდა, ქალმა იყიდა და წამოიღო, როცა მუაწია კვტართან, წაიკრა ფეხი, დაეცა და სულ დაამტვრია, — დაიწყო ტირილი. გამოცეცვდნენ მცველები და ეცენ ქალს, ჰკითხეს: რა გატირებდსო? ქალმა უთხრა: რავე რა მატირებდს, აქ კვტარი დაგიკიდიათ, მაგის შემოხედვაზე ფეხი წავიკარი, წავიქეცი და რაც ბაზარში ვიყიდე, სულ დავამტვრიეო, აწი რაღა უნდა ვქნაო. ხელმწიფის ქალმა უთხრა: ნუ ტირი, დედაო და ორი იმტენს მოგცემო. აჩუქეს და გაუშვეს, წავიდა ქალი, მარა მაინც ქე ტიროდა.

მივიდა შინ. ქაჩალამ უთხრა ბიცოლას: ერთი ვირი და ერთი ჩეგური მიყიდეო. უყიდა საჩქაროდ ბიცოლამ. შეჯდა ქაჩალა ვირზე, ჩეგური დაიკავა. დაუკრა და დააღლინა. გაიგონა ეს ხელმწიფის ქალმა და დააძახებინა. უთხრა ქალმა: მოდი, დააღლინეო. დაუკრა ქაჩალამ და დააღლინა ისთე, რომ ყველა მას შესცქეროდა. ხელმწიფის ქალმა უთხრა: ამელამაც დარჩი და მომიღბინეო, მაგრამ ქაჩალამ არა ქნა. აჩუქეს ბევრი და წავიდა. უყურა ხელმწიფის ქალმა ორი-სამი დღე, კვტრის პატრონი არ გამოჩნდა. ადგა და მოწყენილი წავიდა შინ, მამამ სამღურავი უთხრა.

ეხლა მეორე ქალიშვილი წავიდა კვტრის ქირისუფლის საპოვნელად. ამანაც კვტარი ჩამოჰკიდა გზის პირას. ადგა ქაჩალა, შეჯდა ვირზე, დაიკირა ჩეგური, გაიარა ხელმწიფის ქალიშვილის ახლოს და დააღლინა. ქალმა დააძახებინა და ბევრი დააკვრევინა. ქალმა უთხრა: ამელამაც დარჩი და გამართეო, მაგრამ ქაჩალამ უარი უთხრა: არ შემიძლიაო, ვინმე ვირს მომპარავსო.

მისცეს პირობა, არ დაეკარგებოდა, და დარჩა. ქაჩალა რომ მოდიოდა ბიცოლას დაუბარა, ამელამ ვირი ქმრის ტანს მოიტანსო, ჩამოხსენი და დაპარხეო. როგორც შეიქნა შუალამე, ადგა ქაჩალა, თავის ქუდი დაიხურა, გავიდა და კვტარი ჩამოხსნა, მცველებს არ დაუნახავთ, ისრე, — გადაჰკიდა ვირს და უთხრა: შინ წაიღეო. ვირმა მართლა მოიტანა შინ. თვითონ ქაჩალა წავიდა და დაწვა. დილას ნახეს, რომ აღარც კვტარია და აღარც ვირი. ქაჩალამ დაიწყო თავში

ცემა და ტირილი: ჩემი ვირი მოუპარავენო. ხელმწიფის ქალი იმას ტირის, რომ კვტარი მოუპარავენო, და ქაჩალა — ვირს. მერმე ბრძანა ქალმა: მიეცით ფული და გააგდეთ მაგი აქედამო, მე ჩემი დარდა მეყოფაო. მისცეს ქაჩალას ბევრი ფული და გაუშვეს, მაგრამ კიდომ მიტროდა: ვირი მომპარესო. ხელმწიფის ქალი წაუვიდა შინ. მამა ძლიერ გაუტრისხდა, უთხრა: შენ ხელში რაც გქონდა, ისიც დაკარგეო.

მერმე მესამე ქალიშვილმა სთხოვა მამას, ახლა მე წავალო, და ჩემი აქლემი უნდა წავიყვანოო. მამამ ნება მისცა და წავიდა, წინ აქლემი გაუშვა. აქლემი მზაკვავი იყო, წავიდა და იქ დაწვა, სადაც კვტარი ემარხა. ქაჩალამ ბიცოლას დაუბარა: ამელამ ერთი მახვილი ცული დაიდე გვერდით, დიდი ორმო ამოთხარე და როგორც კი აქლემი შამოვიდეს, დაჩხე და ორმოში ჩაყარე. თვარა ხვალე მოძებნიან აქლემს და კვტარს ნახავენო. თვითონ წავიდა მისი ვირითა და ჩეგურით, ხელმწიფის ქალის კარზე გაიარა. ქალმა მოიწვია და დააკერევიანა. ქაჩალას ვერავენ იცნობდა, რადგან ხელმწიფის ქალებს სხვადასხვა ჯარი ახლდა. ქალმა უთხრა, დარჩი ღამით და გამართეო. დარჩა ქაჩალა იმ ღამეს. შუაღამე რომ შეექმნა, ადგა, დაიხურა თავისი ქუდი, შევიდა იმ ოთახში, სადაც ხელმწიფის ქალებს ეძინა, შეძვრა ლოგინის ქვეშ, აიღო ლოგინი და ეს ქალი წაიყვანა. ქალს გზაზე გამოეღვიძა და ნახა, რომ ვინცხას მიყავს თავის ლოგინით. კარებში შესვლის დროს ქალმა ხელი მიაწო კარებს, შეიყვანა ქაჩალამ ქალი ერთ სახლში და დაამწყვდია. გამოვიდა თუ არა, ნახა, კარებზე თეთრად დაბეჭდილი იყო თითები. ადგა და გაცრა კირი, ჩამოუარა და ყველა მეზობლის კარს მიაწო კირში დასოლებული ხელი. მეორე დღეს ნახა ჯარმა, აღარც ქალია და აღარც აქლემი. ეძებეს, მაგრამ აქლემი ვერსად იპოვეს, ვერც ქალი ნახეს. კარებზე ყველგან მიცხებული იყო ხელის ნახატი. ისრე დაიკარგა ხელმწიფის ქალი, რომ ვერაფერი ვეღარ გაიკვლიეს.

რამდენიმე დღის შემდეგ დაიხურა ქაჩალამ ქუდი და შეეძარა ხელმწიფის სასახლეში, იქ ხელმწიფის ორი ქალიშვილი იწვა. ერთი მათგანი იპოვნა და დილაზე ისე წავიდა, რო ქალს თვალითაც არ დაუნახავს ვინ იყო. რამდენხანს მერმე ქალმა შეატყო თავს, ორსულათ იყო და გაამცხადა, ასეა ჩემი საქმეო. მოლოგინდა და ეყოლა ვაჟიშვილი. ხელმწიფეს მეტად შერცხვა, მაგრამ რას იქდა.

იზრდებოდა ბოვში, ხელმწიფემ თქვა: ეს ბოვში მამამისს

იცნობსო. დააყენეთ ჭიშკართან და ჩემ საბრძანებელში რაც ხალხია, ამ ჭიშკართან გაარონიეთო. გაიგო ეს ქაჩალამ, იყიდა ორი კურდღელი და იღლიაში ამოისვა. როცა მოუწია ჭიშკარში გარება, ბოვშმა მოკიდა ხელი, მარა ქაჩალამ ხელში კურდღელი მისცა და ბოვში კურდღელს დაეკიდა და ქაჩალა გოუშვა. მეორეჯერ გამორების ხანსაც ისეთ ქნა. ხელმწიფემ იკითხა: რა ქნა ბოვშმა, ხელი არავისთვის მოუკიდნიაო? უთხრეს: არა, ბატონო, ერთ ქაჩალს მოკიდაო, მარა კურდღელისათვისო. ბრძანა ხელმწიფემ: კილომ გაარონიეთო. და გაარონიეს. ბოვში ეცა ქაჩალას და დააკავა. მიიყვანეს ქაჩალა ხელმწიფესთან. ჰკითხა ხელმწიფემ: ეს ბოვში თუ შენიაო? — დიახ, ბატონო, ჩემიაო — უთხრა ქაჩალამ. ხელმწიფემ ჰკითხა — ქალიშვილიც შენ გყავსო? — დიახ, ბატონოვო, ფულეზიც მე მაქვს თქვენო.

ამ დროს ხელმწიფეს წიგნი მოუვიდა მეორე ხელმწიფისაგან, წაიკითხა და ეწერა: რათ არ გრცხვენია, ფულეზიც მოგპარეს, ხაზინა დაგიღუპეს, ქალები ზოგი წაგართვეს და ზოგი წაგინდინესო! გამოიტანა ეს წიგნი ხელმწიფემ, წაუკითხა ქაჩალას და უთხრა: ესენი სულ შენგან მპირს და რა უნდა გიქნაო, — თავს მოგპრი ან ჩამოგახრჩობო. ქაჩალამ უთხრა: ეგენს ვერცერთს ვერ მიზამო. როცა მიმიყვან სახრჩობელასთან, მაშინვე გაგეპარვიო, და თუ გინდა შენი ქალი და ფული — მოვაყვანიებო, და მე იმ ხელმწიფეს აქ მოგვკრიო. გაგზავნეს კაცი გამოატანინეს ფულეზი და ქალიც მოუყვანეს. ქალი სწორედ პატივცემული ყოლოდა და ფულეზიც უკლისად. მაშინ დაფიქრდა ხელმწიფე და თქვა: გავუშობ და იქნებ აღასრულოსო. უთხრა ქაჩალას: თუ შენ იმ ხელმწიფეს აქ მომგვარი, რა გინდა გაჩუქვო. ქაჩალამ სთხოვა: ოცი ცხენის საპანე ფხასვი და ერთი ცხენის საპანე აბრეშუმის მომეციო. მისცა ხელმწიფემ.

ადგა ქაჩალა და წავიდა. მივიდა იმ სახელმწიფოში, სადაც ის ხელმწიფე ხელმწიფობდა, დაიქირავა მალაზია და ჩამოხსნა საქონელი. გაეარდა ხმა, — ვაჭარი მოსულაო. დააიჯეს ქაჩალა იქაურმა ვაჭრებმა. ქაჩალა ეწვია და გამოჰკითხა: თქვენი ხელმწიფე როგორი ხელმწიფე არისო, ან რა სამართალს სჭრისო. უამბეს იმისი აღსარება ყოლისფერი. უთხრეს, შაფათობით აბანოში დადისო. ადგა ქაჩალა, დაეხურა მისი ქუდი და წავიდა შაფათს აბანოში. როცა ხელმწიფე შევიდა, შეყვა თან და დაუყვირა: მე ღმერთის გამოგზავნილი

ანგელოზი ვარ, შენ ძლიერ ფინთი კაცი ყოფილხარ და ღმერთთან უნდა წაგიყვანოვო. ხელმწიფემ უთხრა: შენი ჭირიმე, დრო მომეცი, რომ ვისთვისაც რამე წამირთმევი, ისთევე დავუბრუნოვო. ხელმწიფე ელაპარაკება, მაგრამ ქაჩალას ვერ ხედავს. ქაჩალამ დრო დაუდვა — მეორე შაბათი.


წავიდა ხელმწიფე და გასცა ბრძანება, თუ ვინმეს რამე ვაწყენიე ან წავართვი, ერთი ორათ მიეცითო. ქონება გლახაკებზე გასცა.

მეორე შაბათისათვის გაემზადა ხელმწიფე. ქაჩალამაც საქონელი გაყიდა და ერთი ცარიელი სკივრი აბანოში წაიღო. შაფათს მოვიდა ხელმწიფე აბანოში და დაიწყო ლოცვა. ამ დროს გამოეცხადა ანგელოზად ქაჩალა და დაუყვირა: რა ქენიო? ხელმწიფემ დაიჩოქა და უთხრა: მზათ გახლავარო. — აბა ამ სკივრში ჩაჭეპიო, — დაუძახა ანგელოზმა. ხელმწიფე ჩაჭდა, ქაჩალამ თავი დაახურა, ცხენს აპკიდა და წაიღო. წინდაწინ თავის ხელმწიფეს კაცი გაუგზავნა: მოვდივარ და მომყავსო. თქვენ გაემზადეთ და ისე დამხვდით, ვითომც ღმერთი ხართ და თქვენი მსლებლები ანგელოზები არიანო. სულ წითელი ჩაიცვითო, საბძანებელში რაც ხალხია, სუნთელს თავი მოუყარეო. მარჯვნივ დააყენეთ ბოვშები თეთრად ჩაცმული და იმას უკან ვაყები წითლათ ჩაცმული, მარცხენით ხვადაგიო, ყოველივე პირუტყვი მორეკეთ და თქვენ კი ოდაზე დაბძანებული დამხვდითო. ყველაფერი ეს მოამზადა ამ ხელმწიფემ.

ქაჩალას მოყავდა მეორე ხელმწიფე. მოაღწია თუ არა პირველი ხელმწიფის სასახლესთან, უთხრა სკივრში ჩასმულ ხელმწიფეს: მარცხნივ, ხვადაგის ბღავილი რომ გესმის, ეს ჯოჯოხეთიაო, მარჯვნივ ცხონებულებიო, მალა ზეით უფალი არის და მისი ანგელოზებიო. მე წავალ მასთან და ვკითხავ, ცოცხალს მიგიღებს ღმერთი თუ არაო. წავიდა ქაჩალა და თავყანი სცა მის ხელმწიფეს, შემდეგ ჩამობრუნდა და სკივრში ჩასმულს უთხრა: ძლიერ გამაჩავრდა ღმერთი, ცოცხალი რას მოგიყვანიაო, მაგრამ მაპატრე და შენ დიდი თავყანი ეცი. როცა მიხვიდე, ფეხზე აკოცე და მერმეთ სუნთელათ ანგელოზებსაც თავყანი ეციო. აპხადა სკივრს, ამოვიდა ხელმწიფე, გაჰყვა ჩოქვით ქაჩალას და თავყანი სცა, ვითომ ღმერთს ქაჩალას ხელმწიფეს. როცა გაათავა თავყანისცემა, იმ ხელმწიფემ უთხრა: შენ რომ წიგნი მომწერე გინებით, აბა რა გეგონაო, — მე თუ ქალი წამართვეს და ფულები, შენ ეს გიქნესო: აწი გენებოს წადი და გენებოს აქ დარჩიო. დაქირულმა ხელმწი-

ფემ უთხრა: რაღა წასასვლელი პირი მაქვს, თუ წყალობას მიზამ და შენ სახელმწიფოში მაცხოვრებ, დიდათ დაგიმადლებო. იმას მისცეს თავისთვის სასახლე. ჭაჩალას ხელმწიფის ქალიშვილი შერთეს და ხელმწიფობაც დაუმტკიცა სიმაურმა.

იმ დროს იქ ვიყავი, ანგელოზათ მეცა ვერიე,
აქ რა მინდოდა, თუ ეშმაკებს არ გადავერიე.



1. ბერიკაცი

ერთი ბერიკაცი წყალზედ გადახტა და ფეხი ჩაუვარდა. დაიძახა: ვაი, რო დავბერდი, თორემ რა ვიყავი ჭიელობაშიო! რომ ვერავენ დაინახა, სტყვა: არცა რა ჭიელობისას ვიყავ და არცა რა ეხლა ვარო.

2. ირემი და კუ

ირემი მორბოდა და წინ კუ შემოხვდა. ჰკითხა: რა მიგარბენინებსო? ირემმა უთხრა: მონადირეებმა ტყვია მომარტყესო. კუმ უპასუხა: ეს ტიალი, ყველა კარგ ნადირს გვმტრობსო. ირემმა მიუგო: ნეტავი შენ ჩემთან არ დაბადლებულიყავო და მე იქვე მოვეკალიო.

3. მარტო მე რას მიცქერიო

დამნაშავე მთიულეები შარეკეს საყდარში დასაფიცებლად. ერთი მთიელი დააცქერდა ხატს და დაელაპარაკა: შე დალოცვილო, მარტო მე რას მიცქერიო, ესენიც ჩემი ამხანაგები არიან ქურდობაშიო.

4. სიმართლე შვილიშვილამდინაო

ერთი ქურდი კაცი თურმე იყო, დიახ მოუსვენარი. უშლიდა მამა ბოროტს ყოფაქცევას: კაცმა თავისი უნდა სკამოს და არა სხვისაო.

შვილმა ყურადღება არ მიაქცია მამის დარიგებას. შემდეგ მამამ უთხრა შვილსა: წადი, შვილო, და ეს სამი მთა გადაიარეო, რომლიდანაც რა ხმა გაიგონო, მოდი და მითხარიო. გაუგონა შვილმა და აუსრულა თხოვნა. როდესაც მოვიდა მთიდგან, უთხრა მამას: მესამე მთამ მითხრაო, წადი და მოგეწევიო. ამიხსენ, მამავ, რა არის ესაო? მამამ უთხრა: შენი ავკაცობისათვის არც შენ გეკითხვის, არც შენს შვილსაო, შვილიშვილს კი გარდახდებაო. ნათქვამია, მამამ ჭამა ტყემალიო, შვილიშვილს კბილები დააჭრაო. ყველამ იცოდეთ, — სიმართლე შვილის შვილამდინაო.

5. ბევრმეტყველი

ბევრმეტყველს უთხრეს: თქვი რამეო. იმან უთხრა: რა ვთქვაო, თქმით ბევრჯელ მინანიო, უთქმელობით კი არაო.

6. შეგუებული კაცი

ერთმა კაცმა სთქვა, ჩემს დღეში არ მოვტყუებულვარო: ძვირი ყოფილა, ძვირათ მიყდნიაო, იაფი ყოფილა — იაფად მიყდნიაო, თოვლი ყოფილა — მარხილი შემიბამსო, მშრალი ყოფილა — ურემიო, სადაც მივსულვარო, ქუდიც იქაური დამიხურამსო, დრო მქონია, კაცს შევქცეულვარო, დრო მქონია, კაცს გავქცევიაო.

7. ჯიბრით

ერთი იმერელი სარის საჭრელათ მიღწიდა და წყალში ჭადი ჩაუვარდა. აიღო და წალდიც შიგ გადააგდო: წადი და სარიც შენ მოსქერო.

ნათქვამია: ყორანმა შაშვის ჯიბრით შროშანი მოკლა, — შენც შავი ხარ და ისიცაო.

8. ხატო, შემეწიეო

ერთი კაცი მივიდა ხატთან და უთხრა: ხატო, შემეწიეო ხატმა. უთხრა: საიდან შეგეწიო, რომ ცარიელი ხარო.

9. ის დავითა ვარო

ორნი ძმანი იყვნენ, ძალიან ღარიბები. ერთი აიყარა და სხვა ქვეყანაში გადასახლდა, სთქვა, იქ ეგები ვიცხოვროვო. როდესაც ხანი გავიდა, ძმამ მისწერა გადასახლებულს წიგნი: როგორ ცხოვრობო? იმან მოსწერა: რაც მანდ დავითა ვიყავო, აქაც ის დავითა ვარო.

10. ღმერთო, მიშველეო

ერთი კაცი წყალს მიჰქონდა, გულ-ხელი დაეკრიფა და იძახდა: ღმერთო, მიშველეო ხმა მიესმა, — ხელი გაიქნიეო და ღმერთიც გიშველისო. გაიქნია ხელი და მართლა გამოვიდა წყლიდამ.

11. უსარგებლონი

ორნი მამა და შვილნი იყვნენ, ყოვლის მხრივ უსარგებლონი ქვეყნისა და თავიანთ თავისა. ერთ დღეს შვილმა აიღო კვერი და რკინას დაუწყო ზელა. მამამ ჰკითხა: შვილო, რას აკეთებო? შვილმა მიუგო: ტურას ვაკეთებო. და მამამ უთხრა: ტურას კი ნუ აკეთებო, მგელი გააკეთეო, რათა შენც შეგჭამოს და მეცაო.

12. კატას ეუვანი შევაბათო

თიგეები შეიყარნენ და ძალიან მღურვა დაიწყეს კატის ჩუმად მიპარვაზე და დაქერაზე. რჩევა მოახდინეს და ასე გადაჭრეს: კატას ეუვანი მოვაბათ ყელზე, რომ, როცა მოდიოდეს, ხმა გავიგონოთო და მოვერიდნეთო. ყველამ მოიწონა და თანახმა გახდა, მაგრამ ყელზე ეუვნის შამბმელი კი ვერავინ იპოვეს.

13. იმერელი და ხიზილალა

ერთი იმერელი მოვიდა მეთევზესთან, ერთი გროშის ხიზილალა მომეციო; მეთევზემ დაითხოვა, — მაგისა რა ხიზილალა უნდა მოგცეო? იმერელმა ამოიღო ჯიბიდან დანა და ცოტა მოშორებით დადგა, — ვითომ იქილამ სოლის ხიზილალას და პურზე გლეხს. პურის ჭამა რო გაათავა და გაძღა, მეთევზეს უთხრა: სიავკაცე შენ შეგარჩა, თორემ მე კარგად გამოვძეხიო.

14. აღდგომა აღარ იქნებაო

ერთი მღვდელი იყო. რაკი დიდმარხვა დადგებოდა, ორმოც ლობიოს მარცვალს ჩაიყრიდა ჯიბეში, და დღე რომ გაივლიდა, ერთ ლობიოს ამოიღებდა ჯიბიდან, მანამ სუ არ მოილეევოდა, ასე ატყობინებდა, როცა ჰკითხამდნენ, რამდენი დღე დარჩა აღდგომამდინ ან როდის იქნება აღდგომაო. ერთხელ, დიდმარხვის დროს, ცოლმა ნახა, რომ მღვდელს ჯიბეში ლობიო უყრია, და თქვა: ჩემ მღვდელს ლობიო ჰყვარებიაო. აიღო და ერთი მუჭა ლობიო ჩაუყარა ჯიბეში. მღვდელმა ვერა გაიგო რა. მოდიოდნენ, მღვდელს ჰკითხამდნენ, — როდის არის აღდგომაო? მღვდელი ეუბნებოდა, — ჯერ შორს არისო. მიდის დღეები, მღვდელი თითო-თითო მარცვალს აკლებს, მაგრამ ლობიო არ ილევა. ბოლოს ერთხელ რო ელევა, ჰკითხეს, — აღდგომას რა დაემართა, როდის იქნებაო? მღვდელმა უთხრა: წრეულს, როგორც ვხედავ, აღდგომა აღარ იქნებაო.

15. ხარებობის ძებნა

ერთ წელიწადს უფლისციხელებს ხარებობა დაეკარგათ. წავიდნენ მღვდელთან, — ხარებობა ეგები გვიპოვნოვო. წავიდა მღვდელი საძებნელად, სოფლის ხალხიც თან გაჰყვა. ბევრი ეძებეს და ბოლოს ერთ ტყეში ერთი დათვის სორო ნახეს. ყველამ გადასჭრა, რომ აქ უნდა იყოს ხარებობაო, მღვდელს უთხრეს, — შადი და გამოიყვანეო. მღვდელმა უთხრა, — ფეხზედ თოკი მამაბითო და ისე შავალო; იქნება არ გამამყვეს, მაგრა დავიჭერ და თქვენ გამამწიეთო. რამწავს შევიდა სოროში, დათვი მივარდა (თურმე დათვი იმ დროს სოროში იყო) და მოჰკლიჯა თავი. გამოსწიეს მღვდელი, ნახეს, — თავი აღარ აბია. დაღონდნენ და ერთმანეთსა ჰკითხეს: მღვდელს წელან თავი ება თუ არაო? რო ველარა გაიგეს რა, ბოლოს ერთმა თქვა: მოდი წავიდეთ, ცოლს ვკითხოთ, იმას ეცოდინებო. წავიდნენ, ცოლს ჰკითხეს, — მღვდელს თავი ება თუ არაო? ცოლმა უთხრა: დილას ვნახე, რომ თხასავით წვერს აცანცარებდაო, და ღხევა არა ვიცი რაო.

16. უნდა მოვიმცვრიოვო

ერთი კაცი შეიპარა ბაღში ყურძნის დასაყრეფათ. მებაღემ დაიჭირა, — რასა შვრებო? — უნდა მოვიმცვრიო ვენახო. მებაღემ უთხრა: ჯერ ყურძენი არ დამიკრეფიაო, რა დროს მცვრევაო?

ქურდმა უთხრა: — ეგება შენ შენს ღღეში არ დაჰკრიფო, მე ჩემს მცვევას არ დავშლიო.

17. დათვი და ტყე

ერთი დათვი ტყეს შემოსწყრა და მინდორში წავიდა, იქ იარე-ბოდა. როცა ძალიან მოშივდა, ისევ ტყეში დაბრუნდა, თითონვე შეურიგდა.

18. ქვეითი და ცხენოსანი

ორი კაცი მიდიოდა გზაზე, ერთი ცხენიანი და მეორე ქვეითი. ქვეითი ეუბნება ცხენოსანს: შენ წინ წადიო და მეც მალე მოგე-წვივო.

19. არსად არ წახვიდეო

ორი კაცი ბნელაში გზაზე მიდიოდა. ერთი ორმომში ჩავარდა. ამხანაგს ამოსძახა, — ერთი თოკი იშოვნე და აქედან ამამყვანეო. ამხანაგმა ზემოდან ჩასძახა: არსად არ წახვიდე, მანამ თოკს მოვი-ტანდეო.

20. შენც ჩემთან იქნებიო

ორნი კაცი წაიჩხუბნენ, ერთი წვერიანი და მეორე უწვერო. უწვერო დაემუქრა წვერიანს: მა წვერს დაგიჭერ და სრულათ მთელ ქალაქს შამოგატარებო. წვერიანმა უპასუხა: შენც ჩემთან იქნებიო.

21. ცოდვამ უწია

ერთი მონადირე წავიდა მთაში. მოკლა ერთი ირემი, დაანთო ცეცხლი და ააგო მწვადი. ერთი სხვა მონადირე მივიდა და უთხრა: სამი ღღეა მშიერი დავდეიარო, ვერა შემხვდა რა, ერთი სამწვადე მამიჭერიო. მოუჭრა და მისცა. იმან აიღო და ცეცხლზე შეაგდო შესაწველათ და თითონ ცოტა მოშორდა ცეცხლს. მოფრინდა ერთი დიდი ფრინველი, მოიტაცა ცეცხლიანი ხორცი და წაიღო თავის ბუდეში. მონადირის ცოდვით ცეცხლისაგან ბუდეც და ბარტყებიც დაეწო.

22. იმერელი და ძაღლები

ერთი იმერელი მიდიოდა გზაზე. ძაღლები გამოუდგნენ. სასრო-ლელათ, ძაღლების მოსაგერებლად დასწვდა ქვას, მაგრამ ქვა ვერ

დასძრა, — ყინვა იყო და ქვა დეყვინა. მაშინა თქვა: შე დალოცვი-
ლო ღმერთო, ძაღლები ავიშვია და ქვა დაგიბამსო.

23. ძნელი საქმე

ერთი გემი ზღვაში დაიშალა და ერთ ფიცარზე მამა და შვილი
დარჩნენ. და ზღვა ატარებდა. შვილმა ჰკითხა მამას: განა ჩვენისთა-
ნა ძნელი საქმეში კიდევ იქნება ვინმე ქვეყანაზედაო? მამამ უთხრა:
შვილო, ის უფრო ძნელია, რომ კაცი ვისმე ელოდებოდეს და თვა-
ლი გზისაკენ ექიროსო.

24. ოთხი იმერელი

ოთხი იმერელი წავიდა სადავლაოთ და თან თოკები წაიღეს
ტყვეების შესაკვრელათ. მივიდნენ ერთ ტყეში, ნახეს ორი ლეკი.
ლეკები გამოუდგნენ. სამი იმერელი გაიქცა, ერთი კი დაიჭირეს
ლეკებმა და კლავები შეუკრეს. ამხანაგებმა დაუძახეს: ეგ ლეკები
აქეთ მოიყვანეო. დაჭერილმა დაუძახა: ჩქეთ მივყევარო. გაქცეულე-
ბი უძახიან კიდევ: კლავები შეუკარი მაგ ლეკებსო. დაჭერილმა
დაუძახა: თავათ შემიკრეს კლავებო. წაიყვანეს ლეკებმა.

დანარჩენები წამოვიდნენ. გზაში შეხვდათ ერთი სომეხი, დაიჭი-
რეს და წაიყვანეს თათრებთან გასაყიდათ. იმერელებმა თათრული
არ იცოდნენ და სომეხს უთხრეს, მოენეობა გვიყავიო, — უთხარი,
რო გყიდით-თქო, და ფასიც უთხრეს. სომეხმა თათარს უთხრა: ეს
სამე კაცი ტყვეაო და გასაყიდაო. დაუფასა ოცდაათ თუმნათ.
იმერელები შარეკეს საჭინბოში. დაიწყეს იმათ იქიდან ძახილი,
ის იყო ჩვენი ტყვეო, ის დავიჭირეთო, მაგრამ გამგონი არავინ იყო.
სომეხი გადარჩა.

25. სამი ყრუ

იყო ერთი კაცი. ჰყავდა ცოლი და ერთი ქალი. ვალი ემართა.
აღდგომა დღეს შემოეყარა ფულის პატრონი და მიულოცა — ქრეს-
ტე აღდგაო! ყრუმ უთხრა: სადა მაქვს, რა მოგცეო! შინ მოვიდა და
ცოლს შესჩივლა, — ფულის პატრონი შემხვდა, ფული მთხოვაო.
ცოლმა უთხრა: რა მოგიტანია, რომ მოვხარშო და გაჭამოვო. ქალს
შესჩივლა: მამაშენი მოსულა და სადილს მთხოვსო. ქალმა უთხრა:
მათხოვებთ და გამათხოვეთო, ვისაც გინდათ, მიმეცითო. ყველა თა-
ვისას ამბობდა და სხვისა არ ეყურებოდა.

26. მგლოვიარე დედაკაცი

ერთ მგლოვიარე დედაკაცს ძალიან მოუნდა აბანოში წასვლა, მაგრამ აღათისა ერიდებოდა. ბოლოს დილა-ადრინათ წაეიდა, გათენებამდის კიდევ დავბრუნდებიო. აბანოდამ მეიდანზე გამოვლის დროს ნახა აქლემები, საქონელ-ჩამოხსნილები ეჩოქნენ. დედაკაცს სიარული გაუძნელდა. იფიქრა, გარს მოვლაზე დროს დეკარგავო, პირდაპირ აქლემებზე გადაბიჯებით გადავალო. ერთ-ორზე გადავიდა და მერე ფეხის გადაბიჯების დროს აქლემი წამოდგა და დედაკაცი ზედ დარჩა. მთელი ბაზარი შემოატარა. დედაკაცი გაკიცხვას ერიდებოდა და ეს კი დაემართა.

27. დაკარგვის მოშიშარი

ერთი კაცი სახალხო აბანოში შევიდა და ნახა ბევრი იყვნენ. იფიქრა, ამოდენა ხალხში რო დავიკარგო, რა მეშველებაო. აიღო და ჭიქილა ჩამოიბა ყელზე. გულდამშვიდებული წამოწვა და დაიძინა. ნახა სხვა კაცმა და გაიცინა, — რა უქნია ამ კაცსა, ყელზე ჭიქილა მოუბამსო. მოხსნა და თვითონ ჩამოიკიდა. გამოედვიდა იმ კაცსა. გულზე ხელი მოისვა, — ნახა ჭიქილა აღარ აბია. ჩავარდა საგონებელში. მიცხედ-მოიხედა და ნახა ჭიქილა შემობმული კაცი და თქვა: თუ მე მე ვარო, ის ჭიქილიანი კაცი ვილა არისო?!

28. ბრძენი

ერთ ქვეყანაში ერთი ჭკვიანი და ბრძენი კაცი გამოჩნდა, ასწავლიდა ჭკუას და სიმართლესა. გამოვიდნენ ამ სოფელში სხვა კაცი, იმისი მოწინააღმდეგენი, — რას მიჰქარავს, მოთრეულა, ქვეყანას ჭკუას ასწავლისო. ერთმანერთი შეიპირეს, — მოდი ერთი რამ გამოვიგონოთო და თავიდან მოვიშოროთო. ერთმა ამათგანმა აიყვანა ბატკანი. ვითამ გასაყიდათ, და მეორე შეეცილა, — ბატკანი კი არა, ძაღლის ლეკვიაო. მოვიდნენ ამ ბრძენ კაცთან. შესჩივლა ბატკნის პატრონმა. ბრძენმა უთხრა: ვერა ხედავ, ბატკანიო? ტყუილმა მყიდველმა კიდევა თქვა, ძაღლის ლეკვიაო. ბრძენმა უთხრა: აბა, ხალხსა ვკითხოთო. ჩამოატარეს ბაზარი, — სულ განზრახული კაცები იდგნენ, — ვისაც ჭკითხეს ყველამ ძაღლის ლეკვიაო,

სთქვეს. ბრძენმა სთქვა, — ამ ქვეყანაში სულ ბრმა და ყრუნი ყოფილანო, — ადგა და იქილამ გადაიხვეწა.

29. ვაჭარი და სწავლული

ორი კაცი მოდიოდა გემით ზღვაზე. ერთი დიდი ვაჭარი იყო და მრავალი საქონელი მოჰქონდა, მეორე სწავლული კაცი იყო და აბა რა ექნებოდა! აღელდა ზღვა, ფრთონა იყო და გემი საქონლით დაიღუპა. ფიცარზე იყო თუ ხის ნაქერზე, გაღირჩინეს თავი და ნაპირს გამოვიდნენ ეს ორნი. ვაჭარმა დაღონებული ნახა სწავლული და უთხრა: რას დაღონებულხარო? დასალონი მე მაქვსო, რომ რაცა მქონდა, ყველა ზღვამ წაიღოვო, თორემ შენ რაცა გქონდა, ისევ თანა გაქვსო.

30. კუზი კუზს მიეკრა

ერთი კუზიანი კაცი იყო. ერთ ღამეს აბანოში წავიდა. აბანო ცარიელი იყო, შევიდა და ბანაობდა. ერთიც ვნახოთ, ერთი ეშმაკი აქედამ გამოჩნდა, მეორე იქილამ და დაიწყეს თამაშობა და ცეკვა. კაცს შეეშინდა. არ დამახრჩონო. ადგა, გაშალა ხელები და ამანაც ჩამოუარა. თამაშობის დროს ეშმაკებმა დაჰკრეს ხელი კუზზედ და ჩამოაცალეს. კაცი გასწორდა გაიმართა წელში. მეორე დღეს ბაზარში ჩაიარა და შეხვდა ერთი სხვა კუზიანი. კუზიანმა ნახა — კაცი გასწორებულა და კუზი აღარა აქვს. ჰკითხა, რამ გაგასწორაო? იმან უთხრა: წუხელის აბანოში ვიყავით, ეშმაკები გამოვიდნენო და ასე ამგვართ ჩამამართვესო, — უამბო, როგორცა ნახა. ადგა იმ ღამეს ის მეორე კუზიანი და აბანოში წავიდა. გამოვიდნენ ეშმაკები და დაიწყეს თამაშობა. ადგა ის კაციც და ჩამოუარა. ეშმაკებმა აიღეს და წინა ღამეს ჩამოცლილი კუზი ზედ მიაკრეს ამას. გამოვიდა კაცი აბანოდამ დაღონებული: ჩემ კუზს ვჩიოდი, მოცლა მინდოდა და სხვისი კუზიც მე მამაკრესო.

31. ღმერთო, შურდულს მოგიქსოვო

ერთ ადგილას ერთი კაცი ცხოვრობდა. მართალი კაცი იყო, არა იცოდა რა. ლოცვით ეს იცოდა: ღმერთო, შურდულს მოგიქსოვო. ვაპოიარა ერთმა ბერმა, გაიგონა ამისი ლოცვა და ჰკითხა: რას ამბობო? იმან უთხრა, — ლოცვასაო. ბერმა უთხრა: აგრე კი არ

უნდა, ასე უნდაო, — ასწავლა „მამაო ჩვენო“. ბერი გამოეთხოვა, ჩაჯდა გემში და წავიდა. რო მოშროდა მართალს კაცს, ლოცვა დაავიწყდა, გამოუდგა ბერს, გაიხადა წამოსასხამი, გაფინა ზღვაზე. დაჯდა და ბერთან მივიდა ხვეწნით, — ლოცვა დამავიწყდაო და ისევ მათქმევიწყო. ბერმა ნახა, რომ წმინდა კაცი ყოფილა და დაუძახა: როგორც გილოცნია, ისევე ილოცეო, ღმერთს შენი ლოცვა უფრო შეწყენარებიაო.

32. ჭავრის ამოყრა

ერთმა მებატონემ უბრძანა თავის ყმას, ტყეში ურემი წააღე და შეშა მომიტანეო. გლეხმა უთხრა: ტყეში გზა არ არისო. მე გიბჭანებ მოტანასაო და თუ ურემი შეშას არ მოიტანს, ურემი ხომ შეშაა და შეშაო, გამოგართმევ და დავწვავო. შეაბა გლეხმა ურემი, წავიდა ტყეში, ურემიც იქ გაუშვა და ხარებიც და ცარიელი მოვიდა; ბატონის ჭავრი ამოიყარა, მაგრამ თითონაც ცარიელი დარჩა.

33. მოლა ნასრადინა

მოლა ნასრადინამ თავი მოიმკვდარუნა. გაახვიეს სულდარაშ., გასკიშეს და თავით ჰალვა დაუდეს, როგორც თათრებმა იცინა. მოლა ნასრადინა შიშვილმა შეაწუხა, მაგრამ რაკი მკვდარობა უდნოდა, ითმინა ბევრი. ბოლოს ველარ შესძლო და ჰალვას დაუწყო ჰამა. იქ მყოფებმა ნახეს და ერთმანეთს ეცნენ, ნახე, მოლა ნასრადინამ ჰალვა ჰამაო!. მოლა ნასრადინა გაჯავრდა: განა მოლა ნასრადინა ისე მოკვდა, რომ ჰალვაც ველარა სჰამოსო!

34. ურია და ერთი გირვანქა ხორცი

ერთმა კაცმა მეორეს ფული ასესხა ერთი წლის ვადით, და თუ ამ ვადას გადასცილებიყო, ერთი გირვანქა ბარკლის ხორცი უნდა მიეცა მევალესათვის. ვადა რო გავიდა, მივიდა მოვალესთან, — ერთი გირვანქა ხორცი უნდა მოგჭრა ბარკლიდამაო. მოვალე უარზე დადგა, — პირობა ისე ხომ არ მომიცია, ჩემი ბარკლიდამ მოგიპრაო. შეცილება მოუხდათ. წავიდნენ ხელმწიფესთან სამართლის სათხოვნელად. ხელმწიფემ სამართალი მომჩივანს მისცა: აილე სამართებელი და შენის ხელით მოსჭერი სწორედ ერთი გირვანქა ხორციო. თუ ერთი მისხალი ან დაკლებია ან მომატებია, — შენის ბარკლიდამაც მოიჭრებაო. მოვალე შეშინდა და გექცა.

35. შეთვლით შვილი არ გაჩნდებაო

ერთი ცოლ-ქმარნი იყვნენ. ქმარი სხვა ქვეყანაში წავიდა. ზანმა გაიარა, დედაკაცს შვილი არ მიეცა. სწუხდა და ქმარს შეუთვალა. ასე ამ ყოფაში ვარო, აქამდისინ შვილი არ მეძლევაო. ქმარმა შეუთვალა, მეცა მსურს შვილი გეუოლოსო და ნება დამირთვიაო. გაეხარდა დედაკაცს, რაკი ახლა ქმარს ნებაც არის, შვილი გამიჩნდებაო. გაიარა ცხრა თვემ და შვილი არ მიეცა. ერთს მეზობელ დედაკაცს შესჩივლა, — ქმარნაც კი შემომითვალაო და შვილი კი მაინც არ მეძლევაო. მეზობელმა უთხრა: ვაი შენი ჭკუის ბრალიო, არ იცო, შეთვლით შვილი არ გაჩნდებაო?!

36. აქლემი ერთ ფულათაო

მოირბინა მსახურმა და ბატონს უთხრა: აქლემს ჰყიდიან ერთ ფულათაო. ბატონმა უთხრა: ძვირიაო. ხანმა გაიარა, ბატონი გამდიდრდა. მსახური მივიდა და უთხრა: აქლემი ათას თუმნათ არისო, და ბატონმა: იაფია, იყიდეო. მსახურს გაეცინა. ბატონმა უთხრა: მაშინ ფული ძვირი იყო, ახლა იაფიაო.

37. ძაღლმა სწიროსო

ერთმა ყასაბმა იმერელ მღვდელს გულ-ღვიძლი მისცა და სთხოვა, ნამაჩემს უწირეო. მღვდელმა წაიღო და კედელზე ჩამოჰკიდა. მოვიდა ქოფაკი ძაღლი, რაც კარგი იყო გულ-ღვიძლი, შექამა და დარჩა უბრალო ფილტვი. მღვდელმა ნახა, რო უხეირო ნაჭრები დარჩენილა, იფიქრა, — საწირავად არა ღირსო, აიღო ისიც ძაღლს მიუგდო და თქვა: ძაღლმა სწიროსო.

38. ქურდის გამოტეხვა

ერთ თათარს ვირი მოჰპარეს. წავიდა, მოლას შეეხვეწა, ჯამეში ხალხს გამოუტეხადე, ვისაც მოუპარაჯეს, მომცესო. მოლამ იფიქრა, რო გამოვკითხო, ვინ იტყვისო. სხვა რამ უნდა მოვახერხოვო. ხალხი რო სალოცავათ შეიკრიბა, მოლამ უთხრა: ვისაც ფული არ გეჰვართ, თითი აიშვირეთო. არავინ არ აიშვირა, მარტო ვირის მამპარავმა აიშვირა. მოლამ უთხრა ვირის პატრონს: აჰა შენი ქურდიო. ხარბი და ქურდი კაცი თაჯს აჩვენებს, ვითომ უხარბელი ვარო, თვარამ ფული ვის არ უყვარსო.

30. მკერვალი

ერთი კაცი მივიდა მკერვალთან და ჰკითხა, საკაბე რამდენი ადლი მომინდებაო. უთხრა ამდენი და ამდენიო. კაცმა თქვა: წავალ, სხვასაცა ვკითხავო. მივიდა მეორე მკერვალთან. ამან ნახევარი ადლი ნაკლები უთხრა. ამას მისცა შესაკერავათ. დანიშნულ დროს მივიდა კაბის პატრონი, ნახა პატარა ყმაწვილს, მკერავის შვილს ტანთ მაუდის კაბა აცვია და იცნო, რომ იმის კაბის ნაჭერია. მკერვალს უთხრა — მართალი მითხარი და ხელფასს კარგს მოგცემო. ერთ მკერვალთან მივედი და კაბისათვის შენ ნათქვამზე ნახევარი ადლით მეტი მითხრაო და აქ შენ შვილისათვისაც კაბა შეგიკერავსო. მკერვალმა უთხრა: იმას ჩემ შვილზე ღირდი ეყოლებოდა და მეტი იმიტომ უთხოვნილაო. მართალი სიტყვა მოეწონა კაბის პატრონს და ფასი კარგი მისცა.

40. ზოგჯერ ეშმაკსაც უნდა დაუჭეროვო

ერთი კაცი საზიარებლად ემზადებოდა და მღვდელთან მივიდა აღსარებისათვის. მღვდელმა დარიგება მისცა: წირვა-ლოცვაზე იარეო, შესაწირავი შესწირეო, მღვდელს წირვა აწირვინეო, ლოცვა ათქმევინეო, ცოდვას წუ იზამ — ეშმაკი გაცდენსო, ეშმაკს არ უნდა დაუჭეროვო. ამასობაში კაცმა ცმუკვა და მხრის ქნევა დაიწყო და ამბობს: დამესხენ, დამესხენო! მღვდელმა ჰკითხა, — რას შვრება, რას ბუტბუტებო? კაცმა უპასუხა: ეშმაკი მეუბნება, აწირვინეო, მღვდელს ფული მიუტანეო. მღვდელმა უთხრა: ჰო, შვილო, ზოგჯერ ეშმაკსაც უნდა დაუჭეროვო.

41. მღვდელი და აღსარების მთქმელი

ერთი კაცი მღვდელს აღსარებას ეუბნებოდა. მღვდელმა ჰკითხა: ლამაზი ქალი რომ დაგინახამსო, გუნება ხომ არ წავსვლია იმაზე-დაო. კაცმა უთხრა: ერთი ასეთნაირათ მორთული ქალი რომ შემოდის, იმაზედ გამიფიქრა გულმა, ეშმაკმა მაფიქრებინაო. რას ამბობ, კაცო, — მღვდელმა უთხრა, — ის ჩემი ცოლია, ეშმაკს შეაფუროთხე, არ დაუჭეროვო. მაშინ კაცმა უთხრა: დახე, მამაო, ეშმაკი რას მეუბნებაო: ზიბეში რომ ხუთმანეთიანი გაქვს მღვდელს მიართვიო. კარგათ უთქომს, შვილო — უთხრა მღვდელმა. — ზოგჯერ ეშმაკსაც უნდა გაუგონოვო.

42. სამი ზარმაცი

ერთ ხელმწიფეს სამი ზარმაცი ჰყავდა. გაგზავნა ბაღში, იქ იყავითო. წავიდნენ და ერთ მსხლის ხეს ქვეშ მოუწვენენ. ხეს მსხალი კარგი ესხა. ერთმა თქვა: ნეტავი მსხალი ჩამოვარდეს და პირში ჩამივარდესო. მეორემ თქვა: ნეტავი უკურწოთ ჩამოვარდეს, რომ ადვილათ ჩავყლაპოვო. მესამემ ხელი გაიჭინა და თქვა: ნეტავი თქვენ, არ გეზარებათ, რომ მაგდენს ლაპარაკობთო.

43. ვალიანი ხარაზი

ერთი ხარაზი იყო, ძალიან ვალის მოყვარული. ერთი ვალის პატრონი მუდამდღე მოდიოდა ამ ხარაზთან და სთხოვდა ფულს. ხარაზი აწვალებდა და ატყუებდა. ერთხელ მოვიდა და ხარაზი არ დაუხვდა: ღუქანში. შაგირდმა ჰკითხა, — შენმა ოსტატმა როდის უნდა მომცეს ფულიო? შაგირდმა დაზგას ხელი დაადო და უთხრა: როცა ეს აყვავდებაო, მაშინ მოგცემსო. ადგა ეს კაცი და წავიდა დალონებული. ოსტატი როცა დაბრუნდა, ჰკითხა შაგირდს — რა პასუხი მიეცო? შაგირდმა უთხრა, რაც პასუხი მისცა. ხარაზმა დაუწყო შაგირდს ცემა: ეგ რათ უთხარიო. ეგებნს მართლა აყვავდესო. მე ემას ფული საიდან უნდა მივცეო!

44. შარის მთესველი

ერთი კაცი გზას ხნაჟდა. ჰკითხეს: რა უნდა დათესოვო? და: შარიო, — უპასუხა, — ვინც აქეთ გაივლის, დავა უნდა დავუწყოვო.

45. ბატის ყიდვის მოწმენი

ერთმა კაცმა ერთი ბატი იყიდა. შინ წაიყვანა და ცოლს მისცა, — კარგად გაასუქეო. დედაკაცმა თავის კუროს დაუკლა და აჭამა. ქმარმა ერთხელ მოიკითხა ბატი, ცოლმა გადაფიცა, შენ ბატი არ მოგიყვანიაო, თუ ვტყუი, აბა მოწმე მაჩვენეო. წავიდა ეს კაცი, კადევ ერთი ბატი იყიდა, გრძელ ლატანს მოაბა და ზურნა-ნაღარის კვრით შინ წაიღო. დიდძალი ხალხი თან გაჰყვა. შინ რო მივიდა, ცოლმა ჰკითხა: ეს რა ამბავიაო? ქმარმა უთხრა: ჩემი მოწმეები არიანო.

46. მხოლოდ ერთი პალო მოვიპარეო

ერთი მდიდარი სოვდაგარის ოცი აქლემის საპალნე ძვირფასი საქონელი მიჰქონდათ. დასასვენებლად ერთ ადგილს დადგნენ. პალო დაჰკრეს და ზედ დააბეს აქლემები. ერთი საწყალი კაცი შემას ეძებდა და ნახა ის პალო, ამოიღო და წაიღო. ოცი აქლემით ზედ მიბმულო თან გაჰყვა. პატრონებმა ძებნა დაუწყეს საპალნიან აქლემებს და იპოვეს. ქურდი ფიცამდა. მე ბრალი არა მაქვსო, მხოლოდ ერთი პალო მოვიპარეო, ზედ ერთი თოკი ებაო.

47. წვერის ბალანი

ერთი წვერიანი კაცი წავიდა საყასბოში და ყასაბს უთხრა, ერთი აბაზის ხორცი მამეცი ნისიჯათო. ყასაბმა უთხრა: ბატონი ბრძანდებიო, მაგრამ თქვენ არ გეკადრებათ ხორცის წალებაო, მსახური გამოგზავნეთო და თან ნიშნათ თქვენი ერთი ბალანი გამოატანეთო და ხორცს იმის ხელით მოგართმევო. იმ კაცმა გამოგზავნა მსახური და ყასაბს ბალანი მისცა. — ხორცი მაშიკერიო. ყასაბმა უთხრა: შენი ბატონი თითონ აქ იყო თავისი წვერით, მაშინ არ მივეციო და ეხლა მაგ ერო ბალანზე მოგცემო?

48. წვერზე ცეცხლწაკიდებული

ერთ კაცს წვერზე ცეცხლი მოეკიდა. მეზობელი მიეშველა, ცეცხლს უქრობდა. ერთი კაცი მივიდა და ეხვეწება, ჭერ მაიცა, ნუ გააქრობ, ჩიბუხს ცეცხლი მოგუკიდოვო.

49. შენ უფრო კარგა იციო?

ერთი დედა-შვილი იყო. დაქვრივებულმა დედამ გაზარდა ეს შვილი. რომ მოიზარდა, შვილმა იფიქრა, დედაჩემმა ხომ კარგად გამზარდა და ამაგი გასწია ჩემზედ, იმის სიკეთეს რით გადავიხდიო. შეუთქვა სამჯერ, ხატის კარს აკიდებულს წავიყვანო. ორჯერ წაიყვანა აკიდებული. მესამედაც რომ მიიყვანა, ჩამოსვა. კაი სახის დედა-კაცი იყო და ახალგაზრდა. ბერმა ნახა და მივიდა საკითხველად. შვილს ჰკითხა: რა დამართნია მაგ დედაკაცსაო? შვილმა უთხრა: ჩემზე ასეთი ამაგი დაუღვია და რომ მაგისი სიკეთე სხვა ვერაფრით გადავიხადე, ხატში აკიდებული მოვიყვანეო. ბერმა უთხრა: მაგით

ვერ გადაუხდის სიკეთესო. კარგი კაცი გეშოვნა, უფრო მაღლობელი იქნებოდაო. შვილმა სიტყვა შეუბრუნა, — ამაზე მეტი გადახდა რაღა იქნებაო? დედამ უკანიდან კისერში ჩაჰკრა შვილს, — რო ელაპარაკები, შენ მაგაზე კარგა იციო?!

50. ბებრის გადახალისება

ერთი ღვთის მოყვარული მკედელი იყო, და ეშმაკებს მალ-მალ აგინებდა. ეშმაკებმა პირობა შეჰპირეს — თინი ვუყოთ ამ კაცსაო. ერთი ეშმაკი ყმაწვილათ გადააქციეს და წაიყვანეს მკედელთან, უთხრეს: შეგვიტყვი, კარგი მკედელი ხარო და ეს პატარა ბიჭი შეგირდათ აიყვანეო. დაუწერეს წიგნი და მისცეს ორის წლის ვადით. მკედელმა აიყვანა — რა იცოდა თუ ეშმაკები იყვნენ.

ორი კვირის უკან მოიყვანეს ეშმაკებმა ერთი ეშმაკი ბებრის სახით და უთხრეს მკედელს: რას ითხოვო, რომ ეს ბებერი კაცი დაადნო და ყმაწვილ კაცათ გადაახალისოვო? ოსტატმა უთხრა: ეგ ჩემი საქმე არ არისო. შეგირდმა უთხრა ოსტატს: შენ ფასი კარგი სთხოვე, მე შემძლიან გადახალისებო. გამოართვა მკედელმა ორმოცი თუმანი. ჩააგდეს ბებერი ქურაში, ნახშირი ბევრი დააყარეს და დაუწყეს დაბერვა. ეს ბებერი გადაახალისეს ყმაწვილ კაცათ.

ხელმწიფემდის წავიდა ეს ამბავი, — ერთი მკედელი გამოჩენილა, ბებერს ყმაწვილ კაცათ ახალისებსო. ხელმწიფეს მოხუცებული მამა ჰყვანდა. ორმოცი თუმანი გაუგზავნა მკედელს, მამაჩემი გადაახალისეო. ჩააგდეს ქურაში ეს მოხუცებული, მიაყარეს ნახშირი და დაუბერეს. დაიწო საწყალი ბებერი. ხელმწიფემ რომ შეიტყო, გაგზავნა კაცები და დაახრჩობინა მკედელი, ეშმაკებმა კი გაიხარეს.

51. ჩხუბი არაფერზე

ერთ ტრიალ მინდორზე ორი კაცი იწვა და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. ვარსკვლავებით მოქედილი ღამე იყო. ერთმა გადაავლო თვალი მინდორს და თქვა: ნეტავი ეს მინდორი ჩემი იყოსო, ვირებს გავიჩენდიო; მეორემ თქვა: რაც ამ ცაში ვარსკვლავებია, იმდენი ცხვარი მამცაო. მოუვიდათ ლაპარაკი.

— მაგოდენა ცხვარი რო გყავდეს, ჩემ მინდორში უნდა მოსძოვო და ვირები უბალახოთ დამირჩინეო?! — უთხრა პირველმა.

— თუკი შენ ვირებს საძოვარი უნდათ, ცხვარს კი არ უნდაო?.

— მერე ვინ დაგანებებსო?

— დამანებებს რა, ძალათი შემოვრეკავო.

შეჰყვნენ ლაპარაკს და ჩხუბი გამართეს და ერთმანეთს ცხვირ-პირი დაამტერიეს. გამოიარა მგზავრმა და ჰკითხა: რა გაჩხუბებთო? უთხრეს თავ-თავანთი საჩივარი.

— ვაჲ თქვენ ჰკუთასო, რაც არა გაქვთ, რაზე ჩხუბობთო.

52. იმერელი და თათარი

ერთხელ ერთმა იმერელმა და ერთმა თათარმა ვახშმად ერთი კაკაბი იყიდეს და კარგად გააკეთეს. ვახშმის დროს თათარმა უთხრა იმერელს: იმერელო, ნუ შევეჭამთ ამ კაკაბს დილამდის; დილას რომელიც კარგ სიზმარს ვიტყვი, იმან შევეჭამოთ მარტო. იმერელი დაეთანხმა და დაწვენ დასაძინებლად. თათარს მაშინვე დაეძინა, მშვიერ იმერელს კი არ დასძინებია. ადგა ჩუმად, კაკაბი შეჭამა, მერმეთ დაწვა და დიძინა. დილას თათარს ადრე გამოეღვიძა და იმერელს დაუძახა: იმერელო, აბა თქვი წუხელის რა გეზმანაო. იმერელმა უთხრა: ჯერ შენ თქვი და მერმეთ მე ვიტყვიო. თათარმა თქვა: წუხელის მე მეზმანა, რომ ვითონც ჩემი მახმადი გამომეცხადა, ხელი მომკიდა, ცაშიდ ამიყვანა. როდესაც ცის კართან მივედი, კარი გამიღო და შემეყვანა ზევით, დამარონია იქაურობა; სამოთხეშიდ შემეყვანა და ისიც დამარონია, მერმეთ ისეთივე გამომიყვანა იქედგან და აქ მომიყვანაო. თათარმა რომ გაათავა, იმერელმა უთხრა: აბა ნახე, მე რა უბელურება მეწია! როდესაც შენთან მოვიდა შენი მახმადი და ხელი მოგკიდა, — მე ქე გიმშერდი. ზევით რომ აგიყვანა, მაშინაც გიმშერდი. ბევრიც გიძახე, მარა შენ არ გამიგონე. მერმეთ, როდესაც მახმადმა ცის კარი გაგიღო და შეგიყვანა შიგ, მე ვთქვი, ამას აწი აღარ გამოუშვებს თქო, და კაკაბი ქე შევეჭამეო. ადგა თათარი, მივიდა იმ ადგილას, სადაც კაკაბი იყო შენახული, და ძვლების მეტი ვერა ნახა რა.

53. ტყუილი ტირილი.

ერთი ყმაწვილი ქალი იყო, წყალზე ჩავიდა წყლის მოსატანათ. წყლის პირას დაჯდა ხის ძირში. იფიქრა მე რო გაეთხოვდე, შვილი მამეცემა, წყალზე ჩამოვა, ამ ხეზე ავლო, ხილამ რო ჩამოვარდეს, ამ წყალში ჩავარდებო და დაიხრჩობო. ვუი შენ დედასაო! მოჰყვა

ტირილს. ამასობაშიც დედაც აქ მოვიდა. ქალს ჰკითხა: რა გატირებს, შვილოვო? რაღა რა მატირებსო, უთხრა ქალმა: რო გავთხოვდე და შვილი მომეცეს, აქ მოვა, ხეზე ავა, ჩამოვარდება წყალში და დამელუქება. ბებიას ვილა დაგიძახებსო, როგორ არ ვიტყვითო. ვუი შენ დედასა, ეგ რა მოგვსლიათ, — დაიწყო დედამ და მოჰყვა ტირილს. მოვიდა ქალის მამა: რა გატირებთო, რა დაგმართათო? ცოლმა უთხრა: ასე და ასეა, ქალი რო გავგივთხოვდეს, შვილი მიეცეს, ამ ხეზე ავიდეს და ჩამოვარდეს, წყალში ხომ დაიხრჩობათ და პაპას ვილა დაგიძახებსო. შენ კი არ იტირებ ქალის შვილსა, პაპა ხარო? ქმარმა უთხრა: დაცა, ამ ხეს ტოტს მოვტეხ, რომ ყმაწვილი არ ავიდესო. მოსტეხა და ურტყა ცოლსა და ქალს.

54. მღვდელი და ჭვარცმული ქრისტე

ერთ მღვდელს შემოსავალი არა ჰქონდა. მოიგონა სასწაული. სამ თუმნად ერთი მუშა დაიჭირა, მთელი დღე ჭვარზე შიშველი უნდა გაგაკრაო. მოვიდნენ მლოცავეები, ნახეს და გავარდა ხმა ხალხში, ჭვარზე ნამდვილი ხორცშესხმული ქრისტე გამოჩენილათ. დიდძალი ხალხი მოაწყდა და დიდი შესაწირავი ფული შემოვიდა. უკვარდათ სასწაული, რომ ასე ნამდვილს ხორცშესხმულ ჭვარცმასა ხედავდნენ. ერთი ქვრივ-ოხერი დედაკაცი მოვიდა, — საში გასათხოვარი ქალი ჰყავდა. საყდარში დაიმალა, — მარტო შევევედრები ქრისტეს, წყალობა მომცესო. ხალხი რო გამოვიდა და საყდარი დაეკეტეს, დედაკაცი მივიდა ჭვარცმის წინა და ხევეწა-ვედრება დაუწყო: მომხედე ქვრივ-ოხერსა და ობლების პატრონსაო, წყალობა მიიღე და ერთი ოცდაათი თუმანი მიწყალობე ქალებს მზითვათაო. ტყუილმა ქრისტემ ჩამოსძახა: შე ოხერო, დილა ცისკარს აქეთ მთელი დღე სამ თუმნათ ასე ვაყუდივარ, ოცდაათი თუმანი საიდან მოგაშავო?

55. მოვალის ცოლის ხერხი

ერთ კაცს ერთი კაცის ცოტა ფული ემართა და ვერ გადაეხადნა. ფულის პატრონი მალ-მალ აწუხებდა და სთხოვდა თავისას. ცოლმა უთხრა ქმარს: კიდევ თუ მომავალი დაინახო, შენ დაიმალე და მე ვიცი, როგორც დავხვდებითო. მოვიდა ფულის პატრონი, ქმარი დაიმალა და ცოლი მიეგება. კაცმა იკითხა: სად არის შენი ქმარიო, ვალი მართებს, არ იძლევაო. ცოლმა უთხრა: სწორედ შენ საქმეზე

წავიდაო, — თესლი უნდა იყიდოსო, მოიტანოს და ორ დღიურ მიწაზე ეკალი დათესოსო. ერევნიდამ ბამბის ქარავანი გამოივლის, ეკალზე ბამბა დარჩება, შეჰკრებს, გაყიდის და შენს ვალს გადინდისო. კაცს გაეცინა, დედაკაცმა უთხრა: გიხარიან განა, ფული გაინაღდეო!

56. ცოლ-ქმარი

ერთი მდიდარი კაცი იყო. ქონება კარგი ჰქონდა, მაგრამ დაჭირიანებული, დაგრეხილი იყო. ცოლმა იფიქრა: ეს სიმდიდრე ხო არსად წამივანო, ქირიან კაცს რაღას მოვუჭდეო, ადგა და სამშობლოში წავიდა, სხვა სოფელში. ქმარი დაღონდა, მარტობამ შეაწუხა და ერთ კაცს შესჩივლა, ცოლმა თავი დამანება და წავიდაო. ამ კაცმა უთხრა: რას დაღონებულხარო. კაცები დავატართო სოფლებში კვერცხისა და ქათმების საყიდლათაო. ხმა დავყაროთ, მითომ ცოლს ირთავ და ქორწილს აპირებო. ცოლი შეიტყობს და მოგვანო. დაუჯერა მდიდარმა კაცმა და ცოლის სამშობლოს სოფელშიაც კვერცხ-ქათმის საყიდლათ კაცი გაგზავნა. ცოლმა შეიტყო ამბავი, ჩემი ქმარი სხვა ცოლს თხოულობსო, ადგა და ქმართან მოვიდა.

57. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი არაგვში

1881 თუ 82 წ. ზაფხულში ჭავჭავაძის ცოლის მამულში საგურამოში მიდროდნენ მცხეთიდან თვითონ მასპინძელი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი (რედაქტორი დროებისა) და კიდევ სხვანი. უნდა გასულიყვნენ არაგვზე. იშოვეს უბელო ცხენი. ჭერ სხვები გავიდნენ და ბოლოს ჭავჭავაძე და წერეთელი. აკაკი აი როგორ ოხუნჯობს:

— წინ ილია იჯდა და უკან მე. შევედით შუა არაგვი და დაგვიდგა ცხენი. აღვირის მაგიერ თოკი (ავშარა) ჰქონდა. რამდენსაც მოსწევს ილია, ცხენი კისერს მოიგრებხავს და დარჩება. გაჯავრდა ილია.

— ხედავ, კაცო, რა ამბავში ვართ? ცურვა არ იცი, ჩამოდი, ეგებ ცურვით გაიყვანო.

— არა, შენა?

— არც მე ვიცი.

— რა არი, კაცო, — გაუჯავრდი, — მაინც, ერთი წნელი როგორ ვერ წამოიღეო?

— წინ შენა ზიხარ და შენ უნდა გეფიქრო.

ვუჯავრდები, ფეხსა ვცემ, ცხენი არ იძვრის. ილიამ დაუძახა ნაპირს მდგომ კაცსა. გაუჯავრდი, ესროლე მიწათ. გლენმა ტალახი გამოისროლა, მე გვერდზე თავი მივიღე და ილიას კისერში მოხვდა.

— რას შვრები, კაცო?

— რა ექნა, შენი ბძანება ეგ იყო და შენ მოგხვდაო. — ვიცინათ.

— რა გაცინებს, კაცო? ორივე ერთათ ვილუპებით, ნეტავი ან შენ ყოფილიყავი ან მე, ერთი მაინც დარჩებოდა.

როგორც იყო გავედით. ახლა გაღმა ერთი ქალაქის ბიჭი შეგვხვდა და ილიას ეუბნება!

— კნიაზო, ერთ აბაზ მოგცემ, მეც შემისვიო!

58. ნაკვესები

თავადი ესტატე ციცაშვილი ჯერ ჯვარდაწერილი არ იყო მარიამ ბატონიშვილზე (ერეკლე II ასულზე). სახლი კაცებთან დავაჰქონდა, ლაპარაკი მოუვიდა და დაექადა:

— მაცადეთ, ბატონიშვილი მოვიყვანო, თვალს დაგიყენებთო.

— თვალი შენ დაგიდგება, ზაფრანიან საქმლებს რო მოგთხოვსო, — უპასუხეს სახლის კაცებმა (ზაფრანა ძვირი იყო).

• •

საფრანგეთიღამ დიდის რევოლუციის დროინდელი ერთი ჰკვიანო იეზუიტი პატრი იგიდოუს გადმოეხვეწა მოზღოკს და დიდხანს ცხოვრობდა. მთავარპარტებლის ერმოლოვის დროს აშენებდა დღევანდლამდე დარჩენილს კათოლიკეთ ეკლესიას და რაღაცა საქმის გამო უნდოდა ენახა ერმოლოვი, რომელიც ხშირად იმყოფებოდა ხოლმე მოზღოკში. ბევრჯელ მივიდა, მაგრამ გამოჩენილმა გენერალმა არ მიიღო; იეზუიტები ეჯავრებოდა. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ბერმა ჰკრა ხელი ყარაულს და შევარდა დენერალთან:

— ჯოჯოხეთიღამ მოფრინავ. რა ამბავია იქა? — ჰკითხა გენერალმა ფრანცუზულად.

— ყველაფერი მზათ გახლავს თქვენის აღმატებულების მისაღებლად. — უპასუხა ფრანცუზმა იეზუიტმა.

მთავარპარტებელი ისე დაუმეგობრდა ამ მღვდელს, რომ, რო-

დესაც ალექსანდრე იმპერატორის ბრძანება გამოვიდა რუსეთიდან იეზუიტების განდევნაზე, ერპოლოვის შუამავლობით ოთხი წელიწადი კიდევ მოზდოკში იმყოფებოდა შემოსხენებული პატრი.

• •

კნინა ქეთევან ორბელიანისა შეეხვეწა გენერალს არზას ტერლუკასოვს, კოტეს კოლუბანსკის ადგილი მიეცით, კარგი აფიცერიაო, დაუსახელა ოთხი უფროსი გენერალი, რომელთა ხელქვეით ენსახურნა და რომელნიც მადლობელნი იყვნენო.

— თქვენ თხოვნას ძირს როგორ დაუშვებთ, მაგრამ ვერ აგისრულებთო. დალოცვილო, ვისთანაც კი უმსახურნია ყველას თავი შეუქამია. შესაკმელი თავი არა მაქვსო, — უპასუხა გენერალმა.

• •


დუშეთში პლატონ იოსელიანს ჩვეულება ჰქონდა თავის დღეობაზე სადილს გამართავდა. ერთხელ ავდარი იყო, მაგრამ მაინც სადილი ჰქონდა. ჩვეული სტუმრები ბლომად მოსულიყვნენ, ქალებიც კი. მხოლოდ გენერალ ჭილაშვილის მეუღლე აკლდა. სადღეგრძელოების დროს პლატონმა ამ ქალის სადღეგრძელო დალია:

— ამდენ უგუნურ დედაკაცში ერთი ჰქვიანი ქალის სადღეგრძელოს ვსვამ, რომელმაც ამ ლაფში და თავსხმაში პატიოსნება მოიხმარა, თავი არ აიღო და არ მობძანდაო.

• •

ერთ გლეხს შვილი დაუვაჟკაცდა. მამა ჩააცივდა, ცოლი შეართო. შვილმა უთხრა: ასეთი ქალი მიშოვეთ, ორი დედაკაცის ბუნება ჰქონდეს, თორე არ შევირთამო. სად იშოვიდნენ. ამოურჩიეს ღონაერი საცოლო, მოატყუეს და ჯვარი დასწერეს. ქალმა შეიჯერა და ილხინეს. ძალიან მისუსტდა ყმაწვილი კაცი და ღონე მიხრეწილი იჭდა ღობის ძირში. გამოიარა ხბომ ხტომა-ცუნდრუკით, კუდაბზეკით.

— ჰაი. დედასა! ცოლი გყოლებოდაო, არა, მაშინაც ვნახავდი როგორ იხტუნებდიო.



I. სამეურნეო

1. პურის ჭიის ლოცვა

სახელო, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ჩამოიარა ქრისტეს ნაწილმა ჟივილითა, ხივილითა, კივილითა. შე-
მოეყარა დედა მარიამ. — სად მიხვალ, ქრისტეს ნაწილო, ჟივილითა,
წივილითა, კივილითა? ერთმა შავმა ჭიამა, უწვევრომ, უულვაშომა.
პური შემიჭამა, ყმაწვილები მშიერი დამეხოცა. რა არის მისი წამა-
ლი? სამი გოჯი უზანი, სამი გოჯი ასკილი შეკარ წითელი ძაფითა,
შეკარ კბილი ჭიისანი, სამი კოვზი ძმარი, სამი კოვზი ნაცარი, დადე
კენიტი მარილისა — შეკრას კბილი ჭიისანი. სამ-სამი კოვზის პირი
ძმარი, ნაცარი — ღეთისა მადლით არგებს. სამჯერ ძმრითა, ასკილი-
თა, ნაცრითა, უზნითა და მარილის კენიტითა შეულოცე.

2. შავი ჭიის ლოცვა

სახელო, სახელითა ძისათა, მამისათა სულისათა წმიდისათა.
პირშავმა შავმა ჭიამა დამიჭამა ხარით ნახნავი, კაცისა ნამუშეიარო.
რა არის იმისი წამალი? შადეგ ცივსა ქვაზედა, გადასძახე წმიოა
წინოსა, ის გასწავლის იმის წამალსა. სამი გოჯი ნაცარი, სამი კბილი

ნორო, სამი კვნიწი მარილი, მყარა ბალახი, ნიგვზის ფოთოლი. შავტარა დანა. პირბანელა ხელითა, პირბანელა პირითა, ეშველება ხელითა. ღმერთო, შენ დასწერე შენი პირჯვარი!

3. ჭია-ლუას ლოცვა

სახელო სახელითა, მალა შავდევ ციხესაო, გადავხედე ხმელეთსაო: კაცი მოდის, მოტირის, მოჩივის. რა გატირებსო, რა გაჩივლებსო? — კაცისა ნამუშაუარსა, ხართა ნახნავსა ჭია-ლუა მიჭამს, რა არის იმისი წამალი? — ნიერის კბილი, მარილის კვნიწი, კაკლის ფოთოლი, მყარალი ბალახი, ეს არის შენი წამალი!

მოსკრის კბილსა. ჩააწურებს თვალში. ეს არი მაგის წამალი!

4. გვალვის ლოცვა

დედაკაცები ივლიან, გალობენ, თან დააქვთ ხატი. თეთრი ბამბის ფარჩის (მატყლის) კუკს გააკეთებენ, კარდაკარ სიარულში თან წყალს ასხავენ ამ კუკს.

ეს ლაზარე, ლაზარე!
ლაზარ მოდგა კარსა,
იფრიალა მთასა,
მიდგა-მოდგა თაროსა,
დაემგზავსა მთვარესა!
ღმერთო, მოგვე ტალახი,
ალარ გვინდა გორახი!
შენ მოგვიყვან წვიმასა,
ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა!
ორლობეში ტალახი,
ნინდერის ბოლოს ბალახი.
თეთრი ფური, ფურბერწი,
შენთვის მოგვირთმევეია.
თეთრი თხა და ციკანი
თქვენთვინ მოგვირთმევეია.
ეს ელია, ელია,
რასა მოგიწყენია.

5. მგლის ლოცვა

ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე ცხრა კლიტენი, მგელსა კბილი შეუკარი და მეკობრეს ხელობანი.

6. მგლის ლოცვა

სახელითა მამისათა. ეკენია ბეკენია, ბეკთა ხატი ასვენია. ღმერთო, შეკარ, შებეჭდე პირი მგლისა, ხელი მეკობრისა; ენა მიე ნაბღისა, კბილი მიე სანთლისა.

7. შელოცვა საქონლის ხველებისა

სახელი სახელითა ღვთისათა, მამისათა, ძისათა, სულითა წმინდისათა. ერთსა კაცსა ქორწილი აქ, ქრისტე ღმერთი წოულია. ცივი მოვა, ლოგინია ცივი. ძვალი სახრავია, ხაპით ღვინო სასმელია. კისერში აქვს გაბოგირებული, ან ძირსა და ან ზევით ოლღას ძვალი, ან ძირს ან ზევით.

8. წყლისას ლოცვა

წყალო წყლისა, გამჩენო ღვთისაო, დედაჩემმა შამოსთვალა, ამ ბოვშს ნურას მიწყენო.

9. ტყეში დარჩენილი პირუტყვის შელოცვა

ეკენია, ბეკენია, ბეკენს ხატი სვენებია.
იოვანე მოლადლადებს, მეუფისა კარზედა.
მეუფეეო, ჩამოაგდე ხიბორკალი რკინისა.
ჩააგდე ზღვაში, ამაღამ ჩვენი პირუტყვების, უწვავ-უხარშავის
მკამელი.
ნადირს კბილი შეუკარი, ნუ გაუშვებ გზაში!

სამჯერ განიმეორებენ ამ სიტყვებს და შემდეგ შეახვევენ აბრეშუმის სარტყელში მაგრატელს, სეარცხელს და სიპ ქვას. მერე გამოატანს შემლოცველი ამაებს გარეთ, გაიშვერს ცისკენ ხელს და იტყვის:

სამო ძმანო, მარსკვლავო, შენ გებარებოდეს ამაღამ ჩვენი პირუტყვები.

ამსაჲ სამჯერ გაიმეორებს. შემდეგ შამოტრილდება წალმა და ამაებს გარეთ-

ვე შინაგანს. სარტყელს არ გამოხსნიან მანამდი, სანამ ან შვედარს და ან ცოცხალს
არ იპოვნინან პირუტყუებს.

9ა. ეკენია ბეკენია

ეკენია, ბეკენია, ეკენ ხატი ასვენია.
ჩამოყარე კლიტოსანი, ჩააგდე ზღვაში,
ნუ ამოიღებ მიზანში.
შაქვარ მგლის პირი, მეკობრის ხელია.
ღმერთო, შენ დაიფარე (რასაც დაქვარგამ). ამინ.

შეულოცამ შავტარა დანით, წითელი ძაფით, უნდა სავარცხელი შაქვა.

9ბ. ღმერთო, ღმერთო

ღმერთო, ღმერთო ჩამოყარე
ცხრა კლიტენი რკინისა,
შაკარ, შაბოჭე პირი მგლისა.
ჩვენსას ერიდებოდეს,
სხვისას ემტერებოდეს.
ღმერთო, შენ დასწერე შენი
წყალობის ჟვარი!

10. მაკე ძროხის ლოცვა

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ადამ
დაიბადა, სამი დაიძახა; სამი წყაროს წყალი ერთათ შეიყარა. ციხე
ამაღლდა, კოშკი დამდაბლდა. ლეთიშობელო, დედოფალო, შენ დაა-
მაგრე მუცელში დასაბადებელი მის ღრომდის. გვევი მთასა პილა-
ტონისასა, დედა-შვილი, ქალი ჭამათ იჯდენ. ოქროს თასი წინ ედ-
ვათ, დასაბადებელი წელზედ ებათ. დასაბადებელი შლის, დედა
იწყობს. ღვთისაო, შენ დაამაგრე მის ღრომდის დასაბადებელი.

11. ლოცვა წულისა

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ანი იყო,
ბანი იყო, წყალთა შუა ნაფი იყო. ნაფი ნაფზედ, საყდარი საყდრის
თაფზედ, ქალი იყო, ადე, ბიჭო, მომიტანე კალამი და კალმის ძირი.

წავალ, დედაო, ზეცას ვკითხავ, დედა მოძქემს ზახგალსა, დავკრავ წყლისასა და ის გააქრობს იმასა.

12. თურქულის შელოცვა

ძმრითა და მარილით უნდა სამჯერ შეულოცოს

გადმობძანდა ქრისტე ღმერთი სამოცი მოციქულითა, ორმოცი მოწაფითა. შაჰეყარა დედა მარიამი. სად მისდინხარ, ჭირო — ჭინხრო? მიედივარ ცეს ქვეყანაზე ადამიანის პირის სატკივებლათ, ხარის ჩლიქის საყრელათ. ნუ მიხვალ, დამბადებლის მადლმა, თორემა დაგწვამ, დაგდაგამ მარიანობის მზინით, შავილოცამ შაბით, უმზეური წყლით, მარილით და ძმრით, ოთხშაფათ-პარასკეობით.

13. ლოცვა თურქულისა

სახელითა მამისათა და ძისათა წმიდისათა. მოდიოდა ჭირო უხსნელი მთასა ნისლივითა, ბარს ცეცხლივითა. შემოეყარა იესო ქრისტე, ჰკითხა, ჭირო უხსნელო, სად მიხვალო? მივალ კაცთა პირთა შესაყრელათა და პირუტყვთა ჩლიქთა შესაყრელათა. არა მამამან, ძემან და სულმან წმინდამან არ გაგიშვებ, არცა კაცთა პირთა შესაყრელათა და არცა პირუტყვთა ჩლიქთა შესაყრელათა.

სამაჰურნალონი

14. თვალის ტკივილის ლოცვა

ქალი ვიყავ ქანანელი. თვალეებითა წირპლიანი, მუხლებითა ნისლიანი. იგრე შენ ჩამოვარდები, ელვავ, ტეხავ, სიმსიენევ, ფრჩხილო და ლერაჰანავ, როგორც წყალში მარცვალია. ურია და ბურბუთლა ორივე ერთად თამაშობდენ; ბურთი შეხტა, თვალში ეცა, თვალი სისხლათ გადაექცა. რა არის ამის წამალი? სამად სამი სიტყვა, სამი შეაფურთხე, სამი შეაუუთე.

15. თვალის წამალი

ვინაც მაჩქათელას სისხლი თვალში ვამაისვას, ღამით კარგათ დაინახავს.

16. ლოცვა, თვალში რომ ფრჩხილი გაუჩნდეს

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ზღვაში მორევნი; მორევში ურემი, ურემში ძნა, ძნაში თავთავი. ფრჩხილო, ისე შენ ჩამოდი, როგორც თავთავიდან მარცვალი. ღმერთო, შენ დასწერე შენი ჭვარი!

17. ლოცვა თვალ-ყბისა

ჯდა დედა მარიამ სკამსა ოქროსასა, ქსელსა ქსელამდა ძოწეულისასა, მივიდა წაშანი ურვანი ყბათანი, მივიდა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი და განაქარვა ღვთის სახელითა.

18. ლოცვა თვალნაცემისა

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. აწე უკვე ქვა იყო ხენეში, ქვაა ქვეშე გველი იქდა ჭირკველი. ცალი თვალი ჰქონდა წყლისა, ცალი ცეცხლისა. გასკდა წყლისა, გადესხა ცეცხლისასა, დაშრტა. დაშრტეს თვალი მთვალავისა, გული მზაკვარისა და მავნებელისა! ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჭვარი!

ნახშირის აიღებს მარჯვენა ხელით მთქმელი და თან ჭვარს სწერს თვალნაცემსა ამ ნახშირითა. ბოლოს ამავე ნახშირს ხელზე მოიცხობს და შებლზე ან სახეზე ჭვარს გამოსახავს. ერთყრობით უნდა, მაგრამ ლოცვის კიხთვა სამჯერ ერთათ უნდა.

19. თვალნაცემის უმაწვილის ლოცვა

ჩანჩხურას შეულოცავენ შეიდჭერ შეიდ კვირასა და მორჩება

შაგილოცამ თვალისასა, უწინ ჩემი თავისასა, გარეულისასა, შინაურისასა; ტანთმცირისა, ტანთ მალღისასა; შავგვრემანისასა, თეთრყირმიზისასა.

სახელი სახელისა ხვთისათა.

შენს გამთვალავს თვალში ნაცარი, გულში ლახვარი.

ღმერთო, შენ დასწერე შენი ჭვარი!

20. ფრჩხილის ლოცვა

შაგილოცავ მთვალისასა, უწინ ჩემი თავისასა, ჩვენს უკან ხინავი, ხინავში თავთავი, თავთავში მარცვალი, ფრჩხილი არა თვალში!

21. თვალის შელოცვა

ურჩებს სამხტო ჰქონდათ. ბურთაობდნენ, ნადირობდნენ,
ზურთი თვალში ჩაუარდათ. თვალი სისხლათ გადაექცა.
ჩამაიარა წმინდა გიორგიმა, უთხრა დედა მარიამსა:
გადადი ჩემ ბახში, მოგლიჯე სამი სამეკული.
წაუსვი-წამოუსვი. ის არის მაგის წამალი.

22. თვალნაკრავისა

გევიდგი ქსელი მანავისა, რუილა მბროლისა!
ლაფათინი იავუნდისა, ჩამოსაბმელი წმინდა გიორგის სკვანტისა.
ვამოიარა ურიაჲ ქეთარმა, გასტეხა რუილა მბროლისა,
ჩამოსაბმელი წმიდა გიორგის სკვანტისა.
გასკდა წითელი კლდე, გამოვიდა წითელი კაცი,
გამოჰყვა წითელი ტანისამოსი, გამოჰყვა წითელი ცხენი,
წითელ ლაგამ-უნავირი. დაადგა წითელს ცხენსა,
ჩევიდა წითელს წყალსა. ჩაჰკრა ფურჩხი, ამოიღო წითელი გველი.
ამოჰყვა წითელი (რ)ცმელი, გადააკრა ლიპის ქვაზედ.
ისეცა დნება, ისეცა ჰქნება თქვენი ავი თვალით შემომხედავი.
თვალთა ნაცარი, გულთა ღაღარი,
მუცელსა სამართებელი!
ასი მუჭი ნეფსი და მახათი გულში ახალე.
ისი გუდა ნაცარი თვალში აყრია.
ჩააგდე ზღვაშია, ნულა ამოუშვებ გზაშია
თქვენს ავ თვალზედ შემომხედავს.

23. შელოცვა თვალის ტკივილისა

სახელითა მამისათა და ძისათა და სულსა წმიდისათა, ამინ. ჩვენ
ვიყავით სამნი ძმანი, სამებრსა ძალისანი. ვკრეფდით წამალსა,
წამლის წამალსა, სიმსივნისასა, სიმტკივნისასა, თეთრი სურავანდო-
ნასა, წითელ სურავანდისასა, ლიბრისასა, ლურსმანისასა, ფჩხილო-
სასა, გამოდი, გამოჰყე ჩემსა ლოცვას!

თუ არ გამოხვალ ნებითა,
მე გამოგიყვან ძალითა,
დაგცემ შავ ტარას დანასა,
ბოლოსა ჰიპისასა,

აგალებინებ ქვეყანასა.
დაგალებინებ ზენასა.

24. ნათვალავის შელოცვა

ანეისა, მანეისა, შინ და გარეთ ლამეისა, უნტროსისა და უმფროსისა, გლეხის და აზნაურისა, შამომსვლელისა, შამომსედვისა აგერ მოვა შავი წყალი, მას მოყვება შავი გველი. ჩაუყავი შავი ფორჩხა, ამოყვა შავი გველი. დავაჭირე შავი დაშნა, გავადინე შავი წვენი, ამოვცხე თვალებში. გულშია გრძნევალსა მეხი და მეწყერი მოხვთება! არ მოარჩენს დედა ღვთისა ავს და ავი სურვიელსა [ბოლო სიტყვები არ იკითხება].

25. თვალის მოხვედრილისა

სახელო, სახელითა ღვთისათა, სულითა წმიდითა. ურა და ქრისტე ღმერთი მოედანზე მუშაობდნენ. ბურთი ახტა, თვალში ეცა, თვალი სისხლათ გადაექცა. უბძანა დედა მარიამ, გარდახტი ჩემსა ღობესა, მოსწყვიტე სამი სამყური, მოუსვი თვალზედა, არგება. დედა მარიამი სამოთხის კარზე დატარის. ჩამოიარა ქრისტე ღმერთმა და ხკითხა: რაი გატირებს, დედავ მარიამ? ის მატირებს, ქრისტე ღმერთო, ჩამაიარეს ქეთერიშვილთა, ქუთურუშელთა, თოლინჯვლიანთა. თავბალნიანთა, კულბალნიანთა, დამწყიეს, დამთვივილეს. ტანი დამიძრეს ალვისა, თმა ჩამამაყრევინეს ბროწეულისა, ქსელი დამიწყვიტეს ძოწეულისა, ოქროს კოკა გამიტეხეს, ვარდის წყალი დამიღვარეს. მაგისთვი რაი გატირებსო. სამჯერ სამს დილაზე, სამი უშრეტი, სამი უსმელი დერეფანს დადგი. ტანი აღგება. ტანი ალვისა, თმა გამოგესხმის ბროწეულისა, ქსელი გაგემართება ძოწეულისა, ოქროს წყალი გიდგება, ვარდის წყალი ჩავიდგება.

გასქდა უპირული კლდე, გამოვიდა შავი წყალი, თან გამოჰყვა გველი შავი, ჩაპყო მიქელ-გაბრიელმა შევტარინი დანა. ამოიღო გველი შავი, შავს ღობესა გარდააკიდა. მოსჭრა თავიდან, თავი მოელას შენს შამთოლავსა, მოსჭრა წელიღვან — წელი მოელას შენს შამთოლავსა, მოსჭრა კულიღვან — გააქრას და გაანიავას წმ. გრიგოლმა ინდოეთისმა შენი სნება და სნეულება.

შელოცვის შემდეგ სამს დილაზე: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს დერეფანში დასდგამს ლიტრით უსმელს დილის წყალს. მიიტანს და შიგ სამა წვეტიანს ეკლებს ჩაპყრის და ამითა თავდება. შეეტარა დანით ქვარას სწერს შეთელილს.

სამჯერ სახელო ღვთისაო. ჩვენ ვიყვნეთ, სამნი ძმანი — მათე, მარკოს და ივანე. მთას წავედით სანადიროთ, კვალი ვერ ვიპოვნეთ ნადირსა.

კვალ ვიპოვნეთ ქალისა. ქალსა ქაჯავეთისასა მაკე დავუდგათ, შიგა გავაბათ. თოლნი ჰქონდეს ცეცხლისანი, თმანი ჰქონდეს ალისანი, ფეკნი უკულმართის ჰქიქისანი. არიქაო, ხოლო მზეო, დასთხარენ თოლნი ცეცხლისანი, დასტერ თმანი ალისანი, დასტეხენ ფეკნი უკულმართი ჰქიქისანი. ნურა ნურცერთს ნუ მიზემთო. ორნი ვარ ორბქვეშ გაზრდილიო. მიმავალს ვეცემიო, მომავალს ვეცემიო. ქალსად ფეროვანი — ფერსა წაშართმევსო, ფერსა ძალოვანსა — ძალსა წაშართმევსო, ფურს მეწველსაო ძუძუს დავუკორძებო. თუ იმასაც არა ვიქ, ჩაუტდები ჰრისტეს დედას მარიამსა, თმა აცხია ბროწეულისაო, ქსელი უდგას ძოწეულისაო, ჰურტველი უდგას ოქროსიო, შიგ წყალი უდგას ვარდისაო! ჩამაუარა ჰუჯმა ურიამა, დასწყევლა, დასთრთვილაო. ტან დეეძრა ალვისაო, თმა გასცივედა ბროწეულისაო. ქსელ დაუწყდა მოწყობილისაო. ჰურტველ წეაქცა ოქროსიო, წყალ დეეღვარა ვარდისაო. ბრძანდება ჰრისტეს დედა მარიამ სამოთხის კარსაო, ჩივისო, ტირისო. ჰრისტე ღმერთი მობრძანდაო. დედა მარიამ, რა გატირებსო? მაგის წამალი ადვილიაო. სამს ხუთშაბათსაო, სამს შაბათსო, სამ ორშაბათსაო სამი უმტნელი ამიღეო, სამი უშრეტი ჩაუშვი, სამს დილაზე გადაისხიო. ტანი აგიდგება ალვისაო, თმა გაგესხმის ბროწეულისაო. ქსელ აგიდგება ძოწეულისაო, ჰურტველი დაგიდგება ოქროსაო, შიგ წყალ ჩაგიდგება ვარდისაო.

გასქდაო პირველი კლდეო, გამოვიდა წყალი შავიო, მას გამოყვა გველი შავიო. მივიდა მიქელ-გაბრიელ, ჩაყო დანა ტარი შავიო, აძოილო გველი შავიო, გარდაჰკიდა ღობე შავსაო. თავიც მასქრაო. ვინცაო შენ ავის თვალთ შამოგხედაო, ვინც შენ ავის გულით ან გნახაო, ან გაწყინაო, იმის თვალსა ეკალიო; ნარსა და ეკალს ეცხოს იმის თვალიო. გულს ლახვარიო, ბანით მეხიო, კარით ცეცხლიო. წმინდა გრიგოლმა ინდოეთისამა გააქროს იმის თვალგულიო. პირი ჩემი, სახელი ღვთისა ყველას წმინდის დედუფლისაო. ასე გერგოს ჩემი ლოცვაო, როგორც დედის ძუძუ შვილსაო! გერგოს ჩემი ლოცვაო, როგორც ფურის ძუძუ ხბოსო. ღმერთო, შენ დასწერე შენი ჯვარიო. როგორც ცული გასქრის ხესა, ღმერთო, წამ-

ლად არგე ჩემი ლოცვაო. პირი ჩემი ლაპარაკობს, სახელი ღვთისაო. მოგონებელი ყველა წმიდის დედუფლისაო.

26ა. თვალის შელოცვა

სამჭერ სახელო ღვთისაო. (ამას სამჭერ იტყვის და დაურთავს იმის სახელს, ვისაც ულოცავს).

ჩვენ ვცყავით, სამნი ძმანი — მათე, მარკოზ და ივანე. წავედათ სანადიროთა, ვერ ვპოვნეთ კუალი ნადირისა. კუალი ვიპოვნეთ ქალისა, ქალისა ქალაჯისა. მოდიო, დედაე მარიამ, (ზოგი ასე ამბობს) მოდი, მხოლოთ თოლები დავსთხაროთ ცეცხლისა, თმა დავსკრათ აღისა, წვივები დავამტვრიათ უკუღმართის კიქისა.

ვერც თვალებს დამთხრით ცეცხლისასა, ვერც თმას მამკრით აღისასა, ვერც წვივებს დამამტვრევთ უკუღმართის კიქისასა. მიმავალს ვეცემი, მომავალს ვეცემი, ფეროვანს ქალსა ფერსა წაფართომ. კარსა მოძალუმესა ძალსა წაფართომ, ფურსა მეწველსა ცურს დაუკორძებ. თუ იმასაც ვერა ვეჭ, ქრისტეს დედა მარიამ ზის სამოთხის კარზე, ტანი აქუს აღვისა, თმა ასხია ბროწეულისა, ქსელი უღგას ძოწეულისა (ძოძეულისა). ტანს დაუძრავ აღვისასა, თმას ჩამოვადარცხვინებ ბროწეულისასა, ქსელს დაუწყვეტ ძოწეულისასა. ოქროს კოკა აქუს, შიგ ვარდის წყალი უღგას — ოქროს კოკას გაუტეხ, ვარდის წყალს დაუღვრი.

27. შელოცვა თვინაკრავისა

შეგილოცავ თვალისასა, უწინ ჩემი თავისასა, შინაურისასა, გარეულისასა, თვალშავისასა, თვალკრელისასა, კაცისასა, ქალისასა. შენსა თვალსა თვალავი გულთა ლახვარი, თვალში წყალი, კონანეჰსი, ნეჰს — მახათი იმის თვალებს; ბანით მეხი, კარით ცეცხლი! ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჭვარი!

28. თვალის შელოცვა

ხელში შეტარიანი დანა უნდა დაიჭიროს და სამჭერ ესე თქვას:

სახელი ღვთისა, მამისა ძისა, სულისა წმინდისა. შეგილოცამ თვალისასა, უწინ ჩემი თავისასა, შინაურისასა, გარეულისასა,

ადურისასა, ბიდურისასა, შავგვრემანისასა,
ქერა კაცისასა, ქერა დედაკაცისასა,
ტანად მალღისასა, ტანად დაბღისასა,
შვიდი ქერივი კაცისასა, შვიდი ქერივი დედაკაცისასა,
ნიავსა ქარის ცხენისასა, ნიავქრის დედაკაცისასა,
შენსა ავად მთვალავსა, შენსა ავად მყბარავსა,
ბანიდგან ცეცხლი, კარიდგან ნავთი.
კულს პირას გობასერი, ცულს დეგეგება ტარია,
ჩემი პირის შენალოცი შენ დაგედება წამლათა.
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი.

29. შელოცვა თვალში გარტყმულისა

ურიები თამაშობდნენ ურიებეს მთაზედა, ურიასა ბურთი ჰკრა,
თვალი ატყინა. რა არის მისი წამალი? სამჯერ ჩააფურთხე. სამჯერ
შეულოცე.

• •

სახელო სახელითა, შაგილოცავ თვალისასა, შინაურისასა და გა-
რეულისას. შევთვალა და ჰქროლა თვალას, შენ ავად შემამხედავსა
ბანიდან ცეცხლი, ბანიდამ მეხი!

ერთი ვერცხლის ტბა იყო, შიგ ვერცხლის ალვი ხე იდგა. ზედ
ვერცხლის ტბაჲი იდგა, ზედ ოთხი კვერცხი იღო: შავი, წითელი,
თეთრი. შავმა შავი წაიღო, წითელმა წითელი, თეთრმა თეთრი,
ღმერთო. შენ მაარჩინე (სახელი). ამინ.

30. ლოცვა თვალცემულისა

სახელითა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა! იღვა ქვასა ქვეშა
აჭერკვალი, ჯერკვალი ქვეშე, ნავზე შავი ასპიტი ერთი. აღვა თვალი
წყლისა და ერთი ცეცხლისა. გასკვდა წყლისა, გარდაესხა, დაშარტა
ცეცხლი, იგიც დაშრტება შენის ავის თვალის შემომხედავი. (სახე-
ლი) თვალთ მთვალავსა, თვალთ ნაცარი. გულთ ლახვარი მას, ვისიც
თვალი შენ გეცეს და ან გცემოდეს. წმიდაო გიორგი, უშველე და
გაყარე ყოველის უემურის შემთხვევისაგან.

81. თვალის ტკივილისა

ვბულთავობდი, ვნადირობდი, ქრისტეს ბულთვი თვალში მომხვდა. რა არის მისი წამალი? უხმარი ნეფსი. აბრეშუმის ძაფი, კვერცხის ცილი, ქის ფრის კაკალი და შაბი.

ამ წამლებს დანაყვენ და თვალზე დაადებენ და ლოცვის დროს თვალს წამწამში აბრეშუმის ძაფიანს ნეფსს გაუყრიან.

82. თვალში ფრჩხილისა

ჩამით წყალი უნდა დაიდგას, შვიდი პურის მარცვალი მაიტანოს, დაიჭიროს, შვიდჯერ შეულოცოს და თითო შელოცვაზე თითო მარცვალი ჭაწმში ჩააგდოს.

ჩვენს წინ საბძელია, საბძელს წინ კალოა, კალოში ანეულია, ანეულში ძნა არის, ძნაში ხელეურია, ხელეურში თავთავია, თავთავში პურის მარცვალი. წამოჯდა თეთრი ტრედი, ჩამოყო ბროლის ნისკარტი, ჩამოაგდო ვერცხლის მარცვალი, ფრჩხილო, შენ ჩამოვარდები ჩემი ლოცვით, ცხარე წამლით. ღმერთო, შენ დააწერე წყალობი! ჯვარი!

83. შელოცვა ფრჩხილისა

ბადიით ანუ ჩამით წყალი დადგი წინ, დაიჭირე ხელში ხორბალი და შელოცვის დროს ჩააგდე წყალში თითო მარცვალი.

ჩვენს ბანს უკან ტბა არი, ტბაში ანეულია, ანეულში ათეულია, ათეულში ოცეულია, ოცეულში ძნაა, ძნაში ხელეურია, ხელეურში თავთავია, თავთავში მარცვალია. ჩამოვარდა მარცვალი (ჩააგდე ხორბლის მარცვალი), თან ჩამოჰყვა ფრჩხილი. თვალი დარჩა მშვიდობით.

84. თვალების ანუ გაღალღლისა

თვალებისას გილოცავდი, შინაურისასა, გარეულისასა. ავთვალა თვალის მათვალთვალასა, ვაი და ვუი კუჭაქარაული. ანსალა, მანსალა, გველი ფხასანსალა. გადმეირღვა წითელი კდე, მას გადმოხვა წითელი გველი. გადავარტყი წითელსა სიპსა ქვასა. ის გააკდა, ის გაგჯა, ისთე თვალი გოუგჯა, ისთე გული გოუესკდა მის ავის თვალით შემ-

ზედავს. თვალთა ნაცარი, გულში ლახვარი, მუცელსა სამართებელი
ეცა წმიდი გიორგის რისხვა, ლახტი და ბოძალი. იჯდა წმიდა დედა-
მარიამ კარსა სამოთხისას; ქსოვდა ქსელსა ძოწეულისასა. ჩამეიარა
ურია ქეთელმა, შეთვალა, შეყვარა, შეაგირძნოულა. წოუქცია ქსე-
ლი ძოწეულისანი, წოუქცია სკამი მისი ოქროსანი, დააყროვია თმანი
გისრისანი, დააყროვია ცრემლნი მარგალიტისანი. ჩამეიარა მიქელ-
გაბრიელ მთავარანგელოზმა. კითხა, რას სტირი, დედაო მარიამ, რად
ელჩხარ კარსა სამოთხისასა? რავა რათ უჯღივარ, ჩამეიარა ურია
ქეტელმა, შემთვალა... ადექი, დედაო მარიამ, განადულე ქვაბი რვა-
ლისანი, გადაასხი მის თვალს, მის ყურს, მის გულს, მის სულს, მის
ხორცს, ვინც (სახელი) ავით თვალით შეხედა. იქით წყალი მიდიოდა,
აქით წყალი მოდიოდა, შვაში ცეცხლი ინთებოდა, ის წყალი მუუშ-
ვი — ის ცეცხლი დეიფსო, ესთე თვალეზი დეეფსო მის ავი თვალით
შეშხედავს, ფუი, ეშმაკსა.

ამ ლოცვის დროს დაიდგამენ წინ ჯამით წყალს და ფხევენ შევტარიანი
დანით ნახშირს და ასუმენ გაღალულს, თვალნაცემს.

მ 44. თვალის გამობმისა

თვალო, თვალო, ბედნიერო, ვითამ რამე მშვენიერო, სიმწრით
მოსრულო და სიტკბოებით წაბძანებულო!

სამჯერ ამ შელოცვის მერმეთ შაქარს დაადებენ მტკივანზე კეახის ფურცლით.

35. თვალის ტკივილისა

სამნი ძმანნი მოდიოდნენ სამებისა კარსა, კრეფდენ წამალსა.
წამლის წამალსა, ფრჩხილსასა, დაყევილობისასა, ქარ-სურავანდი-
სასა. გამოდი, გამოჰყე ჩემსა ლოცვასა! თუ არ გამოხვალ ნებითა, მე
გამოგიყვან ძალითა. დაცემ შევტარა დანასა, ავალეზინებ ზენასა,
წავალეზინებ ქვენასა. ქალ ვიყავ, ქანანელი, თვალეზი წირპლიანი,
მუხლებითა ნიტიანი, ჩამოვარდა თავთავი, ჩაიტანა ფრჩხილი და
ლურსმანი. ღმერთო, შენ არგე და აწამლე.

36. შელოცვა თვალის ტკივილისა

სახელითა მამისათა და წმინდისა სულისათა.

მარიამ სტიროდა, მარიამ ჩივოდა, მარიამ ყრიდა მარგალიტისა კურცხალსა. გადმოხედა ქრისტე ღმერთმა. დედავო ჩემო მარიამ. რას სტირი, რას ჩივი, რასა ყრი მარგალიტისა კურცხალსა?

ბატონო, ქრისტე ღმერთო! რავე არ ვტირი, რავე არ ვჩივი. რავე არა ვყრი მარგალიტისა კურცხალსა! ურიათა ქორწილია, ქრისტე შვილი წოულია. თვალსა ბურთი მოხდენია და რა ამისი წამალი არ ვიცი. დედავო ჩემო, მარიამ! რასა სტირი, რასა ჩივი, რასა ყრი მარგალიტისა კურცხალსა, ჩადი ჩემსა ბაღსა, მოწყვიტე სამი სამყური, დაუსევ კარის სახელი, შეაბი სელისა კანითა და ის არის მისი წამალი.

მე მლოცველი და ქრისტე მარგებელი (საპვზის).

37. შელოცვა თვალზე დაკერისა

სახელი სახელითა, მამითა და ძითა და წმინდითა სულითა! ოქროს სტოლზედა ოქროს თასი იღვა, ზეცდგან უცხო ფრენველი მოფრინავდა: ერთი თეთრი, ერთი შავი და ერთი წითელი. თეთრმა თეთრი აიღო, წითელმა წითელი აიღო, დარჩა შავი მშვიდობით. ფუი, ასთე გააქარე დაკრული ჩემ თვალზედ.

38. შელოცვა მონახდომისა (თვალნაცემისა)

ამჟნარებს ძალიან. ნახშირი და შეატარიანი დანა უქირაეთ და ჯვარს სწერენ.

სახელითა მღვთისათა, მამითა ძისათა. შეგილოცამ თვალისსა, უწინ ჩემი თავისასა, შინაურისასა, გარეულისასა, ამ მიღვთისასა, სხვა მიღვთისასა, ფრანგისასა, სომხისასა, ურიისასა, თათრისასა, ტანათ მაღალისასა, ტანთ დაბალისასა, შავგვრემანისასა, თეთრგვრემანისასა, ყმაწვილისასა, მოხუცებულისასა; გსათხოვარისასა, გათხოვილისასა, ქვრევისასა. დედაქალწული მარიამ იჭდა წყლის პირას. სტიროდა, ყრიდა მღვლარე ცრემლებსა. ჩამოიარა იესო ნაზარეველმა. კითხა: რათ სტირი, დედაო მარიამ? რავე რას ვტირი. რავე რას ვკვივი (წუწუნი), ვარ შეწუხებული ავის თვალისაგან. ჩამოიარა ურია ქეთელმა, დამსთვალა, დამსჭვალა. მოსჭრა სამი ფიცარი.—

დაასო სამი სიტყვანი. გადაადგო ზღვაში. თუ (შეუბერავს, დანით მოჭრის ნახშირს), ასევე გაქარებულა შენი ავის თვალით შემომზებდავი.

სამჯერ იტყვის, შეუბერავს და ნახშირს მოატაროს შუბლზე. ღამე თავქვე ამოუდებს შემლოცველი ნახშირსა და დანას.

39. ნათვალავის ლოცვა

მე გილოცავ თვალისასა, შინისასა, გარისასა, სვალშავისა, თვალთეთრისა, თვალმანჩხისა და თვალბოროტისა. გასკდა შავი კლდე, გამევიდა შავი კაცი, შავი ცხენით, შავი შაკაზმულობით, ჩევიდა შავსა ზღვასა, ჩაჰკრა შავი ფოცხი, ამეილო შავი გველი, დადვა ქვასა მკალისასა. ეგრეც კვდება, ეგრეცა ცვდება შენი გამთვალმავი და შენი ავთვალთ შემხედველი. თვალთა ნაცარი აყრია, გულთა ისარი ასვია, გველი ფხა და გველი მართელი მის ტანს არ მოშორებია. მის თვალსა და გულსა ასალა-მასალა, შავი ჭირი და სანსალა! დასწყევლოს სამას სამოცდახუთმა წმიდა გიორგიმ, შენი გამთვალმავი და შენი ავი თვალთ შემხედველი.

40. შელოცვა თვალზე დაკრულისა

სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა. ოქროას სტოლზედა ოქროსი თასი იდგა, ზედა სამი ძენი იჯდა. ზეციდგან სამი უცხო ფრინველი მოფრინავდა — ერთი თეთრი, ერთი შავი, ერთი წითელი. თეთრმა თეთრი აიღო, წითელმა — წითელი, დარჩა შავი მშვიდობით! ფუი, ასე გავაქარე ჩემ თვალის დაკრულ-დანანებული.

41. ნათვალევის ლოცვა

სახელითა მამისათა... შეგელოცავ თვალისასა, ყბისასა, შინაურისასა, გარეულისასა, გოგოსასა, ბიჭისასა, თვალშავისასა, თვალმანჩხისასა, ფეროვანისასა, ფერნაცვალისასა, დიაცისასა, მამაციასა. შენს მთვალავთა — თვალთა ეკალი, გულთა ლახვარი, ერდოთ ცეცხლი, კართა მეხი! შენი ავის თვალთ შემომზებდავს ასი კოდი მახათი, მისი გულის სახლართი. დასწერე ღმერთო, ჯვარი შენი, აგრე ლოცვა ჩემი!

42. სვანური ღოცვა ნათალყისა

ორჯერ სახელი სამ ღმერთს, ამინ მამინსა.
შავი კლდე გასკდა, დედაო მარიამ და ბატონო,
რასა ტირი და რასა შვრები? ამასა ვტირ და ამასა ვშვრები,
ხუთშაბათს მივიდა ურია ქეთარას შვილი შემქამა, შემთვალა.
ფუ, შე მამაძალლო. ურია ქეთარას შვილო (რასა სქამ).
რასა შვრები ან რასა სტეხ? ამას ვქამ, ამასა ვტეხ.
ლამაზ ქალს ფერს ვართმევ, დიდ კაცსა ღონეს ვართმევ,
სასიამოვნო ძროხას რძეს ანუ ნაწველს ვართმევ,
ულაყ ცხენს ღონეს წავართმევ. ტფუ შე მამაძალლო ურია ქეთარი-
შვილო!
ცხენის ფეხის ნადგამზე მოძრული ხარ, ორბის მხრებზე გაზრდილი
ხარ,

ცხენის ფაფარზე შეგვამ, გარონინებ ქალაქ-ქალაქ.
ათ გულა ნაცარს ვიშოვნი, თა გულა მახათს ვიშოვნი,
ნაცარს თვალებში შეგაყრი, მახათს გულში გაგიყრი.

ამას წმიდა გიორგი ეუბნებაო. შავი კლდე გასკდა, ვითამ მარიამი რომ იყო
მწუხარებაში, წმიდა გიორგი შავ კლდეში იყო, და გამოხტა, დაუწყო ლაპარაკი
ჭაჭიშვილს:

დედ თვალში ნაცარსა შეგაყრი, გულში მახათსა შეგასვამ.

ამა და ამ სიტყვებს რომ ეუბნება, ვითამ ეს წმიდა გიორგი არისო, როგორც
ხსნიან, როდესაც მარიამს უწებებდა ურია ქეთარაშვილი, მაშინ შავი კლდიდან
გადმოხტაო და ურიას კაცხავსო.

43. შელოცვა შაკიკისა

შაკიკი შამოჩვეულა სათიბის ბოლოსა,
ასე ხერემდა რკინასა, როგორც ხარი თივასა,
გაუწყრა წმიდა გიორგი, გაპარულიყო დილასა!

ეს ღოცვა დაბლაწნეთ ქალაღზე და შუბლზე შემოაკარით და მორჩება.

43ა. შაკიკისა

შაკიკი შემოეჩვია სათიბის ბოლოსა, ეგრე სქამდა რკინასა,
როგორც ხარი თივასა. გოუწყრა წმიდა გიორგი, გეიპარა დილააა.

ამ ღოცვის მერეთ დაუღლემილს და მარილიან ჩინჭარს ღვინოში დაასოლებენ
და აბრეშუმის ცხვირსახოცით შემოაკრავენ თავზე.

44. შაკიკის შელოცვა

ნახშირითა და ნემსით ნიორსა და მარბლზე უნდა შეულოცოს

სახელი ღეთისა, მამისა, ძმისა, სულისა წმიდისა.
საკეკი შამოჩვეულა სათივისა ბოლოსა,
ისე ხრავდა რკინასა, როგორც ხარი თივასა,
წმიდა გიორგიმ დასწყევლოს, გაიპარა დილასა.
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი.

45. შაკიკის შელოცვა

შაკიკი შემოჩვეულა სათივისა ბოლოსაო,
ისე ჭამდა თივასაო, როგორც ხარი თივასაო,
დასწყევლა წმიდა გიორგიმ, გაიპარა დილასაო.

46. ლოცვა შაკიკისა

შაკიკი შამოჩვევია ჩვენი სათივის ბოლოსა, ისე სჭამდა რკინასა,
როგორც ხარი თივასაო, გაუწყრა წმიდა გიორგი, გაიპარა დილასაო.

47. შაკიკისა

შაკიკი შამოჩვევია ჩვენი სათივის ბოლოსა, ისე სჭამდა რკინასა,
როგორც ხარი თივასა. (ღიდება წმიდა გიორგის).

შაკიკი გაიპარა დილასა. შაკიკი მოვა ქარისა: შაკიკი და მისი
ქარი ასე სჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა. (ღიდება წმიდა
გიორგის) შაკიკი გაიპარა დილასა. ციჟა, თაფლითა!

48. შაკიკის ლოცვა

ამას დასწერენ ქალაღზე გრძლათ ერთ მტკაველზე. დაწერილი არ უნდა
წაკითხოს ვინმემ. სამი ღღე ტიტველა თავზე, საითაც სტკივა უნდა დაიდოს
შაკიკიანმა.

შაკიკი შემოჩვეულა, ჩვენის სათივის ბოლოსა,
ასე სჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა,
დასწყევლა წმიდა გიორგიმ, გაიპარა დილასა.

49. მუცლის ტკივილისა

ანანია მანანია, ჩემი ხელი წამალია, ქრისტე სტუმრად — ქვა სასთუმლად, ბელლი თავი — მოსასვენად. ერთი ჯამი ცივი წყალი, ნახევარი ჭერი პური, მუცელ-გულის წამალი. არიელი, შარიელი, ჩიტი ბუდეცარიელი. გორ შევდექი, გორ მაღალსა; წყალს უმზერ ფილაფოთსა, ღმერთო, უხსენი ამას.

ამ ლოცვის დროს ერთ ჯამ ცივ წყალს დადგამენ აეთმოფის წინ და მას ნახევარს ჭერის პურს, იმ წყალში ამოვლებულს, აკმევენ.

50. შელოცვა საყმაწვილოსი ანუ ყმაწვილი დაკუწული რო იუოს მუცელში

მოდითა ქალი ქანანდელი, მოზუოდა ქარივითა, მოქიხენებდა ცხენივითა. გადუდგა დედა მარიამ. სად მიხვალო, ქალო, ქანანელო? — ვიყავი ზღვისა, არ დამიტია ზღვამა, მივდივარ ასო-ტანშა სისხლის სასმელათ, ხორცის საკმელათ, დედ-მამის საწრუწუნებლათა. რა არის მისი წამალი? ლილა, ქალობანა, თახვის დუმა ერთად გალესე დედის რძეში და დაალევინე.

51. წითელი ქარის შელოცვა

შავტარიანი დანითა და ნახშირით სამჯერ უნდა შეულოცოს:

გლეწამ სინის კევრით, გაგანიავებ ლალის ფეწლით. ჩაგაგდებ ასეთ ადგილასა, არც გეყურებოდეს შავი კატის კნავილი, არც გეყურებოდეს შავი მამლის ყივილი, არც შავი ოთხფეხის ყეფა! ქრისტე მიბოძებს რკინის ბორკილს, შეგეარ ეს მოვარული ქირი.

52. ქარის შელოცვა

შავტარიანი დანით სამჯერ უნდა შეულოცოს:

ვიარებოდნი ქალაქს, ქალაქის ქალაქს, ვკრეფდი წამალს, წამლის წამალს, ავი ქარისასა, ქარშევანისას, წითელი ქარისას, თეთრი ქარისას, ლურჯი ქარისას. გამოდნი, დამბადებელს მადლობა, თორემ გამოგიყვან ჩემი შავტარიანი დანითა. თუ არ გამოხვალ, ჩემი ძალით გამოგიყვან, წმიდის სამების ძალით, ქვებს ჩაგაგდებ სინისასა, ცეცხლს აგინთებ ლალისასა. გამო!

53. წითელი ქარისა და სხვისა

სახელო, სახელისაო, მამისა, ძისათაო და სულისა წმიდასაო, შეგილოცამ წითელი ქარისასა, ქარ-სურავანდისასა, ქარ-ცეცხლისასა. გამოდი, გამოჰყე ჩემსა ლოცვასა, შენ არ გამოხვალ შენი ნებითა, მე გამოგიყვან ჩემი ძალითა, აგიყვან მაღლა მაღლისა მთაზედა, გაგლეწამ აღმასის კევრითა, შაგგვი მელის კუდითა, გაგანიავებ გველისა ფხითა. ზენას აგიგდებ — ქვეყანას წაგაღებინებ, ქვეყანას ავიღებ — ზეცას წაგაღებინებ: გადაგყარებ, გადაქანჯამ, არც გესმოდეს მამლის ყვილი, არც გესმოდეს გოჭის ჭყვილი, არც გესმოდეს ურმის ჭრიპინი. დაგწეროს ღმერთმა თავისი ჯვარი.

54. წითელი ქარისა და ბედნიერის ლოცვა

ბედო, ბედო, ბედნიერო, სახელტურფა შეენიანო, მოხქრიდი ქარებულადა, მოღნამავ ნამებურადა, მოეფინები ვერცხლებურადა. აჰა, უფალო, სახელი შენი, ვიმალებოდე ვაჟის ქოჩორჩი, ქალის ძუძუჩი, ქარისა მკერდჩი. გამოდი, თორო გამოგიყვან დანითა ტარშავითა. ზღვა ჩქეფით გამოვიარე, ვერამ კორციელმა ფერ ამიცნა, თუ შენ არ მიცან ქრისტემა ღმერთმა ჩვენ საით გიცნით კორციელთა. (ზოგნი ამბობენ: მათ საით მიცნან კორციელთა).

ბევრ შვილი, ბევრი ღრიმესა, ვერ გავიგონებ მამლის ყვილსა, კარის ყვირილსა (ზოგნი აქ ამბობენ ზეით ნათქვამს: გამოდი, თორო გამოგიყვან დანითა ტარშავითა). წამალს კვითხულობ, წამლადამც გერგება მამლისა ჩიგი, დიკისა ფქვილი, უცეცხლო თაფლი.



ამ შელოცვის დროს უნდა ხუთოები, ვერცხლი, ენდრო ილესებოდეს კვერცხის ცილაში, წითელი ძროხის რძეში და უცეცხლო თაფლში და იმას წაუსვამს ავადმყოფს. იარაზედ ან დაფქულს შაქარს დააყრის და ვერცხლს მოუსვამს იარაზე. შავტარა დანა აქაც ისე მუშაობს, როგორც თვალის ლოცვაში. მამალს შემობარუნებენ, ტყვია და წამალ წასმულს იარას იმით შეუხვევენ.

55. ლოცვა შეშინებულისა

სახელითა მამისათა და ძისათა წმიდისათა, ამინ. დედამ შეგაშინა, მამამ შეგაშინა, შინაურმა, გარეულმა, თვალჭრელმა შეგაშინა, თვალშავმა შეგაშინა, ტანათ მალალმა შეგაშინა, ტანათ დაბალმა შეგაშინა, კლდისა შეგეშინდა, წყლისა შეგეშინდა; სადილობისა შეგეშინდა, სალამოს შეგეშინდა, მამლის ყიულის შეგეშინდა — გულო, მოდი საგულესა, სულო, მოდი საგულესა. ნურსად წახვალ სხვა გულესა, ნურცა სასულესა. თეთრი ქორი ქანდარასა, ქათამი საბუღარასა. ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი.

შეტარა დანით პირგაშლილით, ჯვარი უნდა სწეროს შეშინებულს. დანახ თაქვეშ დაუდებენ. ესეც სამჯერ ერთმანეთსა ერთ ჯერობით.

56. მგლისაგან შეშინებულის ლოცვა

ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე, ცხრაკლიტენი რკინისა; შაკარ, შაბოჰე პირი მგლისა! ჩვენსას ერიდებოდეს, სხვისას ემტერებოდეს. ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი!

57. შეშინებულის შელოცვა

შეტარიანი დანა, ნემსი, ხელში უნდა დაიჭიროს და სამჯერ ესე თქვას:

სახელი ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმიდისა.
სახლმა შაგაშინა თუ სახლის ანგელოზმაო,
დედამ შაგაშინაო თუ მამამ შაგაშინაო,
ცეცხლმა შაგაშინაო თუ ცეცხლის ანგელოზმაო,
ჭერმა შაგაშინა თუ ჭერის ანგელოზმაო,
ცამა შაგაშინა თუ ცის ანგელოზმაო,
მზემ შაგაშინა თუ მზის ანგელოზმა შაგაშინაო,
მთვარემ შაგაშინა, თუ მთვარის ანგელოზმა შაგაშინაო,
კაცმა შაგაშინა თუ ღედაკაცმა შაგაშინაო,
დიდმა შაგაშინა თუ პატარამ შაგაშინაო,
კამეჩმა შაგაშინა თუ ხარმა შაგაშინაო,
ლორმა შაგაშინა თუ ცხენმა შაგაშინაო,
ძალმა შაგაშინა თუ კატამ შაგაშინაო,
მფრინველმა შაგაშინა თუ ჭიამ შაგაშინაო,

აზრმა შეგაშინა თუ ფიქრმა შეგაშინაო.
თეთრი ქორი ქანდარასა — ქათამი საბუღარასა.
გულო, ჩაჯექ შენს ალაგსა, გულო, ნუ შაშინდები.
ღმერთო, დასწერე შენი წყალობის ჯვარი.

58. შეშინებულის ლოცვა

სახელისა ღვთისათა, მამისა ძისათა და სულისა წმიდისათა. დე-
დამ შეგაშინა, მამამ შეგაშინა, ძალღმა შეგაშინა, ღორმა შეგაშინა,
ძილში შეგეშინდა, ფხიზლობაში შეგეშინდა, მაინც შეშინებულ
ხარ. გულო, მოდი საგულესა! თეთრი ქორი ქანდარასა, შენი გული
აქანასა, ღმერთო, დასწერე ჯვარი შენი, მოუხდინე ლოცვა ჩემი!

58ა. შელოცვა შეშინებულისა

გაზომავს სარტყელს, რომ არ დააკლდეს. პირჯვარს სწერს შეშინებულსა.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. შე-
გილოცავ შეშინებულსასა. რა იყო, რომ შეგაშინა, სიზმარით შეგე-
შინდა, ცხადივ შეგეშინდა, კეთილი ანგელოზისაგან შეგეშინდა თუ
ბოროტი ანგელოზისაგან შეგეშინდა. გამოვიდა ტყიდგან შავი კაცი,
შავი შეკაზმულობითა, მას გამოჰყვა მცურაფი, დაჰკრა მათრახი
გულის ჯავრზედ! გულო, ჩაჯექ ალაგასა! გულო, ნუ გეშინიან! გუ-
ლო, დედა გადგია, ღვთიშობელი გადგია, ყველა წმიდა გადგია.
ქორი შეჯდა ხესა, ქათამი ქანდარასა, გულო, ჩაჯექ ალაგასა. ღმერ-
თო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი (ამასა და ამას).

59. მკვლის ლოცვა

მოდირდა ქრისტე ღმერთი, იჯდა კვიცზედ უხეღარზედ.
გედხედა ქვედა ქვეყანაზე: ნეტა რასი ზივილია,
ნეტა რასი კივილია, არავინ ატირებდეს ქვრივსაო,
არცა რა ვინ აკლებდეს ობოლს მწირსაო!
არა, მამა ძე და სულო წმიდაო,
არც არავინ ატირებს ქვრივსაო,
არც არავინ აკლებს ობოლს მწირსაო,
დედა მარიაჲ, ჰვალი ასვია, მისი ზივილია, მისი კივილია,

რა არი მისი წამალი? თვით მოსრული* კანაფი,
გადაგრინე, გადმოგრინე, გადააბი, გადააცვი მახათსა, ის
გაუქრობს კვალსა.

60. მკვალის ღოცვა

ადგომილო, დადგომილო, თეთრო ქარო, გაფრენილო!
პეტრემ უთხრა პავლესაო, რატომ არა სკამ პურსაო?
მიტომ არა ვსკამ პურსაო, მკვალი მასვია გულსაო.
რა არის მისი წამალი? თვითამოსული კანაფი! ის დაყნოსო,
დაიდოს, ის არის მისი წამალი. მალლიდან კაცი იძახის, ქვევით
ტირის ქვრივ-ობოლი! არც ქვრივი ტირის; არც ობოლო ტირის,
მკვალი ადგია გულსა. რა არის მისი წამალი? ცივი წყალი სასმელად,
ცივი ქვა და ცივი რკინა სასთუმლად.

* * *

სახელი სახელითა, შეგილოცამ კვლისასა.
რა არი შენი წამალი? წითელი ბაწარი და კანაფი,
გადუსვი მახათი, ეშველება მკვალსა.
არ გამოხვალ ნებითა, გამოგიყვან ძალითა,
დაგცემ შავტარა დანას, მიგცემ მდინარე წყალსა!

61. კვალისა

ქალ დედა-მარიამია, მხართ ადგია კვალთა. რა არის მისი წამალი?
გადახტი ღობესა ვენახისასა, მოგლიჯე სამი კანაფი, წითელი ძაფი,
დედამ შაჰკრას, შახვლანჯოს, შვილმა გახსნას, — გაიხსნება კვალი.

62. შელოცვა მუცლის წახდენისა

სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმიდითა. გამოეხსენ ძაფივითა,
გაიშალე ლარჩითა.

63. შელოცვა მუცლის წახდენისა

სახელითა მამითა. ალ დადგა, ბალ დადგა.
მთა დადგა, კლდე დადგა, წისქვილ დადგა, ბორბალი დადგა,
(სახელი) შაქნილი ყმაწვილი (სახელი) მუცელში რად არ დადგა!

* დაუთესველად ამოსული.

64. მუცლის წახდენის ლოცვა

სახელითა მამისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. აღგა, დაიძრა მთა და ბარი, აწვა ხისა ხინი, მამამა სთხოვა შვილისა მიჯნურობა, ორ მისცა დედამა შვილისა მიჯნურობა. მამამ შეჰკრა კიღობანი, მიაბარა დედასა, ეს შემინახე დრომდინა. ღმერთო, შენ დასწერე შენი ჯვარი.

65. ლოცვა, დედაკაცს რომ მუცელი უხდებოდეს

სახელითა მამისათა და ძისათა წმიდისათა. ანი იძრა, ბანი იძრა, მცა იძრა, ქვეყანა იძრა, ოთხი კუთხე მცისა იძრა, ნოეს კიღობანი იძრა, ოქროს საწნახელი იძრა, წყალი იძრა, წისქვილი იძრა, მიწა იძრა. ანი დადგა, ბანი დადგა, ცა დადგა, ქვეყანა დადგა, ოთხი კუთხე ცისა დადგა, ნოეს კიღობანი დადგა, ოქროს საწნახელი დადგა, წყალი დადგა, წისქვილი დადგა, ქვეყანა დადგა. ზეცის კერის ხმა მესმა, ანგელოზი ლოცვათ დადგა, მთის მადლის მეოხებით უძრავი იძრა, ნაძრავი ყმაწვილი ამ ქალის მუცელში დადგა (სახელი ორსულისა).

66. მუცლის წახდენის შელოცვა

პურის ნატეხში ნემსი უნდა ჩაერქოს და სამჯერ შეულოცოს:

ისანის ტანზედა დედა-შვილი მიდიოდნენ, დედას შვილი მეეწია, დედას არშიყოფა სთხოვა. ანი იძრა, ბანი იძრა, ცა იძრა, ქვეყანა იძრა. ანი დადგა, ბანი დადგა, ცა დადგა, შენ მუცელში შვილი დადგა.

67. ლოცვა დამწვრისა

ელი ელობდა, მელი მელობდა, ზღვა ფოფინობდა. წითელ ხუცესსა ხარი გაება, ზღვას ხნებდა, ქვიშას თესებდა. ვინ მოიგონა ზღვა ხნული, ქვიშა ნათესი, მესამე დღეს იქით დამწვარი, გაძნელბული

68. შელოცვა დამწერისა

ელი ელობდა, მელი მელობდა, წითელ ხუცესსა ხარი გაება, ზღვასა ხვნიდა, ქვიშასა თესავდა. ვის გაუგონია, დამწვარი სამ ღღეს რომ კაცს გაყოლოდეს!

69. ლოცვა დამწერისა

ელი ელობდა, ზღვა ფოფინებდა. წითელ ხუცესსა ხარი გაება, ზღვას ხვნიდა, ქვიშას თესვიდა. ვინ გაიგონა ზღვა ხნული, ქვიშა თესული, წამს იქით დამწვარი, გაძნელებული!

70. დამწერის შელოცვა

ნახშირი და ნემსი უნდა დაიჭიროს ხელში და იმით შეულოცოს სამჯერა.

კაცი იძახის ტყითაო, ხარი მამგვარეთ ზღვითაო, ზღვა უნდა ეხნა, ქვიშა ვთესო! ვის უნახავს ზღვა ხნული, ქვიშა ნათესი, დამწვარი, გაძნელებული. ვის უნახავს დამწვარი, თავქვეწასული, მალლა უნდა წამოვიდეს, მე გლოცამ, ღმერთი ჯვარსა გწერს.

71. დამწერის ლოცვა

წითელს ხუცესსა წითელი ხარი შეება, გაიარა ქრისტე ღმერთმა, ჰკითხა: ხუცესო, რასა ხნამ და რასა სთესამ? კლდესა და ქვასა ვთესამ. დამწვარო, ასე შენ იხარე, როგორც კლდეში ქვიშამ იხაროს.

72. ლოცვა უჟმურისა

ეს ალაგი სპატესია, სპატეს ჯვარი ასენია, ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ჯვარი პატიოსანი. წმიდა გიორგი ცხოველი ვარ იმისი ნათლული. წმიდა გიორგიმ დასწყევლოს, ვერას გვაწყენს მაკდღური. პეტრე, პავლე და იაკობ საუჟმუროთ მოდიოდნენ, შამხედე შავსა მთასა, საუჟმურონი გადმოდიანო, მოდიან, მოიტირიან, სად მიდიხართ, საუჟმურონო? ყმაწვილისა საწვალეבלათ, ღედ-მამის სატირებლათ, სისხლის სასმელათ, ძვლების სახვრელათ, ზორცის სადნობლათ! უშველე, წმიდავ გიორგი,

კვირაცხოველო, წმინდავ ესტატე, ასო-ასო კაფე,
უქმურნი ქვაბში ჩაყარე, შეუკეთე, დაწვი ცეცხლის აღშია.
იქვე წავალთ, საუქმუროსა ხეს ვჭამთ, ხეს მოვეფარებით,
კლდესა ვჭამთ, კლდეს მოვეფარებით, არას ვერჩი თქვენის

სამოცდასამის წმიდა გიორგის თავდებითა, სამოცდასამის
'გვარისასა,
კვირაცხოველის თავდებითა,
წმიდის ესტატეს თავდებითა! პეტრე ბანსა, პავლე კარსა,
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჭვარი.

73. ლოცვა უქმურისა

მთასა გაველ გალილისა, კვალსა ვეძებ ნადირისასა.
კვალი ვერა ვპოვ ნადირისა, ვპოვ უკეთურისა,
მოწიოდა გველივითა, მოჰყვიროდა ღორივითა,
შემოეყარა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი.
ცხრა ანგელოზითა, ნოეს კვერთხითა, სოლომანის ბეჭდითა.

სადა მიხვალ, მგზავრო, კვალად უკუღმართო?
მივალ ყმაწვილთან ტანთა შესახვრელათ, დედის სატირლათ
მამის საჩივლელად, ძვალის სამტვრეელათ,
სისხლის სისმელათ, ხორცის საჭმელათ.

არა მამამა, ძემ, სულმა წმიდამა, არცა აგატირებინო დედა,
არცა აგატირებინო მამა, არცა გამტვრევინო ძვალი მისი,
არცა გასვა სისხლი მისი, არც გაჭამო ხორცი მისი,

დაგიგებ ბადესა კანაფისასა, ჩაგაგდებ ადგილსა უადგილოსა.
არცა გესმოდეს მამლის ყივილი, არცა გესმოდეს ძაღლის ყეფა.
აგიკრამ აღმასის ფიწალსა, აგიკრამ ზენასა, გაგაქანებ ქვენასა.
გლოცამ, მიქელ გაბრიელ ღმერთი არის შენი მშველელი!

ეს ლოცვა უქმურის ციებასაც შეულოცე და მელოგინეს ყოველს საღამოს
ბებოამ შეულოცოს და ყმაწვილსაც არა დაეცემა რა.

74. უქმურის ლოცვა

უქმური მოდიოდა ეამისა შუალამისასა,
შემოეყარა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი. სად მიხვალ, უქმუ-
რო? მივალ კაცისა ასოსა, ზოგსა ვაცივებ, ზოგსა ვაცხელებ, ზოგსა
ამოვიყვან საშარის კარსა! მე, არა მამამ, ძემ და სულმა წმიდამ, არა

შეგიშო კაცისა ასოსა, ვერცა აცივებ, ვერცა აცხელებ, ვერცა მიიყვან სამარის კარსა. სადაც სახელი იხსენებოდეს ფუი! ასე ქრებოდეს!

75. უფშურის შელოცვა

შვეტარიანი დანითა და ნემსითა სამჯერ უნდა ესე სთქვას:

სახელი ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმიდისა.
დავწვები, დამეძინება, პირს ჯვარი დამეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი მარჯვნივ მხრით დამესვენება,
ვერას მიზამს მაცდური! გწყალობდეს წმიდა გიორგი,
ჯვარი პატიოსანი, ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი!

76. ლოცვა სატკბურისა (თავზედა)

სახელითა ღმრთითა, მამითა, ძითა, სულითა წმიდითა! ქრისტემ დაკლა თეთრი ფური, მან იწვია ბევრი ხალხი. სატკბურმან უთხრა: მე რათ არ მიწვიე? შენ მათ არ გიწვიე— ჩახვალ ყმაწვილის ტანში საკობავათ, საცვარავათ. არა, მამა ძემ და სულმა წმიდამ არა ვკობო, არცა ვცვარო, ავდიდდე ქოთანვივითა, ჩავცვიედე ქონდარივითა.

77. შელოცვა სატკბურისა

ქაჩალმა ხარი დაკლა ილილისა მთაზედა; სახმო იწვია, სატკბური (არ) იწვია, რათ არ მიწვევე, ქაჩალო? მით არ გიწვევ, სატკბურო, აღუღლები ქვევრივითა, გაღმობხვალ ქოთანვივითა, ჩამოცვივი ქატოსავითა.

ღამწვარი ნიგოზი და შაბი მოლესეთ, ქვაბის ძირზედ დაადვეთ და მორჩება.



ბედო, ბედნიერო, სახემშვენიერო, ამოხვალ ცეცხლივითა, დასჯდები ვერცხლივითა, რა არის ამის წამალი?
წყლცს შვილი, ქათმის შვილი, დაშაქრული, ერთათ დანაყული, მემრე უნდა იმასა ბრინჯი, დალპობა დასიებულსა,
სატკბურა ხნამდა გუთანსა, კუი შეება ხარათა,
გველ-ხოკერა მათრახათა, კუესა ბაკანი გაუტყდა,
სატკბურავ, ძირი გაგიქრა!

78. შელოცვა პაპასკირისა

სახელი სახელითა, ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმიდითა. ზემოთიდგან მოვიდოდა სამი მამა-შვილი. ქვემოთიდგან მოვიდოდა გიორგი პაპასკირი. წინ შამოეყარა მიქელ-გაბრიელ თავარანგელოზი. სად მიხვალ, გიორგ პაპასკირო? მე მივალ ადამიანის ტანში შესაწუხებლად, შესაზარებლად. ბატონმა საღილი ითხოვა, ათი ქათამი, კაცი სათავი. კურდღელს ყური მოუყურა, მოუპარტყუნებიაო. ორდანი დედოფალი, ცაში ანგელოზები, წალდი, ცული, ჭერბოშანი, შენ, უფალო, რა შეგცოდე, რომ დამმართე პაპასკირი.

79. შელოცვა პაპასკირისა

ზემოთიდგან მოვიდოდა სამი ძმანი, გიორგი პაპასკირი. ქრისტე ღმერთო, რა შეგცოდე, რას დამმართე პაპასკირი?

* * *

ზეით მოვა გიორგი პაპასკირი, ქვეით მოვა სამი მამა-შვილი. ბატონმა საღილი სთხოვა, ქათამი, კაცის თავი. ატიატორი, მატიატორი, ქარი, ფუ, — ასე გააქრე ამის პაპასკირი.

ზეით მივა, ქვევით მოვა სამი ძმანი ანგელოზნი, მას მიჰქონდა ცელი, ცული, მანგალა (ნამგალა?) და კაპარჭინს. ქრისტე ღმერთო, რა შეგცოდე, რათ დამმართე პაპასკირა.

80. საწერლის ლოცვა

საწერელი მოდიოდა ჟამსა შუაღამისასა, შემოეყარა მიქელ-გაბრიელ თავარანგელოზი: სად მიხვალ, შე საწერელო? მე მივალ ადამიანის ასოშია, რბილის საკმელად, ძვალის სახვერელად, ძარღვის შესაშინებლად. თუარამ აგჭრი, დაგჭრი ჩემი შეეტარიანი დანითა. ჩავადგამ ქვაბსა ელვარისასა, მოუნთებ ცეცხლსა წუნწუბისასა, და გავაქარებ, გადავანიავებ მაგ შენ ჭირსა სატკივარსა.

81. ლოცვა საწერელისა

მოვიდოდა ბედათ ბედნიერი, ცისა ფერი, ვერცხლის მსგავსი, შემოეყარა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი. არ გაგიშვებ, მამა

ძემ და სულმან წმიდამან. რა არის წამალი, მითხარი? კვერცხისა გული, ზეწნისა ცილა, ღორისა ფილი. უიმე, რა ვთქვი, თავისა ქირი!

* * *

პირველსა მამლის ყივილსა, ადგა გიორგი საწერელი, წინ მიქელ-გაბრიელ თავარანგელოზი შამოეყარა: სა მიხვალ, გიორგ საწერელო? როგორ სად მივალ? მივალ ადამიანის ტანში ბილის საკმელად, სისხლის სათქველედ, ძვლის სახრავად, სულის და ხორცის შემაწუხებლად. არა ძემან, სულმან წმიდამან, შენ არ შეგიშვას ადამიანის ტანში, არცა რბილის საკმელად, არცა სისხლის სათქველედ და არაც ძვალის სახრავად, სულის და ხორცის შემაწუხებლად. რაა მისი წამალი? იფქლისა ფქვილი, ძეწნისა ცილი, ქვაბისა ჟანგი, კვერცხისა გული. ვაი, რა ვთქვი, და რა მოვიგონე თავისა ქირი და შემაწუხებელი!

82. საწერელისა

საწერელი მოდიოდა ჟამსა შვალამისასა, წინ შემეეყარა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი, კითხა, — სით მიხვალ, სით გამგზავრებულხარ? სით მივალ, სით გავმგზავრებულვარ? მივალ ადამიანის ტანში სისხლის სასმელად, ძვალს სატენად, ტვინის სათხევად, რბილის საკმელად. აშა ვარაი, რა ვთქვა თავის ქირი. რა არის მისი წამალი? ტილიფის ცილი, კვერცხის ცილი.

ამ ლოცვაში მლოცავი ტილიფის ცილს ფხვს და კვერცხის ცილაში ურევს და ადებს მტკივანზე.

83. სირსვილის ლოცვა

გუთანი ება ეშმაკსა, მგელი ება ხარათა, გველი აპეურათა, გასკდა მგელი, გაწყდა გველი, სირსვილავ, ამოვარდი ძირიანათა, დილას უთხარ. სალამო კარქა ყოფნისა, სალამოს უთხარ დილა კარქა ყოფნისა.

როცა რომ შეულოცო, კბილის ჟანგი წაუსვი, ის არის იმისი წამალი.

კიდევ წამალი სირსვილისა თუ ამან არ არგოს: ცეცხლის ფერფლი და მარიალი დაყარე დედამიწაზე და დააფურთხე ზედა, თითით მოლესე დედამიწაზე და წაუსვი, არგებს.

84. სირსვილის შელოცვა

სამჯერ ესე უნდა თქვას:

სახელი ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმიდისა.
სირსვილს ება გუთანი უდაბურსა ქალასა,
მგელი ება ხარათა, გველი აპეურათა.
მგელი გასქდა, გველი გაწყდა,
სირსვილავ, ამოვარდა შენი ძირი.
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი.

• •

სვირსვილა ხნიდა ყანასა,
ნაგუთნებსა და ქალასა,
მგელი ება ხარათ, გველი აპეურათ,
ხარს აპეური გაუგჯა, სვირსვილას ძირი გაუხმა!

85. ლოცვა ბედნიერისა

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. შენ ვერ მიცნობ, ქრისტე ღმერთო, სხვა ვინ მიცნობს ხორციელი, ბედი ვარ ბედნიერი, სახელმშვენიერი. ბეთლემს ნამყოფი ვარ, ელემს გაზღლი, მოვედები ვერცხლივითა, გამოვეწვი ცეცხლივითა, მოვბლავი ბატკანივითა, მოვკაკანებ ქათამივითა. ხარს შევეყრები, კისერს წაუხდენ, ფურს შევეყრები — ძუძუს შევაშრობ, ვაჟკაც შევტაცებ სისქე-ბარძაყსა, ქალს შევეყრები, ძუძუს შევაშრობ. რა არის ჩემი წამალი? დიკისა ფქვილი, ქათმის შვილი, აყიროს ყვავილი. ფუ, რა ვთქვი, ჩემი წამალი! შეულოცე მაქრითა. ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი.

86. ბედნიერის ლოცვა

ბედნიერო, სახელათ მშვენიერო, აბძანდა დედა მარიამ, კურნელი წავიდა, იერუსალიმის კარზედა დაჯდა. სტიროდა, გამოვიდა ქრისტე ღმერთი, ჰკითხა: დედავ, რას სტირიო? როგორ არ ვიტყრო? გამოვიდა, გამოვიდა წვივსა მარჯვენასა, წვივსა მარცხენასა, რა არის მისი წამალი? თავით შესულხარ — ფეხითთ გამოდი, ფეხითთ

შესულხარ, თავით გამოდი, თორემ მოვლენ ანგელოზნი ქანიანი, ქანქანიანი: რკინის ჯოხითა გაგაქრონ ქარივითა, გაგაწყალონ წყალივითა წამალი ბედნიერისა გოგორა და შაქარი, ქულა წიწილა დაშაქრული. ქინძი დაშაქრული, ბალბა, ღუმეა, დაშაქრული სულ ყინვარე შაქრით.

შეულოცე ამ წამლებზე და ესენ აღევ, მორჩება.

87. ბედნიერის ლოცვა

სახელითა.... ლოცვა წითელი ქარისა, ქარისა ქარსურავანდისა. ქარისა ქართ ავი ზნისა, ქარისა ქარ საყმაწვილოსი. ყოველი ქართავისა. არცა იყო ზღვა, იყო ზღვაში საყდარი, ზღვაში კიდობანი. ლოცვა ჩემი, მარგებელი, ღმერთო, რატო ჩემ ლოცვას არ გეიგონებ. მევიტან ჩემსა შავტარიან დანასა, პირსა ბოროტსა, აგჭრი, დაგჭრი, ჩაგადგამ ქოთანსა ვარვარისასა, ცეცხლსა შემოგინებთ ალისასა. რას მოყვირი, კურო, მოზვერსავითა, რას მოჰყვირი წითელი ღორივითა, რა არი შენი წამალი? ლილა, წითელი წამალი, ღორის ქონა, მაჩვიზ ნალველა. კლდისა პირსა დაგკრამ წიხლსა, დევიტან ფეხის ნეკსა ქვენეთა. კურო-მოზვერი მორბოდა, მოზღვედა გველი ფთოსანი. შემოეყარა დედა მარიამი ქრისტესა. სად მიხვალ, გველი ფთოსანო? მივალ კაცისა ასოსა, ძვალის სახრავად, სისხლის სასმელად. მე, არა მამამ, ძემ და სულმა წმიდამ, მე გამოგიყვან ელვითა, ბღგვენითა. აღმასინ ხვეწენითა, მარიამოს ბეჭდითა, ჭაბუკის ძახილითა. ჩვენ ვიყავით სამი დანი, სამეზბისა ძალოსანი, ვიარებოდით თისა თამდინა, ვკრებდით წამალსა ავანისასა, შეეჭინებებისასა. გამოქარდი ქარივითა, გამოწყალდი წყალივითა! არგე ლოცვა ჩემი და მარგებელი ღმერთი.

88. შელოცვა ბედნიერისა

მე ვარ ბედი ბედნიერი, ტურფა, სახე მშვენიერი, ამოვალ ვერცხლივითა, დაეჭდები ცეცხლივითა. რა არის შენი წამალი? წყლის შვილი (ბაყაყი). [ზ]ღვისა ქათმისა შვილი (წიწილა). დაშაქრული დაადოს.

89. ლოცვა მუნისა

იჯდა დედა მარიამ ოქროსა ტახტსა და ტიროდა. მოდიოდა იესო ქრისტე. ჰკითხა, რას ზიხარ, დედა მარიამ, რას სტირი? მას ვსტირა, მუნი მასხია, ქეცი მქამს, რა არის იმის წამალი? ლოლო, ლოლონცოფას ძირი მოთხარე ჩხირითა, შეულოცე რკინითა, შაბათის კარაქითა, გოგირდითა. იცხე, იხახუნე, გახმება ქერის ქატოსავითა, ჩამოცვივა ცხენის ჩონჩორივითა.

90. მუნის ლოცვა

მუნო იელო, იელო, სახელით ქანქაჯიელო, მაგე ლოგინი, ქვა სასთაული. მარიამ დედა იჯდა შარაზედ, ტიროდა და ჩიოდა. ჩამოიარა იესო ქრისტემ, ჰკითხა: დედაო, რას სტირი, რასა სჩივიო? მასა ვსტირიო, მასა ვჩივიო, უსულომა — უგულომა სულიერის ძვალი ხრა და ხორცი ჭამა, რა არის იმისი წამალი? შუშა გოგირდი, შაბათის კარაქი, სამის წასმა, იმისი გაქრობა. ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჭვარი. მუნო იელო, სახელად ქანქანჯიელო, მაგე ლოგინი, ქვა სასთაული. მარიამ დედა იჯდა შარაზედა, იცინოდა, თქანთქარებდა. ჩამოიარა იესო ქრისტემ, ჰკითხა, რას იცინი, რას თქანთქარებ? — მას ვიცინი, მას ვთანთქარებ, მორჩა ღვთისა ძალითა.

91. ლოცვა მუნისა

მუნი ხენიდა ყანასაო, ყანა ნათუძვარასაო, მგელი ხარათაო, გველი ამპოურათაო. გაწყდა გველი, გახტნა მგელი. ღმერთო, ამოაგდე მუნი გვარათაო!

92. მუნისა (მღიერისა)

სახელითა მამისა, ძისა, სულისა წმიდისათა, არიანისა მთაზედაო, ქრისტემ დაკლა თეთრი ხარი, იწვია ყოველი სული, მღერმა უთხრა, მე რათ არ მიწვიე? შენ მათ არ გიწვიე, ჩახვალ ადამიანის ტანში სისხლის სასმელად, ძვალის სატკვერად, რბილის საქმელად. არა, მამამ იცის და ძემ იცის, არ ჩავიდე ადამიანის ტანში არც სისხლის სასმელად, არც ძვალის სატკვერად. აფყვავდები ვარდივით, გაეხმები ქერის ფხასავით, ჩამოცვივინდები ქერის ქატოსავით. ღმერთო, არგე ლოცვა, ესე ჩვენი. ამინ.

ამ დროს წოუსობენ გოგირდს მარგიმუშკს (თავეის შაქარს) და სხვა ბალახის წამლებს დანაყილს და ძმარში მოზეილს.

93. მუნის ლოცვა

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ. მუნო იელო, იელო, უსახლკარო და მშვიერო, მუნი ხნამდა ჭალასა, უდაბურსა ალაგსა, მგელი ება ხარათა, გველი აპეურათა. გველი გაწყდა, ჩამოვარდა, მუნი ამოვარდა ძირითა და ფესვიცა.

94. მუნის წამალი

უნდა თოფის წამალი, უმარილო ღორის ქონი, წამოდულოთ და ცხელ-ცხელი წაესვას, ცეცხლი უცხუნოს და მერე ქათოთი შეიმშრალოს, შემდეგ ზღმარტლის კენწერი და იელი მოხარშეთ და იმაში იბანოს, მეორეთ კიდევ ის წამალი წაუსვას და განიმეორებთ აბანოს და მესამე წასმით მუნი მორჩება.

95. ცოფიანის შელოცვა და წამალი

თუ ცოფიანმა ძაღლმა უკბინოს, მაშინვე ის ადგილი ამოსჰერ. პირიდგან სასაქმებელი მიეცი, ან, იაკობოჲ მიწას ეძახიან, ის დააღევინე. თუ ის არ იყოს, ცოფის ჭია რომ არის, ბუზი, ორ-ორი დაჩეჩქვე წყალში უთაოები და გაწურე. დააღევინე და მორჩება; ლეკვებს დააყრევინებს და ორმოცს დღეს ყოველთვის ეს ლოცვა პურის ნატეხებზე დაწერე და ჭამოს. ყოველს დილას ერთს ნატეხზედ აქასა, მეორეზე ბაქასა, მესამეზე, — საბაქასა და თუ იშოვნო გარიელის ზორცს აჭმევდე და იმის წვენს ასმევდე.

წამლობაში უშვილოსნობისათვის არის (იქნება კაცის ბრალია უშვილობა, კაცმა იწამლოს. რიგიან ისე უნდა შეატყო, რომლის ბრალია — ორ ჭურჭელში მოწა ჩაყარე და დასთესე ქერი და იქელი ზორბალი) დანიშნე და ყოველს დილას ერთი კაცის შარდით და მეორე დედაკაცის შარდით მორწყე. ვინ ამალორძინდეს და რომელიც არ აღორძინდება, იმისია და იმას უწამლეთ.

96. წყლისა

ქალის ძუძუს ტკივილის შელოცვა

წყლისა აღმართო, წყლისა დაღმართო! მოდის სამი დანი,
ერთსა ქვია ანგელოზი, მეორეს კანკარა, მესამეს გაჭრისა ხარი.

97. შელოცვა ცხვირში სისხლის დენისა

ძმამ ძმა მოკლა — კაინმა აბელი, სისხლო, გეყოფა ამდენი დენა.

98. შელოცვა ცხვირში სისხლის წასკდომისა

ძმამან ძმა მოკლა, კაინმა აბელი. სისხლო, გეყოფა მაგდენი ნადენი.

ეს უნდა დაწეროს იმ სისხლითვე ქალალზე სამჯერ და უნდა შემოაქრა
შებლზედ სამ დღეს და სამ ღამეს.

99. ცხვირის ტაბასტის წამალი

ცხვირიდგან ტაბასტა დაემართოს კაცსა თუ ქალსა, გასაღებები
უნდა კისერზე დაჰკიდოს და შესწყდება. თუ იმანაც არ არგოს,
ცხვირში მელანი შესცხეთ და შესწყვიტავს.

100. ლოცვა სნეულისა

რაც უნდა სნეულობა იყვეს: სახელითა მამისათა და ძისათა და
სულისა წმინდისათა. სანთე ახსოვანთა ფოფნოთე ერხონეთე აღსუ-
ბუნქონოთე, ანზა შოფჩანლო, ვილოცამთ, ღმერთი განკურნამს, ამინ,

101. სუკის ნაღრძობის და ნეკნის ლოცვა

სახელითა მამისათა და ძისათა, სულისა წმინდისათა. ამინ. ადამ
დაეცა, სუკი იერთო, კრავმა დაიბღავლა, ლახვარმა ღვთისამა, სა-
მოცდასამის დღისამა. შვიდი ფიქანი (ფიქალნი?) ცისანი, შვიდი
ლერწამნი ზღვისანი, სისხლო, სისხლის ალაგასა, ძარღვო, ძარღვის
ალაგასა! ღმერთო, შენ დასწერე შენი ჭვარი.

მწვანე მინდორსა მწვანე ხე იდგა.

მწვანე ფრინველის ბუდეს იდგამდა,

უნელოთ შეველ, უფეხოთ ჩაძოველ,
უცეცხოთ შევწვი, უპიროთ შევქამე.
გორველა იგორებდა, ნაღრძობი მთელდებოდა.
ღმერთო, შენ დასწერე შენი ჭვარი!

102. წყალში ამოყოლილის ღოცვა

ურია ხარ, თათარი ხარ, რა რჯული ხარ, ედომაში მოხვითი, სიარულში მოხვითი, სიცილში მოხვითი, ხუმრობაში მოხვითი, გავლაში მოხვითი... რა დროს მოხვითი, იმ დროს გვეყარე, რაჯამს მოხვითი, იმ ეამს გვეყარე!

ამის (სახელი) მონახლომ სხვას (ამ სახელის მსგავსს) შეეყარე, (სამჯერ). დედათქვენი დაგეძებს, მამათქვენი დაგეძებს, ხარი დაუკლავენ, თავი და ფეხი შეუნახავენ, დატირიან, დაჟივიან: შეილი რეიქნა ჩემი?

გუუშვი, თვარა არც მე გაგიშობი (სამჯერ).

ამის მონახლომი მოცეცემს (მონახლომს ქვია) ცოლია (სამჯერ).

103. შელოცვა ბატონების მუცელასი და სენიას

სახელრთა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ. ესე ქრისტეს ბრძანებითა და ივანე ნათლისმცემელითა და მიქელ-გაბრიელისა წინა მოძღვრებითა მოვედით ჩვენ, ქვეყანასა და მოგეცით შენ აზატობის წიგნი, ასე, რომ, არა გინდოდეს ჩვენგან და არცა ჩვენიანობისაგან ნიშანი და სახელები ეს არის ჩვენი ქართველებისა ბარდა, ბაზარალნა ყიერება, ბალანჯ მერა, კიროფონტნეე, მოვონ თერარეე, იხსენით ამ ბატონებისაგან, სენობისაგან, ყოვლის კირისაგან.

104. კბილის ტკივილის შელოცვა

სახელი ღეთისა, მამისა, ძისა, სულისა წმინდისა. წმინდაე გიორგიე ზღვისაო, ნუ ამატკივებ კბილსაო, ოთხშაბათ-პარასკეობით არსად მოვიქრი ფჩხილსაო, არცა შევქამ შევ ბოლოკსა, არცა ბერძნულსა თხილსაო. ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჭვარი!

105. ტყირპის შელოცვა

ცულის პირი უნდა მიიტანოს ტყირპთანა და ესე უთხრას:
სახელი ღვთისა, მამისა, ძისა, სულისა წმინდისა.
სამსა მამლის ყივილსა, სამჯერ სახელოო ღვთისაო,
ტყირპო, გაქრი და გაწყალდი, ბრძანება არის ღვთისაო.
ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი.

106. ტყირპის ლოცვა

სახელო სახელითა მამისათა და ძისათა, სულისა წმინდისათა.
პირველი მამლის ყივილსა სამჯერ, სახელო ხვთისაო. ტყირპო,
კენებოდე, დნებოდე, ბძანება არის მღვთისაო. ტყირპო, ასრე დნე-
ბოდე, ვითარ მარლი წყალში. რა არის შენი წამალი? უცეცხლო
თაფლი, ცხრა მარლის კენიტი, წყალში ჩააგდე, პურს შეულოცე.
პური ძაღლს შეაჭამე. წაუსვი უცეცხლო თაფლი ცხარე ოტკით.
დაადე. ეს არის იმისი წამალი.

107. მატლის შელოცვა

მატლი თუ გაუჩნდა დაშავებულს

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ.
მოდოდო უძვლო, უთმო, თმიანსა და ძვლიანსა სჭამდა. რა არის
მისი წამალი? სამჯერ შეულოცე მრავალძარღვას ძირზედ. და ის
მრავალძარღვა მოჭერი, იმ ამოჭრლზე მარლი დააყარე და ის მა-
რილდაყრილიც ისევ ამოსჭერი და გადააგდე. მატლო, ისე შენ იხა-
რე (მხრისა ან კაცის სახელი, ივანეს) ჯანში, როგორც ამ მოჭრილმა
მრავალძარღვამ იხაროს. ღმერთო, შენ დასწერე შენი ჯვარი.

მეწაში ამოსულ მრავალძარღვას იპოენიან და ლოცვის დროს მოსჭრიან
ფოთლის ძირში სულ თითქმის მიწამდის, მარის შოაყრიან, მერე კიდევ
ამოჭრიან და მარის შოაყრიან. მერმე მესამეთ და მარისაც დააყრიან,
პირუტყვი თუ ადამიანი უნდა იყოს შორს.

108. თიაქრის ლოცვა

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ.
ერთიკელა, ბურბუშელა, ყავარჯენა. ისარი მქონდა ლერწმისა, მოვ-
წიე, წიკპურტი უყავ, იმერეთ თავი გაღუყავ. იმერეთ კოშკი მაღალი,

დერეფან დაკავებული, ციცა გამოძერა რქიანი, კამეჩი მონაგრიანი, ძალი მყავდა, აუშვი, თავდაღმართზედ დაუშვი. დაწყევლილო თი-ქარო, ეს ყმაწვილი გაუშვი. ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი!

109. ქაჩლის ლოცვა

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ. ქრისტე ღმერთმა ხარი დაკლა, ყველა მუწუჯი იწვია, ქაჩალა კი არ იწვია. ქაჩალმა უთხრა: მე რატომ აღარ მიწვიე? შენ იმისათვის არ გიწვევ, შეხვალ კაცის თავში, აღუღლები, აბუხლები! არა, მამამან, ძემან სულმა წმინდამან, არცა ავღუღლები, არცა ავბუხლები, გავხმე წივასავითა, ჩამოვცვინდე ქათოსავითა! — ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი!

110. გულზე დამდგარისა

ლოცვა ქალსა და ვაჟსა გულსა რო დაუზღუნ:

პეტრემ უთხრა პაელესა, რათ არა სქამ პურსა?
მათ არა ვქამ პურსა, ლუკმა მადგა გულსა.
ორსა სამსა დილასა ხელი ჩახკარ გულსა.
ჩაყლაპე ქორივითა, მაინელე ღორივითა.

111. ბნედიანის წამალი

ბნედამ რო მოუაროს სულა მოუაროს და დაეცეს იმავე ალაგსა. მოიყვანე შავი მამლაყუჩა, ყელში ცოტა სისხლი გამოადინე, სულ ნუ გამოსჭირი ყელსა, ის სისხლი იმ ადამიანს კოქიკურის ალაგი მოჰპარსე ჯვარედინათ, აუცერ და შიგ ის მამლიყუჩის სისხლი ჩაუსვი. სადაც დაეცა, ის ადგილი მოსთხარე. ის ცოცხალ-მკვდარი მამლიყუჩი ახალ უხმარებელ ქოთანში ჩასვი, იმ მოთხრილ ალაგში ქოთნიანათ პირქვე მოაშვე შუა ალაგასა. ის მოთხრილი ალაგი იმ ადამიანის სიგძე უნდა იყვეს. მოიღე ასკილი ადამიანის სიგძე და ჯვარედინათ ქოთანს ზეიდან (დაადე). ჯვარედინათ მოთხრილში ოთხივ თავები ასკილისა მიწაზედ დაალუსმე. იმ ადგილს ისევე მიწა მიაყარე, გაასწორე და ის ავანტყოფი ზედ დააწვინე და კოქიკურის ნაპარსი თმა და კაცის ძვალი უხრჩოლე მალ-მალ.

112. ლოცვა მეჭეკისა

სახელითა მამისათა და წმინდისა სულისათა. მეჭეკმა უთხრა მთვარესა, მე გჯობივარ შენა. მზემ ჩაჰკრა თავშია, ჩააძვრინა ძირითა.

ახალ მთვარეზე უნდა შეულოცოს.

113. ცოფისა

ჰერე-ბერე, სერე-სერე, ავთელო, კავთელო, ქრისტევ, შენ ხარ წამალ ცოფისა!

114. საყმაწვილოსაგან ხორცის წითლად დასივების ლოცვა

უფალმა თეთრი ფურბერწი დაკლა, რათ არ მეწვიე კარგის თავო?

— მათ არ გეწვიე, დევიარები ზღვით ზღვამდე.

წამალს ვკრეფდი სისიენისა სიმტკივნისასა, კარგის თავისა და საყმაწვილოსასა.

მე და საყტრის ხუცესი წავედით მთასა,

ვეძებდით ნადირის კვალსა. კვალი ვერა ვნახეთ ნადირის,

კვალი ვნახე ზნისა და ქარებისა. ზნეო და ქარებო,

რას გადაცელილხართ, რას გადაჰრილხართ,

თქვენი ალაგი იქ არი, ზღვის პირსა და ჩალის პირსა.

ქრისტეს ანთებულს სანთელს მოგართმევ.

გადავაქარებ, გადავანიავებ მაგ თქვენ კირსა, სატკივარსა.

115. შელოცვა ნაღძობისა

ევა დაეცა, რამ დაუშავა? ვერძმა წიხლი კრა, იმან დაუშავა. სამი წლის ცხვარმა მოიჭამა, სამი დილის კრავმა მოილოკაო ნაღძობი.

116. შელოცვა ნაღძობისა

ევა დაეცა, რამ დაუშავა? ვერზმა წიხლი ჰკრა, იმან დაუშავა. სამი წლის ცხვარმა მოიჭამაო, სამი დღის კრავმა მოილოკაო. ნაღძობის წამალი ჩვენი ლოცვა, ნიგვზის ბაჟი (კულამსაზარი).

117. საკვირველების ნახვა

ვისაც რომ გინდოდეთ ან რაც გინდა ნახო, მოიტანე კლდის ჭო-
ჭო, დაწვი, დანაცრე და გასცერ, ზეთში აურიე და აანთე. რაც გინდა
სასურველი, იმაში ნახავ.



ისაკისა კათხა ჭვარი, სამივე ვალი მივი ისაკისა იდგა, გამეიარა
სამმა უცხ ფრინველმა, ყვითელმა ყვითელი წეილო, წითელმა წითე-
ლი წეილო, შავმა შავი დატოვა მშვიდობით.

118. გველის შელოცვა თუ სადმე შეგზვდა

გველო, ესტატო, მესტატო,
მისტი ოსტი საქორგულო,
გაჩერდი და ხმას არ გაგცემ.

119. შელოცვა გველისა

ხელში უნდა გეჭიროს თხილის ჭოხი

ჭიი, ჭიი, ჭიკმანაჭი, ჩსპანახი და ჩანახი,
მოთრილო ჭოხო, მოშეშდი, მოგველო, მოულაღლაღდი.

120. დასუნულის ლოცვა

შავი, შავი, შამანია, შავი გველი ვეშაპია,
მისი დედა ანჩახია. ცოციალა მოდიოდა, ყავარჯნიანი კაცი უკან
მოსდევდა.

გველი ფხასა ხელი სტაცა, გადააცვა თავარასა
სამი კუტალი წყალია, ოქროს ტაბაკზე სწერია,
რომ დალაოს, მოუხთეს, დასუნული მოხდომია.

121. გველის ნაკბენის წამალი [კარაბადინიდან]

ვისაც გველმან უკბინოს და უცებ მოციქული მოვიდეს, ხმა არ
უნდა გასცეს და არც ხმა ამოიღოს. ნიშნით შეატყობინოს ლოცვა.
ლოცვა ჰურკელზედ უნდა დაწეროს და წყალი მოავლოს და დააღე-
ვინოს და სადაც უკბენია იმ ადგილზე იმ კაცს წაუსვამს. იმ წყლისა-
გან წაუსვამენ და იქ ის ნაკბენი მორჩება. ეს გამოცდილია, თვით მე
გამომიციდია, ადამის ლოცვას ეძახიან.

122. გველის შელოცვა

სამჯერ ესე უნდა უთხრას:

წიი, წიი, მამალო, ისპანახო, ვანო, კოლოვ, შე წითელო, კაბა მაცვია
ყვითელი, ხელთ მიჭირავს ურზნის ჯოხი, გველის საწყაპებელი!

123. ნათვალევის წამალი

წითელი ვაშლის ბოლო, შავმბალაის ბოლო მოსკრა უნდა პირ-
ველ მაისს, იმისთანა ადგილზე, რომ მამლის ყვილი არ მოისმას.
ბოლოები ვაშლისა და მბალისა დაფხეკე, ტახის კპილი, წითელი
ღორის ფიყუაი, წესის ანაგები სანთელი, საკმეველი წესის ანაგები.
გამოხვიე სანთელში. ეს არის ნათვალევის წამალი.

• •

ფულუის ფეხი.

• •

სხვადასხვა გვარის 12 კომლის ძაღლის და კატის ბალანი.

• •

ამ წამლების შემზადების დროს ლოცვა:

სახელისა მხეთისა, მამისა ძისა, სულისა წმინდისა, ლოცვა ნათ-
ვალევისა, მიმავალისა — მომავალისა, შინაურისა, გარეულისა, ქა-
ლის იყოს თუ კაცისა, თეთრისა თუ ფერვანისა, შავისა შავგრემანისა,
რომელმან ავი თვალით შეხედოს, თვალით მანყენარს თვალი
დაუდგეს. ავი გულისასა გული ჩააგდებზე. ეგერ მივა წითელი წყა-
ლი, მას მოყავს წითელი ცხენი, წითელი უნაგირით განყობილი.
ღრძნეულმა და მანყენარმა უკპილოთ შექამა და უნდულროთ მო-
ხარშა. აი, წმინდაო გიორგი, შენი გაჩენილია. არგე ლოცვა ჩემი.
ბრძანება შენი.

124. გათვალულის, გაბზაკულის, ნათვალევის ლოცვა

სახელისა ღვთისა, მამისა ძისა, სახელისა წმინდისა. მე გილოცამ
და გერგება ბრძანებითა ღვთისა. ულოცამ ყოველი ნათვალავისა,

გაზაკულისა, შინაურისა, გარეულისა, სტუმრისა, მასპინძლისა, რეგ-
ვნისა, ბრძენისა, თმაშაფისა, თმაჭრელისა, აზნაურისა, გლეხისა,
თავადისა. მოვიდოდა შავი წყალი, მას მოქონებია შავი გველი.
ჩავეყე ყავარჩენი, ამოვიღე შავი გველი, მივკიდე ბარდისა ეკალსა.
იგი ღრებოდა და კცნებოდა. გაქარდებოდა ამისა (სახელი) ავით
თვალთ შემხედავი. იქდა დედა მარიამი კარსა სამოთხისა, ქსოვდა
ქსელსა ზეწეულისა. მივიდა ქალი, ჩაჰუაგდო მხარი. რას ტირი,
დედაო მარიამ, რას სტირი, რას მოგიკუთებია? ვქსოვდი ჭრელსა ზე-
წეულსა. ადექი, დედაო მარიამ, ნაკვერჩხალს წყალი გადაარე. ცე-
ცხლი დეიშება, წყალი დეიქევა, ავ თვალთანს თვალი დეემსება,
ავ სულიანს სული ამოხდება, ავ გულიანს გული ჩავარდება.
თვალსა ნაცარი, გულსა ლახვარი, კუპრი აღუღებული, ქვა გახურე-
ბული, ასკილის კაკალი, გასტყდა და მოხვდა ღლიავში. გამოურბინა
ყიაში. დასწერე, ღმერთო ჭვარი. შენ არგე ლოცვა ჩემი, ბრძანებითა
შენითა.

125. ყელმოსრებულის ლოცვა

სახელისა ღეთისა, მამისა, ძისა, სულისა წმინდისა. ლოცვა ყელ-
მოსრებულისა. პეტრე, პავლე ჭამად იქდა წყალსა იორდანისასა. პეტ-
რემ უთხრა: რასა არ ჭამ პურსა? გულთა ყია დამემართა. კისერსა
და ყელსა გადაგისვამ ნექსა, გადავაგდებ კლდესა, სამარასა. ქრის-
ტე წირვად დგანასა. ქრისტეს წირვა შეგეწია კისერსა და ყელსა.

126. ლოცვა

ღმერთმა აცოცხლოს ისა, ვისა გული გულთან იყოს, უყვარდეს
და აქ არ იყოს.

127. წყევლა

სახლში მშობიარე გყვანდესო, კარზე მოვალე გადგესო.
კიდობანში პური არა გქონდესო, სახლი გეწეებოდესო.

128. ხევსურული ხევისბრის ზუცობა

დიდება ღმერთსავ, მაღლი ღმერთსავ, დიდება დღეს დღესინ-
დელსავ, რჯულს ქრისტიანთასავ, სამართალს ღეთისასავ, მზესავ,
მზისა მყოლს ანგელოზსავ, დიდება დიდს კვირაესავ — მაღლოს

ღვთის მოკარვესა. ღვთისაგან გამარჯვება შენდა გიორგი ნაჯარშუე-
 ნიერო! მეხვეწე კაც შეიხვეწე, შენ გადიღებს, გაგამარჯვებს რჯუ-
 ლიან ურჯულოსა. სალოცაო, შენ მარიგე, ღმერთიე არ მოგიწყინსაჲ,
 არ გაგიძულებსაჲ, შენ მეხვეწურ კაცსაჲ შენ ნუ მიიწყენსაჲ, ჩოქ
 მამხრელსაჲ, მადლის მამთხოვსაჲ, სანთელ საწირის და სამსახურ
 მამხსენებსაჲ იმედასა¹, იმისა თავჯალაფობასაჲ, რასაც მხარზედა
 გულზედ გეძახდასაჲ, იმაზედ გაუგონიდიე, რასაც წყალობას გეთხო-
 ვებოდესაჲ ეს წყალობა უბოძიდიე, შენ კაბის კალთა დაუფარიდიე
 ლალის მტრისადა, მწარის სიკვდილისადა. ამისაღ შემოქცეული ლალ
 მტერი. მწარე სიკვდილი შენ შეუქცივიდი, გზა უკუღმა მაუქცივიდი.
 ძალო ღვთისაო, მადლო სამწირველისაო, ლოცვაო სახარებისაო.
 დღეს ღირსა ხსნილობა იყოს, ჯვარისა კურთხეულობა. კურთხეულ-
 თამცა ღმერთია უფალი აზდა მარადისა. ამინ! წმინდაო, ყოლო
 წმინდაო, ძრიელო უკვდავებისაო, შეგვიწყალნა ჩვენ ყოველნი სა-
 მებაჲა მწინდაჲა, გვაცხოვნა და გვაკურთხენა. განგულოვბაო
 გავედრია სული ჩვენი, შენ, მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა
 აგრე ქვენათაშოა, მოგვიშვი და მოგვიტევე პური შენი არსობისა,
 რაც უფალმან მოგვიტანა. ნუ შეგვიყუან ქართა ძნელთა სატო, ხა-
 ტო მეუფეო, ჩვენ გადიღებთ შენ, გვიხსენი თვალნი, მალა არიან
 მადლისა ღვთისანი, წმინდისა ღვთისმშობლისანი, ხატისა მაცხოვრი-
 სანი! მათა მოსწევია აჲ კაცთა მდიდართ მცხრეშალთ ამპარტიონთა,
 მათა გვიხსენ. ღმერთო ჩვენო, თვალნი შენნი მცრემალნია, ფეხნი
 ბირკოლებისაჲენ. სათნო მავიდა ყოველთა სათნო წინათა ცხოელთ
 ყოველნი არინა და გამწყრუელოებით არიან და გამოვიდეს, გამო-
 აცხადეს თუ რამ რა იყო ბნელეთშია, ბერნი უძღურნი, ხორცი
 უფლისანი, სისხლნი მაცხოვრისანი მობრძანდესად მოლალადდეს.
 რომელი იყოვა რომელმა გარმონამზადე წვიმა ქვეყანათაზედ,
 თქვენია დღე და თქვენია ღამე, თქვენ დაამკვიდრეთ ნათელი, ბნელი,
 თქვენ აგიაროსთ ყოველმა ერმან. უფალო, აკურთხე წინ დადებუ-
 ლი ხუთი ხუთთაპურითა, რომელთა ხუთათასნი დაძლნა. მან მისითა
 ნეშტითა თთორშეტნი ავსნა, უფალო აკურთხე პური მართალი ესე,
 რომელი სამნი მანანი ყრმანი ისხდეს, სვემდეს და ჭამდეს, მაგათა
 არა შერგინებოდა ბაღდა. დახვრეს, დაუარეს არა ღამეს, დასთხიეს
 ხორცი მით, სისხლი მისავათა, არც მხალივით, პირველათ ჩაქვნის
 ანგელოზნია ასერებით აქერებით, თვით ფიცით თარგმანისაით. მარ-

¹ კაცის სახელია.

თლის შაქმედო უფალო, მოგვანიჭე. ღმერთო, გვიწყალენ მახვილითა შენით, მანყალებით ახარე წელი უხარწელი, უხარწელი წერილთა. ზეცით ტრედი გარდაჰოხდებოდა ეგ სიხარულსა მოიტყოდა. თქვენ ჩემნო ძმანო, მტკიცენო, მტკიცედ იყვენით სიონისანო. მე სახელსა თქვენსა ეღმატობდი, უფალ რასაკვირველია, არც ცუდად შრომა ჩემი იყო რა, უფალ, რასაკვირველია, შენთა სახლთა შვენოდა გზათა სიგრძე და სიწმინდე. წინა წინა სანთელი გაბრიელ მახარობელი, მეორე სანთელი ივანე ნათლისა მცემელი, მესამე სანთელი მხამობელი მგალობელი, მამა მაგათი მაკარის პატარუკნი, შეუშრეტელნი, ზღუდენი შეუჩყველნი. ადე ადამ და ევა ლელუა წირვა ეამისა, ამაღლდა ძალი ჭვარითა.

120. ლოცვანი ხევსურთა

დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება და გამარჯვება შენდა! რაც ლეთის დანაბადებს, — გვხვეწები შენ შენის ბატონობისაგან, შენ მორიგე ღმერთი არ მოგიწყენს — შენს მეხვეწურს, ჩოქის მომყრელს, მადლის მომთხოველსა, შენც ნუ მაიწყენ, ნუ მაიძულე. რა რომ გულზე და მხარზედ გიძახებდეს, იმაზე გაუგონე. შენ შენის ბატონობის, შენ შენი მორიგე ღმერთი არ მოგიწყენს მეხვეწურსა, ჩოქის მომყრელს, მადლის მომთხოველს.

II

ველთ გასულს გიძახებდეს, შეიხვეწე, მგზავრობა მშვიდობისა მიე, ავდარს გაუდარე, ლაღს მტერთან ჩაუფარე, მიწრიელ დაულაგმე, შინ მშვიდობით მაიყვანე. თუ რამ გამოვიდოდეს, ლეთის კარზედ გამოშვებული ღვთისიასაული ხორციელთ ბეგრებდეს, ყალანს ზიდევდეს, მაგის ყუდროს ნუ მაჰკერძებ, სხვა ყუდრო ალაგს მიასწავლე. შენ შენის ბატონობის მოხრილი ჩოქი, მოთხოვნილი მადლი. რაც მხარზედ და გულზედ გიძახებდეს კაცისა, საქონლისა მეხვეწური, ნაშვრალ ნაწმუშავარის მეშველი მწყალობელიც იყავი.

III

სამკდრო ლოცვა

ღმერთო, დიდება შენდა! ღმერთო, მადლი შენდა! ღმერთო, დიდებისა და მადლის მეტი შენ არა მოგეხსენება რა. შენგანაა გაჩე-

ნილი ყოველი სამართალი, ხვეწება კაცისა, ბარება სულისა. ღმერთო, იურვე, იხოიშნე; ღმერთო, რაც დაკლებია, ნულარას დააკლებ; ღმერთო, დაცემული აღადგინე, ატირდომილი გააცინე. საცა ქრისტე პურობს, საცა ანგელოზი ჟამობს, ცოდვიანი ნანობსო, მადლიანი გაისვენებს. შამოვიდა ანგელოზი ფეხითა ქრისტესითა, ქრისტეო, დასწერე ჭვარი სულს ამას და სუფრას იმას. ცაო ქერებისაო, ღრუბელო ნათლისაო, სხვათა არ მასწავებელო, დედაო დედის მეღფისაო, ალაღად და მთავრად აცხონე სული მისა, ვისიცი სახელედების, სანთელ ენთების.

IV

ქორწინების ლოცვა

ღმერთო, გეხვეწები, ცარგვლის გამჩენო, ოქროს ტახტის დამგდმელო, სანთელ გვირგვინის გამჩენო! გეხვეწები იესო ქრისტესა, ცოლ-ქმრობის გამჩენსა, ერთმანეთს შეაბერე, ბედიანი ჰქენ, დოვლათიანი.

180. სხვადასხვა შელოცვა

შელოცვა ერთი უძველესთაგანი ფორმაა ხალხურ სიტყვიერების ნაწარმოებებში. პირველყოფილი კაცი ყოველნაირს ღონისძიებას ხმარობდა უბედურების თავიდან ასაცდენად, მოსაშორებლად. ერთი ამგვარი ღონისძიებათაგანი არის შელოცვაც, რომელშიაც პირველყოფილი ცრუმორწმუნე კაცი ევედრებოდა თავის ღმერთებს — კერპებს, რომ მათ მოეშორებინათ მისთვის სხვადასხვა უბედურებანი. ჩვენს ხალხში, ქართველებში, აქამომდე დარჩენილს შელოცვებში თუ ველარ შევხვედრივართ უწინდელ ღმერთების (კერპების) სახელებს, შელოცვების შემწეობით თუ ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი ხალხის მითოლოგია, ეს იმისათვის, რომ შელოცვები ქრისტიანობას გადაუნათლავს და თავისი ბეჭედი დაუტყვია მათთვის. ეხლანდელი შელოცვა იმნაირივე ცრუმორწმუნოების ნაყოფია, როგორიც ქრისტეს სწავლის გავრცელებამდისა ყოფილა, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ უწინდელს შელოცვაში კერპებს სთხოვდნენ უბედურების მოშორებას, ეხლანდელში კი ღმერთს, სა-

მებას და ან თვითონ შემლოცველები (ვითომ) ქრისტეს შემწყობით აშორებენ შელოცვლებს უბედურებას.

მოვიყვან რამდენსამე შელოცვას, რომლებიც ღონიანთ თამარასაგან გამიგონია დაბა ყვარელში. როდესაც საქონელი ღამით ტყეში ან მინდორში დარჩება ვისმემს უპატრონოდ და შიში აქვს. რომ ნადირმა არ შეჭამოს, ასე შეულოცავენ იმ საქონელს:

ეკენია, ბეკენია, ბეკსა ხატი ასვენია. ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე ცხრა კლიტუნი რკინისა; ღმერთო, შენ შაკარ, შაბეჯდე ხელი მტრისა, კბილი მგლისა, კბილი ტურისა, კლანჭი ფოცხვრისა ოთხფეხ ძროხაზედ (სახელი დაკარგული ძროხის) მიმავლისა. ამ შელოცვას სამჯერ გაიძეორებენ და თითო თქმის შემდეგ თითოჯერ გამონასკვამენ ძაფს ანუ ბაწარს. ხალხის რწმუნებით, ამ შელოცვის ძალით საქონელზედ მიმავალს ქურდს ხელები შეეკვრება, ნადირს კბილები და სანამ შელოცვის დროს გამონასკულს ძაფს ანუ ბაწარს არ გამონსნიან, ქურდს ხელები არ გაეხანება და ნადირს კბილები.

ჩვენ ხალხსა სწამს, რომ ვისაც ავი თვალითა და ავის გულით შეჰხედავენ, უბედურება რამ გადაჰხდება, და რომ ეს უბედურება ააცდინონ, თვალ-ნაკარავს ასე შეულოცავენ:

შაგილოცავ თვალისასა: შინაურისას, გარეულისას; კაცისას, დედაკაცისას; შავთვალისას, კრელთვალისას; წითურისას, მოყვითურისას; ტანდაბლისას, ტანმალისას; კოჭლისას, ფეხმართლისას; რჯულიანისას, ურჯულოსას— ყოველი ავი მეთვალყურისას. იჯდა დედა მარიამი, ქსელსა ჰქსელდა კანაფისასა, ბადესა ჰქსოვდა ძოწეულისასა; ჩამოიარა ავთვალმა, აყვბამ, ჩაუკრა ხელი, ჩაუწყვიტა ქსელი. ჩამოიარა ურით ქრისტემ: რას ტირი, დედავ, მარიამ, რას ჩივი? — როგორ რას ვტირი, როგორ რას ვჩივი! ქსელსა ვქსელავდი კანაფისასა, ბადესა ვქსოვდი ძოწეულისასა, ჩამოიარა ავთვალმა, აყვბამ, ავგულმა, ჩამიკრა ხელი, ჩამიწყვიტა ქსელი. ვინც ავი თვალითა და ავი გულით კაცსა შეჰხედოს, თვალში ნაცარი და გულში ლახვარი, თავიღამ მეხი და ბოლოღამ ცეცხლი. გაჰსქდა თვალის კაკალი ავისა მეთვალურსა!

ჩვენს ხალხსა სწამს, რომ ხშირად მოუნათლავ ყმაწვილებს ეშმაკები ეპატრონებიან და ღამ-ღამობით თავში სცემენ. რომ მაცდურს აღარა ჰქონდეს ყმაწვილზედ მოქმედება, ასე ულოცავენ:

ვიყავით სამნი ძმანი, სამებოძ ძალისანი: კეროზ, კუროზ,

კერასტინე. გავედით მთასა, ვნადირობდით და ვერ ვიპოვეთ კვალი ნადირისა; ვიპოვეთ კვალი ალისა და ეშმაკისა; იჭდა კლდის ძირსა, კანკურაზს შიგნით. ეუპყარით ბადე დიდი, დავიჭირეთ იგი ხელთა ჩვენთა! მას ესხა თმანი გიშრისანი, კბილნი რვილისანი, წვივნი ჭიქისანი. კეროზ სთქვა: მოვაკვეთოთ ალსა თმანი გიშრისანი! კუროზ სთქვა: დავაყრევიხოთ ალსა კბილნი რვილისანი; კერასტინემ სთქვა: დავალეწოთ ალსა წვივნი ჭიქისანი. მიუგო მათ აღმა და ეშმაკმა: სამნო ძმანო, სამებისა ძალისანო, კეროზ, კუროზ, კეროსტინეე, ნუ მომკვეთათ თმათა ჩემთა გიშრისათა, ნურცა დამაყრევინებთ კბილთა ჩემთა რვილისათა, ნურცა დამალეწავთ წვივთა ჩემთა ჭიქისათა! სადაც იხსენებოდეს სახელი ლეთისა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა, იქ ჩვენ არ მივახლოვდეთ არცა ას მილიონზედა, თუმც მივიდეთ, საჩქაროდ გავშორდეთ და არა ვამზნოთ რა ჩვენ ადამიანის სულსა!

ჩემგნით შეკრებილს შელოცვებში ქრისტიანულს ლოცვებთან უფრო ახლოა შენაარსით ლოცა ძილის მიმცემისა და შიშისა, თუმცა არც ეს შელოცვა სრულებით განწმენდილი ცრუმორწმუნოებისაგან. ამ შელოცვაში სული წმიდას და კეთილს ანგელოზს მავნე მოქმედებასაც აწერს ხალხი და საკეთილოსაც. ამ შელოცვის პირველი ნახევარი შესაძლებელია რომელიმე ქრისტიანული ლოცვისაგან იყოს ხალხისაგან თავისებურად გადაცვლილი, აი ეს შელოცვა:

ივანეო ღამისავ, მომცემლო ძილისავ! ძილი მიე მძინარესა და გონება მღვიძარესა! № (სახელი)-სა სძინავ, ქრისტე ჰფარავს. სულო წმინდავ რა გინდა? შენ ქრისტესი ხარ, ქრისტე შენია, ქრისტეს ბეჰდითა დაბეჰდილი ხარ; მამა გაცვია, ძე გარტყია, სული წმიდა გარეჰოსსია, ოთხო თაო სახარებისანო: მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე! საცა თქვენი სახსენებელი იხსენებოდეს — ყოველი მავნე გაქრებოდეს! ჭვარი გეჭირა ჭვარითა, სამებისა ძალითა, ჭვარი გწყალობს ჭვარცმული, ვერას გაცდენს მაცდური, გწყალობს წმინდა გიორგი, ჭვარი პატიოსანი; დაქწეები, დაგეძინება, პირჭვარი დაგეწერება. ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი, მიქელ-გაბრიელ, მთავარ ანგელოზ დასხდებიან, ღაღადობენ: უფალო, მოგვე ბადიელისა ბორკილი რკინისა, შევკრათ, შავებქდოთ მოარული ღამისა, მაკლებელი

ძილისა... რა იყო, რამ შაგაშინა?! დედამ შაგაშინა თუ მამამ შაგაშინა, ძმამ შაგაშინა თუ დამ შაგაშინა, ცისურმა შაგაშინა თუ დედამიწის გრგვინვამ, ავმა ანგელოზმა შაგაშინა თუ კარგმა ანგელოზმა, — რაჟამც შაგაშინა, გამოდი, გამოჰყე ჩემსა ლოცვასა, თორე შამოგისევ იასაულებსა, გამოგიტან რკინის მარწუხითა, დაგდებ სიძსა ქვაზედა, თავს დაგკრავ შავტარა დანას — ბოლომდინ გაგატან, ბოლოს დაგკრავ, თავამდინ გაგაპობ! — არა, ღვერთმან იცის, გამოვალ ჩემი ნებითა, წაველ და დავიკარგები; არ მეყურებოდეს ძალღის ყეფა. არ მეყურებოდეს მამღის ყივილი, არ მეყურებოდეს ადამიანის ხმა, მივეციემი წყალსა ნდინარესა, როგორც ხარი სკამს თივასა, თეთრი ქორი ქანდარასა, ქათამი საბუღარსა. გულო, ჩაჯექ ბუღეში, გულო, ნუ გეშინიან!

მართალია, შელოცვა ცრუმორწმუნეობის ნაყოფია, მაგრამ გაუნათლებელ — მდაბიო ხალხზედ კი დიდი ფსიქოლოგიური ზემოქმედება აქვს. ასე რომ არ იყოს, ხომ შელოცვები სრულიათაც აღარ დარჩებოდა ჩვენს ხალხში. აი, ვსთქვათ, გლეხკაცს ყმაწვილი აუტირდა, ტირილის ნამდვილი მიზეზი ვერ უპოვა, ვერ დააჩუმა და ამბობს: უთუოდ შეაშინა რამემ და ან თვალი ჰკრა ვინმემო, ეძახის შემლოცველს, რომელიც ცდილობს ყმაწვილი რითიმე გაართოს და დააჩუმოს. შემლოცველმა თუნდა სხვა ღონისძიებას არ მიჰპართოს ყმაწვილის დასაჩუმებლად, შელოცვითაც დააჩუმებს. აი როგორ: შემლოცველი ჩვეულებისამებრ აიღებს შავტარა დანასა და ნახშირს ხელში, მივა მტირალს ყმაწვილთან და შეეშინებულის ან ავითვალის ლოცვის თქმით სწერს მას პირჯვარს, ამითი ყმაწვილი ერთობა და ჩუმდება, ჩუმდება იმეტომ კი არა, რომ ლოცვამ გასკრა მასზედ, არა, შემლოცველს რომ არ შეელოცნა და ისე ტყუილად ებუტბუტნა და დანა-ნახშირით პირჯვარი ეწერა მისთვის, თუნდ ისე იქათ-იქით ექნია ხელი მტირალს ყმაწვილთან, ყმაწვილი მაინც გაერთობოდა და დაჩუმდებოდა.

მშიშარა მოზრდილ ყმაწვილს ანუ კაცს შემლოცველი უყმურისას ულოცავს და თან არწმუნებს: ეხლა ალი და ეშმაკი ველარ მოგიახლოვდება, და თუნდა მოგიახლოვდეს, შენზედ არავითარი ძალა არ ექნებაო. მშიშარსაც მართლა გული უმაგრდება და გულმაგრებს ხომ ილიუზიები და გალუტინაციები არ ემართებათ და მოჩვენებებს ველარა ჰხედავენ.

ჩვენებური შემლოცავეები შელოცვებთან ერთად სოფლურ მკურნალობასაც სწავლობენ. მკურნალობით ხშირად არჩენენ ავამყოფებს და მით უფრო ახალისებენ ხალხს, რომ მათ უბედურებას დროს მიჰპართონ შემლოცველებს და ეს უკანასკნელნიც ხომ გამოჩინისათვის არასოდეს არ დაჰზარდებიან მათ! თვით შელოცვებშიაც იხატება მკურნალობა. მაგ., სულდგმულს, ცოცხალ არსებას რომ წყლულში (იარაში) მატლი ჩაეხვიოს, მატლეს მოსაშორებლად თან ასე ულოცავენ:


სამნი ძმანი ისხდნენ შარა-გზასა, ჩიოდნენ, ტიროდნენ. ჩამოიარა ქრისტე ღმერთმა. — რას ჩივით, სამნო ძმანო, რას ტირით? — როგორ რას ვჩივით, როგორ რას ვტირით! კბილიანს უკბილო გვიფქვავს. რა არის ამის წამალი? — ცხრა ჭინჭრის ფოთოლი, ცხრა ატმის ფოთოლი, შავტარა დანა, შაბიამანი. გავდგი ფიცარი, გავსხეპე ისარი, მატლო ისე გასცვივდი, როგორც წყალსა ქვიშანი!

და თან წყლულზედ, სადაც მატლი აქვს ჩახვეული, ჭინჭრის ფოთოლს, ატმის ფოთოლსა და შაბიამანს ერთად დანაყილს ადებენ. ამ შემთხვევაში წამალი ჰხოცავს, აცივენებს მატლსა და არა შელოცვა. ავიღოთ კიდევ თუნდ ტყირპის ლოცვა. დამ-დამობით რომ ტყირპიანს კუჭს არ უზელდნენ და დღისით მომეტებულს არ არბენებდნენ, ხომ ცარიელი სიტყვები:

პირველსა მამლის ყვილსა სამჯერ სახელო ღვთისაო, ტყირპავ, ჰქრებოდე, ჰლხვებოდე, ილეოდე მთვარესავით ადამიანის მუცელში, ბრძანება არის ღვთისაო!

ტყირპს ვერ გააქრობენ!

ლავრენტი მათიკაშვილი.



პატრე უმიკაშვილის წერილები და ნარკვევები

1. სახალხო სიმღერებისა და ზღაპრების შეკრება

ზაფხული დადგა, და აი ჩვენი ქალაქების საზოგადოება სოფლათ გადის. რა ბევრს შეეძლო სიამოვნებასთან მრავალი სარგებლობაც შეეძინა! ვისაც რამ უსწავლია და გონება უჭრის, სოფელში რამდენს ავსა და კარგს თვალს დააკვირვებდა, რამდენს ახალს შეიტყობდა და ნახავდა, ხალხის ცხოვრებას გაიცნობდა! ოლომც კი ცოტაოდე გარჯა შეეძლოს.

ჩვენ ერთ ადვილათ გასაკეთებელ საქმეზე ვილაპარაკებთ: სახალხო სიმღერების და ზღაპრების შეკრებაზე. ამაზე ადვილი საქმე რა იქნება? ოლომც კაცმა წერა-კითხვა იცოდეს, სხვა ხომ არა დასჭირდება რა? მაგრამ ამ ადვილი საქმის უქონლობით არც ისტორია დაიწერება, არც გრამატიკა შესდგება, არც ხალხის ჭკუისა და გონების, გრძნობისა და თვითცნობის ვითარება გვეცოდინება. ხალხის სარწმუნოება, ფიქრი, სატანჯველი, სიზარული, იმედი—ხალხის ლექსებში და ზღაპრებშია გამოხატული და გაფანტული. ისტორიის, ნამდვილი ისტორიის დამწერი მარტო დამპალ ადამის-ენის წიგნებს კი არ გამოუდგება: უეჭველათ დიდის მეცადინეობით ხალხის

ცოცხალ სიტყვასაც, ესე იგი სიმღერებს და ზღაპრებსაც გადკითხავს; გრამატიკის შემდგენელმა ძალიან ბეჭითად უნდა იცოდეს ხალხის ზღაპრების და სიმღერების ენა. ენის მასწავლებელს არ შეუძლიან უიმითოთ გაუმართოს თავის მოწათფებს ენა და არ შეუძლია ჩაუნერგოს ნამდვილი, ინსტიქტით გადაქცეული სიყვარული, ღვიძლი სიყვარული და არა ზედმიყვარებული. ერთის სიტყვით, სწავლაში და სწავლებაში დიდი მასალაა ეს ხალხის ზღაპრები, სიმღერები, შაირები, არაკები, გამოცანები, შელოცვები, ანდაზები. აქ ადგილი არ არის, ამის მნიშვნელობაზე ვრცლად ვილაპარაკოთ. მხოლოდ ეს შეგვიძლია დაუმატოთ ნათქვამსა, რომ ყველა განათლებულ ხალხებში დიდის მეცადინეობით შეუკრებიან: და უბეჭდიათ ხალხის სიტყვიერების ნაწარმოებები. ევროპაში, წარჩინებულ და სახელგანთქმულ მსწავლელებს სოფელ-სოფელ უვლიათ, უწერიათ და შემდეგ დაუბეჭდიათ. რუსეთშიაც აგერ 1815 წლითგან ჰკრეფენ და ბეჭდენ მრავალ ტომებს. ასე დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხის სიტყვასა.

ჩვენში ჯერ აქამდინ არა ყოფილა რა დაბეჭდილი ოთხ ლექსს გარდა: „აღდეგ, გმირთ გმირო“ (ფირალოვის რუსულ-ქართულ ლექსიკონში), „აგრე იარე, მცხეთამდინ“ (ერისთავის „ცისკარში“, გოგებაშვილის „ბუნების კარში“), „დედაბერი და ცხოველები“ და ლექსი ავთანდილისა. და ერთხელ მეტათ, ისიც გაკვრით („კაცია ადამიანის“ გარკვევაში, 1870 წ. „დროებაში“) ჩვენს ლიტერატურაში სახალხო სიტყვიერების ნაწარმოების მნიშვნელობაზე არა ყოფილა რა. თვით ლიტერატურისათვის და ლიტერატორებისათვისაც, მეტადრე ჩვენს დროში, ამ ენის არეულ-დარეულობის ქამში, ეს საქმე დიდათ ყურადღების მიქცევის ღირსია.

როგორც სხვა ქვეყნებში აგროებენ სიმღერებსა და ზღაპრებს, ისე მოგროება ჩვენთვის ძნელი იქნება. იქ ერთი კაცი იმდენ სოფელს მოივლის და ერთ-ორ წელიწადში იმდენ სიმღერებს დასწერს, რაც აქ ათ წელიწადს გაუჭირდება კაცსა. მიზეზები ბევრია, მაგალითად, ისა, რომ კაცი ამისთანა შრომის შემდეგ დაბეჭდილის წიგნისაგან შრომის ფასს არაფრისთანას არ უნდა მოელოდეს, მაგრამ ჩვენში რამდენმამე მოიწადინოს, იქაურ ერთი კაცის შრომას ბევრათ გადაამეტებს.

აგერ რამდენიმე წელიწადია ვაგროვებ სახალხო ლექსებს, ზღაპ-

რებს ანდაზებს და სხვა. რამდენჯერმე დავაპირე დაბეჭდვა, მაგრამ კიდევ დამატება, შევსება ვამჭობინე და არცა ვნანობ. რამდენმავე უმაწვილმა მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა ჩემს შრომაში და მესამედზე მეტი იმათ ეკუთვნით. ამჟამად თითქმის 300 ნომერი სახალხო სიმღერები იქნება, 150 ანდაზა (ჩუბინოვის ქრისტომატიაში დაბეჭდილს გარდა), 60 ზღაპარი, 30 გამოცანა და ათიოდე შელოცვა, სულ ქართლ-კახეთისა, თუშ-ფშავ-ხევსურისა, არაგვისა და მონღვისაა. ორი-სამი აჭარულია, და რაჭული. იმერული, მეგრული და სვანური სრულებით არა გვაქვს. რაც არის, რომ დაბეჭდილიყო, კარგა საკმაოთ დიდი წიგნი გამოვიდოდა, მაგრამ რაკი ჩვენში წიგნის ბეჭდვა ძალიან ძნელდება, ამისათვის ის ვამჭობინე, რომ ისევ, შექლებინს დაგვარათ, შევსებით დაიბეჭდოს.

ეს შევსების სურვილია მიზეზი ამ სტატიის დაწერისა; ვთხოვ, ვისაც შეუძლია, ამ შრომაში მონაწილეობა მიიღოს. ესე იგი სახალხო ლექსები, ზღაპრები, ანდაზები და სხვანი დასწეროს და ვამომიგზავნოს. ამის დაბეჭდვას მე ვიკისრებ. ეს შეუძლიათ სხვადასხვა სასწავლებლის ქართველ მოსწავლეთ, მეტადრე მაღალკლასელებს, რადგანაც ზაფხულობით სუყველანი თითქმის სოფლებში სცხოვრობენ და თავისუფალი დროცა აქვთ. ეს შრომა თვით მოსწავლეთათვის სასარგებლო იქნება, სხვათა შორის ახლოთ გაიცნობენ ნამდვილ ქართული ენის კილოსა.

როგორ უნდა დაიწეროს ერის სიტყვიერების ნაღვაწევი და სახელდობრ, რა უნდა იწერებოდეს?

უნდა იწერებოდეს საზოგადოთ რასაც ხალხი, ესე იგი გლეხი ხალხი, სოფლის ხალხი მღერის. აქ ჩვენ ერთი შენიშვნა უნდა მოვიყვანოთ. ჩვენში ურევენ სახალხო (გლეხის, სოფლურ) სიმღერებს და ქალაქურ სიმღერებსა. ქალაქებში ჩვენი სიმღერები ან ვისგანმე მწერლისაგან არის გამოთქმული, და ან ისევ ქალაქის ამქრების მუშა ხელოსნებშია შემდგარი. აი, როგორც, მაგალითად: ალექსანდრე ჭავჭავაძის, ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილის), დავითის (ბატონიშვილისა), სტეფან ფერმანგოვის და ჩვენ უკანასკნელ დროს სკანდაროვის ლექსები, ან კიდევ ის ლექსები, როგორც ქალო ხაბარდინო, — ესეები სულ ქალაქებში არის გამოთქმული და ქალაქებში მღერიან. სიმღერის ხმა თათრული (სპარსული) სიმღერების ხმაა და ევროპიულ მუზიკაზე გადაღების დროს ძალიან უშნოთ გამოდის. ქართულ სოფლურ სიმღერას სულ სხვა კილო აქვს, ევროპიულ მუზიკაზე მშვე-

ნიერთ, ჰარმონიულათ გამოდის და ყველა სიმღერის ხმისაგან ნოტების დამწერს მშვენიერი trio შეეძლება დასწეროს იმ დროს, როდესაც ქალაქურის სიმღერისაგან ერთ ხმაზე მეტი არ შეიძლება. ხმაზე დიდი განსხვავება თვით ლექსებში და სიმღერებშია. ამიტომ ვამბობ. რომ სახალსო, საეროს ლექსებს, ზღაპრებს, სიმღერებს იმას ეძახიან, რასაც სოფლის გლეხკაცი მღერის და ამბობს. დასაწერათ ჩვენთვის საჭიროა: 1) ლექსები, რომელსაც ან მღერის რამ მუშაობის ან ლხინის დროს, ან ისე მოთქმით იტყვის; 2) ზღაპრები, გმირების ამბები, აზაკები; 3) ანდაზები, 4) შაირები, 5) შელოცვა რამ ავაღმყოფობისა, 6) ლოცვა კერპობისა ანუ ქრისტიანობის დროინდელი, რომელიც ხალხს თავისებურათ გადაუკეთებია (მაგალითად, გვალვაში „ლაზარეს“ რომ დაივლიან, ან კიდევ თუშებში რომ ლოცვა იციან სამღთოს შეწირვაზე) და 7) გამოცანაები.

რა სახით უნდა დაიწეროს ესეები? გლეხკაცს ათქმევინებთ და თქვენა სწერთ სრულათ, ისე შეუცვლელათ, როგორც გლეხი ამბობს: არც ერთი ასო არ უნდა შეიცვალოს. ზღაპრის წერა ამგვართ ცოტა ძნელია და შეიძლება მთლათ გაგონების შემდეგ თქვენ დასწეროთ, ოღომც კი დაიცვათ ხალხის ენა, საკუთარი სახელები და რაც შიგადაშიგ ლექსებია, ლექსები კი თითო-თითო სტრიქონას თქმით უნდა იწერებოდეს. ჩანოვთვალთ, სახელდობრ, ყველა, რაც უნდა:

1. ერთი და იგივე სიმღერა, ლექსი, ზღაპარი რამდენიც უნდა შეხვდეს კაცს, უნდა დასწეროს: ამიტომ რომ ბევრჯელ ზოგს თითო-ოროლა სიტყვა და ჰაზრი ან აკლია, ან სხვა არის. მაგალითად, არსენას ლექსი ათიოდე მაქვს. ამ ლექსებში ერთი ფრიად შესანიშნავი ადგილი არის, რომელიც მარტო ორში იპოვება: არსენა თელეთის გზაზე სიძე-სიდედრს ნაზუქით სავსე ხურჯინსა და ცხენს ართმევს; დედაკაცს ეუბნება არსენა, ნუ დამწყველიო, .იხიც ლოცავს:

სადაც წაბრძანდ-წამობრძანდე, არსენა, გაგმარჯვდესა!
მიღარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როდი წაგახდენსა!

ერთს ლექსს რომ დავჯერებოდით, ეს ადგილი იქნება არ გვენაბა და რამდენი უფრო ამაზე დიდი ლექსებია შიგადაშიგ გაშვებული.

2. ყველა ასო ისე უნდა იწერებოდეს, როგორც გლეხი გამოსთქვამს. ეს ძალიან საჭირო იქნება გრანატიკისათვის და მეტადრე ევროპის მსწავლულ ფილოლოგებისათვის. ის ასოები, რომელსაც

ეხლა წერაში აღარა ვხმარობთ, უეჭველად ლექსების წერის დროს უნდა იყოს ხმარებული, რადგან ის ხმები არის უ, ზ, ჟ, კ.

უ არც ვ არის, არც უ, არამედ შუათანა ხმაა, რუსულ ჩ-ს გავს; კ ძალიან მაგარი ხ არის. მაგალითად: აჭარულ ლექსებს აუშვეს მაგვრათ არის

შოუშეეს და გამეფყვანეს... ან კიდე:
გეძარა და გამოძარა,

აქ თითქოს რუსული ასო იყოთო გეძარა და გამოძარა, ანუ ვეძარა და გამოეძარა.

ხევსურულ ავთანდილის ლექსში:

ჩაილა ბურვილ ძირჩია, ცეცხლი დაანთა პრიალი;
მაქხადა, ქვედით დაიდგა თიქართო უნაგრიანი.

ამ ლექსებში სიტყვაში ჩაილა, დაანთა საკუთრველი გრამატიკული სისწორე დარჩენილა. ჩვენ ვიტყვით დასწერა, ბოლოში ა არის, სხვა ზმნაში კი ო — ჩაილო, დაანთო. ხევსურულ ლექსებში ა რჩება. ჩაილო კი არ არის — ჩაილა, დაანთო კი არ არის — დაანთა. ჩვენ ვიტყვით ძირში, ისინი ამბობენ ძირჩი. ესენი საჭიროა რომ ყველა დარჩეს.

ამას გარდა საჭიროა, რომ ხმის დაყოლება (ударение) დაცული იქნას, მეტადრე იმ ლექსებში, რომელიც ქართლ-კახეთს არ ეკუთვნის. ხმის დაყოლება ჩვენში განსაკუთრებულია სხვადასხვა ადგილებში: მაგალითად, ქართლელი და კახელი სხვარეგათ წაიკითხავს ქვემოხსენებულ ლექსსა და არაგველი ასე კითხულობს: ხმის დასაყოლებელ ნიშნის მაგიერათ დიდ ასოებს ვიხმარებთ:

ვერ ვაივითა, ქართველო, შაგხსნა რკინის კარია,
მეფე აღარ ვყავთ ერეკლე, ზაგრატიონთა გვარია,

3. მნიშვნელობა სიტყვისა, რომელიც დამწერს არ ესმის, უნდა ჰკითხოს და სწოლით გაუკეთოს.

4. ადგილი უნდა იყოს მოხსენებული: რომელ სოფელშია დაწერილი, რომელ სოფელისაგან უსწავლია მთქმელსა, ან თუ ლექსი ბატონის კარზე უსწავლია? ეს უკანასკნელი ინიტომ არის საჭირო, იქნება ბატონის სახლში წიგნებიდგან ესწავლოს.

5. ლექსი შეიძლება მესტვირის სიტყვით დაიწეროს, ესეც უნდა დაინიშნოს, რადგანაც განსხვავებაა მესტვირულსა და სახალხო სიმღერებში, თუმცა ბოლოს მესტვირული სიმღერებიც სახალხო ხდება. აგრეთვე ის ლექსი მთქმელის გამოთქმული ხომ არ არის, ან მესტვირისაგან გაუგონია, თუ ისე გლახისაგან?

6. რომელ ლექსს რა შემთხვევაში მღერიან, რა მუშაობის დროს. რომლისაზე სიმღერის დროს როგორი თამაშობა იციან, ან შელოცვის დროს რას აკეთებენ.

მეგრულ. სვანურ, ინგილოურ ლექსებს ქართული თარგმანია მოუწოდება. მაგრამ თუ ვერ მოხერხდა, ისეც დაუმადლებთ.

იმედი მაქვს, რომ რამდენიმე პირი გამოჩნდეს და ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოს. ვინც ამაზე ვრცელი ამბის შეტყობას ისურვებს, მზათა ვარ ვუბასუხო და წიგნით მალე ვაცოდინო. შეკრებილი ლექსები ჩემს სახელზე გამოგზავნონ (Петру Осиповичу Умикову, в Тифлисе).

3 თიბათეს [1871].

2. სახალხო ლექსების შეკრება

შარშან „დროების“ 22 №-ში ამ საგანზე ლაპარაკმა სარგებლობა მოიტანა. რაც მაშინა ვსთქვით, იმისი გამეორება და ხელახლად მოწინებება მკითხველისათვის მოსაწყენი იქნებოდა და მსურველს შეუძლია ან მევე მომთხოვოს დაწერილებით ამბავი ან „დროების“ ზემოსწეხებულ ნომერს ჩახედოს. მხოლოდ ამას გავიმეორებთ, რომ ამ ზაფხულს სოფელში ყოფნისას, კაცს რამდენიმე დრო შეუძლია ამ საქმეს მოახმაროს.

სიხარულის და მადლობის გრძნობით უნდა გამოვთქვა, რომ სახალხო ლექსების, ზღაპრების, გამოცანების და სხვა ხალხის გამონათქვამის წერაში ბევრმა მიიღო მონაწილეობა და რაც რამდენისაზე წლის განმავლობაში იყო შეკრებილი, იმის მესამედის ოდენა ორს თვეში შეეკრიბათ სხვადასხვა პირთა. შარშან იმედი გამოვთქვი, რომ შეერთებული შრომით ბევრის ლექსების შეკრება შეიძლება-მეთქი. ეს ცხადათ და მალე ასრულდა! და უფრო ძვირფასი და ჩემთვის წამქეზებელი ის არის, რომ ქალებმაც მიიღეს ამაში შრომა. განსაკუთრებით ყურადღებას ამაზე მივაქცევთ, რომ იმერეთიდან საკმაოდ დიდი კრება ლექსებისა მივიღეთ. ამათ რიცხვში, მეგრული და სვანურიცა. ამგვარად, ამ იმერული ლექსების ნაკლულევანებას ისე აღარ უნდა უჩივლოთ: როგორც შარშანდღამდინ იყო.

გამოგზავნილს ლექსებში ეს ნაკლულევანება იყო, რომ ერთ-ორს დამწერს სახალხო ლექსებთან სხვა წიგნითგან ნასწავლი ანუ

რომლისამე მწერლისაგან გამოთქმული ლექსებიც აერჩაათ და ის დარიგება დაეწყებოდათ, რომელიც სახალხო ლექსის დაწერაათვის იყო მოხსენებული შარშანა. ამისათვის წრეულაც თუ ვინმე აპირებს შარშანდელსავე დაწერას, ამაზე იმე თხოვნას გაუყოფონ, რომელიც თავში მოვიხსენე. ამასთანავე დამწერმა თავისი სახელი და გვარიც უნდა მოაწეროს, რადგან დაბეჭდვას დროს საჭიროა მოხსენება, ვისგან რა არის დაწერილი.

ერთის გარემოებისა მერიღება; ნიკ. ყიფიანისაგან პირველად დაბეჭდილ „არსენას ლექსის“ წიგნის ფურცელზე მოხსენებულია, რომ სახალხო ნაწარმოების გამოცემას ვაპირებდე „ოდესმე“. ოდესმე ნიშნავს, ღმერთმა იცის, როდისაო, ესე იგი ან პო და ან არაო. ამისი შეფიქრება, რომ ვაითუ სახალხო ლექსების დამწერთა თქვან: ტყვილათ რაღათ დაწვეროთო? ამაზე უნდა ვთქვა, რომ მე მხოლოდ იმ დროს ვეცდი, როდესაც საკმარად შეიკრიფება ხალხის სიტყვიერების ნაწარმოები, რომ სრულ იყოს, რამდენათაც კი შესაძლებელია. მე მგონია, რომ დიდი ხანი აღარ მოუხდეს და იმედი მაქვს, ამ ერთ-ორ წელიწადში დაიბეჭდოს. დამწერების დასარწმუნებლად ეს უნდა ვთქვა, რომ ამ საქმეს თავს არ დავანებებ, რადგანაც არაფერს მოინდომებს, რომ გააქარწყლოს ცხრა წლის შრომა, რაც უნდა მცირე შრომა იყოს. — ცხრა წელიწადია ვაგროვებ ამ ლექსებსა.

იმედი მაქვს შარშანდელნი დამწერნი არ დააგდებენ და სხვანიც მიიღებენ მონაწილეობას ამ საზოგადო საქმეში.

თფილისი, 14 თებათვეს [1872].

3. არსენა

არსენას ლექსი. მესტირეთაგან თქმული სახალხო პოემა და მენახირის ნაამბობი პოემიდან „კაკო“. გამოცემული ნიკ. ყიფიანისაგან. თბილისი, 1872 წ. ფასი ერთი შაური.

— ჰარაქა! კიდევ არსენა! ეხლა არ იყო „დროებაში“ წავიკითხეთ „არსენას“ გარკვევა! მესტირის ლექსებს რა ბევრი ჩიჩინი უნდა, აღარ ვიციოთ რაც არის მესტირული „აქია-ბაქია“? რა სალაპარაკოა, ერთი მითხარით, თქვე კოლო-ბუზებო, ლიბერალებო, პატრიოტებო, თქვე... თქვე... ბაკაიებო, გოგიტელებო! შაურიანი

წიგნი დაუბეჭდიათ და აბა ჰა... მოჰყვებიან ეს ასეო, ის ისეო, შა-
ურიან წიგნის გამო „მილიონებზე“ დაიწყებენ „ფილოსოფოსო-
ბას“, — იტყვის ზოგი ჩვენი დარბაისელი, დამკდარი გონების მკი-
თხველი და დაცინვით ამოუშვებს ცხვირით ფშვინვას.

— ერთი დახედით პირველსავე გვერდზე პირველს სტრა-
ქონს! პირველი ლექსი (სიტყვა) „შიარ“ გამოჩნდულია მეორე
ლექსისაგან „სიტყვა“ და არ შეუერთებიათ დეფინით. ესეცა, ლე-
ქსი „სიტყვით“ დაუწერიათ ვინით (ვ) და არა უნით ბრჭვთით
(ჟ)! ეს რა წერაა, ეს რა ბეჭდვაა, რა ადათია, რა ჩიუტობაა და
გადარჩულებათ! — ცხარეთ ისროლს ამ სიტყვებს გამწარებული
უნ-ბრჭვუს მოღარაჯე.

ამ სახით რასა იქ, შენ უბრალო მკითხველო. რო ბუზანკალი-
ვით არ გისვენებს ეს უნ-ბრჭვუ! დაბზუის, დაბზუის, დღე-ღამე
შინა და გარეთ. დაბზუის თავის მოძმე ვე-მეთი, ჭეე-ჭოეთი და რას
არა ლაპარაკობს. მართალია, „ბრჭვუა“* მაგრამ, ხომ იცით,
ბრჭვუებს ზოგჯერ რა ენა აქვთ. ხანდისხან იმათყენაც უნდა მი-
ვჩედოთ და ჩვენც სიტყვა მიუბრუნოთ. ის ჭე-ჭოები, ვე-მები
დაბზუვიან, მართო დაბზუვიან. ათი წელიწადი. რომ ერთი რამ
ბზუოდეს: უნ-ბრჭვუ-ვიე, ვიე-უნ-ბრჭვუ, უნ-ბრჭვუ-ვიე. ვიე-უნ-
ბრჭვუ... წარმოიდგინე, შე უბრალო მკითხველო, რა სმენადა შე-
გრჩება, რა თავბრუ უნდა დაგასხას; რა თავის პატრონი უნდა იყ-
ოს ამ უნ-ბრჭვუს ბზულა კაცი. ყოველივე ბრჭვუობაზე არის და-
მყარებული: კაცის დაფასებაც, ხალხისაც, მწერლობისაც და ნი-
ჭისაც. ვისაც უ არა სწამს, ის ენის გამრყენელია, ვისაც ხირომან-
ტია (ხელისგულზე ხაზების გამოცნობის სწავლა) არა სწამს, სარ-
წმუნოების, ზნეობის გამრყენელია და უსწავლელია, ვინც კაცის
ღირსებას კაცის ნიჭითა და საქმით აფასებს, ცრუპენტელას ეძა-
ხიან. რა სასწორი აქვთ კაცის ღირსების ან მწერლობისათვის, რა
საზომი აქვთ? მხოლოდ უნ-ბრჭვუ და ხირომანტია. ამ ხირომანტი-
ის სწავლას თუ რომელიმე წიგნი დაუმატეს, იცოდეთ, რომ ძალი-
ან ახლო უნდა იყოს ხირომანტიასთან: და მეტი რო არა იციან რა.
რასაკვირველია, ყოველივე სჯა ამ ეშმაკურ სწავლაზე უნდა იყოს
დამყარებული. თუ საკუთრად სალიტერატურო ნაწარმოებზეა
ლაპარაკი, მაშინ ხომ ალა-მამად-ხანის დროინდელ მქვერმეტყვე-

* ბრჭვუ ნიშნავს გვიან მოქმედს. იხილე საბა ორბელ[იანის] ლექსიკონი; აგ-
რეთვე ნიშნავს გონებადაჩლუნგებულს.

ლობის თეორიას მოსძებნიან და იმითი ჰზომავენ თხზულებასა. პირველი და უკანასკნელი სალაპარაკო იქნება უნ-ბრჯგუ, ესე იგი ასოების და სიტყვების ქექა და აზრების სრულიადი დაუდევნელობა. აი ამიტომაც იმათ ბზუილს ზოგჯერ ჩვენი წიგნაც უნდა.

ეს დალოცვილები იმას კი არ ჰფიქრობენ, რა უნ-ბრჯგუს დროა, როდესაც მთელი ანბანი ხელითგან გვეპარება. რა დროს სიტყვების ქექაა, როდესაც წერა-კითხვა ისე ჩქარა არა ვრცელდება ხალხში, როგორც სასურველია და სანატრელი; რა დროს დიფიასები და ტირეები, როდესაც ძველი მწერლობა ლპება და თაგვების კერძათა ხდება? ნათქვამია: მეტრამეტმა სრწმინდემა ტრაპიზონი (თუ ტრაპეზი) დააქციაო; სწორეთ ჩვენი საქმეა. შემწეობისა და დახმარების ნაცვლად, ბზუიან და ბზუიან ეს კაცები არც არას თითონ აკეთებენ და სხვას კი უძრახვენ საქმესა: რატო თქვენც არა ბზუითო! აი ლოლიკა, აი მსჯელობა!

მაგრამ ჩვენ „არსენას“ დავშორდით. თუ უნ-ბრჯგუს მოდარაჩენი არაფრად ჩააგდებენ „არსენას ლექსს“, ერი ყიდულობს და კითხულობს ღიღის აღტაცებითა. ერი, ეს უწმაწური ხალხი, აღტაცებაშია. ხუთ დღეში ქალაქში ათასი წიგნი გაიყიდაო! აბა უწმაწური რომ არ იყოს, „აჟია-ბაჟიას“ ასე დაიტაცებდა?! ეს ხალხი, როგორც მოგეხსენება, დარბაისელს, გონება დამჭდარ მკითხველს არას დასდევს, არც არა ანტონ კათოლიკონოს რატორიკას. არც უნ-ბრჯგუს, ოღონდ კი საგულელებელი რამ მოიპოვებოდეს რამე ნაწერში, ოღონდ იმის მარტავს გულს და სულს ემოყვრებოდეს, იმისა შესათვისებელი და გასაგონი სიხარული ან მწუხარება და ან იმედი რამ იყოს, თორემ სხვა წყალს უზიდნია.

რისაგანა სწარმოებს ესრეთი მალე გაყიდვა არსენას ლექსებისა, ამ უბრალო მეტავირულ გლებურ ლექსებისა? რა არის მიზეზი, რომ მთელს საქართველოში არსენას ლექსები ასე გავრცელებულია და ყოველგან მღერიან? რა სოფელი იყოს, რომ არსენას ლექსი არ იცოდნენ? მეფე ერეკლეზედაც არის გამოთქმული ლექსები, მაგრამ უფრო ქართლ-კახეთში და მთიულეტში. ეს არსენას ლექსი კი მთელს საქართველოში შავის ზღვიდან მოყოლებული ყველგან მოდებულა.

— ჰ... — ჩაიციინებს დარბაისელი მკითხველი და იტყვის, ერეკლე მეფე და არსენა! გაგიგონიათ ამისთანა შედარება! კაცმა როგორ დააყენოს ერთათ სახელგანთქმული საქართველოს მეფე და გავარდნილი ყაჩაღი!

ნეტა აგრე მოკლეთ არ იცოდენ სიტყვის მოჭრა, ჩემო დარბაისგლო მკითხველო. მერე ვან ადარებს ერთმანეთსა? ერთი სხვაა და მეორე სხვა.

მაგრამ თავი დავანებოთ დარბაისელ მკითხველს და ვილაპარაკოთ მე და შენ, უბრალო მკითხველო. პირველათ მე და შენ უნდა ვიცოდეთ და ბზუილის მოყვრებმაც უნდა შეიტყონ, რომ რით ვაფასებთ. როგორ ვაფასებთ ყველაფერს და მათ შორის სატყვიერების ნაწარმოებსა.

ყველა მწერლის და თხზულების გასაშინჯავი სასწორო-საზომი ის არის, რამდენათ ჰხატავს და გამოსთქვამს მწერალი ანუ თხზულება რომლისაჲც დროს და ხალხის ბუნებითს წადილს და სურვილს, ბუნებითს ლტოლვილებას.

რა არის ყოველის ადამიანის და ყოველის ხალხის ლტოლვილება, საწადელი? საწადელი ის არის, რომ ყველანი სიკეთეში ვიყვნეთ. ყველას გვინდა ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა; სიცივე არ გვაწუხებდეს, სახლი გვინდა თავშესაფარებელი. გონებასაც აგრეთვე გონებითი ჭამა-სმა, ესე იგი სწავლა და განათლება უნდა. რადგანაც ეს წადილი აქვს ადამიანს, რასაკვირველია, ცდილობს თავის სიკეთესა. მაგრამ პირველ უაშში, რადგანაც კაცი მოუხერხებელი და ძალიან სუსტი რამ არი, ამ თავის სიკეთეს ისე შოულობდა, რომ სხვას უშლიდა. არ იცოდა, ისე როგორ მოახერხოს საქმე, რომ თითონაც ირგოს და სხვებსაც არ დაუშალოს. ამ გარემოებას სწორეთ ადარებენ საცეკვაო-სატანცაო დარბაზსა. ვინც კარცეკვაობა იცის, დარბაზში ისა თამაშობს და ცეკვაობის უცოდინარი, ძალიან განიერ დარბაზშიაც უნდა ჩამოეცალოს, რადგანაც არ იცის თამაშობა, არ იცის ხერხი, გაოსტატებული არ არის. ან უნდა მოუტყუდოს და, ან უნდა მიუჭდეს მოკუნტული ერთ კუთხეში ქალაღსა და, ითამაშოს და იქნება ბევრიც წააგებინოს. შემდეგში რაკი ცოტათი ისიც გაოსტატდება, ისიც ისწავლის ცეკვას და შეერევა მოთამაშეთა.

ადამიანის ცხოვრებაც ესე ყოფილა: ვინც გაოსტატებული და გაქნილი იყო, სიკეთეშიაც ის იყო; სხვანი კი, რაც ხელს არ ამლევადა, იმას ჩადიოდნენ, აგებდნენ. ამგვარად, ცხოვრების ღზინი დასაწყისიდანვე მოიშალა. მრავალნი ღზინის ქეიფზე აღარ იყვნენ; მრავალნი იმ აზრს მიაწყდნენ, რომ ღზინი ცეკვაობის კარგა მცოდნეთათვის ყოფილაო. გაოსტატებულ მოთამაშეთა, რაკი კა-

რგა გაიმართეს თავისი კეთილი ცხოვრება, უფრო და უფრო გაიწივეს, უფრო და უფრო ლხინისთვის ღონისძიებას უმატეს და უმატეს. ბოლოს წრიტგან გავიდნენ. დანარჩენებს მეტიამეტად შევიწროება მიეცათ, და წამოცვივდნენ საცეკვაოთ კი არა. წამოცვივდნენ იმისა გამო, რომ ჯდომაც კი ვეღარ მოეხერხებინათ. ამ ალიაქოთში აღმოჩნდა, რომ აქამდინ მჯღოშარეებშიაც მარჯვე და მარდი კაცებიცა ყოფილან. ესენიც შეერივნენ მოლხინე კაცებში. მაგრამ პირველად მოლხინენი მრუდის თვალით უყურებდნენ ამ შოუწვეველ სტუმრებსა და თავიანთში არ უშვებდნენ. ამისა გამო იწყობოდა ხანგრძლივი, სხვადასხვაფრივი ბრძოლა და ხშირად ახლად მოსული სტუმრებისათვის ავად თავდებოდა: დასცინოდნენ, ზურგს უქცევდნენ, ახდევინებდნენ ლხინია ხარჯსა, მანდილოსნებს ართმევდნენ კაცებსა, და კაცებს მანდილოსნებსა. ბოლოს ლხინითგანაცა ჰყრიდნენ. მაგრამ რამდენსაც კაცი უმეტესს ვაგლახსა ხედავს, იმდენს უფრო და უფრო ძლიერათა ჰგრძნობს საჭიროებასა, რომ ყველა ჰიკეთეში იმყოფებოდეს. ადამიანის მოთხოვნილებას თუ არ დააკმაყოფილებ, მოკლებით ვერას უშველი და უფრო გააფთრებ და გააღვიძებ. შიმშილს ვერას ღონისძიებით ვერ მოიკლამ, სანამ საჭმელს არ მიიღებ. ამისათვის ბრძოლა არ გათავებულა: ბუნებითი საწადელი და სურვილი ხან თითქოს ყრუვდება, ხან ისევე მომატებულს ძალით თავს იჩენს, და ესრეთ თავის დაკმაყოფილებას ეძებს. ამაში მდგომარეობს ისტორია კაცობრიობისა.

ყოველს ხალხში და ყოველს დროს, ყოველს კაცობრივს საქმეში ეს საჭიროების დაკმაყოფილება, ეს საწადელი უკვდავი იყოყველგან, ყველა ხალხში იმისათანა კაცები აღმოჩენილან ხოლმე, რომ ეს საჭიროების დაკმაყოფილება იმათ ძლიერა ჰსწყურებიათ და ჰშიებიათ, როგორც წყალი და პური. ბევრს უშვერს და კაცი ბუნების დამთრგუნველს გარემოებაში ისინი ისე ძლიერის ბუნებისანი ყოფილან, რომ არ წამხდარან სხვებსავით და ვერც წასდებოდნენ. სწავლაში და ხელოვნებაში გონებითი საუნჯე შეუტანათ, აღმოუჩენიათ ახალი აზრები. ცხოვრებაში უჩვენებიათ ახალი გზა, ახალი გამოჩენა, ერთის სიტყვით, ყოველივე, რაც კი ამშვენებს, აძლიდრებს და სიკეთეში აგლებს ჩვენს სიცოცხლესა. ისინი ჰვეანან ბნელს ღამეში მოკაშკაშე გზის მაჩვენებელს ვარსკვლავსა. თუ კაცობრიობა წინ მიდის, იმათის შემწეობით მიდის; ისინი გვი-

ნათებენ დაბნელებულს გულსა. იმედს გვიწვეთებენ გულში და ფრთას შეგვასხმენ ახალს მოქმედებისათვის, ახალს საქმისათვის, ახალს ცხოვრებისათვის. ისინი არიან წინამძღვარი გზადაბნეულ, თვალეზამულ კაცობრიობისა. გზადაბნეულნი იმის მოძმენი იმასვე ჰგონობენ, რასაც იმათი წინამძღვარი; იგივე მწუხარება აწუხებს და იგივე იმედი აიმედოვნებს ორთავე, მაგრამ წინამძღვარი მეტათა ჰგონობს, ბუნება ისეთი აქვს, რომ ან თავისი სურვილი უნდა დაკმაყოფილოს, ან თავი შეაკლას. ამგვარი თავდადებული კაცი, რასაკვირველია, მიიმხრობს და გაიყოლიება, ვისაც იგივე სურვილი აქვს. ამ მიმხრობით თანდათან ძლიერდება ხალხში საჭიროების დაკმაყოფილების სურვილი და ბოლოს თვით დაკმაყოფილებაც ძალაუვნებურათ უნდა მიეცეს იმის მსურველთა.

ყოველი საუნჯე, თუ გონებითი, თუ ნივთიერი, ამ მხრით უნდა ჩავთვალოთ საუნჯეთა. საუნჯე იმასა ჰქვიან, რომ კაცობრიობის ცხოვრებას, მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს. საუნჯე ის არის. რაც კი კაცობრიობას კეთილდღეობას და სიკეთეს შეჰმატებს, რაც ხალხის საჭიროების დაკმაყოფილებას წადილს ემსახურება. ამისა გამო სწავლა, მეცნიერება, ხელოვნება, და საკუთრად მწერლობა (ლიტერატურა), მეტადრე ყოფაქცევა თვითოეულის კაცისა თუ ამ საქმეს ემსახურება, იმას ეძახიან ხალხის ანუ კაცობრიობის წინწამყენებელს ძალასა, — და ნამდვილი ძალაც ეს არის.

ლიტერატურა, მწერლობაც ცხოვრების ერთი წინწამყენებელი ძალაა, ერთი საუნჯეა. მწერლობა და ყოველივე საუნჯე ხალხის კეთილდღეობის სიკეთის ჩამოგდებაში ორგვარათ უნდა გავსინჯოთ: ან უნდა იყოს ერის წინწასვლის მუშა, ესე იგი ემსახურებოდეს ერში სიკეთის ჩამოგდებასა, ან უნდა ეწინააღმდეგებოდეს; ან არც ერთსაგან იყოს, არც მეორესაკენ. არც აქეთა და არც იქეთა მხრის დაუჭერლობაც ისეთივე საქმეა, როგორც წინააღმდეგობა, ვინც მე ხელს არ მომაწოდებს წყლიდგან თავის გადარჩენისათვის, იმისთანა კაცის ამხანაგია, ვისაც ჩემი დახრჩობა უნდა; მამასადამე, ორ გვარია მწერლობაც — ერთი არის სიკეთის ნამდვილი, და არა ცრუ, მშველელი, მეორეა დამაბრკოლებელი.

მწერლობა იმგვარათ ემსახურება ერის ცხოვრებასა რომ, ან მეცნიერების საფუძველით გვაჩვენებს რა უნდა ვქნათ, ანუ გვაჩვენებს რასაც ვაკეთებთ, რა გვიკეთებია, რა ყოფილა და რაც არ-

ის. რამდენათაც მწერალი ერის ნამდვილს ბუნებითს საწაღელს მტკიცედ შეიგნებს, იმდენათ ის იქნება მართალი, ჭეშმარიტი მწერალი, ჭეშმარიტი ნიჭი. თუ ეს სიმართლე და ჭეშმარიტება არა აქვს მწერალსა, მაშასადამე, ცრუ მწერალია, რადგანაც არ ესმის ხალხის ნამდვილი საწაღელი. მწერლის ღირსებას ვაფასებთ იმითი, როგორი ვრცელი მხედველობა აქვს, როგორი სინამდვილით ესმის და ცხოვლად გვიხატავს ცხოვრების მოვლენათა. კრიტიკის საქმე ეს არის, მწერალმა გაიგო თუ არა ერის საწაღელი, რომელიც ან უკვე გაღვიძებულა, ანუ მალე გაღვიძებს უამთა ვითარების ძალით? მასუკან, რამდენათ გაიგო და გამოხატა? ძირიღგა აუღია საგანი, თუ მართო გარეგანი შეხედულება? გარეგანი გამოხატვა და წარმოდგენა საგნისა როგორ ეთანხმება მწერლის მხედველობას და გრძნობის ძალასა?

აი ჩვენი ზომა და სასწორი ყოველის თხზულების და მწერლის დაფასებისათვის.

* *

ჩვენა ვსთქვით, რომ არსენას ლექსსა მღერია მთელი საქართველოს ერი. სჩანს, ამ ლექსებში არის რამე ისეთი, რომ ხალხის გონებას და გულს ეუბნება გასაგონს საგანსა; სჩანს ერის შეგონება და შემეცნება კპოულობს არსენაში თავის მოძმე აზრსა; სჩანს ჩვენის ერის ცხოვრების ხეს მოუსხამს ისეთი ნაყოფი, რომელიც ამ ლექსებში გამოუხატავს ხალხსა.

არსენას ზოგნი ყაჩაღს ეძახიან. (ყაჩაღს ეძახიან მცარცველს კაცსა, მტაცებელს, კაცის მკვლელს, ერთის სიტყვით — ავაზაკს). ეს ცრუ აზრია და არსენა ამგვარი ყაჩაღი არ არის, თუ კი ყაჩაღი დავარქვით. სხვათ კიდევ არსენა მართო ბატონყვობის წინააღმდეგ კაცათა ჰგონიათ და სხვა არაფრათა. მაგრამ კარგათ რომ დავაკვირდეთ, ბევრს და ბევრს სხვა მხარეს დავინახათ. ამ სახალხო ლექსში გამოხატულია არა ერთი და ორი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, არამედ მრავალი სხვადასხვა მხარე. აქ ყოველივე ერთათ შეერთდა, შეკავშირდა და ერთ ვრცელ ხალხის ცხოვრების სურათად წარმოგვიდგა. არსენაში გამოითქვა ბუნებითი, ღრმა სიყვარული სიკეთისა და ამ სიკეთისათვის თავის აღება და ბრძოლა კაცის დამჩაგვრელ ძალასთან, როგორიც უნდა იყოს ეს ძალა. დავაკვირდეთ ჩვენს ისტორიას, რომელიც აგვიხსნის ამასა.

ჩვენი ერის ისტორიული ცხოვრება ესე მომდინარეობს: საქართველოს ერმა დიდის ხნიდგანვე დაიჭირა ეს მიწები, რომელზედაც ეხლა სდგას. მრავალი ბრძოლა უნდა გამოეყლო ადგილმამულის გაჩენისათვის: დაიჭირა მაღალი საშინელი მთების კალთები და თვით მაღალი ქედებიც; თითქმის საუკუნო მღებარე თოვლამდინ, რომ შეემუშავებინა თავის საარჩენად. ეს კაცისაგან ბუნების დამარცხება და დამორჩილება ისეთ გამარჯვებთ მიაჩნია ჩვენს ხალხს, რომ თავისი გამარჯვება ღვთაებრივ გამოგზავნილ ძალათ მიაჩნია. ღმერთმა კაცს ანგელოზი გამოუგზავნაო: „როცა წყალი აოხრდება; იმ წყლის შაძლება მიეციოთ, სამის ფერდის ზეფვის ძალი მიეციოთ, თორმეტის რკინის კედლის სიმაგრე მკლავში მიეციოთ“. ამ ძალით შემოსილმა კაცმა სძლია ბუნება და მოპოვებულ და დაჭერალ მიწა-წყალს იცავდა რამდენისამე ათასის წლის განმავლობაში. ძველი და ახალი სპარსები, ბერძნები და რომაელები, ბიზანტიელები, არაბები, ჩინგის-ყაენი და ლანგთემური, ოსმალები, ვერ შემაგრდნენ და ვერ დაიმკვიდრეს ამ ძალით მოპოვებული მიწა-წყალი. თითო მტკაველ მიწისათვის ზღვა სისხლსა ღვრიდა ჩვენი ერი. არც ერთ ხალხს დედამიწის ზურგზე, არც ერთს, არც ერთს ესე ძვირათ არ დაუფასებია თავისი სამკვიდრებელი და არც ერთს ესე ძვირათ არ დასჯდომია! ეს ძალიან კარგად ესმის ჩვენს ერს და ჰგრძნობს თავის თავს გამარჯვებულად. ეს ისტორიით აღზრდილი და განმტკიცებული გრძნობა ღრმათ ამკვიდრებს ხალხში იმის უფლებას, იმის პიროვანს და საზოგადო, სათემო უფლებას. ამ ერში განმტკიცდა ის აზრი, რომ ბრძოლითა და მეცადინეობით, ყოველისავე ბოროტობის და ავის მოსპობა შეიძლება. რაკი საღმე ჰგრძნობს თავის ბუნებითს, სურვილის დაკმაყოფილების წინააღმდეგსა, მაშინვე უპირდაპირდება, არ ემონება და არც შეუძლია დამონება, და ეძებს თავის საწადელსა. ეს საწადელი ყოველს ხალხებში ერთია, საზოგადო კაცობრიული სიკეთე ერთია, სურვილიც ერთია, მაგრამ ჩვენს ერს დიდი ხანი უცხოვრია, დიდი ხანი სხვადასხვა ისტორიული შემთხვევა გამოუვლია, ბევრი რამ თავს გადაჰხედია და გამოცდილი შექმნილა. ზოგი ისეთი საერო ცხოვრების საქმეები მომხდარა ჩვენს ხალხში, რომელიც აქამდინაც ვერ დაუბოლოვებია ვეროპის ერთა სწავლა-მეცნიერებასა და ცხოვრებასა. მაგალითად მოვიტანთ ბატონყმობის ფეხის მოუკიდებლობას ზემო სვანეთში,

თუშებში და ხევსურებში. მას უკან ზემო სვანეთში საზოგადო საქმეების რჩევაში, საერო კრებაში დედაკაცების მონაწილეობას. (ზემოსვანეთში საერთო კრებაში რჩევა და ლაპარაკი შეეძლოთ დედაკაცებსაც. მხოლოდ კენჭი კი, ესე იგი ხმის მიცემის უფლება არა ჰქონდათ). დანარჩენ საქართველოში ბატონყმობა ისეთი იყო, რომ ომის დროს ბატონი მხოლოდ ჯარს უფროსი იყო, თავი ანუ თავადი იყო. მშვიდობიანობის დროს ბატონს ყმა ცოტას გადასახადს აძლევდა, რადგანაც ბატონიც ისეთივე მუშაკაცი იყო, როგორც გლეხი და ყმა. (ბატონი თითონვე გუთანს უდგა, ურემზე დაუჯდებოდა, მკიდა. ბატონი და გლეხი ერთად მუშაობდნენ და ერთმანეთს სესხ-ვალსავით მხარს აძლევდნენ და მუშაობას უწყევდნენ. შობა და აღდგომას ძღვენი იყო გადასახადი, ქორწილობის დროს რამდენიმე მცირე ფული, საწინდე და შინამსახური ორი ან სამი კაცი, თუ დიდის ყმის პატრონი იყო ბატონი. ბატონს მეტის მოთხოვნა არ შეეძლო).

შემდეგში ეს თანდათან შეიცვალა და კანონები შემოვიდა სხვა ამ კანონით. გარკვევით იყო განსაზღვრული ყმის სამსახური: კვირაში ყმას სამი დღე ბატონისათვის უნდა ემსახურნა; მამულს რომ ყიდულობდეს, თავის სახელზე კი არ შეეძლო ყიდვა — ბატონის სახელზე უნდა ეყიდნა; ცოლის შერთვა ბატონის ნებადაურთველად არ შეეძლო და სხვა და სხვა. ესენი თვით მკითხველმა კარგათ იცის. ბატონს რაც უნდოდა, ერთის სიტყვით, იმას სჩადიოდა და ყმას ნება არა ჰქონდა ბატონზე საჩივარი შეეტანა. ამგვარათ ყმა ბატონს ისეთსავე საგნათ მიაჩნდა, როგორც სამუშაო საქონელი, ცხენი, ხარი და სხვა სულდგმული და უსულო ნივთი, რომელიც იმას უყიდნია და დაუსაკუთრებია. როგორც ხარკამბეჩს ახვენინებენ, ალუწინებენ, ქვას აზიდვინებენ, ყმასაც ხშირად შეხვედრია ეს ხვედრი:

აჰკიდებენ ქვასაო, აძახებენ ვასაო!

ზნეობითი სატანჯველიც ნივთიერს სატანჯველთან შეერთებულა მუდამ და ყველგან. აქაც ესე იყო. აქ მეტისმეტათ გაგვიგრძელდებოდა ლაპარაკი და მოკლეთ მოვიტანთ იმ აზრებს, რაც ერთს ხალხის ლექსებშია გამონახული ამ ზნეობის სატანჯველზე. დაძმანი იყვნენ ბატონის ყმანი, დაი ბატონმა სხვა სოფელში გაჰყიდა. ასაკში რომ მოვიდა ბიჭი, ბატონმა იმისი დაქორწილება მოინდომა (ცხვარსავით ანუ ძროხასავით გასამრავლებლად), დაა-

ქორწილა ერთ გლეხის ქალზე. ღამე ბიჭი ფიქრში შედის და ტირის. ქალსა ჰკითხავს, ვინა ხარ, მითხარიო. ქალი ეუბნება, დედამა არა მყავს, ობლები დავრჩით და-ძმანი. მე რომ ბატონმა გამყიდა, გვარი დავკარგე, ძმის ამბავი აღარ ვიცოო. მიხვდებიან, როდა-ძმანი არიან და ტანს წმინდათ ინახვენ. ეს საშინელი ამბავი ხალხმა ლექსად გამოსთქვა. აი, ამგვარ გარემოებაში არსენაცა ჩნდება.

ამ გარემოებაში ხალხს როგორ უნდა ეგრძნო თავისი მდგომარეობა, რა უნდა ეფიქრა, რა უნდა ჰსურებოდა და მოექმედებინა?

ამის პასუხი ისევე ჩვენს ძველ ცხოვრებაში უნდა მოვნახოთ.

ძველათ ჩვენი ოჯახობა დიდ-პატარაობაზე ყოფილა დამყარებული. უფროსის მორჩილება ყველასთვის ვალდებულება იყო. ყველაზე დამორჩილებული და დამონაევებული დედაკაცი იყო. მაგრამ დედაკაცის თავისუფლების სურვილი ისე გამოჩნდა, რომ შესდგა სახალხო სიმღერა, რომელშიაც სჩანს დედაკაცის თავის აწევა და ბრძოლა:

იმისი სული კრულია, ვინც ენდოს ქალი ქმარსაო
წუხელ მოვიდა ლაშქრითა შუალამისა ხანსაო.

შიგნითი კარი გავაღე, მივედი გარეთასაო:

— „აღე, შე ქალო, დიაცო!“ მუშტი მისო მე ყბასაო!

შავაქე ჩემსა ლურჯასა, შავსა შაუღეგ ზნასაო.

უკუ ვიხედე, მამდედა, მაპირიალებს ხმალსაო!

— ბიჭო, რად მამდეგ, ნიო, შენი რა წამილიაო?

ცხრა მახლი და მახლის წული კერას პირს დამიყრიაო;

ათი დღის მუშა-ნამგალი ხოდაბუნს დამიყრიაო;

მარჯვენას თითის ბეკედი კოკაში ჩამიგდიაო;

შენი პატარა გიორგი აკვანში დამიგდიაო!

ქალი, უძლური ქალიც კი აღარ ითმენს ჩაგვრასა და კაცურ ღირსების დათვრგუნვასა! მონება აღარ შეუძლია, აგდებს ოჯახსა და საყვარელ შვილებსაცა, რომ თავი გაინთავისუფლოს! აი როგორი ხასიათისაა ჩვენი ქალი. თუკი მომთმენი, დიდად მომთმენი დედაკაცი ასეთს გაბედვით თავს იღებს, რა ძალი უნდა გამოიჩინოს მაჰაკაქმა, რომელიც უფრო თავისუფალია, რომელიც უფრო ძლიერია და რომელსაც თავის კაცური მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა! და აი, მრთელმა ჩვენი ერის სიცოცხლემ ეს

ძლიერი გრძნობა პირადის, კაცურის უფლებისა ჩანერგა ჩვენს ხალხში, კაცში და ქალში.

არსენა არის ამ ხალხის ნამდვილი შვილი და ამ გრძნობის გამომხატველი კაცი.

არსენა ჩნდება ჩვენს ცხოვრებაში ამ საუკუნის დასაწყისში და, როგორც ვთქვით, არის წარმომადგენელი ჩვენი ხალხის გრძნობისა და გონებისა. იმასში იხატება გარკვევით და ცხადათ რა მწუხარება აწუხებს ჩვენ გლებსა და რა იმედი ააშფოთებს. არსენა არის უბრალო მარაბდელი გლენი, ბატონის ყმა. იმას უყვარდა ბატონის მოახლე, რომლისაჲც შერთვა უნდოდა ცოლად ბატონი ნებას არ აძლევს. არსენა თავს არ ანებებს*.

ცოლ-ქმრობის პირობა მისცა — შინ, სახლში შეიყვანათ.

ეს რომ ბატონმა შეიტყო, ჰკუიდამ შეიშალათ.

ბატონმა, — ბალკონზე იდგა, — ქოშები გადმოყარათ:

მაგისგნით ქალი წავიერთო, რა არის მაგისთანაო!

არსენა ეუბნებოდა:

ამ თორმეტ თემანს მოგართმევ, დაგიტოვო ჩქარა-ჩქარაო.

ბატონი გაქავრებული ფანჯრიდამ გადმოვარდაო.

თოფ-იარაღი აისხა, მისდევდა მხარდამხარაო.

ორიოდ კაცი გაგზავნა, ნაკვალი დაიბარათ:

„არსენა ოძელაშვილმა ჩემზე იხმარა ძალო;

ერთი კარგი გოგო მყვანდა, იმერეთ წაიყვანათ,

მინდვრით გაიქცა არსენა, მთა-ბარი დაიარათ.“

ამგვარად, იტაცებს ბატონის მოახლესა და შორს მიჰყავს, რომ ველარ შეიძლონ იმისი დაბრუნება ანუ წართმევა. საყვარული ყველაფერზე ხელს აღებინებს, ანთავისუფლებს უღონო ქალსა, რომელიც ყოველთვის დაჩაგრულია კაცისაგან და მერე ბატონისაგან. იმას არ შეუძლია ჩუმ-ჩუმათ არსიყობა მოახლესთან, თორემ თუკი ერთმანერთის სიყვარული აქვთ, განა ჩუმათ, სხვების ტყუებით, თვალმაქცობით და ოსტატობით არ შეუძლია იმისი სიყვარული! მაგრამ არსენასთანა კაცებს ტყუება, თვალთმაქცობა ეჯავრებათ და არც შეუძლიათ. „ჩვენ ცოლ-ქმრობა გვინდა. ერთმანერთი გვიყვარს გულითა. განა ცოლქმრობაც არ შეიძლება თავისის ნებით მოახდინოთ ყმაჲ?“ არაო, არა! ყოველივე გარეშობა

* ნიკ. ყიფიანის გამოცემული არსენას ლექსების ნამდვილი. საიდანაც ამოუკრეფია, აქა გვაქვს და ზოგიერთი ადგილები, რომლებიც სამწუხაროთ, არ ამოურჩევია, ზოგჯერ აქ უნდა მოვიტანოთ.

ეუბნება არსენას. — მე ვიცი როგორც არაო, ამბობს არსენა. და თავის სურვილს ისრულებს. იტაცებს მოახლეს და ახალციხეს მიყავს. განა არ იციან რამდენი უსიამოვნება, შიმშილი, წყურვილი, სამართალი და ბატონის დევნა დაედევნება იმასა? განა არ იციან, რომ მთავრობის კანონით მტყუანია ყველაფერში. ამიტომ რომ ყოფილი და ბატონის წინააღმდეგობა არ უნდა გაპბედოს! ესენი კარგა იციან, მაგრამ არ შეუძლია, აღამიანის ბუნება ძალიან ძლიერი აქვს, არ შეუძლია თავის კაცურ მოთხოვნილებას ხელი შეუძღრუნოს. არ შეუძლია, რომ, როცა უყვარს ქალი, არ შეიყვაროს და თავიდან აიცილოს. რაც უნდა ათასი სატანჯველი მიაყენონ, თავისას იქს: ან უნდა მოგკედე, ანდა ჩემი სურვილი, ნამდვილი, კაცური სურვილი უნდა ავისრულოვო. ერთხელვე ამ თავის ნამდვილ კაცურ სურვილის გზაზე დამდგარი, სიყვარულის გრძნობით აღგზნებულის გულით მიღის და საფლავის კარამდინ ამ გზას ადგია. არაფრისა არ ეშინიან. სულა ტკბილია, მაგრამ სიკვდილისაც კი არ ეშინიან. ყოველსავე საფრთხეს პირდაპირ უხვდება.

სიყვარული და თავისი ნამდვილი ადამიანური ღირსების გრძნობა, თავისუფლების გრძნობა კაცის პირველი ფეხზე წამომყენებელია. არსენა ამ გრძნობით, ამ სიყვარულით თანდათან მხნევედება, იზრდება და იზრდება. თვითონ გამოსული ბატონის ხელითგან, განმათავისუფლებელი თავის საყვარელისა, დრტვინაქს სხვების უბედურ მდგომარეობაზე; იმ გარემოების მტერი ხდება. რაც გლეხის ცხოვრებას უშლის ფრთების გაშლასა და ამბობს „ათას წილად სიკვდილი სჯობსო“ ამ გარემოებაში ჩავარდნასაო.

მაგრამ თავის წინააღმდეგობისათვის ის სასჯელს უნდა მიეცეს, კანონი ამას მოითხოვს. გამოჩნდება ნათლიმამა არსენასი — ფარსადან, მოიწვევს მოტყუებით, აჭერინებს და სამართალს ხელში აძლევს. მოჰყავთ ქალაქში უფროსთან. უფროსი კანონის აღმასრულებელია. ეს კანონი მძიმე კანონია, ყველა გრძნობს, ყველას კარგა ესმის, მაგრამ კანონის გატეხა არ შეიძლება, უფროსი გულჩვილი კაცია და, როგორც კაცს, ებრალება არსენა. არსენას მონალატე ფარსადანს უწყობა: „შე წუწუკო, რათ იჭერდი მაგ ტყვესა? ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესა“. ეს ადგილი მშვენიერი ადგილია არსენას ლექსებში. ეს ადგილი ჩვენის აზრით მეტს მეტი ტრადიციული, სულს გამტანჯველი ადგილია.

უფროსი გამოყვანილია კაცათ, გულკეთილ კაცათ, რომელსაც სულითა და გულით ებრალება ყმა, არც ამას მოწონს ბატონყმობა, მაგრამ რა ქნას? თვითონაც კანონს ქვეშეა, თუმცა კი კანონის აღმსრულებელია. ამასაც სურვილით უნდა, რომ ბატონყმობა არ იყოს, მაგრამ რა ქნას? ამ ქვეყნიერობაში ისე არის: ან კანონი უნდა აასრულოს კაცმა, ან გარეთ უნდა გავიდეს, კანონს გარეთ, ესე იგი წრეს გარეთ უნდა გავიდეს. ვისაც ცოლ-შვილის მყუდრო ცხოვრება, მშვიდობიანი ცხოვრება უნდა თავის სიცოცხლეში, ასე უნდა იცხოვროს: ბევრი რამ არის, რომ არ ესაიშოვნება კაცსა, ბევრი ზნეობითი სატანჯველიც უნდა გამოიარო, რადგან კაცის ცხოვრება დამყარებულია ლუკმა პურზე. ყველას ჭამა-სმა უნდა და ამ ლუკმის მოსაპოვებლად ბევრჯელ ბევრს რაჟამესა სთმობს. მეორე მხრითაც ყოველს საზოგადოებაში, ყოველს ქვეყანაში ხომ რამე წესი და კანონი უნდა იყოს, რომელსაც დიდი და პატარა უნდა ემორჩილებოდეს. ვისაც კაცური გრძნობა სრულებით არ გაქპრობია გულში, ყოველთვის ეს ბრძოლა და ორ წყალ შუა მდგომარეობა თავიდან ვერ აუცილებია: ერთის მხრით ლუკმაპური და კანონის საჭიროება; მეორეს მხრით თავისი კაცური დაუძინებელი, ბუნებითი გრძნობა სიმაართლისა.

არსენა პირველათა ცდილობს, განა არა ცდილობს, რომ თითონაც კანონს არ გადვიდეს: თორმეტ თემანს აძლევს თავის ბატონსა მოახლისათვის. მაგრამ ეს დროებითი ცდა არის. იმას ისე ძლიერათა აქვს გულში გაღვიძებული თავის კაცობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომ ვერაფერს ვერ დაემორჩილება. ზხვანი ამბობენ, განა არ ვიცით რა გარემოებაშია ცა ვართო? კომედიებში „მზის დაბნელებაში“ და „გაყრაში“ დარჩა ის ადგილები, რომელიც წარსულ სიმაართლის ამბავს გვაჩვენებენ და არიან ხალხის აზრის გამომხატველნი ამ გარემოების შესახებ.

მკითხველს მოაგონდება ის სცენა, როდესაც თავადიშვილები ჩამოსულან ვაჭართან ფულის დასახესხებლად და უჩივიან დროსა და მზის დაბნელების ამბავსა. ყველა თავისებურათა ჩივის: თავადიშვილები ახლანდელ სუფრას უჩივიან. გლეხი თავისებურათა ჩივის: „ცუდი როგორ არ მოგვივა, რომ დიამბეგის, იასაულების შიშითა სახლში წიწილა ვეღარ გაგვიჩენიაო.“ „გაყრაში“ კიდევ თავადის მოურავი თავისის მკვირცხლის გონებით ურჩევს ბატონს ფულით დაქრთამვას მოსამართლეებისას:

ასის თუმნითა აბა რას ბრძანებ?
სუდსა, პალატას ხელით ვაქანებ,
ჩვენს სუდიასა, აიშ კუქნასა,
სულ ვათამაშებ ლეკურ-ბუქნასა.
და სეკლეტარსა მე ოც თუმნათა,
გნებავს, გაგიხდი მაიმუნათა.

ამ აზრისა იყო ხალხი, ჩვენშიაც და რუსეთშიაც. მშვენიერ
ლექსებში გამოხატევა ნეკრასოვმა ეს გარემოება გლეხის ხალხისა
(დაწერილია 1858 წ.)

Родная земля!

Назави мне такую обитель,
Я такого угла не видал,
Где бы сентябрь твой и хранитель,
Где бы — мужик не стонал?
Стонет он по полям, по дорогам,
Стонет он по тюрьмам, по острогам,
В рудниках, на железной цепи,
Стонет он под свином, под стогом,
Под телегой ночью в степи;
Стонет в собственном бедном домишке,
Свету Божьего солнца не рад;
Стонет в каждом глухом городишке,
У подъезда судов и палат...
Волга! Волга! Весною многоводной
Ты не так заливаешь поля,
Как великою скорбью народной
Переполнилась наша земля —
Где народ, там и стон...

(სამშობლოვ ქვეყანავ! დაძისახელე ერთი კუთხე, რომ შენი მცვე-
ლი და მთესველი გლეხი არ ჰკვენსოდეს? ჰკვენსის მინდორში და
გზებზე, ჰკვენსის სატუსალოში და საპატიმროში, ციმბირში შებო-
რკილებული; ჰკვენსის ძნას ქვეშ და ურემ ქვეშ, ჰკვენსის თავის
ღარბ ქოხშიაც და შზის ნათელიც კი სიხარულად არ მიაჩნია:
ჰკვენსის ყოველ პატარა მიყრუებულ ქალაქებში, სუდისა და პა-
ლატის კარებთანა... ვოლგავ! (დიდი რუსეთის წყალია) ვოლგავ!
გაზაფხულობით წყალდიდობის დროს ისე არა ჰფარავ და არ ედუ-
ბი ჩვენს მინდვრებსა, როგორც დიდი მწუხარება ედება ჩვენს
ქვეყანასა. საცა კი ხალხია, კვენსა მოისმის).

ამ გარემოებაში ველარა სძლებს არსენა და თავს იღებს. ამ ურჩობისათვის ეხლა დაქერილი, კანონის წინაშეა წარდგენილი. უფროსი ეუბნება არსენას:

„რაც შენი ამბავი მომდის, რათა ჰქენ, ჩემო არსენა?“ არსენას ფიქრათაც არ მოსდის, რა დანაშაულობა უქნია: მე მშვიერი ველათ დავდიოდით, ეს მართალია; არავისთვის კი არა დამიშავებია რა. თუ ზოგი მცარცველობასა მწამობს, ეგ ტყუილია, მართალია „მღრღარს ვართმევდი, მაგრამ მიყვარდა ღარიბის ჭკევა“. ამას თუ დანაშაულობათ ჩამომართმევთ, „ნება თქვენი ასრულდესა“. არსენის ბორკილს უყრიან, ციხეში აგდებენ და საციმბირით თავსა ჰპარსვენ. ყველა გათავებულა არსენასთვის.

რა რიგათ უყვარდა სიცოცხლე, რა ძვირათ დაუჯდა თავის საყვარელის და თავის თავის განთავისუფლება. ახალციხეს გადიყვანა თავისი სულის მეგობარი; ახალციხე მაშინ სხვა სახელმწიფოს ეჭირა, იქ შეეძლო თითონაც მშვიდობით ცხოვრება. მაგრამ სიცოცხლე უყვარს თავის სამშობლო ქვეყანაში, თავის მცნობ ამხანაგში. თუნდაც კი გარე-გარე უნდა იცხოვროს „მშვიერ ველათა“, მაგრამ აქ აღზრდილა, პირველათ მზე აქ უნახავს; დედის ალერსი და პირველი აღტაცებული სიყვარული აქ უნახავს: ამ ქვეყნის თავის დანებება არ შეუძლია. ვისაც ცხოვრებაში სიყვარულით გული გასთბობია, ანუ იმედი სიცოცხლისა, თავისუფალ, მშვენიერ სიცოცხლისა არ დაჰკარგვია, ამისთვის როგორ თავს არ დასდებს გაპარვისათვის.

არსენა საპატიმროშია. მარტო ყოფნა ძლიერის სულის და გვაშის კაცისათვის ისეთი მდგომარეობაა, რომ ამგვარ კაცს ფილოსოფოსათ გადააქცევს. ბერს ამბავსა სჯის, ფიქრობს, სწონის, ქვეყნის მღელვარებას დაშორებულს მყუდროება არ უშლის ამ სჯასა. ამ მარტოობაში შორითგან შინჯავს თავის ცხოვრებასაც და ქვეყნისასაც. არსენას ეს სჯა არ ასცილდება და კარგა უნდა დაფიქრდეს თავის წარსულ ცხოვრებაზე. რასაკვირველია, ამ სჯას უეჭველათ იქამდინ მიუყვანია, რომ ფიქრობს, კარგი მიქნიაო, რაც ჩამიდენიაო. ამასთანავე ხალხში კარგი ხმა გავარდნია და ეხლა კი აგერ საცაა ციმბირს უნდა გაგზავნონ.

მაშინა თქვა არსენამა: ვაი დედიჩემის ღმერთსა!
მე რო ამ ციხეში მოვედე, ბიჭობას ვინ დამივლებსა?

ობანოს იგონებს მიზეზათ და იქითგან მოხერხებულათ იპარება.

არსენა მეორეთ იბაღება! ახალის გრძნობით, და იქნება ახალის ზრით, გამოდის ქვეყანაზედ. ამ ადგილითგან, საცა გამოპარვა თავდება, აქეთგან იწყობა თითქოს მეორე ნაწილი ლექსებისა, რომელშიაც აღარ არის ლაპარაკი იმისი, საკუთარი, თავისუფლებისათვის, მოქმედება. აქ არის სხვებისათვის ზრუნვა და საქმე.

სხვებისათვის რა შეუძლიათ იმასა? რას აკეთებს ეს უბრალო გლეხი? ამისი აღხსნა ადვილია, რო დავაფიქრდეთ გლეხი კაცის მდგომარეობასა. რას ხედავს ყოველი გონება და თვალ ფხიზელი კაცი და რას უფრო დააქჳერდებოდა არსენა თავის ტუსალობის დროსა? რასაკვირველია, გლეხი კაცის სიღარიბეს. ამაზე დატუსალების წინათაც უფიქრია და საქმიტაც აუსრულებია; ეხლა ხომ უფრო უმეტესად დამყარებია თავის პირველ აზრებსა. სიღარიბე, სულის ამამხდელი სიღარიბე, გლეხკაცს თითქოს ბედათ შეხვედრია ამ ქვეყნიერობაში. შრომითა შრომობს მრთელს თავის სიცოცხლეში, მაგრამ ნაყოფი კი არა გამოდის რაი ვინა შრომობს გლეხკაცზე მეტსა, ვის აწევს იმოდენა მძიმე ტვირთი, როგორც გლეხკაცსა? ვაჭარი კაცი იმდენს შრომას როგორ გასწევს, როგორც სოფლის გლეხი? მაგრამ ეს ნამუშევარი თითქმის სრულებით ვაჭრებსა ხვდებათ ხელში. რათა, რა საფუძველით და რა სიმართლით? სიმართლეზე თუ მიდგა საქმე, ასე არ იქნება, ეს სულ ტყუების და გაქნილობისაგან არის; ვაჭრების და სხვა ამისთანა კაცების და გარემოების ბრალია. აი, არსენა კიდეც იმათზე ძალიან არის გადაკიდებული. იმან ძალიან კარგათ იცის, რომ, თუ ვისმე სიმდიდრე უშოვნია, სხვის შრომით უშოვნია. და აი, სომეხს უხვდება თუ არა, ლამაზათ, მდიდრულათ მორთულსა, მაშინვე ართმევს იმ სიმდიდრესა, გლეხის ნაშრომით რომ მოუპოვებია და შიგ ჩამჭდარა:

არსენამ წამოუარა: საით მიბრძანდებით თქვენა?
ეგ ქულაჯა გაიხადეთ, ეს თეჯა ჩაიცვით თქვენა.
ის ქულაჯა წამოისხა და ბეჭები დაიმშენა.

მაგრამ იქნება იფიქროთ, რომ ამ უკანვე გამორთმეული, გლეხის ნაშრომევის ფულით ნაყიდი ქულაჯა თითონ მოიხმაროს? არა. რასაც შოულობს, მგზავრს აქმევს, რადგანაც ჩვენში მგზავრის ჭმევა დიდ სათნოებათ არის მიღებული, და ღარიბს აძლევს. მაგ-

რამ, რასაკვირველია, ყველას კი არ ათმევს და არა სტაცებს. მორტო იმას ათმევს, ვისაც ეტყობა სიმდიდრე, რომ სხვის შრომით უნდა ჰქონდეს მოპოვებული. თორემ არსენას ყველა კაცი კაცათა ჰგონია. ამის დასამტკიცებლად ერთი ამბავი შეგვიძლია მოვიტანოთ, რომელიც ლექსებში კი არაა და არ არის და მხოლოდ ნამდვილი ამბავით გაგვიგონია: არსენას შეხვდა ერთხელ ღარიბი თავადი თუ აზნაური, უბრალო ტყავში გახვეული. არსენამ გაიხადა ქულაჯა, მისცა და ტყავი თითონ გამოართვა. ეს გვაჩვენებს, რომ არსენა კაცს კი არა სდევნიდა, სდევნიდა იმ უსამართლობას, რომელსაც კაცი დაუჩაგრავს და იმისთანა კაცებსა სდევნის, რომელთაც ამ უსამართლობის მხარე დაუჭერათ. თავადიშვილი, მებატონე თუ კი ღარიბია, სჩანს სხვის შრომა არ მიუთვისებია; თუ კი გლეხური ცხოვრება აქვს, სჩანს, რომ გლეხს ნაშრომევი კისერზე არ შემოუხვევია; უცხოვრია თავისის შრომით, როგორც უბრალო გლეხს. მხოლოდ სახელი აქვს თავადისა, თორემ ისიც ისეთივე გლეხია, როგორც ყველა გლეხი. ამისავე მსგავსად ქართველი, სომეხი და ურია ყველა კაცია. ურიას და სომეხს იმდრომ კი არა სდევნის, რომ ურიაა ანუ სომეხი; იმისათვისა სდევნის, რომ ხალხს ატყუებენ. კაცის ჭარწმუნობას ჩვენი ხალხი არა სდევნის, პირიქით, რაჯულგადამდგარ კაცს ჰხვა თვალთ უყურებს. გიორგის, არსენას მკვლელს ლეკის ბიჭზე აი რა აზრებია ლექსებში გამოხატული:

გიორგის ერთი ლეკი ჰყავს, ბრიყვი და გაუზრდელი,
რჯულიდგან გადამდგარიო...

ამგვართ, არსენასთვის ყველა კაცი კაცია; სიტყვა საქმეზე და გარემოებაზეა დამოკიდებული. ამისათვის უფრო ის ადგილია შესანიშნავი, სადა არსენა აყვედრის ურიებსა:

ქალაქში რო ჩახვალთ ხოლმე, ფარჩას არჩევთ შილას თხელსა;
სოფლებში იციტ ტარება, კარგათ შეიკაზმავთ ცხენსა;
ქვრივსა და ობლებს ატყუებთ, ნამეტნავად პატარძლებსა!

არსენას უნდა ამისთანა უსამართლობის ამოგდება. იმას არ შეუძლია გულგრილათ ყურება, როდესაც გლეხკაცს ვინმე სჩაგრავს; იმისთანა კაცებს არა ჰგავს, რომ სხვის გაჭირვებულ მდგომარეობაზე ილაპარაკოს, ილაპარაკოს, იოხოს-იტიროს, მშვენიერი სჯა და ფიქრები გადაშალ-გადმოშალოს და გულხელდაკრეფილი შეჰყურებდეს. რამდენი კაცი გენახვებთ, რომ ათასგვართ

შეწუხებულის გულშემატკივრობაზე, ღარიბის შემწეობაზე ლაპარაკობდეს და იმავე დროს ამისთანაებისთვის არას შრომობდეს, არას აკეთებდეს. ამისთანა კაცებს გულის სიჩვილის მეტი არა აქვთ რა, ამათ მოქმედება ხელითგან არ გამოსდით, არც შეუძლიათ. არსენას კი შორიდგან ყურება და გზის აქცევა არ შეუძლია. თუ მაშინვე ავადმყოფს წამალი არ მიაწოდა, მწყურვალს წყალი და მშიერს პური, სიცოცხლე სიცოცხლეთ არ მიაჩნია. რაც უნდა იყო და როგორც უნდა მოხდეს, რაკი ხედავს მშიერს კაცსა, ვერ მოითმენს, გული და სული ვერ გაუძლებს, შხაპით ეგონება თავისი სიცოცხლე, რომ პური არ მიაწოდოს.

ამისათვის უნდა მოუხერხოს [მევახშეს] ისეთი ხერხი, რომ ველარ შეიძლოს სოფლის დაწიოკება. აქამდინ ხმარებულ საზომს ადღს აგდებინებს ურჩებსა:

გატეხა და გადმოუგღო: ფუ, გამჟელი გაუწყრესა!

და ახალს, თავისის ხელით გამოჭრილ შვიდ მტკავლიან ადღს აძლევს, უტყუვრათ და იაფად ამითი ჰზომეთ და ჰყიდეთო:

თუ ამითი არა ზომეთ, ვაი დედი თქვენის ღმერთსა!

მაგრამ ხომ იცით, ეს რა ხალხია. ჩვენ აგრე ვყიდოთ, რაღა უნდა მოვიგოთო: „ისევე საქონელი ჩვენს ღუქნებში დაღვეს, ისე ხჯობიაო“. ამ ხალხს სანამ ძალას არ აჩვენებუ კაცი, თავისას არ დაიშლის. კიდევ იმიტომ ეუბნება არსენა:

სადაც რომ შემოგეყრებით, სუყველას დაგჭრით ყელსაო.

და როცა საახალუხეს ორ მანეთიანს თუმნათ უფასებენ, მაშინ
კი

მაშინ ჩვენი არსენაი თითო მუშტსა წაადებსა.

იმ საახალუხესაც უფულოდ წაართმევს და ფულსაცა. ამ მუშტის წადებას და ფულის გამორთმევას, ერთის სიტყვით, დაშინებას, მაგალითის მნიშვნელობა აქვს: თუ ისე არ მოიქეცით, როგორც გეუბნებითო, უფრო სულ ცარიელები დამრჩებითო. ამ ღონისძიებით არსენას უნდა ხალხს შეღავათი მისცეს, შეუმსუბუქოს მძიმე ტვირთი და მოსპოს ის მიზეზები, რაც კი ჰბადებს ხალხში სიღარიბესა.

ამისა გამო ხალხს როგორ არ უნდა უყვარდეს არსენა! ვისაც
ხალხი უყვარს და თავის სიყვარულს საქმეებით აჩენს. იმას რო-
გორ არ შეიყვარებს. აბანოდგან გაპარული არსენა რომ სიძე-სა-
დედრს ცხენს ართმევს, მაშინაც კი

ის დედაკაცი ლოცავდა: ღმერთმა მშვიდობა მოგცესა!
სადაც წაბრძანდ-წამობრძანდე, არსენა გაგიმარჯდესა!
მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ — ღმერთი როდი წაგახდენსა.

გაპარვის ორი კვირის შემდეგ ქალაქში ჩამოდის და რა სიყ-
ვარულით უხვდება ხალხი, ჩვენი ქალაქის დარღვიმანდი ხალხი არ-
სენას უყურებს, როგორც გმირ კაცსა.

მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივითა ძევისა:
„ღმერთს უშველია არსენა ამიერით განსაცდელსა“.
სადაც მივა მიკიტნებთან, ყველა დაუქნევენ ხელსა.

რა დიდებაა, არამცთუ უბრალო გლეხისათვის, არამედ ყოველი
კაცისათვის. ამისთანა მიგებება საქართველოს თვალის, ჩვენი
საყვარელი ქალაქისა. ქალაქს დღევანდლამდინ არსენა არ დავი-
წყებია. არსენა ამგვარათა ჰყავს მიჩნეული და უთუოდ ხალხი რაღა-
საც კარგს უნდა ჰხედავდეს ამ კაცში, რომ ასე უყვარს და ასე იხ-
სენებს, ის თავის გმირათ მიაჩნია და კაცი და ქალი იმას შენატ-
რის, იმის კაცობას, იმის სიკეთეს და სითარხნეს: „ნეტავი შენ,
რომ აგეთი კაცი გამოსულხარო“. ჩვენი ტფილისის ქალს დღესაც
არ დავიწყებია არსენა და როდესაც ეალერსება მოჩიტებულ
შვილს ქვეყნიერობაზე, არსენას ამბავი პირველი ამბავია იმის მო-
თხრობებში. არსენას სახსოვრები ოჯახებშიაც კი მოიპოვება: ებ-
ლა მესტვირეებს რა სახით ეხვევა ხალხი არსენას სიმღერის
დროსა. იმ დღეებში არსენას ლექსი რომ გამოვიდა, უნდა შაგვე-
ლოთ ბაზრებისკენ და გენახათ, რა სიხარულით კითხულობს ხალ-
ხი იმის ლექსებსა და იძახის: „ჩვენი არსენა გაცოცხლდაო“. ეს
ყველა გვიმტკიცებს, რომ ხალხს შორეულ უცხო სიციცხლეთ არ
მიაჩნია არსენას სიციცხლე და იმისი აზრები ძალიან არა ჰშორ-
დება არსენას აზრებსა. ყველას ამ დამოყვრებას თავისი საფუძვე-
ლი ჩვენს ძველსა და ახალს ისტორიულ ცხოვრებაში აქვს. მაშა-
სადაამე, ეს ხალხის სიყვარული და მეგობრობა ამითი უნდა ავხს-
ნათ.

ამ კაცის სიყვარული ამასთანავე დამყარებულია არსენას საკუთარ კაცურ თვისებაზე და ხასიათზე. ყოველი კაცის თვისებას იმითი იცნობენ ხოლმე, რა კაცია თავის მცნობ ამხანაგში, მტერში და მოყვარეში. გავშინჯოთ, მტრებს როგორ ეპყრობა არსენა? თავის მტრებს, თავის საკუთარ მტრებს თითქმის არას დასდევს და მხოლოდ სახალხოდ სასაცილოდ იგდებს მტრედის გუნდივით შეკრებილს ხალხში. აი, ერთ შემთხვევაში რას ჩადის არსენა, ღვთაებობას მარტყოფში, სადაც ქალაქის ხალხი იკრიფება ხოლმე. ამ დღეობაში, ერთი კაი გვარიშვილი, ქალაქელიც იქ მიბძანდა.

ფიცხლად დროშა გეემართა, შიგნით შეება ცხენია.
კნინაც ხო იქა ჰყავდა, ზედ გადებვია ხელია,
როცა წირვა გამოვიდა, — იმისი მადლი შენია,—
რომ დაინახა არსენამ: ა, გამარჯვება შენია!
ქალაქში რო შარს მიგდებდი, ახლა ხო მოგასწარიან!
მაგ შენს აპელატებზედა შენით აიღე ხელია.

ცოლი ეუბნება ქმარს, შენ თავათ მიეციო, თორემ ყველა ობრათ დაგრჩებაო:

შინლიანებ გადმოუგდო...
წამოიფინა არსენამ: გამორბის როგორც მშველია!

იხსენას ჯავრის ამოყრა ეს ხუმრობაა.

მეტისმეტეი ჯავრი არსენას ჩაჰყვა ფარსადანისა და დიდხანს დასდევდა მოსაკლავად. მოვიდა ქიზიყს, რომ იქ იპოვნოს და ჯავრი ამოიყაროს, მაგრამ მასუქან ჰფიქრობს:

მაშინ საწყალი არსენა თავის გულში დაფიქრდესა:
თხუთმეტი წელიწადია, რაც მე უახალათ დაედივარ,
კაცის ცოდვა არა მძევსა.
ნათლიდელას ეუბნება: არას ვერჩი არაფერსა;
ფარსადანი ვაპატივე ჯერ მირონს და მერე ღმერთსა,
ფარსადანს მაინც არ მოვკლამ, თუ გინდ რო წინ შემომხედესა!

აი ესეთი დიდსულოვანია, რომ თავისი საკუთარი ვაგლახი და მწუხარება არად მიაჩნია და აპატიებს; სიკვდილით არ იმეტებს, მხოლოდ მარტო ცხენს ართმევს ფარსადანსა.

ამგვარათ თავის საკუთარი მტრისათვის არა დაუშვებია არსენას, არავისი სისხლი არ დაუღვრია და მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში — ხმალს ხმარობს, როდესაც გიორგი არ ეწვევა არსენასა და პურ-მარილს არ იღებს. როდესაც გეპატივებიან, პური-სა და ღვინის არმიღება, უარის თქმა, ჩვენში დიდი შეურაცხუ-ფაა. გიორგი თითქოს დასცინის არსენას, რომ შენ როგორ გამიბედელ მიწვევაო; შენი რომ არა ვსვა, ჩემი არა მაქვსო, და მცხეთა-ში ისიც წითელ პარასკევს ღვინო როგორ უნდა დალიოს კაცმაო! ამ გაუპატიურებისათვის არსენა ხმალს უქნევს, მაგრამ ნუ კი გგონიათ, რომ იმისი მოკვლა უნდოდეს, არა, — ყუასა სცემს. შეშინებული გიორგი თავის დასაცველათ, ხმალს უქნევს და სჭირის მარჯვენასა. გიორგის ლეკის ბიჭი დამბაჩას ესერის და ჰკლავს არსენასა. ეს არსენას სიკვდილი გეგონება, თითქოს შემთხვევითი სიკვდილი იყოსო, მაგრამ კარგათ რომ დაეკვირდეთ, მეორე მხარესაც დავინახეთ. გიორგი სულიერი კაცია და ადათის ამსრულებელი. სალოცავად მიემგზავრება. არსენას ადათი არათ მიაჩნია, თუნდა პარასკევიც იყოს, თავისებურათ შეექცევა. გიორგი მიწვევაზე აგინებს წითელ პარასკევს ღვინოს სმისათვის და ხალხისაგან პატივცემულ და მიღებულ ადათის გატეხისათვის და, აი არსენა ხალხის მოყვარე და ხალხისაგან შეყვარებული, როდესაც ხალხის ადათის ასრულებას უარსა ჰყოფს, და აქაც თავისუფლება უნდა, როგორც ყოველთვისა ჰქონია — ამ დროს თითქოს ბედიც ხელს იღებს და სიკვდილითა სჯის — არსენა ისე კვდება, როგორც დაიწყო სიცოცხლე, ყოველს წინ უხვდება, ყველა გარემოებაა ხელს უბრუნებს, რაც კი იმის ხასიათის წინააღმდეგია, თუნდა რომ ხალხისგანაც მიღებული იყოს.

ასე გმირული საქმე ამ სიკვდილშიაცა სჩანს. მრთელმა იმისმა სიცოცხლემ ხალხის და თავის პატიოსან სიკეთისთვის ბრძოლაში გაიარა. ხალხის დამჩაგვრელს გარემოებას სღვენის დაუდგრომელათ. მაგრამ თავის საკუთარს მტერს დანაშაულობას აპატივებს და აჩუქებს ხოლმე.

ეს თავისი მშვენიერი ღირსება თითონ არსენასაც კარგა ესმის: ღირს იმისთანა კაცის დასჯა, რომელსაც მრთელი ხალხი აღარ უდგება და დასცინის? ღირს იმისთანა მტრის გაფუჭება, რომელიც ხალხს აუთვალწუნებია? არსენა დარწმუნებულია, რომ ხა-

ლბისაგან დაწუნებულს კაცს ბოლო აღარა აქვს. იქნება სამწუხაროდ არსენა სცდებოდეს, მაგრამ დარწმუნებულია, და აი ამისთვისაც ცოდვა არავისი თავს არ უღვია, და მღვდელს რომ აღსაჩებას ეუბნება, მღვდლის ლაპარაკს პასუხს აძლევს:

რისთვის წამწყმენდავს უფალი, კაცის ცოდვა არა მღევსა.
მიღიარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ, ღმერთი როლი წამაბდენსა;
საცა ტიტველასა ვნახავ, ჩოხას ვიხლი და ვაცმევო.

სიკვდილამდე ესე მტკიცე აზრისაა არსენა, რომ თავის დღეში ცუდი არა უმოქმედია რა და კაცის ცოდვა არ ადევს კისერზედ.

სიკვდილის დროსაც კი ღარიბის შვილს ფიქრი თან მიაქვს: იმისი ზრუნვა და სიცოცხლე გლეხის ცხოვრება იყო, მრთელს სიცოცხლეში და სიკვდილში ეამსაცა ის არის. გიორგის ანდერაჟს ეუბნება:

რახან მომკალი, გიორგი, ეს სიტყვა მიინც დამცალდეს:
ჩემი შვიდასი თუმანი კასში ერთ ღიდ კლდეში დევსა
მონახე და მოახმარე ღარიბებსა.

რაც სიცოცხლე, ის სიკვდილით, ნათქვამია. იმისი სიცოცხლე, ხალხის სიცოცხლე იყო, მწუხარება და იმედი ორისავე ერთი იყო და არსენას ცხოვრება ხალხის შემავალიანებული სიცოცხლე იყო და ხალხის ცხოვრების გამომქმელია. ხალხი კიდევ ამისთვის შეფრთხინვით და აღტაცებით უყურებს არსენასა, გულს უკეთებს, ეწევა რაც შეუძლია. მაგრამ ფარსადანისთანა და მარტყოფში შეხვედრილ შარიან კაცებისთანანიც კი არიან. მარტოობაში მშვიერი ველათ და ტყე-ტყე სიარულს უნდება, ერთი და ორი წელიწადი კი არა, მრთელი ათი-თხუთმეტი წელიწადი. ამ ყოფაში სიცოცხლეს ამკობინებს ფარსადანის და შარიან კაცებში სიცოცხლესა. იმას ისეთი ბუნება აქვს, ისეთი თავის თავის დაკმაყოფილების სურვილი აქვს, რომ ვერ შეურიგდება ცხოვრებასა. ამიტომ ამ ცხოვრების გარემოებაში არ იცვლება. ძნელია ამგვარი მკაცრი და სასტიკი ცხოვრება. მგზავრს სადილს კმევის დროს ერთხელ ეუბნება:

წელს არავინ მომარჩენსა:
აი თათარი მილაატებს, ქართველი არ მომარჩენსა,
თუ ძალათ არავინ მომკლამს, ნებით გამოვიპრი ყელსა!

რა გარემოება უნდა მიადგეს კაცსა, რომ სხვა ღონეს ველარა ჰხედავდეს თავის გადასარჩენად სიკვდილს გარეთ! არსენას

სიცოცხლე უყვარდა, მშვენიერი კაცურის სიცოცხლის მედი ჰქონდა, მაგრამ, რადგან ფლიდმა წუთმა სოფელმა უმტყუნა, თვითონ არსენამაც იგი უარპყო, მასში ცხოვრება აღარა შეუძლია და სურვილით კვდება.

4. ახალი წელიწადი მართლში

ახალი წლის წინა დღეს დილაადრიან დაიწყებენ პურის ცხობას. ჯერ მიაკვრენ (თონეში) ოჭახისპურს დიდსა, ჩამიჩას ჩაურჭობენ, მერე რამდენიც კაცია, იმათ სახელობაზე უფროსიდამ უმცროსამდინ თითო ჩამიჩიან პურს დააკრავენ. მერე ამგვარადვე დედაკაცების სახელობაზე უფროსიდამ უმცროსამდინ პურებს დააკრავენ. რომელის სახელისაც პური ჩავარდება, იმ წელიწადს ის მოკვდება. მეორეთაც დააკრავენ, თუ დადგა, ავთ გახდება და მორჩებაო. თუ კიდევ ჩავარდება — იმ წელიწადს მოკვდება, მოსახელე ეტკეშია, ამ წელს მოკვდებაო. ეს ბედისპურები ია. მერე ამოპყრიან და კიდობანში ჩააწყობენ. ახალ წელიწადს ყველა თავის პურს გასტეხავს. ყველას პურს ნიშანი აქვს, ზოგს ორი ჩამიჩი, ზოგს სამი, ზოგს ოთხი; ქალებისა და კაცებისა ცალ-ცალკეა. დედაკაცები დაიხსომებენ.

ახლა კაცის ბასილა. პურისას გამოაცხობენ ვაჟკაცების და ყმაწვილ ვაჟებისთვის, რამდენიც არიან სახრეს და ნამგალს. აგრეთვე ვაჟკაცებისთვის, ყველასთვის ერთის გუთნის იარაღს: სახნისა, საკვეთელს და ჩეკს. დედაკაცებისათვის ყველასათვის სათითაოდ გამოაცხობენ ჯარას. რგვალი ბრტყელი თეფშისოდენა პურია, ფრთები აქვს დაჭრილი როგორც ჯარასა*. ფრთებს შუაში ჩამიჩები ურჭვია.

კრუხ-წიწილა მთელი ოჯახის დედაკაცებისა, ერთი ყველასათვის: შუაში რომ ჩამიჩს ჯგუფად ჩაურჭობენ — კრუხია, გარშემო თითო თითოდ ჩამიჩებს ბევრს მოუხსნენ — წიწილებია**. მთელის ოჯახისთვის ერთია. ყმაწვილებს ვაჟებს უცხობენ მკლავზე ჩამოსაცმელს კვრებს. ამას წყალკურთხევა დღეს წყლის კურთხევაზე წაიღებენ მკლავზე აცმულს, ყმაწვილები ოთხი-ხუთის წლითგან

* ნელნაწერში ჩახაზულია „ჯარა პურის“ სახე.

** ნელნაწერში ჩახაზულია „კრუხ-წიწილა პური“.

მოყოლებული და კურთხევის შემდეგ რო დაბრუნდებიან, გასტეხენ და შეექცევიან.

ბედის პურებს კიდობანში ჩააწყობენ, წვრილებს ხახალზე დააწყობენ. ამ ხახალზე დასდებენ ცივად მოხარშულ დედალს და ღორას თავს, ჩამიჩს, ჩურჩხელასა, ვაშლებსა, ერთ თეფშ გოზინაყსა, საღვინით ღვინოს მოუდგამენ და ჩარექით არაყსა. ჯამშუ ჩაასხამენ წყალსა, თაფლსა და ღვინოსა. ჩაპყრიან დიდრონ ლუქებს და იმავე ხახალზე დასდგამენ ახალწლის ღამეს (ა ბ რ ა მ ი ა ნ ი ს თ ვ ი ს).

ბუხარში, თუ კერაში გრძელი დიდი შეშები ანთია. მამლის ყვილის შემდეგ, ღამე რომ გატყდება, განთიადისას, ადგება. სახლის უფროსი, დაუმატებს ცეცხლსა, აიღებს ხახალს, წმინდასანთლებს აანთებს და მიაკრავს ხახალზე. საღვინეს და არყის ჭურჭელს აიღებს, გავა კარში და სახლს შემოუვლის სამჯერა. მერე შევა შინა და ულოცავს სახლობას: „შამოვდგი ფეხი, გწყალობდე“ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა“. ყველანი წვანან. დასდგამს ხახალს ცეცხლის პირას, აიღებს პურჩაყრილ ჯამსა და ჩამოუვლის ყველას, ჯერ უფროსებს და მერე უმცროსებს: თითო ლუქმას ჩაუღებს პირში და იტყვის „დეესწარით მრავალ ახალ წელიწადს! როგორც პურისა და ღვინოს სახელი არ დაიღვეა, ისე თქვენი სახელი არ დაილიოს!“ ახლა მობრუნდება და მოუქდება ხახალს. სუყველა კერძიღამ თუ ქათმიღამ, თუ ღორის თავიღამ მოიჭრის და შესჭამს. ჯერ სატკბილობელსა სჭამს, არაყს დაღვეს და მერე ხორცს შესჭამს და ღვინოს დაღვეს. ახლა ხალხი წამოიშლება. გარეთ რომ გავლენ, შემოსვლის დროს, წინა დღეს ეზოში მომზადებულ თითო ღერ შეშას შემოიტანენ და ცეცხლს წაუჩინჩხილებენ, ნაპერწყლების ასვლაზე უხარიათ და იტყვიან: „ამდენი ძროხა, ამდენი ცხვარი, ამდენი ღორი!“ დედაკაცები იტყვიან: „ამდენი ქათამი, ამდენი ბატი, ამდენი ინდოური გამეზარდოსო!“ ყველა, ქალი თუ კაცი, დილაზე პირველ შემოსვლაზე შეშა რომ შემოაქვთ, იტყვის: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა“.

გათენდა. ვისაც საქონელი ჰყავს მეკვლე კაცი წაიღებს კვერცხებს, ბოსელში შეუგორებს, მერმე აიღებს და წელზე გადაუხვამს (ხელს) საქონელს: „ასე მთლიანათ დაესწარ მრავალ ახალ წელს ჩემო ღომავე, ნიკორავ, (ცხენს) ჩიტავ ან სხვა სახელი;

ქროხას) ლურჯა, ჭოტავ, ფეხთეთრავ!“ ასე ყველას ჩამოუვლიან კამბეჩს, ცხენს, ძროხას. ბოსელშიაც მთელი დამე ცეცხლი ანთია, კვერცხებს იქვე შესწვამს და შესჭამს.

ახლა კაცი წავა ვენახებში, სამ ძირს ვაზს გასხლავს და წითელ მამალს დაჰკლავს ვაზის ძირში. ბევრი ღვინო მოგვივაო, ახარებენ ვაზსა. წამოიღებენ და მერე მოხარშავენ და სჭამენ.

დედაკაცი უფროსი ახალწლის დილაზე წავა წყალზე, წაიღებს კოკას და ერთ მუჭა საკენკს (სიმინდს ან ქერს) ხელსახოცში ჩაჰყრის. მივა წყლის პირს და მიულოცავს წყალსა. „წყალო, ეს ნაკმაზი შენა და წრეულს ბევრი წვრილფეხი (ქათამი, ბატი, იხვი, ფრთოსანი) დამეზარდოს“ და წყალში გადაჰყრის. კოკას აავსებს და წამოიღებს შინა; გააღებს საქათმის კარსა, შეუტანს, წყალს დაუნახამს და ბლომად საკენკს დაუყრის და იტყვის: „დამეზარდოს ამდენი ქათამი, ბატი, ჩნდაური, იხვი“. იმ წელს თუ კარგათ დასცადა, მეორე წელსაც ის იქნება მეკვლე, თუ არა და, გამოიცილება, სხვა დადგება.

ახალ წელიწადს ცეცხლს არ შეუბერვენ, — მუცელი შემოგვებერებაო. არ გადააფურთხებენ — ხრანტიანი, ხველიანი ვიქნებდითო. თმას არ დაივარცხნიან — თხელი ყანა მოგვივაო. ჯარასა და თითისტარს დამალავენ, არაეინა ნახოსო. ვინც ნახავს იმ წელიწადს თავბრუსხმა დასჩემდებო. ტილს არ მოჰკლავენ — წიწილას ფეხი მოგვიხვდებო, გაგვეჰყლიტებო, მეზობელი მეზობელს არ შესძახებს, — წიწილას წივილი ეცოდინებო. ხმის გაცემის ნაცვლად ქვას მიარტყამენ კარებსა. სახლში მიხვდებიან, გვიძახის ვინმეო და გავლენ. ერთმანეთში არ ივლიან ოჯახებში; სახლ გარეთ მიულოცავენ როცა გზაზე შეხვდებათ. ჩურჩხელით ორგოჯის ოდნად დაჰრილით ან ვაშლით დააბერებენ და ეტყვიან: „ასე ტუბილად დამიბერდიო“.

ახალწლის მეორე დღეს ვინც პირველათ შევა ოჯახში, ქალი ან კაცი, დიდი თუ პატარა, შეხეტებით, ან შეიტყუებს დედაბერი, დასმენ მოკეტილს, წინათ მომზადებულ ადგილს, სადაც ჭილობს ან ხალიჩის ქვეშ საკენკია დაყრილი. დაბერებენ. მუხლმოკეციით დასმენ, რომ კრუხი კარგად დაჯდესო. ამ საკენკს ქათმებს დაუყრიან. ვინც იჭდა, იმას ნაკლებ დაეზრდება ფრინველულობა და სახლის პატრონს კი მეტიო. ამიტომ ფრთხილობენ ახალი წლის მეორე დღეს არსად არ შევიდნენ ერთმანეთში, დაკვეთების დღეაო.

წყალკურთხევა დღეს წყალზე წაიღებენ და ნაპირზე წყალში

ჩააყუდებენ რკინის იარაღს ხმაღს, ხანჯალს, ცულს, ნამგალს, წალდს, სახნის-საკვეთს, ვისაც რა აქვს, — კარგი რკინა გამოვყო, ცხენსაც შიგ ჩააყენებენ, — მარდი გამოვყო.

5. ვეფხისტყაოსნის ზეპირად ცოდნა

„ივერიის“ მე-150 №-ში დაბეჭდილი იყო ბ-ნ ურბნელის შენიშვნა (წერილი რედაქციის მიმართ), რომელიც შეეხებოდა სამ საგანს: 1) ხევსურებისაგან ზეპირად ვეფხისტყაოსნის ცოდნას, 2) ვეფხისტყაოსნის (იაფფასიან) გამოცემას ხალხისათვის, და 3) ხალხში წიგნების გავრცელებას.

მე მინდა აქ შევეხო ბ-ნ ურბნელის წერილის პირველ საგანს. ბ-ნ ურბნელი ბრძანებს, რომ ხევსურეთში მეფანდურეებმა იციან ვეფხისტყაოსნის უკეთესი ადგილები და მღერაიანო. ჩვენ ამ შემთხვევაში ერთი ფრიად საჭირო რამა გვაქვს გამოსარკვევი: ნამდვილად ჩვენში დაბეჭდილს ვეფხისტყაოსნის ლექსებმა მღერაიან, თუ თავისებურად შეცვლილსა?

ამ კითხვას საფუძველი აქვს პირველად იმიტომ, რომ ხევსურეთში წერა-კითხვა ძალიან არ არის მოფენილი, დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი იშვიათად მოიპოვება, რადგანაც ფასი ვეფხისტყაოსნისა დღევანდლამდე ისე დიდია, რომ რუსთველის პოემა ადვილად ვერ მოიფინებოდა. მაშასადამე, თუ მოფენილა ხალხში, ზეპირად ცოდნითა. ზეპირად ცოდნით გავრცელებული ლექსი კი ხალხში იცვლება თვითთულ თემის ანუ ხეობის ენისა და პოეზიის კილოს მიხედვით, და ამგვარი მაგალითები მოიპოვება საკმაოდ.

მაგალითად, ბეჟანიანი (რომელიც ნაწილია დიდი პოემის როსტომიანისა) ჯერ დაბეჭდილი არ იყო, რომ ხალხში ზეპირად იცოდნენ. ამიტომაც ამ თხზულებასაც ატყვიან ცვლილება, რაიცა შეიძლება ბევრს შეენიშნოს. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ის ვეფხისტყაოსანი, რომელსაც ხევსურეთში მეფანდურეები მღერაიან, თუ ისე გლეხები (ეს ორნი უნდა გარჩევით აღინიშნებოდეს, როდესაც მათი თქმულება იწერება), სახალხო პოეზიის განსაკუთრებულ ზედ მოქმედების ქვეშე შეცვლილი უნდა იყოს. მის დასამტკიცებლად ერთი ადგილი შეგვიძლიან მოვიყვანო, მაგალითად, განსხვავებისა რუსთველის ვეფხისტყაოსნისა და საერო ვეფხისტყაოსნის შორის..

ჟუმცა მხეცქმნილი ავთანდილ
 გულამოსკენით და კვნესითა,
 ეგრეცა კამა მოუნდის
 ადამის ტომთა წესითა.
 ისრითა მოკლის ნადირი
 როსტომის მკლავ უგრძესითა,
 შამბისა პირსა გადახდა,
 ცეცხლი დააგზო კვესითა.
 ცხენსა მისცა საძოვარი,
 ვინემ მწვადი შეიწოდეს.
 ექვსნი რამე ცხენოსანი
 ნახა, მისკენ მივიდოდეს.

შეადარეთ ამ ლექსს ის ლექსი, რომელსაც მთელი საქართველო.
 მღერის ორ-პირში და ფერხულში: „ავთანდილ გადინადირა ქედი
 მაღალი, ტყიანი“ — და დანახავთ, რომ ეს ერთი და იგივე ლექსია.
 მხოლოდ სასიმღერო ლექსი უფრო ვრცელია და უფრო სურათიან-
 დაც შეცვლილა. ხევსურულ ვეფხისტყაოსნის ერთ ნაწყვეტში,
 რომელიც დაწერილი მაქვს, ეს ლექსი ავთანდილზე თითქმის
 ისეთივეა, როგორც გოგებაშვილის დედაენაშია დაბეჭდილი, რამ-
 დენისამე განსხვავებით (ავთანდილის სიკვდილი არ იხსენება).

აი კიდევ შეადარეთ ეს ადგილები:

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე“ და სხვა ასეა:

მინდორს კაცი დაბადულა,
 არა იყო ამ მიჯნისა,
 ხელთა ჰყვანდა შავი რაში,
 დეებლუჭა ეგრო* გმირსა;
 წვრილად ესხა მარგალიტი
 ცხენის ლავამ-უნავირსა.
 ადგივით, აიშალენით,
 ადემ ჩემო და ომარი,
 ის კაცი აქ მოიყვანოთ,
 ვინ არის. ველზე მდგომარი.
 — ბრძანება იყოს, ბატონო,
 შენთა ბაგეთა ბროლთავან,
 ადვილი სამსახურ იყოს,
 ერთის მოყვანა სამთავან.

* ვითა, ვითარცა, ეგრე, როგორც.

რასაც რუსთველის ვეფხისტყაოსანში ერთი სიტყვით ეუბნება მონა ტარიელს „გიბრძანებსო“, ისეა შეცვლილი, რომ მოსვლასაც უბრძანებენ და სარდლობასაც პირდებიან.

— ტანტურფო, თვალით ლამაზო,
ვინა ხარ ველზე მღვომარი,
აქ მოდი, ბატონ გიბრძანებს,
ჯარის სარდალი. თვით ხარი.

შემდეგ ტარიელმა, რომ მეფის მონანი „გახადნა მტერთაცა საწყალობელადა“, ასე არის სახალხო ლექსებში:

ცხენი ცხენს ჰკრა, კაცი კაცსა,
გორე ეგა ცხენ-კაცისა,
ელემ გვიცა მათრახითა,
ომანს მოგვიმწვადა მხარი;
ერთი მინდორს გაგვილაღა,
მინდორს ბრუნავს ჯარა ვითა,
ერთი ცაში შაისრია,
ჯერაც არ მოსულა ცითა.

შემდეგ:

ა მაგ ჯარის სიალყემა
ორბი მალლა შაფრინა;
ისარი ჰკრა ტარიელმა,
მხრებზე სისხლი მაადინა,
ჩამოხდა და მხრები აშკრა,
ბოძელის გასაკრავად მინდა.

ალარ გავაგრძელებთ ამ შედარებასა. აქ ბევრს განსხვავებას და ცვლილებას ვხედავთ და მაგას გარდა რაღაცა ახალი სახელები გვესმის: ადემ თუ ედემ და ომარი თუ ომანი. ეს ზემოხსენებული ადგილები იმის დამამტკიცებლად მომყავს, რომ ხევსურეთში, და იქნება სხვაგან მთა ადგილებსა და ბარშიაც არის ვეფხისტყაოსანის ადგილები შეცვლილი ხალხის კილოზე, მაშასადამე, რუსთველისა — კი არ არის, როგორც დაბეჭდილშია. მართალია, საფუძველი რუსთველისა ლექსებია, მაგრამ გადაკეთებულია; ამასთან უნდა მოვიხსენოთ, რომ ადგილები ძალიან არეულ-დარეულია.

რაც უნდა იყოს, დიდად საჭიროა შეკრება ამ ზეპირის სახალხო ვეფხისტყაოსნისა. დიდს სამსახურს გაუწევს ქართულ

მწერლობას და სახალხო პოეზიასა, ვინც შეიძლება ადგილობრივად შეჰკრიბოს, რასაც მეფანდურეები მღერიან, ანუ უმღერლად, მოთქმით აზობენ. ვეფხისტყაოსანს ეძახიან „ტარიელის ლექსს“. შეგვიძლიან დავასახელოთ ხევსურეთის სოფლები, საცა იციან ეგ ტარიელის ლექსი: ხახმატი, ბუჩუკური. გავგიგონია, რომ სოფელ ბუჩუკურში, „ტარიელის ლექსი“ სრულად იცისო ჯოყოლა ჯამრულიშვილმა გოგოჭურმა და დამტკიცებით კი ვერ ვიტყვით მართალია ესე თუ არა. ხახმატში-კი იციან და ზემო მოყვანილ ნაწყვეტ ლექსები ხახმატლების თქმით დაგვიწერია.

ერთი შენიშვნა უნდა გავიმეოროთ შემკრებთათვის, რაც ერთხელ „ივერიაშიაც“ იყო მოხსენებული. პროგრამა ხალხის, ნაწარმოების წერისათვის ამ რამდენიმე წლის წინათ იყო დაბეჭდილი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან“. ეს საჭიროა მხედველობაში იქონიონ. სხვათა შორის, დიდად საჭიროა აღნიშვნა იმის სახელისა და გვარისა, ვის სიტყვითაც დაწერილია, რომელი სოფლიდამ არის მთქმელი მეფანდურე, თვე და წელიწადი. ეს შენიშვნები ძვირფასია მომავალ შემკრებთათვისაც, რომელთაც ხელმეორეთ მოვლა შეუძლიანთ ამ სოფლებში და იმ კაცების პოვნა, რომელთაც უთქვამთ პირველ შემკრებისათვის. ეს დასახელება ამის გარდა თვით სახალხო თქმულებათა დაფასებასა და გარკვევას, გამოკვლევას უუქველად ეჭირება. სამწუხაროდ, ხშირად ეს საჭირო ცნობა აკლია ეხლანდელ შეკრებილ ლექსებსა და სხვათა შორის, ძვირფასს ფშავლურ ლექსებს ბ-ნ ხიზანაშვილის მიერ შეკრებილს.

ტარიელის ლექსების ანუ ვეფხისტყაოსნის ლექსების შეკრება, როგორც ვთქვით, ძვირფასი შრომა იქნება. მისი გამოცემა დაგვანახვებს, რამდენად მიღებულია ხალხში რუსთველის ვეფხისტყაოსანი, როგორ შეთვისებულია და რუსთველის გენიოსობას რა დაუმატა, ან როგორ შეცვალა იგი ერის პოეტურმა ნიჭმა და გენიოსობამ. თუ მართლა მთელი პოემა აღმოჩნდა ხალხის მიერ თავისებურად გადაკეთებული, ეს საგანი იშვიათ მოვლენად ჩაითვლება მთელს მსოფლიო პოეზიაში. ამგვარი ნიმუში ორია: ძველს საბერძნეთში ომეროსის „ილიადა“ და ახალს იტალიაში ტორკვატო ტასოს „დახსნილი იერუსალემი“.

ხალხის პირად სიტყვიერების ნაწარმოები ეწოდება იმისთანა თხზულებებს, რომელნიც ძველ წინაპართა დროიდან მკვიდრს ისტორიულ ქვეყანაში სოფლად მცხოვრებელ გლეხობაში ერთის თაობიდან მეორეს თაობაში გადადის ზეპირად და არა წერით. ამ ნაწარმოებში გამოისახება ხალხის ყოველივე სულიერი მხარე: სარწმუნოებითი, ზნეობითი და გონებითი. ხელოვნებითის მწერლობისაგან იგი განირჩევა მით, რომ ხელოვნების ნაწერში გამოიხატება თვით მწერლის მხედველობა, თვით მწერლის საკუთარი სულის მდგომარეობა, იმისი წადილი, აზრი; ხელოვნებითი პოეტი რასაცა ხედავს ცხოვრებაში, თავისებურად ჰსახავს. ცხოვრების გამოხატვა მწერლებისაგან იმგვარია, როგორც ერთის კაცის გამოხატული ცხოვრება. სახალხო ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებში კი ცხოვრების გასახვა ერთის კაცისა არ არის, იმაში იხატება ცხოვრება სრულებით ისე, როგორც მრთელი ხალხი ხედავს, და როგორც იმ ხალხის ყველა კაცი ხედავს. ამიტომაც თვითეულ ხალხს უყვარს თავისი პოეზია. ამიტომაც ერთა თაობა ძვირფას განძავით ინახავს, როგორც წინაპართა კუთვნილებასა და ვალად რაცხს გარდასცეს მომავალ ჩამომავლობას. ამგვარად გადადის მთელი ათასის წლების განმავლობაში, რასაკვირველია, რამდენსამე ცვლილებით, ეს სოფლის სიმღერები, ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი და სხვანი.

დავაკვირდეთ, რა მნიშვნელობა აქვს სიტყვიერების ნაწარმოებსა საზოგადოებრივ მეცნიერებისათვის.

ჩვენა ვთქვით, რომ ხალხის ნაწარმოებში იხატება ცხოვრება, ისე როგორც თვით ხალხი ხედავს, როგორც თვით ხალხს ესმის. აქედამ თავისთავად გამომდინარეობს ის აზრი, რომ ხელოვნებითი მწერლობა მხოლოდ ნახევარია მრთელის იმ სულიერის მხრის გამომხატველს ძალისა, რომელიც თვითეულს ხალხს ნიჭადა აქვს, ღოლო მეორე ნახევარი არის ზეპირსიტყვიერების ნაწარმოები! მაშასადამე, სანამ ეს მეორე ნახევარი არ გამოქვეყნებულა, ხალხის შესწავლას აკლია დიდი მასალა. ამიტომ ყოველ რამდენადმე განათლებულ ხალხში ჭეროვანი ყურადღება არის მიქცეული და მთელი აკადემიები და მეცნიერნი შრომობენ სახალხო სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებაზე და მისს გამოკვლევაზე.

მართლა და როგორ არ შეამუშავონ ეს ვრცელი დასამუშავებელი საგანი.

რა შეეძლო ისტორიკოსს რომელისამე ხალხის სულიერის მხარის გაცნობისათვის, საიდან შეიტყობდა მისს უძველესს გულითადს მიდრეკილებას, მის მოყვრობას, მტრობას სხვა ხალხებთან, როდესაც უძველესი ისტორიულნი მოთხრობანი ამაზე არასფერს არ მოწმობენ! საიდან გაიგებდა ისტორიკოსი ხალხის სულიერს გახსნილობის ხარისხს, ხალხის მბედველობას ქვეყნიერებაზე თავის და უცხო ერზე, როგორ შეიტყობს, ხალხს რომელი მწუხარება უფრო აწუხებდა, რომელი სიხარული ახარებდა, რა იმედი ასულდგმულებდა? ეს და ამასთანა ათასი კითხვა ებადება ისტორიკოსს, რომელიც სელოვნების მწერლობაში სრულიად ვერ უპოვნია და ვერც იპოვის. ისტორიკოსი, რომელსაც შესწავლილი აქვს სახალხო სიტყვიერებითი ნაწარმოები, წარმოგიდგენს ხალხს არა როგორც მკედარ შესასწავლებელს ძეგლს, არამედ როგორც ცხოველს, მოძრავს, სიცოცხლით სავსეს კაცს, ჩვენ თვალწინ დაბადებულს, გავაყვაცებულს და ისტორიის სარბიელზე მომქმედს, არა მხოლოდ გარეგანის თავისის მოქმედებით, არამედ სულის ძალით, ხასიათის ღირსებით და ნაკლოვანებით, გონების გამჭკრეტელობით და გულის ვნებით. ისტორიკოსი ხალხის გამოთქმული მოკლე ლექსით ათიოდ სიტყვით წარმოგიდგენს ისეთს ნაძღვილს სურათს ხალხის ცხოვრებისას, რომელსაც ბევრჯერ ვრცელი აღწერა და ტრაქტატი ვერ გადმოგვცემდა. ასეა ხშირად, რომ ვერც ერთი ნივთიერი ნაწარმი ხალხისა ვერ გადმოსცემს იმისს სულიერ ცხოვრებას, როგორც მისი სულისავე ნაწარმოები სიტყვიერება. იმისი ძველი და აწმყო მყოფობა, არსება ისე იხატება ამ ნაწარმოებში უხელოვნოდ და მარტივად, როგორც სარკეში ადამიანის სახე.

ერთი თვითყოფი დარგი მეცნიერებისა განვითარდა ამ საუკუნეში — ფილოლოგია, რომელიც — აგრეთვე დიდს სამსახურს უწევს ისტორიასა. ეს მეცნიერება შეედრება, როგორც გამოჩენილი შლეიხერი მოწმობს, ბუნებისმეტყველებას. როგორც ბუნებისა ისტორიის საგანი არის ნივთიერი ბუნება, ამგვარათვე ფილოლოგიის შესასწავლი არის ადამიანის ენა და იმისი მარტივი უხელოვნო ნაწარმოები. ეს ვრცელი მეცნიერება განიყოფება რამდენიმე ნაწილად და იკვლევს ენის შედგენილობის, წარმოების და სხვა ენებთან ნათესაობის კანონებს, ხალხის ზეპირსიტყვიერების ნაწარმოე-

ბის შესწავლით მრავალის მხრით აღადგენს პირველ სახეობას ხალხისას და მის ურთიერთობას სხვადასხვა ხალხებთან...

პოეტები უძველეს დროდამ ქრისტეს წინათ, ყოველ ხალხში, საცა კი მწერლობა ყოფილა, დღეისამდე იდგნენ სახალხო პოეზიის ნიადაგზე. ისინი ჰკრებდნენ თავის მასალას ორის მხრით: თავისი ხალხის ისტორიის მოთხრობიდან და სახალხო პოეზიიდან, მაგრამ შესანიშნავია, რომ იმისთანა თხზულებაშიაც, რომელშიაც ისტორიული მხარე თითქოს უფლობდეს, იქაც კი სახალხო პოეზია სძლევს და მთლად გამოსკვირავს. ამის გამო მწერლობაში (სამხატვროებითში) შევხვდებით იმისთანა ამბავს, რომ საცილებელი ზდება, რომელიმე თხზულება, ერთის კაცისაა თუ ერისაო. მაგალითად, ბერძნული ილიადა ომეროსისა, მეცნიერებში ცილობა არის დღესაც. შესანიშნავია ის გარემოება, რომ რამდენადაც პოეტი რომლისამე ხალხისა მალა სდგას სხვა მონათესავე მწერლებზე, იმდენად მასში ვპოვებთ უმეტესს პოეზიას ხალხისას. შექსპირი, ეს საკვირველება კაცის შემოქმედებითის ძალისა და დამამშვენებელი კაცობრიობის ტომისა, თუმცა მსოფლიო პოეტია, მაგრამ ამასთან ერთად მის ქმნილებაში ისახება და შედის ინგლისის ხალხის პოეზია, ენა, ფაბულა და სული.

პოეტები იყენებენ თავის ხალხის ენის არათუ გარეგანს ფორმას, არამედ საგანს ლირიკული სიმღერისას, რომანისა, მოთხრობისა, პოემისა და დრამატიკულის, თხზულებისას. ვხედავთ, რამდენადაც ხალხის მწერლობა მალა სდგას, იმდენად სახალხო პოეზიაც იმაში მფლობელობს. ამგვარათ ვხედავთ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო სიტყვიერებას თვით მწერლობის შინაარსისათვის.

შეხედეთ ყმაწვილს, რომელსაც ეს არის ჩათვლით კითხვა ჯაუწყია და კითხულობს სახალხო პატარა არაკს, ან ლექსსა, მთლად სიცოცხლედ გარდაქცეულია. წაკითხული ცოცხლად ესმის, სოფელში, აქვე, გაიგონა, წარმოუდგება მრთელის სინამდვილით ნახული. იმ ფერით, იმ მოძრაობით, იმ დაწვრილებით, როგორც კი ეადვილება მისს აგებულებას. ეკითხებით და სხაასხუბით, ცოცხლად პასუსს გაძლევთ კითხვაზედ და თითონ კითხვას გაძლევს, რადგანაც ბევრი რამ წარმოუდგება. ეს იმ კითხვას არა გავს, რომელსაც ხელოვნურად ნაწერის ან ნათარგმნის დროსა ხედავთ. იქ თქვენ უნდა გააცხოველოთ და ძალათ. წვალებით გამოიწვიოთ ყმაწვილისაგან

პასუხი. ამ მეორე შემთხვევაში ყოველთვის საგრძნობლათ ეტყობა ყმაწვილს, რომ ძნელად შესამუშავებელი საგანი უძევს და პირველსავე ნაბიჯზე მისს გონების სრბოლას დაბრკოლება ჰხვდება...

ბალღი კითხულობს არაკს ან იზეპირებს ლექსს, იმას გაუგონია სოფელში, გულით ხვდება, რომ ამ ლექსს, ამ არაკს ბევრი მღერიანი და ამბობენ, ერთის კუთხიდან სამშობლო ქვეყნისა და მეორე კუთხემდის. ყმაწვილს ესმის იმაში გამოქმული მარტივად, მაგრამ ღრმად. ის სწავლობს საგნის გაგებას ისე, როგორც ბევრს იმის მონათესავე ხალხს ესმის; ის სწავლობს თავისის აზრების ისე გამოთქმას, როგორც იმისი მონათესავე ერმა იცის გამოთქმა. ამგვარად ის გრძნობს თავის თავს მოწყვეტილ კაცად კი არა, რომელსამე კაცთა ჯგუფში, არამედ როგორც შეილი დიდის ხალხისა, რომელთანაც მწუხარებაში და სიხარულში ერთად ყოფნა შეუძლია, რომლის გაჭირებაში შევლის იმედი შეუძლია იქონიოს და თვითონაც მიეშველოს, რომლისაგან შეუძლია სიხარული ნახოს და თვითონ აჩვენოს. ერთის სიტყვით, ყმაწვილს ესმის და სწავლობს თავის ძმობას იმ ხალხთან, რომელშიაც სცხოვრობს; სწავლობს, რომ დედამიწაზე სხვა ოჯახებს შორის დიდი საერო იმის მონათესავე ოჯახობაც არის, ისიც ამ ოჯახის შეილია...

თქვენ დამეთანხმებით, რომ სიტყვიერების ნაწარმოებით შედგენილი სახელმძღვანელო ყმაწვილს ისე მოაზზადებს და გახსნის, როგორც გონივრული პედაგოგია მოითხოვს და მათისავე მოთხოვნის დაგვარად მას შეუერთებს როგორც მოქალაქეს თავის სამშობლოს ქვეყანასთან, გახდის მას მონაწილედ დიდის ოჯახის ცხოვრებაში.

მე მგონია, რომ რამდენადმე ავხსენი ის საჭიროება, რაც სახალხო სიტყვიერების წარმოებას შეუძლია მოსცეს საპედაგოგო მწერლობასა. მაშასადამე, ახლა საჭიროა ამისი შევსება. მაგრამ შეკრება ერთის კაცისაგან ყოვლად შეუძლებელია. ეს შრომა უნდა მიიღოს ყველამ, ვისაც კი ღონისძიება აქვს და ჩემის აზრით, ღონისძიება ყველასა აქვს, ოღონდ კი წერა-კითხვა იცოდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში სოფელში მცხოვრებ მასწავლებელთ ძალიან ადვილად შეუძლიათ. მხოლოდ ამისათვის საჭიროა მათ იცოდნენ წესი შეკრებისა და წერისა.

ამ წელს ქართველთა „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ მოიწადინა ამგვარი საქმე და დაბეჭდა „პროგრამა“, რომელიც სოფლის მას-

წავლებლებს გაუგზავნა, „რადგანაც მუდამ ხალხში (სოფელში) სცხოვრობენ და სხვაზე უფრო ხშირი შემთხვევა აქვთ, გაიგონ ერის სიტყვიერების ნაწარმოებნი... შეკრების შემდეგ შემვსებნი გაგზავნიან წერა-კითხვის საზოგადოებაში, რომელიც აპირებს მათს დაბეჭვდას...

7. უსაფუძვლო დაფიქრება

წარსულის წლის „ივერიის“ ერთს მეთათურში (№ 270, დეკემბრის 23) განმარტებულია საყურადღებო საგანი შესახებ ჩვენის ხალხის ცხოვრების შესწავლისა. ამ წერილის დედააზრის გამო ბაასი და ცილობა შეუძლებელია, მაგრამ გამოთქმულ აზრთან გადაბმულია რამდენიმე ისეთი მოსაზრებაც, რომლის გაურჩევლად დატოვება დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც თვით დედააზრის წინააღმდეგია. ამიტომ საჭიროდ დავინახეთ ეს შენიშვნა წარმოგვედგინა მკითხველისათვის იმ მოსაზრების გამო, რომელიც ჩვენ შემცდარად ვსტანით.

შემოკლებით მოვიხსენოთ დედააზრი წერილისა.

„ხალხის ცხოვრება ყოველ მხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ. იმისა ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ“. „ჩვენმა ინტელიგენციამ ამ შესწავლისათვის მარტოდმარტო სახალხო პოეზიის შეკრებას მოჰკიდა ხელი. ეს საკმაო არ არის, არათუ საკმაო, იქნება ბევრჯელ მავნებელიც იყოს და ხალხის ცხოვრების შესახებ შეცდომაში შეგვიყვანოს“, რადგანაც (პოეზია) ფანტაზიის ნაყოფია, ფანტაზია არ ეწყობა ზნეობით კანონის მოთხოვნილებასაო. „სახალხო პოეზიის შეკრება“ მოლად ზდება, „მრთელის ინტელიგენციის“ ყურადღებას იზიდავს და ინტელიგენცია სხვა საგნებს კი ივიწყებსო. ამის გამო საჭიროა, — ამბობს წერილი, — რომ ეკონომიურის და იურიდიულის სფერის ნაწარმოები შეკრებულ იქნას, რადგანაც ყველასათვის საადვილო საქმეა და უფრო ბეჯითობას და დაკვირვებას თხოულობს, ვიდრე სპეციალურს ცოდნასა და მომზადებასა. ვინც ცოტაოდნად ნასწავლია და ხალხში ტრიალებს, თვალ-ყურს ადევნებს(?) იმის ეკონომიურს და იურიდიულს ჩვეულებას, ის ადვილად(?) შენიშნავს ამ ჩვეულებათა და იმათი ქაღალდზედ გადმოღება ხომ უფრო(!) ადვილი საქმეა (!!!). საჭიროა, — ნათქვამია წერილის ბოლოში, —

რომ ჩვენმა ნაწავლმა საზოგადოებამ(?) პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნეჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვისაო.

აი, ეს აზრია გატარებული ხსენებულს მეთაურს წერილში.

ვერვინ იტყვის, რომ საგანი წერილისა ფრიად ძვირფასი და საგულისხმო არ იყოს და, რასაკვირველია, მასზე საუბარი სასურველია ჩვენს მწერლობაში. ცხოვრების შესწავლა, ერი გინდა დიდს, რიცხვმრავალს ტომს ეკუთვნოდეს, გინდა პატარასა, რიცხვმცირესა, ერთგვარად ძვირფასი და საჭიროა პირუთვნელის მეცნიერებისათვის; აგრეთვე სანატრელია, საზრუნველია და შრომადა ჰღირს მწერლობისათვისაც.

ამ შესწავლისათვის თვითონ მმართველობა ყოველს სახელმწიფოში და იმის ყოველს ნაწილში (მათ შორის კავკასიის მხარეშიაც რუსეთის მმართველობა) მუდამ წელს საჭირო ღონისძიებას აძლევს მეცნიერთა, საზოგადოებათა და აკადემიებს, კერძო საზოგადოებანიც იღვწვიან თავისის მხრით და თვითეულობით ნასწავლნი კაცნიცა.

მხოლოდ გამოსარკვევი ყოფილა, რა ღონისძიება და როგორი მომზადება საჭირო ერის ცხოვრების შესასწავლად. ამაზე მოხსენებულის წერილის ავტორი ბოლოში ამბობს, რომ პროგრამის შედგენა არის საჭიროო. ეს, რასაკვირველია, ასეა, მაგრამ საჭიროა მოვიხსენიოთ, რამდენად ადვილია რომლისამე ერის ეკონომიურისა და იურიდიულის ვითარების ძიება და კვლევა მცირედ ნასწავლისათვის. იურიდიული და ეკონომიური ვითარება ყოველის ერის ცხოვრებისა რთული საგანია, და ამ რთულის საგნის შესწავლა, რაც უნდა ვრცელი პროგრამა დაამზადოთ, შეუძლებელი საქმეა მოუმზადებელისათვის. არის, რასაკვირველია, ეტნოგრაფიაში ისეთი შრომა, რომლისათვის საჭიროა დაკვირვების ნიჭი, მაგრამ ეკონომიურს და იურიდიულს სფერას რაც შეეხება, იქ-კი ფასმოუმზადებელი, განუსწავლელი ნიჭიერებაცა და დაკვირვებაც. იქ დიდი სიმრავლეა სხვადასხვა გარემოებათა, რომელთა რიგ-რიგად შეჭაუფება დიდს შრომას მოითხოვს. სისტემატიზაციას რომ თავი დავანებოთ, თვითეულს გარემოების დანაწილებას იმის შემადგენელ თავდაპირველ ნაწილებად როგორ მოახერხებს ადვილად სპეციალურად მოუმზადებელი ბეჯითობა. შეკრებას საეტნოგრაფიო მასალებისას ან სხვების გამოკითხვითა ჰკრებენ, ან თვითონ ადევნებენ თვალსა; ორსავე შემთხვევაში რაკი უცოდინარია კაცი, ბევრი რამ შეიძლება

გამოეპაროს წერილმანი და გარემოების გამოხატვას დააკლდება ისეთი მხარე, რომ სრულიად აუხსნელი უნდა დარჩეს მეცნიერ გამოძველებელისათვის. მაშასადამე, უნაყოფოდ ჩაივლის შრომა.

თუმცა ეს ცხადია, მაინც შესაძლოა ის მივიღოთ, რომ თუ კარგი პროგრამა შესდგა საექტნოგრაფიო მასალის შეკრებისათვის და შეუდგენენ მსურველნი, არასპეციალურად მომზადებულნი, პირველ საქმის დაწყებისათვის, იქნება აშინაც სარგებლობა მოიტანოს. ამას ასე ექვით ვამბობთ და არა გარდაწყვეტით, იმიტომ, რომ ერთხელ დაწყებული საქმე ჯერ რაოდენსავე მასალას მოგვცემს და მერე გზას გვაჩვენებს, რა ნაკლებოვანება სჭირს და რა შესწორება ეჭირება; ანდაზისამებრ, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდება.

ყველა ეს გაკერით შევნიშნეთ. საყურადღებოდ მიგვაჩნია, მკვახე სიტყვა სახალხო პოეზიის ნაწარმოებთა შეკრების შესახებ წერილის ავტორს რამ ათქმევინა. ინტელიგენციამ მოლად შემოიღო ერის პოეზიის ნაწარმოების შეკრებაო და ეს იქნება ბევრჯელ მკვებელიც იყოსო.

აი უცნაური აზრი. როგორ თუ მკვებელი? იმიტომაო, რომ იგი ფანტაზიის ნაწარმოებია და „ფანტაზია არ ეწყობა ზნეობით კანონების მოთხოვნილებასაო“. კერაფერი გაიგება და სიტყვის შესამოკლებლად ვიტყვით, რომ სიტყვა „ზნეობითი“ იქნება აქ ნახმარი იყოს „ზნე-ჩვეულების“ მაგიერად. ესაც რომ იყოს, ვითომ პოეზია ზნე-ჩვეულების კანონებს არ ეწყობოდეს, განა ეგ საბუთია პოეზიის ნაწარმოების შეკრების წინააღმდეგი თვითეულად ცალკე რომ ავიღოთ ეკონომიურის ანუ იურიდიულის ხასიათის მასალები, განა ეს კი თვითეულად ცალკე აღებული მოგვცემს სრულს სურათს ერის ვითარებისას და არა ნაკლებს? ერის ცხოვრება ხომ სარკეა, რამელშიაც ყოველი იმისი სულიერი და ხორციელი ბუნების ყოველმხრივი გამომეტყველება იხატება ერთმანერთზე გადაბმით. ყოველის მხრით ერის ცხოვრების შესწავლა საჭიროაო, ამბობს წერილის ავტორი. რაღად უწინააღმდეგებს ერის პოეზიის ნაწარმოებსა, ისიც ხომ ერთი მხარეა ერის სულისა და გულისა; რამდენადაც თვითოეული მხარე ვრცლად იქნება შესწავლული, ხომ უფრო უკეთესია, და მეცნიერებისათვისაც ხომ დიდი საუნიჯეა.

იმიტომაო. გვიპასუხებს წერილის, ავტორი, რომ „მოლად“ შემოვიდაო. ვგონებ ამ „მოლაზე“ გალაშქრება კი არ ვარგოდეს, არამედ ღმერთს მადლობას უნდა ვსწირავდეთ, რომ ესეთი „მოლა“

კვლავაც არ მოგეკლოს. ამისთანა მოდას უნდა შევხაროდეთ; თუ ნაკლულევანება აქვს, ის ვუჩვენოთ, და მოდა-კი ვისურვოთ, რომ „ჩვეულებად“ შეგვექმნას, არათუ შემცირდეს და გადავარდეს.

ჩვენში ერთი რაღაც უცნაური ამბავი ჰხდება, რომელიც შორი-დამ მაყურებელს სიცილად არ ეყოფა. გამოჩნდება ერთი-ორი კაცი, რომელიც რასმე საქმეს ხელს მოჰკიდებს, ჯათასა სწევს, შეადგენს წიგნს ან ისე წერილებსა სწერს რომელსამე საგანზე. არ მოეწონა ვისმე მწერალსა, იქნება ზოგჯერ მოსაწონიც არ იყოს თავის ნაკლულევანებით, ატყდება ერთი ალიაქოთი; ნაკლულევანების ჩვენების მაგიერ, მიადგებიან და სულ ძირიანად ამოაგდებენ. მთელს იმ წიგნის ნაკლულევანებას კი არა, მთელს ხსენებას, მთელს იმგვარს მწერლობას.

ჰკვირდები და ამბობ: ღმერთო ჩემო, თითო შრომა, ორიოდ რამ წერილი განა მთელი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, რომ ერთი ამბავი ამისთანა ბრძოლას გამოიწვევს? ერთი რომელიმე ამბავი მთელის ცხოვრების ანუ მწერლობის გამომთქმელ მოვლენებად როგორ. ჩასთვალეს, როდესაც მცირედი, ერთმხრივი მოვლენაა და არა საერთო, ზოგადი. ბრალი აქ მიუხვედრელობას ან გულფიცხელობას უნდა დავადოთ, სხვა არაფერს; მაგრამ სასაცილო კია.

ესევე უნდა ვსთქვათ ერის პოეზიის ნაწარმოების შეკრებაზე. სად არის კრებულები ერის პოეზიისა, სად დიბეჭდა, ვინ დაჰბეჭდა, როდის? სად არის კრებულები ზღაპრებისა, ანდაზებისა, სიტყვის მასალებისა და სხვა... სად გინახავთ, როდის გინახავთ დაბეჭდილი. თითო-ოროლა ლექსია ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი, და ერთადერთი წიგნი ფშავურის ლექსებისა. განა ამას „მოდა“ უნდა დავარქვათ? კიდევ ვიტყვით გაკვირვებით, რამ გამოიწვია ის საყვედურსავეთ ნათქვამი სიტყვა, ვითომც ჩვენში მოღალდ შემოსულიყოს ერის პოეზიის ნაწარმოები, როდესაც რომ მხოლოდ და მხოლოდ სახალხო ლექსების მეტი, ისიც მცირეოდენისა, სხვაგვარი ნაწარმოები, ერის სიტყვიერებისა არა გვინახავს რა.

არა, ამ ლექსების კრებას და საზოგადოდ, ერის პოეზიის ნაწარმოების შეკრებას ჯერ დიდხანს ხელის შეწყობა ეკირება და არა მკვახედ მოპყრობა. ჯერ მხოლოდ ფეხს იდგამს ეს შრომა და იმისი დავაუკაცება ჯერ შორს არის.

აგერ რამდენი წელიწადია (1883) შედგენილია პროგრამა ერის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის და გამოცემულია წერა-

კითხვის საზოგადოებისაგან. ეს პროგრამა, როგორც გაგვაგონია, გაეფხავნა სოფლებში მასწავლებლებს, დაიბეჭდა გაზეთებშიაც („დროებაში“), მაგრამ დღევანდლამდე მეტად ნაკლებად ხერხდება ამ პროგრამის ასრულება. აბა, დავაკვირდეთ შეკრების შრომას. მართალია, უკანასკნელს ხანებში უფრო მომეტებით იკრიბება სახალხო ლექსები, მაგრამ როგორ იკრიბება? პროგრამაში ნაჩვენების წესით კი არა, არავედ სრულიად იმის წინააღმდეგ. მაგალითად, პროგრამაში მოხსენებული იყო, რომ თვითუფს ნაწერში დაცული უნდა იყოს ნამდვილი გამოთქმა, როგორც ხალხში აქვს დამწერს გაგონილი. უნდა იყოს დასახელებული სოფელი, მთქმელის სახელი, წელიწადი.

ეს სრულებით უყურადღებოდ პრჩებოდა, ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა ხოლმე ლექსი ისე, რომ ზედ ეწერა სათაურში სახალხო ლექსიო, ამა და ამ კაცის შეკრებულიო, და სხვა რამ საჭირო ცნობა კი არა სჩანდა. ეს დაუდევრობა ისეთ ზნედ შექმნილა, რომ თვით მშვენიერი კრებული ფშავურის ლექსებისაც კი მოკლებულია ამას. მხოლოდ სათაურით ვიცით, რომ ფშავში გაგონილია და რა სოფელში რომელი ლექსია, ან ვინის თქმით არის ნაწერი, ბუნდავით ხიზანაშვილისაგან ეს არ არის მოხსენებული. ჟურნალ-გაზეთებში ყოფილა ისეთი ლექსებიც ანუ გამოცანებიც, რომელთაც გამოცდილი მკოდნე ერის პოეზიის სიტყვა-შეწყობისა ადვილად შეამცნევდა შეკეთებას, შეცვლას, ერთის სიტყვით, ხელოვნების ბეჭედს, რომ არა ვთქვათ სიყალბესაო. ამ სტირქონების დამწერს ერთს რედაქციაში უნახავს გამოგზავნილი ლექსი, რომელიც თავით ბოლომდის ყალბად ყოფილა შედგენილი და გამომგზავნელს რედაქციის შეცდენა სდომებია. შემკრებლებთა შორის ისეთნიც არიან, რომ ერთგვარის ლექსის ვარიანტებისაგან ადგენენ ერთს ლექსს და აბეჭდინებენ ჟურნალ-გაზეთებს, როგორც ნამდვილსა და შეუცვლელს ერის ნაწარმოებსა.

ამ სახით შეკრებული ლექსი ანუ საერთოდ პოეზიის სხვა ნაწარმოებიც იქნება ისე საკითხავად სასიამოვნო მასალა იყოს ჟურნალ-გაზეთში, მაგრამ არ იქნება მიჩნეული არც საკუთრად ერის სიტყვიერების და არც, საზოგადოდ, ერის ცხოვრების და გონების სამეცნიერო შესწავლის მასალად.

აბა, დააკვირდით ამ გარემოებას. ლექსის წერაზე ადვილი რა იქნება? გლებკაცს ათქმევინებთ გაზეპირებულ, შეწყობილ ლექსს,

პროგრამა გეუბნებათ, ნუ შესცვლით, ესა და ეს მოუწერე ქვეშაო. ამას რა დიდი მოსაზრება უნდა? მაინც კი დაუდევრობა სჩანს და ამით ლექსი მასალის მნიშვნელობის ფასსა ჰკარგავს სიტყვიერებისა და მეცნიერებისათვის.

ჩვენ კი ამავე დროს გვესმის, „მოდად შემოვიდა პოეზიის (ესე იგი მართო ლექსების) ნაწარმოების შეკრებაო“. საქმე ჯერ თურმე წესიერად არც კი დაწყებულა და ამ დროს გვესმის, პოეზიის ნაწარმოების შეკრება იქნება მავნებელიც იყოსო, რადგან პოეზია ფანტაზიის ნაყოფიაო. ადვილ ასასრულებელ საქმეს თურმე ვერ ვახერხებთ და ძნელ მუშაობას, ერის იურიდიულის და ეკონომიურის ცხოვრების მასალების შეკრებას, ადვილად ვსთვლით. ეს ძალიან ნახტომი მოგვსვლია, შორს გვეგულება ჩვენი თავი და ჯერ თურმე ორიოდ ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს.

გულის აცრუებისთანა ადვილი არა არის რა და დღეს თუ ჩვენში მართლა „მოდად“ გამხდარა სახალხო ლექსების შეკრება, მხარი უნდა მივცეთ, წავახალისოთ შემკრებნი და როდესაც ნაკლულევა-ნებას ვამჩნევთ, შეგნებულის, თავდაქერილის სიტყვით ხალისი მივცეთ, არამცთუ აბუჩად ავიგდოთ. ამისი ფიქრი მოგვეცა, როდესაც ივერიის ზემოხსენებული წერილი წავიკითხეთ და ამიტომ მოგვიხდა ასე სიტყვის გაგრძელება. ვიფიქრეთ, ვინ იცის, ეხლანდელმა შემკრებლებმა თავი მიანებონ საერო ლექსების მოგროვებასა და ახლად დაწყებულს საქმეს სიმკვიდრის ნაცვლად ჩაშლა მოელოდესო. ვინ იცის, შემკრებლებმა გული აიცრუნონ და იფიქრონ, ეს საქმე მავნებელი ყოფილაო და კეთილის სურვილით ავის მოქმედება ჩავიდინეთო. აი, რა აზრმა გაგვიარა წერილის კითხვის დროს და თუ იმ წერილმა ეს შთაბეჭდილება მოახდინა სახალხო ლექსების შემკრებელზე, ვგონებთ, თვით ავტორი წერილისაც მაღლიერი არ დარჩეს თავის ნაწერზე.

არა, სახალხო ლექსების შეკრებას უმეტესი ყურადღება უნდა მიექცეს, უმეტესი სისრულე ეჭირება იმის შეკრების შრომასა არამცთუ ეხლა, დღევანდელს დღესა, როდესაც ჯერ ახლად დაწყებულ საქმედ უნდა ჩავთვალოთ, არამედ ყოველთვის ეს შრომა მკვიდრად უნდა ადგეს თავის გზასა. ერის სიტყვიერება, ერის პოეზია უშრეტელი წყაროა, უწყვეტლად მომდინარე იქიდან, სადაც გაჩნდა ერის სიცოცხლე, სული და გონება, ნიჭი და გენიოსობა. პოეზია წაუშლელი ძეგლია, რომელზედაც სწერია ერის სულიერ ცხოვრების სურათი

და არა მოლანდებული, სიცრუით დაფერილი ჩმახვა (ფანტაზიის ნაყოფი, როგორც ავტორი წერილისი იტყობდა). ეს წყარო პოეზიისა უშრეტელი რამ არის, იმის ნაკადულით მოტანილი ნაწარმოები მუდამ ძვირფასი იქნება მეცნიერებისათვისაც და მწერლობისათვისაც. ამიტომ იმისი შეკრებაც „მოდა“ კი არ იქნება, მუდმივი იქნება, მრავალ საუკუნეს გასტანს. პოეზია უკვდავია, თუმცა იმისი ნაწარმოები დღეს ერთის ფერისაა, ხვალ მეორე ფერისა; დრო სცვლის ამ ფერს და ამიტომ რამდენადაც მალე მოესწრობა შეკრება პოეზიის ნაწარმოებსა, იმდენად ძვირფასი იქნება ეს მასალა მეცნიერებისა და მწერლობისათვის.

მაგრამ აქ მოსწრება იმას კი არა ნიშნავს, რომ ვითომდა სულ რაც ხალხში პოეზიის ნაწარმოებია, იმისი ერთხელ შეკრება შეიძლებოდეს დამთავრებით და გასათავებლად, რომ იმაზე მეტის შეკრება აღარ შეიძლებოდეს. არა, მოსწრებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ რაც დღეს ხალხში ტრიალებს, დღესვე სისრულით იყოს შეკრებული, ამიტომ, რომ ხვალ ან შეიცვლება, ან სხვა ახალი გამოჩნდება და ძველი გადაეარდება, დავიწყებულ იქნება. წელიწადი არ გავა, რომ არამცთუ სახალხო პოეზიის სათაურში, სოფელში, თვით ჩვეულებრივად ერის პოეზიასთან დაშორებულ ქალაქებშიაც ახალი სიმღერა, ახალი ლექსი არ გამოითქვას. მაშასადამე, ყოველს დღეს, ყოველს წელიწადს მოაქვს პოეზიას ახალი მასალა შემკრებისათვის. „მოდა“, მაშასადამე, უცვლელი რჩება და რჩება. ნუ შევეუშინდებით ყველა კარგსა და კეთილს მორდას, ცხოვრების სიკეთის ხელის შემწყობსა. რასაც არ შეგვმატებს, არას წაგვართმევს. დეე კურთხეულ იყოსმც ეს მოდა და სხვა ამგვარი მოდეები.

8. შანიშვანა ალექსიანა

1874 თუ 1875 წ. გამოვიდა ქართულად პირველად დაბეჭდილი ქართულს ენაზე ალექსიანი, რომელიც წინად მეტად გავრცელებული იყო ხელნაწერად, თითქმის რვეული, ხელნაწერი არ შემეხვედრია, როგორც ნაწერს ხელს ეტყობა ხამად მოსწავლეს (მეტადრე ქალებისაგან) არ გადაეწეროს. ესევე ითქმის ქალვაჟიანზე და ბეჟანიანზე. ჯერ სიყმაწვილეშივე 1847—48 წლებში ბევრჯელ გამიგონია და საყვარელი მოთხრობა იყო, როგორც ვატყობდი, მდაბიო ხალხში. 1874 წლიდამ წვრილი ბროშურების გამოცემის

ხელის შეწყობის სურვილმა, რომ ხალხში წერა-კითხვა გავრცელდეს და მბეჭდავებსაც გაუადვილეს ხალხის ბეჭდვისა და გამოცემისა, ამ გარემოებას ყურადღება მიმაქცივინა [და] ისეთი ნაწერების რედაქცია ამელო კისრად, რომ ხალხი მაშინათვე ნდობით მოჰკიდებოდა ნახულს წიგნაკებს. უკეთესი იქნებოდა, რასაკვირველია, მომატებულს შინაარსიანი თხზულებათა გამოცემა, მაგრამ მრავალი რამ დაბრკოლება დღევანდლამდე არ აგვიშორებია. მომზადება, ცოდნა და ძალა მწერლებისა, ცოდნა ხალხის გემოვნებისა და ნივთიერი ხელმოკლეობა და სხვანი და სხვანი. საჭირო იყო ხელი მოეკიდნა ვისმე ამ გამოცემა და სურვილის მოძრაობისათვის, და ვიკისრე კიდევ. სტეფანე ზარაფოვის გამოცემით შევადგინე „სახალხო ლექსების“ პატარა კრება, რჩეული არაკები სიბრძნე სიცრუისა და არსენ კალანდაძის გამოსაცემად მოვამზადე წიგნაკები: 1. „არსენას ლექსი“, 2. „ბეჟანიანი“, 3. „ალექსიანი“, 4. „ქალვაჟიანი“ და 5. „ვარდბულბულიანი“. ამ ხელნაწერების გადასაშინჯავად და ტექსტის აღსადგენად ზოგისა ათი თორმეტი ვარიანტი უნდა შემეთანხმებინა. გამოვიდა თუ არა, ძალიან გავრცელდა ხალხში და დღევანდლამდე იბეჭდება — ვინ გინდა ვისგან, არც კი ვიცი. მე მიხაროდა, რომ დაიძრა სურვილი წიგნაკების გამოცემის და ხალხში ყიდვის, ესე იგი კითხვის ხალხისი. მე მკიცხავდნენ თითქოს ყველანი ჩვენი მწერლები სიტყვიერად, და ზოგჯერ ბეჭდვითაც. მაგრამ ჩემი პასუხი ეს იყო: „დეე დაიძრას ეს ნაკადული. ახლად მოვარდნილი წყალი ბევრს ნაგავს მოიტანს, მაგრამ მერე დაწმდება და წმინდა სასმელ-საზრდოსაც მოგცემს“. მე მეუბნებოდნენ, თავიდანვე წმინდა უნდა მოდიოდესო და თითონ თამაშას უყურებდნენ. დღესაც თითქმის ისევ დგანან ჩვენი მცოდნენი, სწავლით შეიარაღებულნი, მაგრამ მოუხერხებელნი და ვერას აწოდებენ ხალხსა!

ერთი კიდევ საჭირო იყო ამ საგანს დავბრუნებოდი და ერთი ათიოდ-თხუთმეტოდე პატარა ბროშურები შემედგინა ან მეთარგმნა ხალხის საკითხავად. იქნება საქმე წინ წაწეულიყო. მაგრამ თანამშრომლებს ვეძებდი და აჰა, დღესაც, 1890 წელს, აბა თუ გაჩნდნენ! მე მარტო ვიკისრებ თუ არ იქნა. მარტო უფრო ბევრს აკეთებს კაცი ჩვენში, ვიდრე სხვებთან ერთად, მაგრამ განგრძობით ვინ განაგრძობს; დიდ ხანამდის ნუთუ უნდა შედგეს დაწყებული! — უნდა შევეცადო, და მარტო იქნება თუ სხვებთან ერთად, მაინც

ამას ხელი უნდა მოეკიდო. გარემოება ვნახოთ რას იტყვის. შეიძლება თუ ვერა.

საყვედური სასტაკი იყო ჩემზე მოქცეული. ზემოხსენებულ წვრილ მოთხრობებში ისეთი ამბები იყო, რომ ხალხი სიყვარულით და სიამოვნებით კითხულობდა და კითხულობს. ისეთი რაღაც, ჩანს, ყოფილა ამ ამბებში, რომ ხალხს რაღაცა თავის სულის საზრდო ეგულვება. და ეს ამბები არამც თურმე ჩვენშია, სხვა ხალხებშიაც არის თურმე იმგვარადვე მიჩნეული. მაგალითად გეტეს, დიდის გეტეს, თხზულებათა შორის გვხვდება „ალექსიანის“ ამბავი, რომელიც მას გაუგონია შვეიცარიის მთებში 1779 წელს თავის მოგზაურობის დროსა. (ნახე რუსული თარგმანი. VIII ტომი, გერბელის გამოცემა 1879 წელს (Письма из Швейцарии, стр. 449) წერილი მიუნსტერიდამ 11 ნოემბერს)...

1890 წ. თებერვალი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

თქმულაგები და ლაგანდაგი

1. უსუფი, ბადრი და ამირანი

მთქმ. გიგლა—გიგოლა მანჩხაშვილი. ს. ტეზერი. ჩამწერი ნ. ხიღირბეგაშვილი, უთარილო. ფ. არქ. უმიკ., 4162. ეს ჩანაწერი პირველად განხილულია ერთ ჩვენს ნაშრომში: „ამირანის თქმულების ზოგიერთი ტექსტოლოგიური საკითხები“ („ლიტერატურული ძიებანი“, ტ. 14, 1962, გვ. 247—52).

2. ეთერი

მთქმ. გიგოლა მანჩხაშვილი, ს. ტეზერი, ჩამწ. ნ. ხიღირბეგაშვილი. ფ. არქ. უმიკ., 4149. პ. უმიკაშვილის კოლექციაში ეთერიანის სხვა ვარიანტებიც იპოვება, ერთს თარიღი უზის (1873 წ.), საერთოდ ერთ-ერთ პირველ ჩანაწერთაგანს წარმოადგენს.

2ა. აბესალომი და ეთერი

ჩამწერი ზ. ჭანდიერაშვილი. 1873 წ. ფ. არქ. უმიკ. 5127 ეს ერთი ყველაზე ადრინდელი. თარიღიანი ჩანაწერია, რომელიც ეთერიანს თითქმის სრული სახით გვაცნობს. განსაკუთრებით საინტერესოა სალექსო ადგილები.

22. ზღაპარი ეთერისა

ჩამწერი არა ჩანს. ფ. არქ. უშიკ. 5145 უცნობი შემკრები ხელნაწერს ასე ამ-
თაერებს: „ეს ზღაპარა გაგონილი შაქვს ქუთაისის უეზდის და სიმონეთის უჩასტკის
სოფელ ახალსოფელს მცხოვრები სახელმწიფო ყმისაგან დიმიტრი რიყამაძისაგან“.

3. ბეჟანი

მთქმ. ლევან ორჯონიძე, სოფ. ტეზერი, ჩამწ. ხიღირბეგაშვილი. იხ. მისი
რეეული, გვ. 188 — 211. ფ. არქ. უშიკ. 4296.

1

4. ლეგა და კოპალე

მთქმ. გიგო ჩანადირი, სოფ. ეთვალისი. ჩამწ. ეფრემ გრიგოლის ძე გოძია-
შვილი, 1882 წ. 8 ნოემბერი. ფ. არქ. უშიკ. 4135.

1

5. თუშის თავგადასავალი

მთქმ. ხეესური, სოფ. გრემისხევი, ჩამწ. ეფრემ გრიგოლის ძე გოძიაშვილი.
1882 წ. 8 ნოემბერი. ფ. არქ. უშიკ. 4136. ჩამწერის შენიშვნაც ახლავს ტექსტს:
„თხორი ვერ გავიგე სწორეთ რა არის. მგონია ნართის გორგალი უნდა იყოს“.
უფრო გასაგებად თხორი არის „საქსელე, დასაქსელაეი ბაწარი“. გასაბამი, და-
საქსელაეი ნართი, რომელშიაც შაქო გადი-ვაპოდის ქსოვის დროს.

6. კოპალეს ნიშა

მთქმ. გიგო ჩანადირი, სოფ. ეთვალისი. ჩამწ. ეფრ. გოძიაშვილი. 1882 წ.
11 ნოემბერი. ფ. არქ. უშიკ. 4275.

7. კოპალე და დევები

მთქმ. გიგო ჩანადირი, სოფ. ეთვალისი. ჩამწ. ეფრ. გოძიაშვილი, 1882 წ.
11 ნოემბერი. ფ. არქ. უშიკ. 4276.

8. ოლოლის გაჩენა

მთქმ. კეკე მანსვეტაშვილი, თბილისი, ჩამწ. პ. უშიკაშვილი. 1884 წ. ფ. არქ.
უშიკ. 4217. შდრ. „ჭეჭილი“, 1890 წ., № 4, „ოლოლი“.

9. ბიჭო გოგია

უთარილო არც ჩამწერი ჩანს. ფ. არქ. უშიკ. 4218. შდრ. № 8.

10. „მამაო ჩვენო“

მთქმ. ოქრომკედელი მიხეილ მამულაშვილი, თბილისი. ჩამწ. პ. უმიკაშვილი, 1890 წ. ფ. არქ. უმიკ. 4247.

11. რატომ არა აქვს ღურგალს ბარაქა

მთქმელი ღურგლის ცოლი. თბილისი. ჩამწ. პ. უმიკაშვილი, 1888 წ. ფ. არქ. უმიკ. 4250.

12. ყვავის ხაყდარი

მთქმელი ბერიკო ციგრაშვილი, ს. გრემისხევი, ჩამწ. ეფრ. გოძიაშვილი, 1885 წ. 17 თებერვალი. ფ. არქ. უმიკ. 4274.

13. ხვანი და ტყის კაცი

უთარილო. ფ. არქ. უმიკ. 4263. მთქმ. ერშილო კანდელაკი. ფ. არქ. უმიკ. 4262.

14. ეშმაკი და ანგელოზი

იბეჭდება პ. უმიკაშვილის კოლექციის მიხედვით, უმიკ. 4262.

15. ნამდვილი შემთხვევა დიკლოში

ჩამწ. მოსწავლე მიხეილ ჭორაძე. ფ. არქ. უმიკ. 4429. თქმულებაში აღწერილი ბრძოლა მოხდა 1836 წლის 30 დეკემბერსა და 1837 წლის 27 იანვარს შუა. ცოლ-შვილის დახოცვის მოტივი გამოყენებული აქვს ვაჟა-ფშაველას „ბაკურში“. ამავე თემაზე არსებობს ბევრი ხალხური ლექსი როგორც ადრე, ისე უკანასკნელ დროს ჩაწერილი (1961 წლის კახეთის ექსპედიციის მასალები; ექსპ. ხელმძღვანელი პროფ. მ. ჩიქოვანი). იგივე თქმულება გამოყენებული აქვს ბ. ჭორაძეს („დიკლო-შენაქოში“, ივერია, 1891 წ., № 86).

16. ხილნაღის ციხე

ჩამწ. ეფ. გამრეკელი. ფ. არქ. უმიკ. 4183.

საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრები

1. ზარმაცო ქმარი

მთქმელი გიგა მანჩხაშვილი, ს. ტუბერი. ჩამწ. ნ. ხიდიბეგაშვილი. ფ. არქ. უმიკ., 4160.

2. კუქია

მთქმელი ხელთუბნელი ქალი, ჩამწ. გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი, 1870 წ., ფ. არქივი უშიკ., 4128. ანალოგიური სიუჟეტი დღეშეთში ჩაუწერია კონია ბაქრაძეს.

3. გუი დედაკაცი

მთქმელი ხელთუბნელი ქალი, ჩამწ. გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი, 1868 წ., ფ. არქ. უშიკ., 4129.

4. ორი მეცხვარე

მთქმელი ხელთუბნელი ქალი, ჩამწერი გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი, 1868 წ., ფ. არქ. უშიკ., 4130, შდრ. „რწყილი და კიანჭველა“.

5. წიწილა

ჩამწერი მოსწავლე ა. მირზოევი, 1874 წ. 5 ოქტომბერი, ფ. არქ. უშიკ., 4131.

6. ჩიტო

მთქმ. ხელთუბნელი ქალი, ჩამწ. გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი, 1870 წ., ფ. არქ. უშიკ., 4132.

7. ნახევარწიწილა

ჩამწ. მოსწ. ი. ყარანგოზიშვილი, თელავი, 1890 წ., ფ. არქ. უშიკ., 4133.

8. ვეზირის ქალი

არ ჩანს ჩამწერი და მთქმელი. ფ. გოგიჩაიშვილს ეეკეებოდა მისი წმინდა ხალხურობა, იქნებ მწიგნობრული წყაროდან მომდინარეობდესო. ფ. არქ. უშიკ., 4154.

9. ზარმაცს შიში მოუხდება

ჩამწერი სერგი კალანდაძე, გურია. ფ. არქ. უშიკ., 4161.

10. მე გახლავარ სასია, მოვკალ ასია

ჩამწ. მიტრ. ფხაკაძე, სოფ. ფარცხანაყანები. ფ. არქ. უშიკ., 4182.

11. უზრდელობით გატანჯული

მთქმ. ბარბარე უშიკაშვილი, შემკრების დედა. თბილისი, 1884 წ. ჩამწ. პ. უშიკაშვილი. ფ. არქ. უშიკ., 4219.

12. მოვალე და ფულის პატრონი

მთქმ. ოქრომკვდელი მიხეილ მამულაშვილი. თბილისი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. 1877 წ., ფ. არქ. უმიკ., 4220.

13. დედაკაცი ეშმაკზე უარესია

მთქმელი ოქრომკვდელი მიხეილ მამულაშვილი, თბილისი. ჩამწ. პ. უმიკაშვილი, ფ. არქ. უმიკ., 4240.

14. მღვდელი და მოქაშაგირე

ჩამწ. მიხა ჩქარეული, ხევი, სოფ. ხურთისი, 1889, ფ. არქ. უმიკ., 4269.

15. შენი ბედი წინ დაგვხვდება

მთქმ. ერმალო კანდელაკი, ქუთაისი. ჩამწ. იაკ. ძოწენიძე. 1870 წ., ფ. არქ. უმიკ., 4271.

16. ქოხა და ობოლი

ორი ვარიანტის საფუძველზე შედგენილია ფ. გოგიჩაიშვილის მიერ. გამოყენებულია რვეულები კონიევის (1872 წ.) და ა. ერისთავისა. ფ. არქ. უმიკ., 4273.

17. ღარიბი და სოვდაგარბი

მთქმელი ნიკა ორჯონიკიძე, ს. ტეზერი. ჩამწ. ნ. ხიღირბეგაშვილი. ფ. არქ. უმიკ., 4158.

17ა. ქოსატუულია

ჩამწ. კონია ბაქრაძე, დუშეთი, ფ. არქ. უმიკ., 4116.

18. ვაჭარი და აბაზების მურელი ვირო

ჩამწ. ბერდია ეულაკას ძე გამლივარაული. ხახმატი, ხევისურეთი, 1876 წ., ფ. არქ. უმიკ., 4157.

19. მოლა და ქალის ოინი

მთქმ. დავით ბაღრიძე, ს. ტეზერი. ჩამწ. ნ. ხიღირბეგაშვილი. ფ. არქ. უმიკ., 4147.

19ა. ღარიბი და მისი ცოლი

ფ. არქ. უმიკ., 4430.

20. სამი ყრუ

ჩამწ. ივანე ანდრონიკაშვილი. კახეთი. ფ. არქ. უმიკ., 4180.

21. შოლა და სამი ვაჟი

ჩამწ. ალექსანდრე ფერაძე. 1870 წ., ფ. არქ. უმიკ., 4194.

22. ფულის გაფრთხილება მომგებმა იცის

მთქმელი თბილისელი ხელოსანი მამულაშვილი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. 1870 წ., ფ. არქ., 4222, მოიპოვება ამის სხვა ვარიანტი, 1882 წელს ჩაწერილი. ფ. არქ. უმიკ., 4221, 4223.

23. რძალ-დედამთილი

მთქმ. ანა ენიბეგაშვილი, თბილისი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი, 1889 წ., ფ. არქ. უმიკ., 4237.

24. რძალი და მაზლი

მთქმ. მიხაკა მამულაშვილი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი, თბილისი, 1888 წ., ფ. არქ. უმიკ., 4238.

25. სულელი დედაკაცი

ჩამწ. მოსწავლე ზ. ჭანდერი, კახეთი, 1870 წ., ფ. არქ. უმიკ., 4239. ამის ვარიანტები ჩაწერილია: ა) ალექს. ხუციშვილის მიერ 1874 წ., ბ) სპ. ქათამაძის მიერ იმერეთში. უკანასკნელში მეწისქვილის როლს მელოტი მიწის მხენელი ასრულებს. „თავს ჩონგურათ და კიანურათ აკეთებენო“ (იქვე).

26. ტბილი ცოლ-ქმარი

მთქმელი ოქრომკედელი მიხეილ მამულაშვილი, ტფილისი. ჩამწ. პ. უმიკაშვილი. 1882 წ., ფ. არქ. უმიკ., 4242.

27. ცოლის შორჭულება

მთქმელი ეკატერინე კაკალაშვილი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. თბილისი. 1885 წ., ფ. არქ. უმიკ., 4251.

28. უსაკმური ქალი

მთქმელი ეკატერინე კაკალაშვილი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი, თბილისი. 1885 წ., ფ. არქ. უმიკ., 4252.

20. ჰკუის სწავლა

მთქმელი მ. მამულაშვილი, თბილისი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. 1890 წ., ფ. არქ. უმიკ., 4253.

29ა. ხასარგებლო ხიტყვა

ჩამწ. პ. უმიკაშვილი, თბილისი, 1870 წ., ფ. არქ. უმიკ., 4253.

80. ქალის ორი საყვარელი

ჩამწ. კონია სპირიდონის ასული ბაქრაძე, დუშეთი, 1878 წ., ფ. არქ. უმიკ., 4258.

81. შენს ნამუსზე იყოლო

ჩამწ. ზოსიმე ჩაჩუა, ს. მუხარაძე, ფ. არქ. უმიკ., 4267.

82. ღორის ფეხი

ჩამწ. მოსწავლე ა. მახათაძე, 1874 წ., ქართლი, ფ. არქ. უმიკ., 4265.

38. მოხერხებული პეტრე

მთქმელი ვაჩნაძიანელი გლეხი, კახეთი. ჩამწერი მოსწ. ვიორგი ელიაშვილი, 1879 წ., ფ. არქ. უმიკ., 4261.

84. ქურდი

ჩამწ. კონია გიორგის ასული ბაქრაძე, დუშეთი, 1878 წ., ფ. არქ. უმიკ., 4172.

85. მღვდელი და მოჯამაგირე კოპალი

ჩამწერი ანტონ გოლეთიანი, ლეჩხუმის მაზრა, სოფ. ნაკურალეში. ანტონ პავლესძე გოლეთიანი (1854—), რომლის მიერ შეკრებილი მასალები თავს იჩენს პ. უმიკაშვილის „ზალხური სიტყვიერების“ ორივე ნაწილში, კოლორიტული ფიგურაა 80—90-იან წლებში მოღვაწე ლეჩხუმის პროგრესული ინტელიგენციისა. ანტონი ფოლკლორულ-შემკრებლობით მუშაობას აწარმოებდა სოფელ ნაკურალეშში (ცაგერის რაიონი) და თანამშრომლობდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. ამჟამად შეილებს, ვარლამ და პლატონ გოლეთიანებს, რომლებიც კვლავ მამის სოფელში მოღვაწეობენ, შემონახული აქვთ ანტონის დაუსრულებელი ნაშრომები, მათ შორის რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული, სლავური, ლათინური ლექსაკონები. ვარიანტი ჩაწერილია ქუთაისში, იაკ. ძოწენიძის მიერ, გიგო ჭინჭიხაძის თქმით. ფ. არქ. უმიკ., 4269.

86. ბიძა და ძმისწული

სევანური ზღაპარი. ტექსტს შემდეგი მინაწერი ახლავს: „ეს ზღაპარი გლეხი კაცისაგან გავიგონე სევანეთში, სოფელს უშკუულს და გადავთარგმნე სევანურიდან ქართულად ბესარიონ ნიჟარაძემ, 1871 წ.“ ფ. არქ. უმიკ., 4173. ვარიანტი იხ. № 35.

87. ქაჩალა

ფ. არქ. უმიკ., 4315. ტექსტის შესახებ ცნობები არაა შენახული. ფ. გოგიჩაი-შვილი შენიშნავს: „ჩამწერი, არც თარიღი, არაა აღნიშნული“. ენობრივი მონაცემების მიხედვით აშკარაა, რომ წინა № 33 ზღაპრის ეს ვარიანტი გურიაში არის ფიქსირებული.

მანხვილნიტაჰაოზა

1. ბერიაცი

ჩამწ. ალექსი გოძიაშვილი, ს. გრემისხევი, 1882 წ., ფ. არქ. უმიკ., 4189.

2. ირეში და კუ

ჩამწ. ალექსი გოძიაშვილი, ს. გრემისხევი, 1882 წ., ფ. არქ. უმიკ., 4182. ვარიანტი: ქუთაისის მაზრა, სოფ. ფარცხანაყანები, მთქმელი მიტროფანე ფხაკაძე (კუს ბაყაყი სცვლის). შღრ. ს.-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“.

3. მარტო მე რას მიცქერიო

ჩამწ. ალექსი გოძიაშვილი, ს. გრემისხევი, 1882 წ., ფ. არქ. უმიკ., 4183.

4. სიმართლე შვილისშვილამდინო

იგივე შემკრები. 1882 წ., ფ. არქ. უმიკ., 4184.

5. ბერმეტყველი

იგივე. ფ. არქ. უმიკ., 4185.

6. შეგუებული კაცი

იგივე. ფ. არქ. უმიკ., 4186.

7. ჭიბრით

იგივე. ფ. არქ. უმიკ., 8187.

8. ხატო, შემეწიეო

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4191.

9. ის დავითა ვარო

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4192.

10. ღმერთო მიშველელი

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4192ა.

11. უსარგებლონი

ფ. არქ. უშიკ., 4193.

12. კატას ტუვანი შევაბათო

ჩამწერი პ. უშიკაშვილი. ფ. არქ. უშიკ., 4198.

13. იმერელი და ხაზილალა

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4139.

14. აღღგომა აღარ იქნებაო

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4200.

15. ხარებობის ძეხნაში

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4201.

16. უნდა მოვიმცვიოვო

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4202.

17. დათვი და ტუე

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4203.

18. ქვეითი და ცხენოსანი

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4210.

19. არსად არ წახვიდეთო

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4211.

20. შენც ჩემთან იქნებოი

იგოვე. ფ. არქ. უმიკ., 4212.

21. ცოდვამ უწია

ფ. არქ. უმიკ., 4213.

22. იმერელი და ძაღლები

ფ. არქ. უმიკ., 4214.

23. ძნელი საქმე

ჩამწ. პ. უმიკაშვილი. ფ. არქ. უმიკ., 4215.

24. ოთხი იმერელი

იგოვე. ფ. არქ. უმიკ., 4216.

25. სამი ყრუ

მთქმელი თბილისელი მოქალაქის ბაგატელას ცოლი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი.
ფ. არქ. უმიკ., 4224.

26. მგლოვიარე დედაკაცი

მთქმელი ეკატერინე კაკალაშვილი, თბილისი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. ფ. არქ.
უმიკ., 4225.

27. დაკარგვის მოშიშარი

მთქმელი ფეფელა ჩომახიშვილი, თბილისი. ჩამწ. პ. უმიკაშვილი. 1887 წ.,
ფ. არქ. უმიკ., 4226.

28. ბრძენი

მთქმ. გიორგი ქაქვაძე, ყვარელი. ჩამწ. პ. უმიკაშვილი. 1887 წ., ფ. არქ.
უმიკ., 4227.

29. ვაჭარი და სწავლული

მთქმ. თბილისელი მოქალაქის ენიბეგაშვილის მეუღლე ანა. ჩამწ. 1887 წ.,
ფ. არქ. უმიკ., 4228.

80. კუზი კუზს მიეკრა

მთქ. ენიბეგაშვილი ანა, ზითარიშვილის ასული. თბილისი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. ფ. არქ. უმიკ., 4229.

81. ღმერთო, შურდულს მოგიქსოვო

მთქმ. მართა ნემსაძე. კათოლიკე. თბილისი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. 1860 წ., ფ. არქ. უმიკ., 4231.

82. ჭაერის ამოყრა

მთქმ. ეკატ. კაკალაშვილი, თბილისი, 1888 წ., ჩამწ. პ. უმიკაშვილი. ფ. არქ. უმიკ., 4235.

83. მოლა ნასრადინა

მთქმ. ილია ოქროშქედელშვილი, თბილისი, 1889 წ., ფ. არქ. უმიკ., 4235.

84. ურია და ერთი გირვანქა ხორცი

ჩამწ. პ. უმიკაშვილი. ფ. არქ. უმიკ., 4197.

85. შეთვლით შვილი არ გაჩნდებაო

მთქმ. ეკატ. კაკალაშვილი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. 1888 წ., ფ. არქ. უმიკ., 4241.

86. აქლემი ერთ ფულათაო

იგივე. ფ. არქ. უმიკ., 4246.

87. ძაღლმა სწიროხო

მთქმ. პატრი პაეღე ყალაიჯოვი, ახალციხელი. ჩამწ. პ. უმიკაშვილი. 1890 წ., ფ. არქ. უმიკ., 4248.

88. ქურდის გამოტყევა

იგივე. ფ. არქ. უმიკ., 4249.

89. გეერვალო

მთქმ. ანა ენიბეგაშვილი, 74 წლის, თბილისი. ჩამწ. პ. უმიკაშვილი. 1888 წ., ფ. არქ. უმიკ., 4234.

40. ზოგჯერ ეშმაკსაც უნდა დაუჭიროვო

მთქმ. ეფენია ჩომახიშვილი, თბილისი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი, 1887 წ., ფ. არქ. უმიკ., 4232.

41. მღვდელი და აღსარების მოქმელი

მთქმ. ალექსა გოძიაშვილი, ს. გრემისხევი, 1882 წ., ფ. არქ. უშიკ., 4233.

42. სამი წარმადი

ჩამწ. პ. უშიკაშვილი, 1882 წ., ფ. არქ. უშიკ., 4190.

43. ვალიანი ხარაზი

ჩამწ. პ. უშიკაშვილი, ფ. არქ. უშიკ., 4204.

44. შარის მთესველთ

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4206.

45. ბატის ყიღვის მოწმენა

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4205.

46. მხოლოთ ერთი პალო მოვიბარეთ

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4207.

47. წვერის ბალანი

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4208.

48. წვერზე ცეცხლწაკიდებულთ

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4209.

49. შენ უფრო კარგა იციო

მთქმ. ოქრომკედელი მიხეილ მამულაშვილი, თბილისი, ჩამწ. პ. უშიკაშვილი, 1887 წ., ფ. არქ. უშიკ., 4223.

50. ბებრის გადახალისება

ჩამწ. პ. უშიკაშვილი, ფ. არქ. უშიკ., 4196.

51. ჩხუბი არაფერზე

მთქმელი ეკატ. კაკალაშვილი, თბილისი, ჩამწ. პ. უშიკაშვილი. ფ. არქ. უშიკ., 4244.

53. იმერელი და თათარი

მტკმელი ახალგაზრდა აზნაური, ს. ხონი, ჩამწ. სოლომონ წერეთელა, ფ. არქ. უშიკ., 4266.

58. ტყუილი ტირილი

მტკმელი ოქრომკედელი დათა მამულაშვილი, ჩამწ. პ. უშიკაშვილი, თბილისი, 1889 წ., ფ. არქივი, უშიკ., 4245.

54. მღვდელი და ჯვარცმული ქრისტი

მტკმელი ანა ენიბეგაშვილი, მას გაუგონია პ. უშიკაშვილის პაპის სტეფანე კაკალაშვილისაგან. ჩამწ. პ. უშიკაშვილი, თბილისი, 1887 წელი, ფ. არქ. უშიკ., 4230.

55. მოვალის ცოლის ხერხი

მტკმელი ოქრომკედელი მიხაკა მამულაშვილი, თბილისი, ჩამწ. პ. უშიკაშვილი, 1887 წ., ფ. არქ. უშიკ., 4221.

56. ცოლ-ქმარი

იგივე. ფ. არქ. უშიკ., 4243.

57. ილია კავკავაძე და აკაკი წერეთელი არაგვში

იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით. ფ. არქ. უშიკ., 2/127. ჩაწერილია პ. უშიკაშვილის მიერ, 1885 წლის 28 აგვისტოს. თვითონ შემკრებს აღნიშნული აქვს: „ეს ამბავი აკაკი წერეთლისაგან ნაამბობია სურამში 19 აგვისტოს 1885 წელს“. აკაკის საყურადღებო ნაკვეთს წარმოადგენს. ავტოგრაფს დასასრულზე მიწერილი აქვს: „ახლა ილია კავკავაძისაგან ნაამბობი იგივე შემთხვევა“. ამგვარი მინაწერი მოწმობს, რომ პ. უშიკაშვილის ეს ამბავი ილიასაგანაც მოუხმენია, და ცხადია, სხვა სახით. მასში, აშკარაა, ილიას გონებაშეხილობა იქნებოდა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ეს მეორე ჩანაწერი პ. უშიკაშვილის არქივში არ აღმოჩნდა. პირველად ნაკვეთს გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისში“ (მ. ჩიქოვანი, ერთი ჩანაწერი, 1960 წლის 10 ოქტომბერი, № 241).

58. ნაკვეთები

იბეჭდება პ. უშიკაშვილის არქივში დაუბეჭდო ხელნაწერის მიხედვით. ფ. არქ. უშიკ., 5316.

მაგიური ტექსტები¹

პ. უშიკაშვილის არქივში ინახება საკუთარი ხელით ნაწერი რეუელი, რომელიც შეიცავს 27 შელოცვას. პირველი სამი დაწერილია ნინო უთნელოვის თქმით, დანარჩენნი კი გადმოღებული არის კარაბადინიდან. რეუელს დართული აქვს შენიშვნა: „აქამდის კარაბადინიდან არის გადმოწერილი. 3 გვერდიდან და ზოგიც

¹ მაგიური ტექსტების შენიშვნები მომზადებულია ე. მაკაბერიძის მიერ.

1 და 2 გვერდზე ნაწერი ვიპოვე. ეს კარაბადინი ძველის ხელნაწერიდამ გადმოწერილია. შიგ სხვადასხვა ავადმყოფობის წამლებია (რეცეპტებია) და ამათში შიგადაშიგ შელოცვაც. ერთმანეთს ამაებს კავშირი არა ჰქონდა არც შინაარსით და არც გარეგან ნიშნებით, რომელშიაც შელოცვა და ხან წამალიც იყო, ისიც დავწერე. გადმოწერილი იყო ნიკოლ. უთნელიშვილისაგან ძველის ხელთნაწერიდამ, რომელიც ეკუთვნოდა ქართლელს, ოხერას სოფლიდამ, ნატბევიდამ, ზიდისთავს ახლოს, დეკანოზს ოქრიაშვილს, რომელიც ჰბლებია ბატონიშვილებს რუსეთში გაყვანის დროს და შემდეგ სიბერის უამს დაბრუნებულა ქართლში. იმის შვილს თუ რძალს გადაუცია გომის მღვდლის უთნელიძის, აწ ანჩისხატის დეკანოზის მეუღლის ნინოსთვის. 1884 წ. ტფილისი, პეტრე უმიკაშვილი*.

აღნიშნული შელოცვები (ფ. არქ. ნომერაციით უმიკ., 5174—5197) ამ კრებულში წარმოდგენილია სრული სახით, მაგრამ არა იმ თანამიმდევრობით როგორც ეს პ. უმიკაშვილთანაა. დანარჩენი ტექსტები ამოღებულია სხვა რვეულებიდან.

სამეურნეონო

1. პურის ჰიის ლოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5194, პ. უ. რვეულიდან.

9 — 5

ფ. არქ. უმიკ., 5205—5208.

8. მგლის ლოცვა

ჩამწერი ი. ჭაქვაძე, ყვარელი, 1864 წ., ფ. არქ. უმიკ., 5474.

7 — 8

9 — 9ა — 9ბ

ფ. არქ. უმიკ., 5212, 5214.

9 — 9ა

ფ. არქ. უმიკ., 5213, 5220, 5663.

10. მაკე ძროხის ლოცვა

მთქმელი გ. მაღრაძე. ფ. არქ. უმიკ., 5215.

11. ლოცვა წულისა

მთქმელი გ. მაღრაძის ქალიშვილი. ფ. არქ. უმიკ., 5216.

12. თურქულის შელოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5217,

18. ლოცვა თურქულისა

ფ. არქ. უმიკ., 5187, პ. უ. რვეულიდან.

სამკურნალო ნიშნები

14. თვალის ტკივილის ლოცვა

ჩამწერი ი. ჰაველი, ყვარელი, 1864 წ., ფ. არქ. უმეკ., 5475.

15 — 17

ფ. არქ. უმეკ., 5193, 5191, 5183, პ. უ. რეეულიდან.

18. ლოცვა თვალნაცემისა

ფ. არქ. უმეკ., 5169. პ. უ. რეეულიდან. მინაწერი: „ქართლის სოფ. ახალგორელისაგან ნასწავლი. უსწავლია (დედამთილისაგან) ნინო უთნელოეს“.

19 — 21

ფ. არქ. უმეკ., 5217—5219.

22. თვალნაკრებისა

ჩამწერი პ. მირიანაშვილი. ფ. არქ. უმეკ., 5231.

23. შელოცვა თვალის ტკივილისა

ჩამწერი ილია ჰაველი, ყვარელი, 1864 წ., ფ. არქ. უმეკ., 5476. ტექსტს თან ახლავს პ. უმეკაშვილის შენიშვნა: „ეს შელოცვები ყვარელშია დაწერილი ერთი დედაკაცის თქმით, რომელიც ვითომ შელოცვით არჩენსო და რომელსაც ჭერ არა სდომებია დასაწერათ ეთქვა და შემდეგ ამის დამწერი ილია ჰაველია გაეფრთხილებინა, სხვას ნუ ასწავლი, თორემ ძალა აღარ ექნებაო“.

24. ნათვალის შელოცვა

ფ. არქ. უმეკ., 5222.

25. თვალის მოხვედრისა

ფ. არქ. უმეკ., 52174, პ. უ. რეეულიდან.

26 — 29

ფ. არქ. უმეკ., 5223—5225, 5227.

30. ლოცვა თვალცემულისა

ფ. არქ. უმეკ., 5201. პ. უმეკაშვილის მინაწერი: „ეს დალოცვა თვალცემულია, მე თვითონ გამოვინა სოფელს ძირიდან, მაგრამ არ მახსოვს ვისგან გამოვინა“.

31 — 35

ფ. არქ. უმეკ., 5202-5206.

86. შელოცვა თვალის ტიფილისა

ფ. არქ. უმიკ., 5207. მინაწერი: „ეს ლოცვა გავიგონე ოცხანის მცხოვრების ერთი ბებერი ქალისაგან“.

87. შელოცვა თვალზე დაკვრისა

ფ. არქ. უმიკ., 5208. მინაწერი: „ეს შელოცვა გავიგონე მე ქუთაისის ვეზდის სოფელს ბაშის მოხუცებული ქალისაგან“.

88. შელოცვა მონახდომისა (თვალნაცემისა)

ფ. არქ. უმიკ., 5209. მინაწერი: „ქუთაისს უსწავლია ამის მთქმელს. 1871 წ. ტფილისი“.

89. ნათვალევის ლოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5211. მინაწერი: „ეს ლოცვა გავიგონე მოხუცებული გლეხი ქალისაგან სოფელს გორისუბანს“.

40 — 41

ფ. არქ. უმიკ., 5212-5213.

42. სვანური ლოცვა ნათალუმისა

ფ. არქ. უმიკ., 5214. დედანი ორენოვანია, სვანური და ქართული. სვანურის სათაურია „კეაცა ლიმზირ ლუმუნდ“, ქართულის „ლოცვა ნათალუმისა, სვანურ. ენიდან გადათარგმნილი ქართულ ენაზედ“. სვანურ ტექსტს ახლავს შენიშვნა: „ეს ნათალუმის ლოცვა გავიგონე სვანეთში, ე. ი. ჩემ სოფელში, სახელდობრ ჩაუაში მოხუცებულ კაცისაგან“. კვადრატულ ფრჩხილებში უბრალო ფანქრით, ფ. გოგიჩაიშვილის, ხელით ჩასმულია: „გაბრ. ნიეარაძე, 1871“.

42 — 44

ფ. არქ. უმიკ., 5215-5216.

46. შაკიკის შელოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5217. მინაწერი: „ეს შაკიკის შელოცვა გამიგონია გლეხი კაცის დედაბრისაგან“.

46 — 47

ფ. არქ. უმიკ., 5223—5224.

48. შაკიკის ლოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5172. ტექსტს ახლავს პ. უმიკაშვილის შენიშვნა: „კარაბადინ-შიაც იყო, რაც გადახაზულია იმის ვარდა“. პ. უმიკაშვილის ხელით გადახაზულია.

პირველი სტრიქონი: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა“, და უკანასკნელი „ღმერთო, შენ დასწერე, შენი წყალობის ჭყარი“. მინაწერი: „დედამთილისაგან უსწავლია, ახალგორელისაგან, ნინო უთნელოვს 1884 წ.“

49 — 54

ფ. არქ. უმიკ., 5225-5229, 5236-5237.

55. ლოცვა შეშინებულისა

ფ. არქ. უმიკ., 5170. ტექსტს ახლავს პ. უმიკაშვილის შენიშვნა: „კარაბადინ-შიაც იყო, რაც ზემოდამ ჩამატებულია“. ჩამატებულია: „კლდისა შეგეშინდა, წყლისა შეგეშინდა, დილას შეგეშინდა, სადილობას შეგ. მამლის ყიულის შეგ.“ და „ნურც სასულესა“. მინაწერი: „ქართლის სოფელ ახალგორელისაგან ნასწავლი. უსწავლია (დედამთილისაგან) ნინო უთნელოვს“.

56 — 61

ფ. არქ. უმიკ., 5240-5247.

62. შელოცვა მუცლის წახდენისა

ჩამწერი ი. კავჭავაძე. ყვარელი, 1864 წ., ფ. არქ. უმიკ., 5477.

68. შელოცვა მუცლის წახდენისა

იგივე. ფ. არქ. უმიკ., 5478.

64 — 66

ფ. არქ. უმიკ., 5248—5249; პ. უმიკაშვილის რვეულიდან.

66. მუცლის წახდენის შელოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5250. მინაწერი: „1885 წლის იანვრის 23 დღესა, ტასიძე სოსიკა კიობრიშვილის მეუღლე, სოფელი ქერანა, ყვავილის საზოგადოება“.

67 — 70

ფ. არქ. უმიკ., 5251—5254.

71. ღამწვრის ლოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5176. პეტრე უმიკაშვილის რვეულიდან.

72. ლოცვა უფშურისა

ფ. არქ. უმიკ., 5192. პ. უმიკაშვილის რვეულიდან.

78. ლოცვა უფშურისა

ფ. არქ. უმიკ., 5185. პ. უმიკაშვილის რვეულიდან.

74. უემურის ლოცვა

ჩამწერი პ. მირიანაშვილი, 1888 წ., ფ. არქ. უმიკ., 5232.

75. უემურის შელოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5255.

76. ლოცვა ხატკურისა

ფ. არქ. უმიკ., 5256. მინაწერი: „ქუთ. მაზ., ს. ტაბაკონი, მოწ. ბეს. კელენ-ჭერიძე“.

77 — 78

ფ. არქ. უმიკ., 5258—5259.

79. შელოცვა პაპასკირისა

ფ. არქ., უმიკ., 5260. მინაწერი: „ეს შელოცვა გავიგონე მე სოფელს ფარტა-ნაყანებს, ახალგაზრდა კაცისაგან“.

80. ხაწერლის ლოცვა

ჩამწერი პ. მირიანაშვილი, 1888 წ., ფ. არქ. უმიკ., 5233.

81. ლოცვა ხაწერლისა

ფ. არქ. უმიკ., 5262. მინაწერი: „ეს ლოცვა გავიგონე სოფელს ოფუთში მცხოვრებ მოხუცებულის გლეხი კაცის ცოლისაგან“.

82. ხაწერლისა

ფ. არქ. უმიკ., 5263.

83. ხირსვილის ლოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5175. პ. უმიკაშვილის რვეულიდან.

84. სირსვილის შელოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5264.

85 — 86

ფ. არქ. უმიკ., 5190, 5174. პ. უმიკაშვილის რვეულიდან.

87. ბედნიერის ლოცვა

ჩამწერი პ. მირიანაშვილი, 1888 წ., ფ. არქ. 5234.

88. ზელოცვა ბედნიერისა

ფ. არქ. უმიკ., 5265.

89 — 90

ფ. არქ. უმიკ., 5188—5189. პ. უმიკაშვილის რეეულიდან.

91 — 98

ფ. არქ. უმიკ., 5266—5268.

94. მუნის წამალი

ფ. არქ. უმიკ., 5277. მინაწერი: „მარიამ ნატროშვილის ლოცვა, ხ. ვაჩნაძის“.

95 — 98

ფ. არქ. უმიკ., 5278—5281.

99 — 101

ფ. არქ. უმიკ., 5178—5180. პ. უმიკაშვილის რეეულიდან.

102. წყალში ამოყოლილის ლოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5282. მინაწერი: „რაქ. ლექს. რეეულიდან“.

108. ზელოცვა ბატონების მუცლისა და ხენის

ფ. არქ. უმიკ., 5283.

104. კბილის ტყვილის ლოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5284. მინაწერი: „1885 წელსა, იანვრის 25 დღესა. მართა, იობ საკარაულის ქვრივი, სოფელი გრემისხევი“.

105. ტყირაბის ზელოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5285.

106. ტყირაბის ლოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5173. პ. უმიკაშვილის რეეულიდან.

107. მატლის ზელოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5171. პ. უმიკაშვილის რეეულიდან.

108 — 109

ფ. არქ. უმიკ., 5195—5196. პ. უმიკაშვილის რეეულიდან.

110. გულზე დამდგარისა

ფ. არქ. უმიკ., 5286.

111 — 119

ფ. არქ. უმიკ., 5186—5187. პ. უმიკაშვილის რეეულიდან.

118 — 114

ფ. არქ. უმიკ., 5287—5288.

115. შელოცვა ნაღძობისა

ფ. არქ. უმიკ., 5289. მინაწერი: „ეს შელოცვა გავიგონე მე სოფელს მესხეთს მოხუცის ქალისაგან“.

116. ლოცვა ნაღძობისა

ფ. არქ. უმიკ., 5298. მინაწერი: „ეს შელოცვა მაქვს დაწერილი ქუთაისის სოფელსა ფარცხანეანებს ქუთ. მაზ., გლეხი კაცის ქალისაგან“.

117 — 119

ფ. არქ. უმიკ., 5299, 5303.

120. დასუნულის ლოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5300.

121. გველის ნაკბენის ლოცვა

ფ. არქ. უმიკ., 5177. პ. უმიკაშვილის რეეულიდან.

122 — 125

ფ. არქ. უმიკ., 5305—5308.

126. ლოცვა

ჩამწერი პ. უმიკაშვილი. ფ. არქ. უმიკ., 5310.

127. წყევლა

ჩამწერი პ. უმიკაშვილი. ფ. არქ. უმიკ., 5304.

128. ხევსურული ხევისბრის ხუცობა

ფ. არქ. უმიკ., 4167. მინაწერი: „1882 წ. ტფილისს. სოფელ ბარში მცხოვრებლისა, ხაძია ნებიერის შვილის ქეთელაურის ხუცობა. არის დაწერილი ზერდა გამბლეარაულისაგან“.

129. ლოცვანი ხეესურთა

ჩამწერი ი. ჭავჭავაძე. ფ. არქ. უშიკ., 60. მინაწერი: „ლოცვანი ხეესურთა დაწერილნი 1765 წელს ხეესურის სიტყვითა“.

130. სხვადასხვა შელოცვა

იბეჭდება ფ. არქივში დაცული ავტოგრაფის მიხედვით. უშიკ., 5315. შედგენილია ლ. მათიაშვილის მიერ, რომელიც ფოლკლორულ მასალებს ჰკრებდა ყვარელში (იხ. პ. უშიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1, 1937, გვ. 121, 568 და სხვ.).

შემკრების პრეფილად

პ. უშიკაშვილის წერილები და ნარკვევები

1. სხალხო სიმღერებისა და ზღაპრების შერება.

იბეჭდება გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით (დროება, № 22, 1871 წ.).

2. სხალხო ლექსების შერება

იბეჭდება გაზეთ „დროების“ მიხედვით (1872 წ., № 23). როგორც წერილში აღნიშნულია, პეტრეს შემკრებლობა ცხრა წლის წინათ დაუწყია, ე. ი. 1863 წელს.

მ. არსენა

ეს პ. უშიკაშვილის ყველაზე ვრცელი ნაშრომაა ფოლკლორის საკითხებზე. ამავე დროს საერთოდ პირველი მონოგრაფიაა არის ამ უკვდავი სხალხო გმირის შესახებ. ჩანს, რომ ავტორი მთლიანად ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების რიგებში დგას ქართული ენის სადავო საკითხის ძიების დროს.

ნაშრომის ტექსტი აღებულია ჟურნალ „კრებულიდან“ (1872 წ., № 7), სადაც იგი გამოქვეყნდა მ. პეტრიძის ფსევდონიმით.

4. ახალი წელიწადი ქართლში

იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით. ფ. არქ., № 25, ნარკვევს წინ ახლავს შემდეგი ცნობა: „დაწერილია პ. უ-საგან [პეტრე უშიკაშვილისაგან], 1885 წ., სოფ. ხიდისთაველის ნინო ქიტიაშვილის, უთნელოვის მეუღლის სიტყვით. ამ საუკუნის 1820 წლებში ასე იცოდნენ ქართლში ახალი წელიწადის დახედვრა“. პ. უშიკაშვილის მიერ აღნიშნული 1820 წელი ალბათ ინფორმატორი ქალის დაბადების დროა. ავტოგრაფი მრავალჯერაა ჩასწორებულ-გადახედული. ჩაწერის ზუსტი თარიღი გადაშლილია მელნით: „1885 წ. იანვრის 6-სა“. ბოლოს ასევე გადახაზულია შემდეგი მინაწერი: „ამ ჩვენს უამამდე ბევრი რამ შეიცვალა და ამიტომ ზემო-

ხსენებულ ადათებს ყველას აღარა ვხედავთ. ხნიერ კაცებს კარგად ახსოვთ და თვალით უნახავთ, რაც ახალი შემოვიდა. ამიტომ სასურველია მათი მალე ჩაწერა დროული კაცების სიტყვით“.

პ. უმიკაშვილი ძლიერ დაინტერესებული იყო სხვადასხვა ეთნოგრაფიული კუთხის ჩვენულებებით. მის არქივში დაცულია, მაგალითად, ქობულეთელი ისმაილ კაიკაიშვილის ცნობები აჭარის სინამდვილიდან.

5. ვეფხისტყაოსნის ზეპირად ცოდნა

იბეკლება „ივერიის“ ტექსტის მიხედვით (1887 წ., № 171).

6. ხალხური სიტყვიერების საპედაგოგიო მნიშვნელობა

იბეკლება შემოკლებით იმ დედნის მიხედვით, რომელიც დაცულია ფ. არქივში (უ 100); ხელნაწერს თარიღი არ უზის. ვათარილებთ პ. უმიკაშვილის შემდეგი გამოთქმის მიხედვით: „ამ წელს ქართველთა წერა-კითხვის საზოგადოებამ მოიწადინა ამგვარი საქმე და დაბეჭდა პროგრამა“... ეს პროგრამა 1882 წელს გამოქვეყნდა. მასასადამე, პ. უმიკაშვილის წერილიც იმ პერიოდშია დაწერილი. სათაური რედაქციას ეკუთვნის.

7. უსაფუძვლო დაფოლება

დაიბეჭდა გაზ. „ივერიის“ № 29-ში, 1888 წელს, ხელმოწერა: „პ.“. წერილი მრავალმხრივია საინტერესო. პ. უმიკაშვილის პრინციპული მნიშვნელობის მოსაზრებანი აქვს გამოთქმული როგორც „ივერიაში“ ადრე გამოქვეყნებული წერილის, ისე თვითონ ზეპირსიტყვიერების შეკრების საკითხებზე. პ. უმიკაშვილის მწვავე პოლემიკური გამოსვლა მიმართულია „ივერიის“ 1887 წლის 23 დეკემბრის 270 ნომერში დასტამბული მეთაურის წინააღმდეგ. ამ დროს გაზეთს ი. ჭავჭავაძე რედაქტორობდა. მწერლის თხზულებათა სრული კრებულიდან ჩანს, რომ მოწინავე ილიას კალამს უნდა ეკუთვნოდეს (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. IV, 1955, გვ. 19—94; 1927 წლის გამოცემა, ტ. V, გვ. 247—50, რედაქტორის შენიშვნები, გვ. 277). პ. უმიკაშვილი ახლო თანამშრომელი იყო ი. ჭავჭავაძის და მისი რედაქციისა. ამ პერიოდში ორივეს საერთო გამოცემებიც ჰქონდათ (ვისრამიანი, 1884 წ.). პეტრე თვალს ადევნებდა რას სწერდა და აქვეყნებდა ილია. ამის გამო აშკარაა, რომ უმიკაშვილმა იცოდა „ივერიის“ იმ მეთაურის ავტორის ვინაობაც, რომლის კრიტიკაც წარმოდგინა იმავე გაზეთის ფურცლებზე ერთი თვის შემდეგ. „ივერიის“ მოწინავეში ხალხური მოგზიის შეკრების თაობაზე გამოთქმული შენიშვნები უმიკაშვილს უმართებულოდ მიაჩნია. „ბრალი აქ მიუხევედრელობას ან გულფიცობას უნდა დაეაბრალოთ, სხვა არაფერს; მაგრამ სასაცილო-კია“-ო, — სწერდა იგი. ძნელი წარმოსადგენია, რომ პეტრე უმიკაშვილს მიუხევედრელობა ან გულფიცობა ილია ჭავჭავაძის მისამართით ეთქვა. ამის გამო ექვი ჩნდება მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში შეტანილი მეთაურის ილიასეულობაზე. საკითხი კვლავ შემოწმებას მოითხოვს და ის საბუთები, რაც 1927 წლის გამოცემის რედაქტორებს

გამოუყენებიათ, — ათეული წლების მანძილზე სხვადასხვა ადგილას გამოქვეყნებული სხვისი ხელით ამოწერილი მოწინაეები, — ილიას ავტორობის დასადასტურებლად საკმარის არ უნდა იყოს (ი. ჰეპკუაძის ფონდი, ხელნაწ. ინსტ. 80. გვ. 522—23). ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებთა შეკრების პროგრამა, რაზედაც პ. უშიაკაშვილი მიუთითებს, გამოქვეყნდა არა 1883, არამედ 1882 წელს. ეს პროგრამა თვითონ პეტრეს შეუდგენია ი. გოგებაშვილთან ერთად, ი. ჰეპკუაძის თვალმომიდევებით (იხ. ფ. გოგიჩაიშვილის წინასიტყვაობა პ. უშიაკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ პირველ ტომში, 1937 წ., გვ. L).

8. შენიშვნა ალექსიანზე

იბეჭდება პირველად. (ფ. არქ. უშიაკ., 5319). ნაწილობრივ გამოყენებული აქვს ფ. გოგიჩაიშვილს (პ. უშიაკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1, 1937, გვ. XIX). წერილის ავტორი ვერ ასახელებს „ალექსიანის“ გამოცემის ზუსტ თარიღს, ეს იყო 1873 წელს. პ. უშიაკაშვილი განიხილავს სახალხო წიგნების გამოცემის მნიშვნელობას, გამოცემის სირთულესა და გეაცნობს თავისი მუშაობის მეთოდს. „ალექსიანის“ გოეთესეული თარგმანი არ გამოგვიქვეყნებია.

სიტყვების ახსნა

აბრამიანი 220, შაქრითა და თაფლით შეზავებული ღვინის ბოლიწო, საახალწლო „დასაბერებელი“, ტკბილეული.

ავშარა 141, ულაგმო აღვირი.

აღთან დევი 29, არქან დევი, ლიტერატურული როსტომიანის პეტრონაჟი, „აღთან დევის მოტანილი ქვა“.

ბახილა 219, საახალწლოდ გამომცხვარი პური კაცის სახისა.

ბედის პურები 219, ბედის კეერები, საახალწლოდ ვისიმე სახელზე გამოცხობილი კეერი.

ბედნიერი 172, ერთგვარი მუწუჯი.

ბოკორი 46, ბოკერი, კურდღლის ბაჭია.

ბუნქელი 46, ბუნქელი, ბუქუნქელი, კიანქელი.

ბურბულაჟი 42, ბურბულა.

ბუჯერი 23, კურკლის შესაწყობი წალო, სახაბაზო მაგიდა. „ეთერ ბუჯერთო“.

გარიელი 175, გარიელა, ფრინველი ბატების ოჯახისა.

გაღალული 155, გაღალვა, თვალის კერა, გათვალული.

გეზმანა 139, ზმანება, სიზმარი, დასიზმრება. „წუხელის ტა გეზმანა“.

გეშე 7, ხალისი, წადილი, სურვილი. „გეშეა მოძიარა“.

გოზა 25, მშვილდის მწვერვალი (საბა). „გოზა დგა, გოზა კიჭინობს“.

გოზური 108, ღვინო-არყის ჩასახმელი თიხის ჭურჭელი.

გორობი 79, გამხმარი ბელტი. „ილო გორობი და შესტყორცნა ყვაეებს“.

გობი 10, უბლახო და მწირი ადგილი. „არცა ვარ გობის კურდღელი“.

ლაოყება 96, დაპურება, საქმლით დაკმაყოფილება. „ყმაწვილებს დავიოყებთ“.

დაუღლეშო 159, დაეეილი, დაბეილი, დანადგლებული.

დეკანოზი 33, ხატის მსახური, რიტუალის შემსრულებელი. „დეკანოზთ დაიქიდა“.

ეტლიანი 24, ბედნიერი. „ეტლიანი და ღვთიანი“.

ზეუღელი 29, ზაულელი, ზაულისტენელი. „შაპ-ნამეს“ პეტრონაჟის როსტომ გმირის წინაპართა საშობლო. „იმ ზეუღელი კაცისა“.

ზეწნა 171, ძეწნა, ტინიფი.

- ზვიელი 164, წივილი, წივილ-კივილი. „ნეტა რასი ზივილია“.
- თახვი 151, ძვირფას ბეწვიანი ცხოველი. „თახვის ღუმა“.
- თერგი 24, გარეული ღორის ბუნავი. „ღორი თერგში შემეიარდა“.
- თოფრა 85, მცირე ტომარა, ჭორ-ცხენათათვის ქერის მისაწოდებლად.
- თხორი 38, ნართის გორგალი. „ერთი თხორი“.
- კაბა 135, მამაკაცის კალთებიანი გრძელი ტანსაცმელი. „საკაბე რამდენი ადლი მოინდებოა“.
- კოდარო 120, მხარე, კიდე, ნაპირი. „მეორე კედრით მოიარე“.
- კაპარკინა 170, კაპარკი, ისრების ბუდე. „მოქონდა ცელი, ცული, მანგალა და კაპარკინა“.
- კვერი 40, საშველლო მცირე ურო. „ზოგნი კვერს უცემენ“.
- კოლოტი 85, რუმბზე პატარა ტიცი.
- კოპალე 39, წარმართული ღვთაება, ხეთისშვილი, ხატი. მის სახელზე ყოველწლიურად იმართებოდა დღეობა. შემორჩა ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში.
- კოპი 97, დედათა თავსამკაულის ნაწილი.
- კოჟოვი 50, კოჟი, კოჟრი, ამობურცული და გამაგრებული ადგილი კანზე. „ლოყაზედ მუშრის ტოლა კოჟოვი ჰქონდა“.
- კოკიუური 179, თხემის, კინკრიხოს ნაპარსი.
- კრინტწასული 52, ხმწასული. „ღეთისიას დედა კრინტწასული“.
- კუკი 145, დედოფალა, თოჯინა.
- ლატანი 13, ჭობი. „წერილი და გრძელი ძელი“ (საბა).
- ლაპიხ ქვა 150, სიპი ქვა, პრიალა მოლიპული, ლაპლაპა.
- ლურსმანა 148, მუშასაქონლის კისერზე ამოსული ლურსმნისებური მუწუცი, დაეღებია.
- მაჩქათელი 148, ღამურა.
- მზაკვავი 121, გულთმისანი.
- მზაკვარი 149, ვერავი, ცბიერი.
- მივეს ჰამე, მოვეს ჰამე 74, მივეს—მივიდოდეს, მოვეს—მოვიდოდეს; მისელა-მოსელისას გზაში პურის კამა.
- მკალი 158, კალა. „ქვასა მკალისასა“.
- მოლაღვა 55, მოღენა, პირუტყვის მორკვა. „თან მოვლავებოდნენ თავიანთ ფურკამეჩებს“.
- მოყორე 74, საყვარელი. „ჩემს ცოლს უთხარ, გაიჩინოს მოყორე“.
- ნათაღვმა 159, იხ. გაღალული.
- ნაკმაზი 60, ნაკაზმი, ხორბლეულის და რკვევის შემდეგ მონარჩენი.
- ნარგამი 7, ნაწიერი, ჩამომავალი. „უღლ-კალმახის ნარგამი“.
- ოლოლი 40, ზარნაშო.
- ორხოული 86, ორხაო, ორხო, ოჭხოვა, ორმხრივ ნაქსოვი საფენი. „ორხოული ქეჩებით“.
- პირქუში 90, ხატი, წარმართული დარგობრივი ხვთაება.
- რწყულება 111, წყლის დაღეინება. „საქონლის რწყულება დაავალა“.
- ხადავლაო 50, დავლის, ალაფის მოსაპოვებლად წასვლა, მგებრობა. „უყვარდა სადავლაოთ მთებში სიარული“.
- ხადღობელი 93, მომცრო კასრი, ორმხრივ დახშული. იხმარება კარაქის დასამზადებლად.

- ხართი 95, დასამატებელი, სათავი.
 ხატბური 169, კანის დაავადება.
 ხაფარსაკო 12, საფარსავო, ფარსავი, სახეირო, სარგებლობის მომტანი. „ჩვენს
 თავს საფარსაკო არ არისო“.
 ხაშულავე 59, ძაფის შულოდ ამოსახვევი ჩარხი. „თეროს საშულავე იპოვა“.
 ხახლობა 49, ჭაღბი, ოჯახის წევრები. „თავის სახლობას დაუძახა: ადექით“.
 ხინა 161, თუნუქი, მეთული.
 ხირი 163, კბილი. „შაბოქე სირი მგლისა“.
 ხუნთელი 123. სუყველა.
 ხწორი 22, ერთი კვირის შემდეგ. „სწორზედ დახედო“.
 ტაბახტი 176, ძლიერი სისხლის დენა.
 ტახტა 26, უნაგირის წინა და უკანა ამოშვერილი ნაწილები. „ცხენის ტახტაზე
 მაგრათ დაიკრა“.
 ურჯანი 182, უზანი, მცენარე.
 უსურმაგი 39, საკმელად მიუღებელი ცხოველი, ტაბუირებული, აკრძალული.
 „ტას მოსდეე ამ უსურმაგსაო“
 ფილთა 36, პატრუქი, გასანთლული დაგრებილი ძაფი ან დოლბანდი. „გავუ-
 კეთე ფილთა, მიუჯიდე ცეცხლი“.
 ფორჩხი 152, ფოცხი.
